

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მამუკა მენაბდე

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური
ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა _ 07. 00. 01 _ საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი _ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი გიორგი მჭედლიძე

ქუთაისი

2010

შესავალი

XV საუკუნის მეორე ნახევარს და XVI საუკუნეს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. XV საუკუნეს საქართველო თემურ-ლენგის ლაშქრობების გამო დასუსტებული შეხვდა. ქვეყანას წელში გასამართად ხანგრძლივი მშვიდობა და აღმშენებლობა ესაჭიროებოდა, მაგრამ საქართველოს მმართველი პოლიტიკური წრეებისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ურთულესი კრიზისის დაძლევა. XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა ქართველი ხალხის ისტორიაში არსებული ყველაზე დიდი უბედურებაა. რასაც თან ახლავს ქართული ეთნოკულტურული ფენომენისთვის უმძიმესი შედეგები, ადგილი აქვს ერთიანობის ხანაში შექმნილი საზოგადოებრივი და სოციალური სტრუქტურების თანდათანობით რღვევას.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ რამდენიმე სამეფო-სამთავრო და მათი შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი წარმოშვა. “საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ამ სამეფო-სამთავროთა ურთიერთდამოკიდებულების ფორმების გარკვევა” [დ. გვრიტიშვილი, 1965, გვ. 172].

ქართულ სამეფო-სამთავროებს ერთობ აქტიური შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი ჰქონდათ. ქართულ სამეფო-სამთავროთა

შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი ბევრად უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე მათი საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი (რის შესახებაც ქართული ისტორიოგრაფია გამოკვლევების სიმცირეს არ უჩივის). ეს იმის გამო ხდებოდა, რომ საქართველოს ირგვლივ არსებულ მტრულ სახელმწიფოთა რკალი, რომელმაც XV საუკუნის მეორე ნახევარში მას შემდეგ მიიღო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე, რაც 1453 წლის 29 მაისს თურქებმა კონსტანტინოპოლის აღებით ბიზანტიის იმპერია საბოლოოდ გაანადგურეს და ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე უცილობელი ბატონობა მოიპოვეს, ქართულ სამეფო-სამთავროებს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნიდა შორეული და აქტიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისათვის და აიძულებდა მათ ერთმანეთთან ურთიერთობებით შემოფარგვლას. რა პირობებშიც ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი ფორმა ურთიერთშუღლი გახდა, რასაც ჩვენს სამშობლოში არსებული დაშლის შეუქცევადი პროცესის და მის მიმართ მოქმედი უაღრესად არახელსაყრელი საგარეო ფაქტორის ფონზე ჰქონდა ადგილი.

ჩვენი აზრით, ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების საკითხის შესწავლა ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ჩვენ შემოვიფარგლეთ XV საუკუნის მეორე ნახევრით და XVI საუკუნით. ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიური საზღვრები მოიცავს პერიოდს, რომელიც ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ჩასახვით იწყება და შემდეგ საქართველოს შიგნით, თუ მის ფარგლებს გარეთ განვითარებული მოვლენების შედეგად, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში გარკვეული სახის ტეხილის წარმოქმნით სრულდება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ უკანასკნელ ხანებში დანერგილი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული კვლევის ახალი მეთოდებით,

XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების საკითხის შესწავლა, ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემის ახლებურად გააზრებაში გვეხმარება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენი საკვლევი თემის წამოჭრა სამართლიანი იქნება, რომ დ. გვრიტიშვილს დაუუკავშიროთ¹. ამ თემამ მკვლევართა გარკვეული დაინტერესებაც გამოიწვია, თუმცა ფართო კვლევის საგანი პრაქტიკულად არ გამხდარა. ჩვენ საპატიო მოვალეობად მივიჩნევთ დ. გვრიტიშვილის წამოწყების გაგრძელების მცდელობა, აწვარდაცვლილი დეაწლმოსილი ისტორიკოსის პ. ვაჭრიძის რჩევით რომ განვახორციელოთ.

¹ჩვენს მიერ ზემოთდამოწმებულ დ. გვრიტიშვილის ნაშრომში, ერთი ძალიან პატარა მონაკვეთი ჩვენი ნაშრომის სახელწოდების მსგავსად არის დასათაურებული. დ. გვრიტიშვილის ინტერესების სფეროში ამ შემთხვევაში აღმოჩნდა XVI საუკუნის პირველი ნახევარი. თუმცა, როგორც ჩანს, დ. გვრიტიშვილს მხოლოდ ზოგადი ისტორიის წარმოჩინების თვალსაზრისით სჭირდებოდა XVI საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების რამდენიმე საინტერესო ეპიზოდის განხილვა და მისი ამოცანა არ ყოფილა საკითხის დეტალური შესწავლა [დ. გვრიტიშვილი, 1965, გვ. 172–184].

წყაროების და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა

XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების სურათის აღდგენა გვიწევს წყაროთა იმ მკვეთრად გამოხატული სიმწირის და ნაკლოვანების ფონზე, რომელიც საქართველოს ისტორიის შესაბამის მონაკვეთთან მიმართებით არსებობს. სწორედ წყაროთა სიმწირის და ნაკლოვანების გამო შენიშნავდა უდიდესი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი, – ”ყველაზე უფრო ძნელი, რასაკვირველია XIV–XVI საუკუნეების ისტორიაა აღსადგენელი” [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 237].

ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაა, – ”აღწერა სამეფოსა საქართველოსა” [ვახუშტი, 1973]. ეს თხზულება ძალიან ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ვახუშტის აზრით, საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა “საქართველოებად”. ვახუშტი თავის თხზულებაში გვიანი შუა საუკუნეების იმ შავბნელ ხანაში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა არ არსებობდა, მტკიცედ იცავს საქართველოს ერთიანობის უადრესად მნიშვნელოვან იდეას.

როგორც ცნობილია, წინამავალი ხანის არაერთ მნიშვნელოვან

მონაკვეთთან დაკავშირებით ისტორიკოსები ანვითარებენ მოსაზრებას, რომ ქართული წერილობითი წყაროები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ გვესაუბრებიან და სრულიად არაფერი, ან კიდევ ძალიან მცირე აქვთ ნათქვამი დასავლეთ საქართველოს მიმართ. ჩვენი აზრით, დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ჩვენთვის საინტერესო პერიოდთან მიმართებითაც. წერილობითი წყაროები აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, დასავლეთ საქართველოს მიმართ სიტყვაძუნწობას იჩენენ. თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისია ვახუშტი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს “აღწერას” უზარმაზარი ყურადღება დაუთმო და ამ თვალსაზრისით მისი ღვაწლი ფასდაუდებელია.

ვახუშტის მიმართ ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული სახის კრიტიკაც გვხვდება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის “აღწერისას” იგი ზოგჯერ ჭეშმარიტ გზას უხვევს და შეცდომებს უშვებს [ს. კაკაბაძე, 1912, გვ. 1–2; სომხურ ხელნაწერთა ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ (XIV–XV სს.), 1978 გვ. 172]. ამ კრიტიკას ჩვენც ვიზიარებთ, მაგრამ თუ იმ წყაროთა ბაზას მივიღებთ მხედველობაში, რომელთანაც სავარაუდოდ თავად დიდ მეცნიერს უწევდა შეხება, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი მეცნიერული კვლევის ტალანტი, განსაკუთრებულად, სწორედ ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში არსებულ მოვლენათა “აღწერაში” გამოვლინდა.

საინტერესო ცნობების შემცველია “ახალი ქართლის ცხოვრების” პირველი და მესამე ტექსტები [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959]. “ახალი ქართლის ცხოვრების” პირველი ტექსტის ავტორთა მიმართ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: “სწავლულ კაცთ” განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდევ, მთელი სრულიადი

საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, ან ნაწილისა” [ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 319]. ჩვენ გვინდა გამოვყოთ ერთი მომენტი “სწავლულ კაცთა” მეცნიერული მემკვიდრეობიდან, ისინი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი სამეფოების წინამძღოლთაგან გამორჩეულ პატივს მხოლოდ ქართლის სამეფოს წინამძღოლთ მიაგებენ და მარტო მათ უწოდებენ “მეფეს”, ხოლო იმერეთის და კახეთის სამეფოების წინამძღოლთ, როგორც წესი “მეფედ” არ იხსენიებენ. იმერეთის და კახეთის სამეფოების წინამძღოლთ “სწავლული კაცნი” ძირითადად უწოდებენ ან “ბატონს”, ან “მპყრობელს”, ანდაც “პატრონს”¹. “ახალი ქართლის ცხოვრების” პირველი ტექსტის ავტორები, შეიძლება ითქვას, ასეთი პოზიციით იმერეთისა და კახეთის რეგიონებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულების სათავეში მდგომი ბაგრატიონების მოღვაწეობის ლეგიტიმურობის საკითხის თაობაზე აკეთებენ საინტერესო ფორმით საყურადღებო და ანგარიშგასაწევ მითითებას.

XVI საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების შესახებ ცნობებს გვაწვდის XVI საუკუნის ბოლოს შექმნილი “მესხური მატიანე” [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961]. “მესხური მატიანის” ავტორი მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვეა. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს “მესხური მატიანის” მონაცემებს დიდი მნიშვნელობა მივცეთ.

ჩვენთვის საინტერესო არაერთ საკითხს ეხება ფარსადან

¹უნდა აღინიშნოს, რომ არის რამდენიმე შემთხვევა, როცა “სწავლულ კაცთა” მხრიდან იმერეთის და კახეთის წინამძღოლებიც იმსახურებენ “მეფედ” წოდებას, თუმცა ეს მართლაც, რომ უიშვიათესი შემთხვევები, ნამდვილად გამონაკლისის ფარგლებში ექცევა და ამ თვალსაზრისით “სწავლულ კაცთა” მხრიდან დადგენილ წესს არ ცვლის.

გორგიჯანიძის “ისტორია” [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926]. XVI საუკუნის მოვლენების გადმოცემისას ფარსადან გორგიჯანიძე აქტიურად სარგებლობს ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზულებით, რომელიც თავად ამ პერიოდის აღწერისას ძირითადად სხვა ირანელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს თხზულებას ეყრდნობა. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისქანდერ მუნშის თხზულებიდან ფარსადან გორგიჯანიძე უბრალოდ მექანიკურად არ იღებს ისტორიულ მასალას, ქართველი მემატიანე ამ მასალას შიგადაშიგ აანალიზებს და საკუთარ დასკვნებს გვთავაზობს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთა მიმართ ქართული დოკუმენტური მასალები ღარიბულად გამოიყურება. გამოცემებს შორის უნდა გამოვყოთ თ. ჟორდანიას გამოცემული “ქრონიკების” მეორე ტომი [ქრონიკები II, 1897]. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს გამოცემა ხარვეზებს შეიცავს.

XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების მიმართ უცხოური წყაროები ცნობათა სიმრავლით არ გამოირჩევიან. თითქმის არაფერი მოიპოვება სომხურ წყაროებში. სომხური ისტორიოგრაფია XV–XVI საუკუნეებში სტაგნაციას განიცდიდა [გ. მაისურაძე, 1973, გვ. 62]. მცირე, მაგრამ მეტად ფასეული ცნობები გვხვდება ოსმალურ, სპარსულ და ევროპულ წყაროებში.

ოსმალური წყაროებიდან უნდა გამოიყოს იბრაჰიმ ფეჩევის (1574-1605) “ისტორია” [იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964]. ფეჩევის “ისტორიის” მნიშვნელობას ზრდის ის, რომ მასში მოცემული არაერთი ცნობა დადასტურებას პოულობს ქართულ წყაროებში.

XVI საუკუნის სპარსულ წყაროებს შორის საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰასან რუმლუს თხზულებას

“აჰსან ათ-თავარიხს” (“უმშვენირესი ისტორიათაგანი”) [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966]. ჰასან რუმლუს თხზულების არაერთი მონაცემი ასევე პოულობს დადასტურებას ქართულ წყაროებში.

ევროპული წყაროები, ოსმალურ და სპარსულ წყაროებთან შედარებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხთა მიმართ სიტყვაძუნწობას იჩენენ, თუმცა არაერთ მნიშვნელოვან ცნობას ამ წყაროებშიც ვხვდებით.

რაც შეეხება ისტორიოგრაფიას, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებს და ზოგადად ამ პერიოდის საქართველოს ისტორიას ეხება, ცხადია, რომ მასზე დიდ გავლენას ახდენს წყაროთა არასახარბიელო მდგომარეობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ საყურადღებოდ გვეჩვენება დ. პაიჭაძის მოსაზრება, რომელიც 1989 წელს გამოცემულ ნაშრომშია დაფიქსირებული: “XV საუკუნე ქართველი ხალხის ისტორიაში უმძიმესი და ჯერჯერობით სამწუხაროდ ჯეროვნად შეუსწავლელი პერიოდია” [დ. პაიჭაძე, 1989, გვ. 15]. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ჩვენი აზრით, XVI საუკუნის შესწავლის თვალსაზრისით საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დასასრულს მთლად ისეთი მდგომარეობა არ იყო, რომ მისთვის ჯეროვნად შეუსწავლელი გვეწოდებინა, ამ მხრივ შედარებით უკეთესი ვითარება იყო, მაგრამ წყაროთა სიმწირის და საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მსახვრალი ხელის გამო XVI საუკუნის შესწავლაშიც შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი სირთულეები. ასევე, იმის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან მოყოლებული ქართველი ხალხის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის XV–XVI საუკუნეების შესწავლის თვალსაზრისით მდგომარეობა საერთო

ჯამში შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ ამ მხრივ მაინც ბევრია გასაკეთებელი.

რაც შეეხება ცალკეულ ისტორიკოსებს და მათ გამოკვლევებს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხებიან, ცალკე კვლევის საგანი ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ არ გამხდარა¹, საერთოდ კი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისადმი კვლევის მხრივ განუზომელია ივ. ჯავახიშვილის წვლილი, იმის მიუხედავად, რომ მან საქართველოს პოლიტიკური ისტორია დეტალურად XV საუკუნის ბოლომდე გააშუქა და XVI საუკუნის ასეთი სახით შესწავლა არ დაუსრულებია. ჩვენს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა შეისწავლა ნ. ბერძენიშვილმა. მან ძალიან კარგად წარმოაჩინა XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი „ბატონიშვილობის“ საკითხის სიმწვავე. სწორედ “ბატონიშვილობის” საკითხი გახდა დ. ნინიძის მრავალრიცხოვან ერთობ მაღალკვალიფიციურ გამოკვლევათა ამოსავალი წერტილი. ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების შესწავლის საკითხის წამოჭრის გარდა, საკმაოდ ბევრი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული დ. გვრიტიშვილს XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის საქართველოს ისტორიის მრავალი საკვანძო პრობლემის შესახებ. ჩვენთვის საინტერესო საქართველოს ისტორიის პერიოდს არაერთ საყურადღებო გამოკვლევაში შეეხო თ. ბერაძე.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ მ. სვანიძის და ნ. გელაშვილის გამოკვლევების თაობაზე, მ. სვანიძემ ოსმალურ ისტორიოგრაფიაში გაბნეული საქართველოს ისტორიისათვის ფასეული მრავალი ცნობა

¹ამ მხრივ გარკვეული მასშტაბით გამონაკლისს ქმნის ბ. ხორავას ერთობ ფასეული მონოგრაფია: “ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV–XVIII სს.” თბ., 1996.

შემოიტანა ჩვენს საისტორიოგრაფიო მიმოქცევაში და მნიშვნელოვანი მონოგრაფია შექმნა XVI–XVII საუკუნეების საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ [მ. სვანიძე, 1971]; ნ. გელაშვილმა XVI საუკუნის ირან-საქართველოს ურთიერთობას მიუძღვნა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევა და ქართული ისტორიოგრაფია სპარსული ისტორიოგრაფიიდან შემოტანილი არაერთი საინტერესო ცნობით გაამდიდრა [ნ. გელაშვილი, 1995]. ორივე ეს მონოგრაფია ჩვენთვის საინტერესო მრავალ საკითხს ეხება.

ჩვენთვის საინტერესო ცალკეული საკითხები ზემოთმოსხენიებულ მკვლევართა გარდა მეცნიერულად შეისწავლეს: ე. თაყაიშვილმა, მ. თამარაშვილმა, ს. ჯანაშიამ, ს. კაკაბაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, მარი ბროსემ, ა. აბდალაძემ, ც. აბულაძემ, გ. ალასანიამ, ალენმა, ი. ანთელავამ, ზ. ანჩაბაძემ, ნ. ასათიანმა, ს. ბელოკუროვმა, ი. ბერაძემ, დ. ბერძენიშვილმა, მ. ბერძენიშვილმა, ე. ბლიაძემ, ფ. ბრუნმა, ვ. გაბაშვილმა, გ. გაბუნია, გ. გასვიანმა, ჯ. გვასალიამ, ე. გვენეტაძემ, ბ. გიორგაძემ, ო. გოგოლიშვილმა, ვ. გუჩუამ, ბ. დიასამიძემ, ზ. დათუაშვილმა, მ. დუმბაძემ, ო. ეფენდიევმა, პ. ვაჭრიძემ, მ. ზაღდასტანიშვილმა, გ. ზედგენიძემ, თ. თოდრიამ, რ. ისაკაძემ, გ. კალანდიამ, დ. კაპანაძემ, მ. კაპანაძემ, დ. კაციტაძემ, დ. კაჭარავამ, ე. კაჭარავამ, რ. კიკნაძემ, ფ. კირზიოლდუმ, ბ. კუთუკოლდუმ, ს. კუპრაშვილმა, დ. ლანგმა, ო. ლანჩავამ, ბ. ლომინაძემ, შ. ლომსაძემ, გ. მაისურაძემ, ე. მამისთვალიშვილმა, გ. მამულიამ, მ. მახარაძემ, შ. მესხიამ, გ. მჭედლიძემ, ქ. ნადირაძემ, ჯ. ოდიშელმა, გ. ოთხმეზურმა, დ. პაიჭაძემ, მ. პაპაშვილმა, ჟან-ლუი ბაკე-გრამონმა, თ. ჟორდანიამ, მ. რეხვიაშვილმა, მ. რობაქიძემ, გიორგი (გელა) საითიძემ, გონა საითიძემ, ჯ. სამუშიამ, მ. სანაძემ, ლ. სანიკიძემ, ვ. სილოგავამ, ო. სოსელიამ, კ. ტაბატაძემ, ლ. ტარდომ, გ. ტივაძემ, ფ. უსპენსკიმ, ვ. ფუთურიძემ, თ. ქართველიშვილმა, თ, ქორიძემ, ქრ. შარაშიძემ, ნ. შენგელიამ, ქვ.

ჩხატარაიშვილმა, ი. ცინცაძემ, ე. ცისკარიშვილმა, გ. ცქიტიშვილმა, ვ. წვერაავამ, დ. წიტიშვილმა, ე. ხინთიბიძემ, ს. ხოსიტაშვილმა, ე. ხოშტარიამ, ა. ჯაფარიძემ, ს. ჯიქიამ და სხვ.

თავი პირველი

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის 40_60-იან წლებში

გიორგი VIII უმძიმეს მემკვიდრეობას იღებს საქართველოს წინა მეფეებისგან ძმისგან ვახტანგ მეოთხისგან (1442–1446) და მამისგან ალექსანდრე I დიდისგან (1412–1442), იკავებს რა სამეფო ტახტს 1446 წელს. თემურ-ლენგის ლაშქრობებით გამოწვეულ უბედურებას და რთულ საერთაშორისო ვითარებას ამძიმებს “ბატონიშვილობის” საკითხის სიმწვავე. ალექსანდრე I დიდი შეეცადა გამწვავებული “ბატონიშვილობის” საკითხის მოგვარებას რეფორმით, რომლის შესახებ ცნობას გვაწვდის “ახალი ქართლის ცხოვრების” მეორე ტექსტი, სადაც აღნიშნულია, რომ ალექსანდრე პირველმა, მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასასრულს, თავის სამ ძეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საგანმგებლოები უწყალობა [ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, 1959, გვ. 475].

ალექსანდრე I დიდის აღნიშნული ღონისძიება გახდა საფუძველი იმის, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნის საქართველოში ის ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის ხელშემწყობად მიეჩნიათ. ასეთი

შეხედულება 1589 წელს კახთა მეფე ალექსანდრე II-მ (1574–1605) რუს დესპანებთან საუბარში გააუღერა [С. Белокуров, 1989, გვ. 169–170].

ვახუშტი ბატონიშვილი არ იზიარებდა მოსაზრებას ალექსანდრე II დიდის მიერ თავისი შვილებისათვის ერთიანი ქართული სახელმწიფოს დანაწილების შესახებ. ვახუშტის აზრით: “ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძისამდე იყო ერთმეფობა, გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა მოწმობითა” [ვახუშტი. 1973. გვ. 303]. მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გიორგი V ბრწყინვალის (1314–1346) დროიდან მოყოლებული გიორგი VIII-ის (1446–1466 – ერთიანი საქართველოს მეფე, 1466–1476 – კახეთის მეფე) დრომდე საქართველოში ერთმეფობა იყო, ვახუშტი თავისი ნაშრომის სხვა ნაწილშიც აღნიშნავს და იქვე აფიქსირებს მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ საქართველოში მეფეს, როგორც წესი, ქვეყნის დაშლის სურვილი არ ჰქონდა [ვახუშტი, 1973, გვ. 564].

ვახუშტის პოზიცია საქართველოს მეფის ზოგადად და კერძოდ, ალექსანდრე II დიდის ქვეყნის დაშლის პროცესის მოწინააღმდეგედ მოაზრების შესახებ, სავსებით მისაღებია. რეალურად, ალექსანდრე დიდმა “გამრიგე მოხელენის” ადგილზე თავისი შვილები დააყენა და მიზნად ჰქონდა ქვეყნის ცალკეული ნაწილების შემომტკიცება და ხელისუფლების ცენტრალიზაციის განმტკიცება. მაგრამ XV საუკუნეში ქვეყანაში შექმნილმა შინაპოლიტიკურმა სიტუაციამ, მათ შორის “პროვინციის მეფეთა” ინსტიტუტის არსებობამ და ამ ფონზე არახელსაყრელმა საგარეო ვითარებამ ალექსანდრეს აღნიშნულ პოლიტიკას სულ სხვა ხასიათი მიანიჭა. შვილებისადმი მინებებული საგანმგებლოები დროთა განმავლობაში “პროვინციის მეფეთა” სამფლობელოებად გადაიქცნენ, დიმიტრის, ვახტანგისა და გიორგის მფლობელობა “პროვინციის მეფობაში” გადაიზარდა

[დ. ნინიძე, 1995, გვ. 180–181].

“პროვინციის მეფეები” საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ XV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში.

საერთოდ კი, “პროვინციის მეფეთა” ინსტიტუტმა გააღვივა სახასოს დაქუცმაცების პროცესი. როცა ცენტრალური ხელისუფლების საფუძველი – სახასოს ერთიანობა და ძლიერი სამეფო დომენი მოიშალა, ქვეყნის ერთიანობასაც მნიშვნელოვანი საყრდენი მოაკლდა. “პროვინციის მეფეები” ცდილობენ ბაგრატიონთა დამოუკიდებელ სამეფო შტოთა მფლობელობისათვის საფუძველის შექმნას და მის ეკლესიურად უზრუნველყოფას ეშუერებიან. მცხეთა, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლო მათთვის მიუღებელი ხდება. აქედან გამომდინარე შესაბამისი სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება ყალიბდება, რაც სხვა მოვლენებთან ერთად ხელს უწყობს დაშლის პროცესს [დ. ნინიძე, 1998ბ, გვ. 18].

ასეთ რთულ სიტუაციაში, როცა, არსებითად საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მის ყველა ძირითად რეგიონში დაშლის პროცესს ძლიერი გავრცელება ჰქონდა, უწევს მეფობის დაწყება გიორგი VIII-ს. ეს ვითარება იძლევა საშუალებას, უკვე ამ დროიდან წარმოვაჩინოთ თითქმის თანასწორი ძალმოსილების ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი.

1447 წელს სამცხე-საათაბაგოში ჯაყელთა მმართველ საგვარეულოში შიდაბრძოლას ჰქონდა ადგილი. აღბუღა ათაბაგს ხელისუფლებისთვის დაუპირისპირდა ყვარყვარე (ვახუშტი ყვარყვარეს მიიხნევს აღბუღას ბიძად [ვახუშტი, 1973, გვ. 284], თუმცა სინამდვილეში ის აღბუღას ძმა უნდა იყოს [ბ. ლომინაძე, 1979, გვ.

734]). ამ ბრძოლაში აღბუღა დამარცხდა და დახმარების სათხოვნად გიორგი მეფესთან მივიდა, რომელიც შექმნილმა ვითარებამ ძალიან განარისხა და სამცხეს გაემართა. იქ მეფეს ყვარყვარე მიეგება და თავისი ”უცოდველობის” მტკიცებას შეეცადა. ამის მიუხედავად, გიორგი მეფემ აღბუღა ათაბაგის მდგომარეობაში დააბრუნა, ხოლო ყვარყვარე თავისთან თბილისში წაიყვანა და როგორც ვახუშტი აღნიშნავს “გარნა მიერთგან იქმნა ყუარყუარე ქუეგამხედველი მეფისა” [ვახუშტი, 1973, გვ. 284].

1451 წელს გარდაიცვალა აღბუღა ათაბაგი და გიორგი მეფემ ათაბაგობა ყვარყვარეს მისცა. ამისთვის თავად ყვარყვარემ დაიჭირა თადარიგი: “ყუარყუარემ მოიბირნა მესხნი და ვაზირნი გიორგი მეფისანი და იქმნა გიორგი მეფისაგან შეწვევითა ვაზირთათა ათაბაგად” [ვახუშტი, 1973, გვ. 703–704]. ყვარყვარესათვის ათაბაგობის მიცემა გიორგი მეფის მძიმე შეცდომა იყო, რადგან მან ვერ გაითვალისწინა ყვარყვარეს შემდგომი დროის მოღვაწეობის ხასიათი. ყვარყვარე მთელი XV საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ერთიანი ქართული სახელმწიფოს რღვევას უწყობდა ხელს. გიორგი მეფის მიერ ყვარყვარესათვის ათაბაგობის მიცემის გადაწყვეტილების მიღებაში, როგორც ჩანს, გარკვეული როლი ითამაშა სამეფო კარის ოპოზიციამ. საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ განწყობილი ასეთი ოპოზიცია მთელი XV საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში არსებობდა. ამ ოპოზიციასთან ზოგჯერ საერთო ენა გიორგი მეფესაც უნდა ეპოვნა, რადგან ის საქართველოს ერთიანობის იდეას მთელი თავისი მოღვაწეობით ვერ განასახიერებდა.

საქართველოს ასეთი მძიმე საშინაო ვითარება, კიდევ უფრო სახიფათო ხასიათს იღებდა იმ სიტუაციის გამო, რომელიც ამ დროს მის ირგვლივ შეიქმნა. 1453 წლის 29 მაისს თურქებმა

ხანგრძლივი შეტევის შემდეგ კონსტანტინოპოლი აიღეს, ბიზანტიის იმპერიამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა. “საქართველოსათვის ეს ისეთი უბედურება იყო, რომლის მსგავსი მის წარსულში ბევრი არ მოიპოვება” [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 437].

ასეთ სიტუაციაში საქართველოში შიდა დაპირისპირება გრძელდება. ამჯერად წინააღმდეგობა წარმოიქმნა იმერეთის ერისთავის ბაგრატიანთან¹, რომელიც არ კმაყოფილდება ერისთავის მდგომარეობით და მეფობისათვის იბრძვის.

“ზევდგინიძეთა საჩივრის” წიგნიდან ჩანს, რომ გიორგი VIII-ის გამეფების ახლო ხანებში ქუთაისი ბაგრატს ეკუთვნოდა, შემდეგ გიორგი მეფემ ურჩ ბაგრატს ქუთაისი “წაართო”. მაგრამ ბაგრატი ქუთაისის წართმევას არ შეურიგდა, გიორგი მეფეს დაუპირისპირდა, დაამარცხა და ქუთაისი დაიკავა. ამ შეხლა-შემოხლას 1453–1454 წლებში ჰქონდა ადგილი [ნ. ბერძენიშვილი, 1937, გვ. 12–14]. ბაგრატის მდგომარეობა მისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გაუმჯობესდა, ბაგრატი “პროვინციის მეფე” გახდა [დ. ნინიძე, 1995, გვ. 174].

მაშინ როცა გიორგი მეფე ბაგრატთან არკვევდა ურთიერთობას, ყვარყვარე ათაბაგი საქართველოს მეფეს მტრობდა და ქვეყნის ერთიანობის რღვევაზე ფიქრობდა. მისი სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება იმდენად დაკნინებული იყო, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მიმართ მტრობა და სიძულვილი საეკლესიო სფეროში გადაიტანა.

სამცხის ათაბაგის ნებით მესხეთის სამღვდელეობის გარკვეულმა ნაწილმა წირვა-ლოცვაში საქართველოს მეფის და კათოლიკოს-პატრიარქის მოხსენიება შეწყვიტა. ყვარყვარემ ისიც გაბედა, რომ

¹ეს ბაგრატი ალექსანდრე I-ის ძმის გიორგის შვილი იყო და, მაშასადამე, გიორგი VIII-ის ბიძაშვილი [ე. გვენეტაძე, 2003, გვ. 102; ვ. მჭედლიძე, მ. კეხევაძე, 2008, გვ. 148].

საეპისკოპოსო პირების არჩევის უფლება მიისაკუთრა. თუ ყვარყვარემ “მაწყუერელობა ან სხვა რამე ხელი გუაძლიოს”, გვეუბნება “ანჩელის ფიცის წიგნი”¹ [ქრონიკები, II, 1897, გვ. 268]. რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ყვარყვარეს თავისი თავისთვის აწყურის საეპისკოპოსო კათედრის სათავეში საკუთარი კანდიდატის დანიშვნის უფლება მიუცია. ყვარყვარეს, ცხადია საეკლესიო თანამდებობების დამოუკიდებლად ვინმესთვის გადაცემის არანაირი უფლება არ ჰქონდა.

სამცხის ათაბაგის და საქართველოს მეფის და კათოლიკოს-პატრიარქის დაპირისპირებაში ეკონომიკური მომენტიც გამოიკვეთა. 25 მდიდარი მამული ჰქონდა მცხეთის საკათოლიკოსოს სამცხის სამთავროს ტერიტორიაზე. მცხეთის საკათოლიკოსოს მამულებს, სადაც არ უნდა ყოფილიყო ისინი – ქართლ-კახეთსა თუ სამცხე-კლარჯეთში, ფეოდალური წესის თანახმად, მცხეთის საკათოლიკოსო საყდრისთვის წლიური შემოსავლიდან გარკვეული ხარჯის ძლევა ევალებოდა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 8-9] ახლა ეს დადგენილი წესი სადაო გახდა. ამასთანავე, მაშინ ფინანსიურ საშოვარზე საქართველოში მყოფი უცხოელი მღვდელმთავრის ფაქტორმა იჩინა თავი. იმუამად ოსმალეთის აგრესიის პირობებში ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების გაღატაკებული მღვდელმთავრები ფინანსიური სარგებლობის მიღების მიზნით, ხშირად მოგზაურობდნენ ქრისტიანულ ქვეყნებში და საძრახის საქციელსაც არ თაკილობდნენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, კერძოდ, სეპარატიზმის სიძლიერე მათი მიზნების მისაღწევად კარგ წინაპირობას ქმნიდა. უცხოელი მღვდელმთავრები თავიანთი

¹“ანჩელის ფიცის წიგნი” თარიღდება 1453 წლის ახლო ხანით და ჩანს, რომ ეს მოვლენებიც ამ დროის ახლოს ვითარდებოდა.

შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოში საეკლესიო სეპარატიზმს უწყობდნენ ხელს და ქართველი სეპარატისტი მეფე-მთავრები მათ ანგარებიან სურვილებს აკმაყოფილებდნენ. საეკლესიო სეპარატიზმის თვალსაზრისით ამ უცხოელი მღვდელმთავრების როლზე შეხება ქვემოთ არაერთხელ მოგვიწევს, ამჯერად კი, უნდა აღინიშნოს ვიღაც “მცბიერი” ბერძენი ცრუ წინასწარმეტყველი მიტროპოლიტის თაობაზე, რომელიც სამცხის მღვდელმთავრების სეპარატიზმს ხელს უწყობდა [ქრონიკები, II, 1897, გვ. 269].

ასეთ მიმდევარ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა პრაქტიკულ ღონისძიებას მიმართავდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV (1443/1447–1459). მას სრული უფლება ჰქონდა სამცხის ათაბაგის და მისი მომხრეების წინააღმდეგ გამოსულიყო. კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV მესხეთს მივიდა და ”საფარის თავზე” საეკლესიო კრება მოიწვია. თავად ბრალმდებლის როლში გამოვიდა და ურიგო საქციელისათვის ურჩი სამცხის ეპისკოპოსები შეაჩვენა – “უჯგარო და შეუნდობელი ყვნა” [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 26]. ამ აქტის სიმძიმეს ისიც ამაგრებდა, რომ შემდეგ ახსნისა და შენდობის უფლება მხოლოდ მცხეთის ხელთ იყო. ამ ღონისძიებამ უკან დაახევინა სამცხის ათაბაგს და მის სამღვდელოებას. სამცხის ათაბაგის მომხრე საეკლესიო პირებმა მორჩილების და ერთგულების გამოცხადება დაიწყეს [ქრონიკები, II, 1897, გვ. 267–269; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 25–27].

ამჯერად საქართველოს ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება მოხერხდა. ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მცხეთის, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობის და მთლიანობის სიმბოლოს და მისი მესაჭის კათოლიკოს-პატრიარქის დიდმა ავტორიტეტმა. ამ დროიდან სამცხის ათაბაგმა თავისი მიზანსწრაფვა პოლიტიკური

დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ გადაიტანა. ამგვარად, იკვეთება მისი მოკავშირეობის პერსპექტივა ბაგრატთან და მასთან დაკავშირებულ სხვა დასავლელ ქართველ მმართველებთან, რათა გაერთიანებული ძალებით დაასუსტონ და დაამარცხონ ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფე გიორგიVIII. ეს იყო ის ძირითადი ტენდენცია, რომელიც იმ დროს განსაზღვრავდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებს.

ამავე პერიოდში კონფლიქტი წარმოიშვა საქართველოს სამეფო ოჯახში, რაც ყვარყვარეII-ის და გიორგიVIII-ის ურთიერთობის გაუარესების გამოდახილი შეიძლება იყოს. ამ კონფლიქტს ყვარყვარეII-ის ასულის საქართველოს დედოფლის თამარის მხრიდან სამეფო სახლის დატოვება მოყვა. თამარი გიორგიVIII-ის თანამეცხედრე იყო 1453 წლამდე, ხოლო შემდეგ კონფლიქტის გამო მამასთან მესხეთში წავიდა [დ. ნინიძე, 1997ა, გვ. 111].

იმ დროს, როცა საქართველოში მძაფრ შიდადაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, მის მიმართ თანდათანობით მწვავე ზემოქმედებას იწყებს მავნე საგარეო ფაქტორი. 1454 წელს ოსმალეთის ფლოტი თავს დაესხა სოხუმს (სებასტოპოლისს) და გაძარცვა [მ. სვანიძე, 1990, გვ. 111]. ეს იყო ოსმალეთის იმპერიის პირველი თავდასხმა საქართველოზე. ამ თავდასხმის შესახებ ცნობა მოეპოვება ვახუშტის: “გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი სავსენი სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა, და აღაოჭრნეს და მოსწყვდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღუს პირნი. უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ. ამისი მცნობელი მეფე გიორგი წარვიდა მოსწრაფედ, არამედ ვერა რაღსადა ეწია. გარნა მკუდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგრნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს“ [ვახუშტი, 1973, გვ. 284]. ვახუშტი შეცდომით ოსმალთა საქართველოზე განხორციელებულ ლაშქრობას 1454 წლის ნაცვლად ათარიღებს 1451 წლით, როცა სულთანი იყო არა

მურადი, არამედ მეჰმედი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქი ისტორიკოსი კირზიოდლუ ვახუშტის ამ ცნობის საფუძველზე ასკვნის, რომ ოსმალებმა 1451 წელს დაიპყრეს აფხაზეთი და სამეგრელო და ამ დროიდან მოყოლებული 1829 წლამდე – ადრიანოპოლის ზავის დადებამდე, ეს ქვეყნები ოსმალეთს ემორჩილებოდა [მ. სვანიძე, 1990, გვ. 113]. ამ საკითხს მ. სვანიძე, რასაკვირველია სავსებით მართებულად განმარტავს, როდესაც აღნიშნავს, რომ ეს ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯებაა [მ. სვანიძე, 1990, გვ. 113].

ამასობაში დასავლეთ ევროპაში სერიოზულად დაფიქრდნენ იმაზე, თუ რას უქადდა ბიზანტიის იმპერიის გაქრობა და თურქ-ოსმალთა იმპერიის შექმნა ქრისტიანულ სამყაროს. თურქ-ოსმალთა იმპერიის ტერიტორიული გაფართოების შეჩერება და შემცირება ევროპისთვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დამოუკიდებლად, ამის გაკეთება არცერთ ევროპულ სახელმწიფოს არ შეეძლო. ევროპაში გაჩნდა დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეა, რისი განხორციელებაც რომის პაპმა ითავა. რომის პაპის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა საქართველოც. ქართველი მეფე-მთავრები ჩართული აღმოჩნდნენ ანტიოსმალური კოალიციის მომზადების პროცესში, რამაც დროებით შეაჩერა ტრაგიკული მოვლენების განვითარება საქართველოში. ჩვენი აზრით, დ. პაიჭაძე საყურადღებო მოსაზრებას ანვითარებს, აღნიშნავს რა, რომ ანტიოსმალური კოალიციის წარმატება იყო ერთადერთი რეალური საშუალება საქართველოს გაერთიანებისთვის [დ. პაიჭაძე, 1989, გვ. 95]. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ანტიოსმალურ კოალიციას არსებული რეალობის გამო წარმატების ძალიან მცირე შანსი ჰქონდა.

1456 წელს რომის პაპმა კალიქსტო III-მ ცნობილი დიპლომატი ფრანცისკანელთა ორდენის წევრი ლუდოვიკო ბოლონიელი აღმოსავლეთში გამოგზავნა, რათა აქაური წინამძღოლნი ანტიოსმალურ

კოალიციაში მონაწილეობის მიღებაზე დაეყოლიებინა. ლუდოვიკო ბოლონიელს საქართველოში ანტიოსმალური განწყობა დახვედრია, რის გამოც იგი რომში კმაყოფილი დაბრუნდა. ლუდოვიკო ბოლონიელმა საქართველოში აღმოსავლეთში თავისი მეორე მოგზაურობის დროსაც გამოიარა 1459 წელს და აქედან ელჩები რომში მიმავალმა თან გაიყოლა [ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 40–42].

1459 წლისათვის ქართველ მეფე-მთავრებს შორის უკვე ზავია დადებული, რასაც გიორგი მეფის და ყვარყვარე ათაბაგის ევროპაში გაგზავნილი წერილები აჩვენებს [მ. თამარაშვილი, 1902, გვ. 58–59].

ქართველი მეფე-მთავრები ანტიოსმალურ კოალიციაში აქტიურ მონაწილეობას აპირებდნენ. გიორგი მეფე 40 ათასი მეომარის გამოყვანას აპირებდა, ყვარყვარე ათაბაგი 20 ათასიან ლაშქარს ამზადებდა და მნიშვნელოვანია, რომ მას მხოლოდ ცხენოსნები შეადგენდნენ, ოდიშ-აფხაზეთის მმართველთა მხრიდან 10 ათასიანი ლაშქრის გამოყვანა იყო განსაზღვრული. ქართველთა მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ ტრაპიზონის, მცირე სომხეთის და უზუნ-ჰასანის თეთრბატკნიანთა სახელმწიფოები [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 295–297]. აღმოსავლეთიდან გამოსულ სამხედრო ძალებს, რომელსაც ერთიანად 120 ათასი მეომარი უნდა შეედგინა, სარდლობას ყვარყვარე ათაბაგი უპირებდა [დ. პაიჭაძე, 1989, გვ. 85].

ყვარყვარე ათაბაგი თითქოს გრძნობდა, რომ დასავლეთ ევროპაში არ იქნებოდა დიდი ენთუზიაზმი ანტიოსმალური კოალიციის მხარდაჭერის მიმართ და აცხადებდა, რომ საჭირო იყო მტრის სწრაფი დამარცხება, რადგან ის: “მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ” [მ. თამარაშვილი, 1902, გვ. 59].

ყვარყვარეს ჩვენი მეზობელი ოსმალების სრული განადგურების გეგმაც ჰქონდა, რაც უკვე მისი პოლიტიკური სიბეცის

დამადასტურებელი იყო და არსებული რეალობის ადეკვატურ გააზრებას არ ემყარებოდა. ”ეს იყო სრულიად არარეალური, უსუსური და ფანტასტიკური, ხოლო თავისი მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, არსებითად – პროვოკაციული გეგმა” [გ. გაბუნია, 1996, გვ. 189].

ანტიოსმალური კოალიცია კი, არ შედგა. უმთავრესი როლი ამაში რომის პაპის უნიათობას და მისი დასავლელ ევროპელი პოლიტიკური პარტნიორების ოსმალების საფრთხისადმი უგულისყურობას მიუძღვის. ამ შემთხვევაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების წინამძღოლთა პოზიცია, მათი ინტერესებიდან გამომდინარე დრომ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად გაამართლა კიდევ. ოსმალების იმპერიისთვის დასავლეთ ევროპაში ფართომასშტაბიანი დაპყრობების წარმოება, პრაქტიკულად არასოდეს გამხდარა შესაძლებელი.

რაც შეეხება იმ ზავს, რომელიც ქართველ მეფე-მთავართა შორის დაიდო ანტიოსმალური კოალიციის მომზადების პერიოდში, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელსაც შეეძლო ქართულ სამეფო-სამთავროთა შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი საქართველოს ერთიანობის საქმისათვის აუცილებელი მიმართულებით წაეყვანა. მაგრამ ეს დაზავება არ იყო გამოწვეული მოვლენათა ლოგიკური და კანონზომიერი ჯაჭვით, აქ გადამწყვეტი იყო კონკრეტულ მომენტში არსებული საგარეო ფაქტორი. ეს ფაქტორი კი, ხანმოკლე და უპერსპექტივო იყო და არც ქართველ მეფე-მთავართა თანხმობა ყოფილა ხანგრძლივი და პერსპექტიული. იმის შეტყობა, რომ ანტიოსმალური კოალიცია არ შედგებოდა ქართველი მეფე-მთავრებისთვის დიდი იმედგაცრუება იყო, რისი გავლენითაც ისინი კიდევ უფრო დიდი სასოწარკვეთით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ვიდრე მანამდე უპირისპირდებოდნენ.

ანტიოსმალურ კოალიციაში ქართული სამეფო-სამთავროების

მონაწილეობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგმა წამოიწყო შიდაბრძოლის ინტენსიური კამპანია. ყვარყვარეს მიზნად ჰქონდა სამცხის სამთავროსათვის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება, რისთვისაც კოალიციის ორგანიზებას მიჰყო ხელი, რითაც მისი ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა ძლიერ იზრდებოდა. ყვარყვარე ათაბაგი კარგად ხედავდა, რომ პოტენციური მოკავშირეები მრავლად ჰყავდა.

1462 წელს ყვარყვარე დაუკავშირდა ბაგრატ “პროვინციის მეფეს” და შესთავაზა გიორგი მეფის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება. ბაგრატმა კი, საქართველოს მეფის წინააღმდეგ მოსალოდნელ ბრძოლაში დახმარების წინადადებით დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანთა ერისთავს მიმართა, მათ თავიანთი უფლებების გაზრდას დაპირდა და მათგან დახმარების პირობაც მიიღო [ვახუშტი, 1973, გვ. 285, 704, 805].

გიორგი მეფეს მის წინააღმდეგ შემდგარი კოალიციის წევრებიდან პირველი ბრძოლის გამართვა ყვარყვარე ათაბაგთან მოუხდა. 1462 წელს საქართველოს მეფე ურჩი ათაბაგის მიმართ საჭირო ზომების მისაღებად სამცხეში გადავიდა. ყვარყვარე II-ს ამ დროს სამხედრო ძალით მხარი დაუჭირა თეთრბატკნიანთა მბრძანებელმა უზუნ-ჰასანმა, გიორგი მეფე ასეთ ძალას ვერ გაუმკლავდა და ბრძოლაში მარცხი განიცადა [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 478; ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 39; ქრონიკები, II, 1897, გვ. 281].

ამასობაში ბაგრატმა მას შემდეგ, რაც თავის ირგვლივ გარკვეული ძალა დაიგულა, საქართველოს მეფის მიმართ აშკარა დაპირისპირების პოლიტიკაზე გადავიდა. ბაგრატმა იმერეთის ციხეებიდან გამოიყვანა გიორგი მეფის ერთგული მეციხოვნეები, რომლებიც ბაგრატს, როგორც გიორგი მეფის ნათესავს “არა ეკრძალოდნენ”. გიორგი მეფე ბაგრატის განდგომის ამბის

შეტყობისთანავე იმერეთს გაემართა და ამასთანავე, არსებული დაპირისპირების მიუხედავად, ყვარყვარე ათაბაგს მიმართა, რომ სამცხიდან მის დასახმარებლად იმერეთს წამოსულიყო. ყვარყვარე მართლაც გაემართა იმერეთისკენ, მაგრამ ეს ნელი სვლით გააკეთა [ვახუშტი, 1973, გვ. 285, 704, 805–806]. ეს ნელი სვლით მოძრაობა, სავარაუდოდ ყვარყვარეს ხრიკი უნდა იყოს, რადგან ბაგრატიან და თუ საჭირო იქნებოდა გიორგი მეფესთანაც, მას მოსალოდნელი ბრძოლის შემდეგ ერთგვარი გამამართლებელი საბუთი ჰქონოდა, რომ ის ცდილობდა ბრძოლაში მონაწილეობას, მაგრამ ეს ვეღარ მოასწრო. რაც შეეხება ბაგრატის სხვა მოკავშირეებს, როგორც ვახუშტი აღნიშნავს: “არცა უშუელეს ბაგრატს დადიანმან, გურიელმან, აფხაზთა და სუანთა” [ვახუშტი, 1973, გვ. 285].

გიორგი მეფეს და ბაგრატს შორის ბრძოლა შედგა ჩიხორს, ქუთაისის მახლობლად, 1462 წელს. ამ ბრძოლაში გიორგი მეფე დამარცხდა და ქართლს დაბრუნდა [ვახუშტი, 1973, გვ. 285, 806; ქრონიკები, II, 1897, გვ. 281].

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩიხორის ბრძოლაში ყვარყვარე ათაბაგს, დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანთა ერისთავს უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ. ყვარყვარე ათაბაგი გიორგი მეფეს მტრობდა, მაგრამ არც ბაგრატის ზედმეტად გაძლიერება სურდა. ყვარყვარე უპირისპირდებოდა ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც შეიძლებოდა მისი სეპარატისტული ინტერესებისათვის რაიმენაირი საფრთხე შეექმნა. ამ შემთხვევაში, ყვარყვარეს ასეთ ძალად გიორგი მეფე ეჩვენებოდა, თუმცა, შეიძლებოდა მომავალში ანალოგიურ ძალად მისთვის ბაგრატი ქცეულიყო, ამიტომაც მის დასახმარებლად ყვარყვარეს ზედმეტი აქტიურობა არ უნდა გამოეჩინა. ალბათ, ანალოგიური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ ბაგრატის სხვა მოკავშირეებიც, როდესაც “არცა უშუელეს” ბაგრატს ჩიხორის

ბრძოლაში.

ბაგრატი მართალია, ჩიხორის ბრძოლაში გიორგი მეფეს მხოლოდ საკუთარი ძალებით დაუპირისპირდა და ყვარყვარე ათაბაგი, დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანთა ერისთავი მას არ დახმარებიან, მაგრამ, ამის გამო, მათ შორის უთანხმოება მაინც არ ჩამოვარდნილა, რადგან მათთვის მთავარი იყო გიორგი მეფის საბოლოო დამარცხება, რაც ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი, ამიტომაც ყვარყვარეს ინიციატივით გიორგი მეფის წინააღმდეგ შექმნილი კოალიცია ერთიანობას ინარჩუნებდა.

უშუალოდ ჩიხორის ბრძოლის შემდეგ ბაგრატი მივიდა ქუთაისს. სადაც, როგორც ვახუშტი აღნიშნავს: “მიერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ. ამისთვის აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თვისი და განთავისუფლდნენ თვნიერ ღაშვრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა” [ვახუშტი, 1973, გვ. 806]. ჩიხორის ბრძოლაში ბაგრატის მიერ გიორგი მეფის დამარცხებამ და შემდეგ ქუთაისში სხვა დასავლელ ქართველი მმართველების მიერ ბაგრატის მეფედ გამოცხადებამ, თავისთავად ცხადია, რომ ბაგრატის პოზიცია გააძლიერა, მაგრამ იგი “პროვინციის მეფის” მდგომარეობას მაინც ვერ გასცდა და მისი აქტიურობა გიორგი VIII-ის ხელისუფლებას იმერეთში ბოლომდე ვერ ზღუდავს [ქრონიკები, II, 1897, გვ. 283; დ. ნინიძე, 1995, გვ. 175; გ. მჭედლიძე, მ. კეხევაძე, 2008, გვ. 140–141] ბაგრატის “პროვინციის მეფობა” დასრულდა 1466 წელს, როცა მან ქართლში გადასვლა და “ტფილისის ტახტის” დაკავება მოახერხა.

ბაგრატი არ დარჩენილა მომგებიან მდგომარეობაში ლიხთიქითის ერისთავთა (რომელთაც (განსაკუთრებით დადიანსა და გურიელს) ამ დროიდან მთავრებსაც უწოდებენ) მიმართ. ჩვენთვის საყურადღებოა ვახუშტის ის ცნობა, რომლის მიხედვით, ჩიხორის ბრძოლის შემდეგ

დადიანი, გურიელი და სხვა ერისთავები “განთავისუფლდნენ თვნიერ ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა”. ეს იმას ნიშნავს, რომ დადიანი, გურიელი და სხვა ერისთავები განთავისუფლდნენ მეფის ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან. ამიერიდან ისინი “ხარკის მიცემითა” აღარ ემორჩილებიან მეფეს. 1462 წლიდან მათი მეფესთან დამოკიდებულება მხოლოდ “ლაშქრობასა” და “ქუეგანწესებაში” გამოიხატება. ამდენად, 1462 წელს ბაგრატის ჩიხორთან გამარჯვება: “ეს იყო არა ღიხთიქეთის ტახტის, არამედ ღიხთიქეთის მთავართა გამარჯვება” [ნ. ბერძენიშვილი, 1937, გვ. 27]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც დადიანს, გურიელს და სხვა ერისთავებს მართებდათ მეფის “ლაშქრობა” და “ქუეგანწესება” ისინი ჯერ კიდევ არ არიან სრულუფლებიანი მთავრები, რადგან ასეთი მთავარი დამოუკიდებელი მფლობელია თავისი საბრძანებლის და მეფის “ლაშქრობისა” და “ქუეგანწესების” ვალდებულება არ აქვს. ასეთი მდგომარეობის მოპოვებამდე დადიანს, გურიელს და სხვა ერისთავებს ერთი ნაბიჯი ჰქონდათ დარჩენილი და ისინი ამიერიდან ამ ნაბიჯის გადადგმასაც ცდილობენ.

ჩიხორის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გიორგი მეფეს ყვარყვარე ათაბაგის დასჯის სურვილი არ ასვენებდა და მალე სამცხეში თავისი ლაშქრით კიდევ ერთხელ გადავიდა. ვინაიდან სამცხის დიდგვაროვანთა ერთი ნაწილი გიორგი მეფეს უჭერდა მხარს, ყვარყვარე ათაბაგი მას ვერ შეეწინააღმდეგა და იმერეთში ბაგრატთან გაიქცა. თუმცა მალე გიორგი მეფეც იძულებული გახდა სამცხე დაეტოვებინა, რადგან უცხოელი მტრის პრობლემამ იჩინა თავი: ”მაშინ მოერთო ამბავი გიორგი მეფესა სამცხეს ყოფასა შინა, ვითარმედ “მოვიდა თავრიჟ გილაქი და თემურ, მოუჭდნენ ქართლს და აოჭრებენ სომხითსაცა”. მსმენელი მეფე უკმოიქცა სამცხიდან და ეწყო მათ ძლიერად: არამედ იძლია მეფე გიორგი მათგან ცოდვათა ჩუენთათვის

და მოსწყდნენ უმრავლესნი სპანი მისნი” [ვახუშტი, 1973, გვ. 286]. ის უცხოელი მტერი ვისთანაც ბრძოლაში ამჯერად დამარცხდა გიორგი მეფე, უნდა ყოფილიყო შავბატკნიანთა მბრძანებელი ჯეჰან-შაჰი, რომელმაც როგორც ივარაუდება ყვარყვარეს მოწვევით ილაშქრა საქართველოში [თ. ბერაძე, მ. სანაძე, 2003, გვ. 220].

ამის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგი სამცხეში დაბრუნდა და გურიელისა და ბაგრატის მხარდაჭერით მკაცრად გაუსწორდა სამცხის იმ დიდგვაროვნებს, რომლებიც მის ერთგულებას არ იჩენდნენ. მათი ერთი ნაწილი დაიმორჩილეს, თუ ფიზიკურად გაანადგურეს, მეორე ნაწილი კი, თავისი მამულიდან გაიქცა: “ვითარცა ზაზა ფანასკერტელი წარვიდა ქართლს წინაშე გიორგი მეფისა და სხუანიცა” [ვახუშტი, 1973, გვ. 705]. ზაზა ფანასკერტელს, კონსტანტინე მეფემ (1479–1505) ქართლში სხვადასხვა მამულები უბოძა. ამ მამულებმა შექმნეს ქართლში ციციშვილთა სათავადო [დ. ბერძენიშვილი, 1960, გვ. 100–102; ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I, 1989, გვ. 108].

ყვარყვარე ათაბაგი, კახაბერ გურიელი და ბაგრატი შეთანხმებულად კი მოქმედებდნენ თავიანთი სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად, თუმცა ყვარყვარეს თავისი ერთ-ერთი მოკავშირის მიმართ მაინც მოუწია გარკვეული დათმობის გაკეთება. იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც ყვარყვარემ სამცხეში გიორგი მეფის მომხრე დიდგვაროვნების წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო, მან კახაბერ გურიელს “მისცა აჭარა და ჭანეთი” [ვახუშტი, 1973, გვ. 704]. როგორც ირკვევა, გვიანი შუა საუკუნეების ქართული წყაროები ლაზეთს ჭანეთის სახელწოდების ქვეშ გულისხმობენ [მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია, 2003, გვ. 36]. ამგვარად, ამ შემთხვევაში გურიელმა სამცხის ათაბაგისგან აჭარა და ლაზეთი მიიღო.

1465 წელს გიორგი მეფე კიდევ ერთხელ მიუბრუნდა სამცხე-საათაბაგოს საკითხს და აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილი

ლაშქრით ყვარყვარე ათაბაგის დასამორჩილებლად გაემართა. საქართველოს მეფე თავისი ლაშქრით ფარავნის ტბასთან დაბანაკდა. გიორგი მეფესთან შინაგამცემები იყვნენ, რომლებმაც მეფის ბანაკში არეულობა ჩამოაგდეს, რითაც ისარგებლა ყვარყვარე ათაბაგმა. იგი გიორგი მეფის ბანაკს თავს დაესხა და მისი ლაშქრის დამარცხების შემდეგ თავად მეფეც დაატყვევა [ვახუშტი, 1973, გვ. 287, 705; ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 39; მცირე ქრონიკები, 1968, გვ. 27, 100].

ერთიანი საქართველოს მეფის დატყვევება მისი ქვეშევრდომის მიერ, უმნიშვნელოვანესი და უპრეცედენტო მოვლენა იყო. როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეები თითქმის ყოველთვის უშუალოდ მონაწილეობდნენ ყველა იმ მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში, რომლის გადატანაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ საქართველოს ლაშქარს უწევდა, მაგრამ საქართველოს მეფე, როგორც წესი, ტყვედ არ ვარდებოდა¹. ეს იმ დროს, როცა ბრძოლაში არაერთი ქართველი მეფის სისხლი დაღვრილა. საქართველოს მეფე ქვეყნის ერთიანობის, ძლიერების, სოციალური სამართლიანობის, კულტურის უმთავრესი ფასეულობების სრულიად ხელშეუხებელი სიმბოლო იყო. ამჯერად ფარავნის ტბასთან ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი VIII-ის დატყვევების ფაქტი, მხოლოდ და მხოლოდ ისედაც არამყარი ქართული სააზროვნო სისტემის და თვითშეგნების დაკნინების საფუძველი თუ იქნებოდა და ეს შემთხვევა ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა.

ფარავნის ტბასთან გიორგი მეფის დატყვევების შემდეგ ჯავახეთი, რომელიც საქართველოს მეფის დომენის შემადგენელი ნაწილი იყო, სამცხე-საათაბაგომ შეიერთა [ე. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 105; დ. ბერძენიშვილი, 1975, გვ. 120].

გიორგი მეფეს თავისი უშუალო ძლიერი გარემოცვა არ ჰყავდა, “ტფილისის ტახტი” მისი დატყვევების შემდეგ პარალიზებული იყო. რითაც ისარგებლა ბაგრატ “პროვინციის მეფემ”, ქართლში გადავიდა და მეფობას შეუდგა. ბაგრატ VI-ის ქართლში გადასვლა პირადი განდიდებისათვის იყო გამიზნული და საქართველოს ერთიანობას არაფერი შემატა, პირიქით კიდევ უფრო შეარყია.

ქართლში გადასულ ბაგრატ VI-ს მორჩილება გამოუცხადა გიორგი VIII-ის ძმის დიმიტრის² ძე დავითმა, მაგრამ ის ბაგრატის ბანაკში დიდხანს არ დარჩენილა. დავითმა მალე კახეთში მფლობელობის მოპოვება მოინდომა. კახეთის თავის გავლენაში მოქცევა ბაგრატსაც სურდა, მაგრამ იქაურმა დიდგვაროვნებმა იგი თავიანთ ხელისუფლად არ ინდომეს, ხოლო დავითმა მოახერხა და შექმნილ სიტუაციაში კახეთის გარკვეულ რეგიონში “პროვინციის მეფე” გახდა [დ. ნინიძე, 1995, გვ. 169].

ამ დროს ძალიან გააქტიურდა დიმიტრის მეორე ძე კონსტანტინე. იგი სწორედ იმ ტერიტორიაზე ფლობდა გარკვეულ მფლობელობას, სადაც მამამისს ჰქონდა ცოტა ხნის წინ ძალაუფლება. კონსტანტინემ თავისი ხელისუფლების გასაგრძობად გიორგი VIII-ის დატყვევების ფაქტი ხელსაყრელად მიიჩნია. თავიდან კონსტანტინეს გარკვეული პრობლემები შეექმნა, თუმცა მალე მან თავისი ხელისუფლების ძლიერების გაზრდა მართლაც მოახერხა. კონსტანტინეს დაპირისპირება ჰქონდა ყვარყვარე ათაბაგთან. გიორგი მეფის დატყვევების შემდეგ ყვარყვარემ კონსტანტინეს წინააღმდეგაც მოინდომა გალაშქრება. კონსტანტინე ყვარყვარეს გაექცა და ჯერ

¹ცნობილია, რომ იყო ისეთი შემთხვევა, როცა საქართველოს მეფე ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ეს სწორედ ის გამონაკლისია, რომელიც ცნობილ ლათინურ სიბრძნეს გვახსენებს, რომ გამონაკლისი წესს კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს.

²გიორგი VIII-ის მეფობის პირველ წლებში დიმიტრი იყო “წყალს იქითის” – გაღმა მხარის (ეს იგივე სათარხნო, საჯავახიანო, საციციანოა) “პროვინციის მეფე” [დ. ნინიძე, 1995, გვ. 135–140].

გორის ციხეს შეაფარა თავი, შემდეგ კი, ქუთაისის ციხეში გადაინაცვლა. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწიეს ჯავახიშვილებმა, რომლებიც კონსტანტინემ შემდეგ გულუხვად დაასაჩუქრა [ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 134–135].

კონსტანტინე იმერეთში დიდხანს არ დარჩენილა. ის ქართლში მალე დაბრუნდა. 1465–1466 წლებიდან დასტურდება, როგორც ბაგრატ VI-ის ისე კონსტანტინეს (რომელსაც გამეფების შემდეგ კონსტანტინე II ეწოდება) მეფობა. ამასთან, ორივეს რეალური ძალაუფლება აქვს. ამჯერად ეს თანამეფობის ხანაა, რომელიც 1468 წლის ჩათვლით გრძელდება. 1466–1468 წლების თანამეფობა 1469 წლიდან ურთიერთქიშპის, ანუ “ორიანობის” პერიოდით იცვლება, რომელიც 1475 წლამდე შენარჩუნდა. 1475–1477 წლები კვლავ თანამეფობის ხანაა, რომელიც უზუნ-ჰასანის 1477 წლის შემოსევამ დაასრულა. ახალმა “ორიანობამ” 1477–1478 წლებში იარსება. “ორიანობა” ერთ-ერთი ფორმაა დინასტიური ბრძოლის და ორი ბაგრატიონი მეფის ურთირთდაპირისპირების აღმნიშვნელი ტერმინია. ამ დროს ერთმანეთს უპირისპირდება, ორი მეფის ტიტულით მოქმედი, რეალური ძალაუფლების მქონე ბატონიშვილი, როცა არცერთი მხარე არ უშვებს ერთ-ერთის პრიორიტეტს, არ ყაბულდება მეორე პოზიციაზე ყოფნას, არც “პროვინციის მეფეთა” სტატუსს და მხოლოდ საქართველოს სამეფო ტახტისათვის იბრძვის. თანამეფობის საშუალებით დაპირისპირება-ქიშპი წყდება და მეფის ტიტულით მოქმედი ბატონიშვილები ტახტის განუყოფლად ახორციელებენ ქვეყნის მართვას, მაგრამ ეს შეთანხმება, ანუ მეფეებს შორის ხელისუფლების განაწილება, კონფლიქტის მხოლოდ დროებითი “მოგვარებაა”, ამიტომ იგი “ორიანობასთან” ერთად ხელს უწყობს სამეფო ტახტის დასუსტებას და სამმართველო აპარატის დაქსაქსვას – ეს კი, ისტორიული პროვინციების განდგომის ტენდენციის გაძლიერებას,

ქვეყნის ორად გაყოფას და საბოლოოდ ერთიანი სამეფოს დაშლის დაჩქარებას იწვევს [დ. ნინიძე, 2004, გვ. 82–88].

ფარავნის ტბასთან გიორგიVIII-ის დატყვევების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ყვარყვარე ათაბაგს დაანახა, რომ გიორგიVIII-ს დიდხანს ტყვეობაში დატოვება მისთვის სასარგებლო არ იყო. გიორგიVIII-ის გათავისუფლების შემთხვევაში იმის შესაძლებლობა, რომ ის “ტფილისის ტახტს” დაეუფლებოდა და საქართველოში ცენტრალიზაციის პროცესის დაწყებას შეუწყობდა ხელს, იმუამად არსებული რეალობის გამო, პრაქტიკულად არ იყო. ამ დროს კი, ბაგრატVI-ს და კონსტანტინეII-ს შეეძლოთ თავიანთი “თანამეფობის” პირობებში ყვარყვარე ათაბაგისთვის გარკვეული პრობლემების შექმნა. ამიტომაც ყვარყვარემ გადაწყვიტა გიორგიVIII-ის გათავისუფლება და მისი გამოყენება საქართველოში სეპარატიზმის პროცესის გაძლიერებისათვის.

1466 წელს ყვარყვარე ათაბაგმა გიორგიVIII ტყვეობიდან გაათავისუფლა. საქართველოს ყოფილი მეფე სამცხელ მეომართა თანხლებით კახეთში გადავიდა, სადაც უკვე მოვლენები მისთვის სასარგებლოდ განვითარდა. “დაუტყვევს ჰერ-კახთა დავით და მიერთუნენ მეფესა გიორგის, და დაიპყრა მეფემან გიორგი ჰერ-კახნი. ხოლო დავით ივლტოდა დედაწულით თვისით დიდოეთს და დიდოთა შეიწყნარეს იგი და პატივ-სცეს კეთილად“ [ვახუშტი, 1973, გვ. 567]. გიორგიVIII კახეთის მეფე გახდა. საქართველოში ახალი პოლიტიკური ერთეული – კახეთის სამეფო გაჩნდა. დავითის „დედაწულით თვისით“ დიდოეთში გადასვლა და ის, რომ მას იქ „პატივ-სცეს კეთილად“ კი, იმაზე მიგვიჩვენებს, რომ დავითმა “პროვინციის მეფობას” მიაღწია სხვა რეგიონში, კერძოდ, დიდოეთში [დ. ნინიძე, 1995, გვ. 169].

ერთგვარ გააკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ, ერთ დროს, ერთი შეხედვით, ერთმანეთზე სამკედრო-სასიცოცხლოდ გადამტყრებული

საქართველოს მეფე და მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომი ახლა მოულოდნელად მოკავშირეებად რომ გადაიქცნენ. ყვარყვარეს მოქმედების გეზი, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია არანაირ სიახლეს არ შეიცავს. მისი სეპარატისტული მისწრაფებები ამ დროს უკვე დიდი ხნის გამოვლენილი იყო და ის ახლაც მიზანმიმართულად მოქმედებდა, რადგან, ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში კიდევ ერთი პოლიტიკური ერთეული გაჩნდებოდა, ათაბაგის სეპარატისტული ძლიერება დამატებით სიმტკიცეს შეიძენდა. რაც შეეხება გიორგიVIII-ს, მან, როგორც ჩანს, სწორედ ახლა წარმოაჩინა მკაფიოდ საკუთარი პიროვნება და ის არ აღმოჩნდა ათაბაგის იდეალებისაგან დაშორებული. გიორგიVIII ტიპიურ სეპარატისტ მმართველად მოგვევლინა. გიორგიVIII-ის სრულიად მიუღებელი პოლიტიკური მრწამსი, ის, რომ მას შეეძლო საქართველოში ახალი პოლიტიკური ერთეულის წარმოშობისათვის შეეწყო ხელი და შემდეგ მის სათავეში აღმოჩენილიყო, ალბათ, მისი საქართველოს მეფის რანგში წარუმატებელი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზეზიც იყო.

XV საუკუნის 60-იანი წლები მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით. ქართული სამეფო-სამთავროების ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე შიდაბრძოლის ხანგრძლივი კამპანია გაჩაღდა. სეპარატისტულად განწყობილმა მმართველებმა საქართველოს მეფის წინააღმდეგ კოალიციის ორგანიზება მოახერხეს, ამავე დროს დაიხმარეს უცხო ძალა, საქართველოს მეფე დაამარცხეს და ის ყველაზე ძლიერმა სეპარატისტმა დაატყვევა კიდევ. საქართველოს მეფე დაამარცხების და დატყვევების შემდეგ სულიერად საბოლოოდ გატყდა და თავად გადაიქცა ერთ ტიპიურ სეპარატისტ მმართველად. ამის შემდეგ

საქართველოში ახალი სახის შიდაპოლიტიკური ურთიერთობები წარმოიშვა. მართალია, ამ ურთიერთობებს ისევ სამეფო-სამთავროთა ურთიერთდაპირისპირება წარმართავს და ამ მხრივ სიახლე არ არის, მაგრამ ახლა ფართო კოალიცია თბილისის წინააღმდეგ საჭირო აღარ არის და დაპირისპირება იმ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით ხდება, რომელიც გარკვეულ მომენტში იქმნება, ამიტომაც დაპირისპირებაში მონაწილეთა შემადგენლობა ცვალებადია. ხოლო ის ინტერესი, რაც განსაზღვრავს ამ დაპირისპირების ხასიათს არის დაპირისპირებაში მონაწილეთა მიერ საკუთარი სამფლობელოსათვის რაღაც სარგებლობისა და მოგების მიღების წადილი, მოწინააღმდეგისათვის ნებისმიერი ზიანის მიყენების საფასურად. ამ პირობებში ქვეყნის დაშლის პროცესი დრმავედება.

თავი მეორე

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის 70_90-იან წლებში

XV საუკუნის 70–90-იანი წლების ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების სურათის აღდგენას წყაროთა სიმწირე და ნაკლოვანება ძლიერ ართულებს. ამ დროის მოვლენების გადმოცემისას “ახალი ქართლის ცხოვრების” პირველი და მესამე ტექსტები ძირითადად თათრების მრავალრიცხოვან შემოსევებზე მოგვითხრობენ და ეს თხრობა ხშირად წინააღმდეგობებით არის აღსავსე, უფრო შინაარსიანია ვახუშტის “აღწერა”, თუმცა უზუსტობები აქაც გვხვდება.

XV საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში პირველობისათვის ბრძოლას აწარმოებს თეთრბატკნიანთა მბრძანებელი უზუნ-ჰასანი, რომელთან ბრძოლაში 1467 წელს დაიდუპა შავბატკნიანთა მბრძანებელი ჯეჰან შაჰი და მისი

სამფლობელო უზუნ-ჰასანის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. უზუნ-ჰასანის მთავარი მოწინააღმდეგე მახლობელ აღმოსავლეთში პირველობისათვის ბრძოლაში ოსმალეთი იყო. უზუნ-ჰასანს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა სურდა, მასში ქართული სამეფო-სამთავროების ჩართვაც ჰქონდა მიზნად დასახული და ამჯერად უკვე უზუნ-ჰასანის და ყვარყვარე ათაბაგის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. ყვარყვარე ათაბაგს არ სურდა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობა. 1472 წელს უზუნ-ჰასანმა სამცხე-საათაბაგოში მარბეველი ლაშქრობა მოაწყო. თუმცა, ამას ყვარყვარე ათაბაგი არ შეუშინებია და ის ამის შემდეგაც არ ავლენდა უზუნ-ჰასანთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს. ამასთანავე, იმ დროს არც ოდიშის ერისთავს სურდა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობა. XV საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ანტიოსმალური კოალიციის მიმართ დადებითი დამოკიდებულება მხოლოდ ქართლ-იმერეთს და კახეთს გააჩნია [ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 80]. ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს აღარ გააჩნიათ ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსი. ეს მათი შიდადაპირისპირების პრობლემის პირდაპირი ასახვაა საგარეო ფრონტზე.

ამ ხანებში ვენეციელი დესპანები იოსაფატ ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი უზუნ-ჰასანის თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში დიპლომატიურ მისიას ასრულებდნენ და 1471–1475 წლებში საქართველოშიც მოუწიათ ყოფნა. ვენეციელმა დესპანებმა დაგვიტოვეს თავიანთი მოგზაურობის აღწერილობები, საიდანაც რამდენიმე ცნობა ჩვენს ყურადღებას იქცევს.

ბაგრატ მეფის სამფლობელოს ვენეციელი დესპანები საქართველოს უწოდებენ, რომლის დასავლეთით ამ დესპანთა გადმოცემით, სხვა პოლიტიკური ერთეულის საზღვრები იწყებოდა,

მისი წინამძღოლი იხსენიება, როგორც “ბედიელი” და ამ “ბედიელის” სამფლობელოს ბაგრატის სამფლობელოსთან საზღვრავს მდინარე ცხენისწყალი, რომლის სახელდებით დამოწმება არ გვხვდება და რომელზეც ნათქვამია, რომ იქ იყო მდინარე, რომელიც ქუთაისიდან ერთი დღის სავალზე მდებარეობდა [იტალიელი მოგზაურები საქართველოში, 1894, გვ. 51]. ამ ცნობის საფუძველზე, ალბათ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამ ხანებში ოდიშის საერისთავოს “ტფილისის ტახტის” მიმართ მტკიცე მორჩილება არ უნდა ჰქონოდა.

აქვე გვინდა შევეხოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებობდა პოლიტიკური ერთეული “საბედიანო”, რომელიც აერთიანებდა გურიას, ოდიშს და აფხაზეთს და რომლის მთავარს “ბედიანი” ეწოდებოდა. წყაროთა ანალიზით, ასეთი პოლიტიკური ერთეულის არსებობა არ დასტურდება და ჩვენი აზრით, თ. ბერაძემ სავსებით სამართლიანად უარყო მოსაზრება “საბედიანოს” არსებობის თაობაზე [თ. ბერაძე, 1967, გვ. 176–178; თ. ბერაძე, 2007, გვ. 138]. მოსაზრებას საბედიანოს არარსებობის თაობაზე იზიარებს ბ. ხორავა [ბ. ხორავა, 1996, გვ. 52].

იტალიელი მოგზაურები გვაწვდიან ცნობას, რომ ბათუმი “ბედიელს” ეკუთვნის [იტალიელი მოგზაურები საქართველოში, 1894, გვ. 45], მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს. აჭარა, და ლაზეთი გურიელს კი, გადასცა ყვარყვარემ ჩიხორის ბრძოლის შემდეგ ახლო ხანებში, თუმცა თავად ბათუმი ისევ ყვარყვარეს გამგებლობაში უნდა იყოს [თ. ბერაძე, 1967, გვ. 176–177; ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 69]. იტალიელ მოგზაურთა ცნობა, რომ ბათუმის მახლობლად, სამხრეთით უკვე ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვარი იწყებოდა [იტალიელი მოგზაურები საქართველოში, 1894, გვ. 58], ასევე არ უნდა შეეფერებოდეს სიმართლეს. ხოლო ის ცნობა, რომ ყვარყვარეს

საბრძანებელი ოსმალეთს ხარკს უხდის [იტალიელი მოგზაურები საქართველოში, 1894, გვ. 58], საკმაოდ მნიშვნელოვანი და რეალური ცნობაა, თუმცა ეს გამოხატავს არა სამცხე-საათაბაგოს შესვლას ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, არამედ იმას, რომ დროდადრო სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ ერთჯერად ხარკს იხდის.

ამბროზიო კონტარინი საქართველოში მძარცველების არსებობაზე საუბრობს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. ბერძენიშვილს. მისი აზრით, იტალიელ მოგზაურს ძარცვად ეჩვენება ქართული ფეოდალური საბაჟო გადასახადები [ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 645]. ეს გადასახადები, მიუხედავად ქართული მიწების არცთუ ისე დიდი მასშტაბურობისა, მრავალგან იქნებოდა დაწესებული ქვეყანაში შექმნილი ახალი პირობების გამო.

მართლაც, არსებული შიდადაპირისპირება და ქაოსი არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ასახულიყო ქვეყნის განვითარების ყოველ მხარეზე. ასეთ დროს აუცილებელი იყო ყველა ქართული სამეფო-სამთავროს წინამძღოლს სამშობლოს კრიზისიდან გამოყვანაზე ეზრუნა, თუმცა კი, პირიქით მოხდა, რადგან სწორედ ამ პერიოდის მოვლენაა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვა.

1470–1474 წლებში შეადგინეს საგანგებო საეკლესიო დოკუმენტი “მცნება სასჯულოდ” [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 221–231], რომელმაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათოლიკოსოს ჩამოაშორა და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთქვეშეთად გადააქცია. ეს განხორციელდა ბაგრატ VI-ის და ოდიშის ერისთავის შამადავლე დადიანის ნებით. მათი დამხმარე ამ საქმეში, იმჟამად საქართველოში ფინანსიურ საშოგარზე მყოფი მორიგი უცხოელი მღვდელმთავარი ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი

მიხეილი იყო.

“მცნება სასჯულოს” ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ დამაჯერებლობა შესძინონ თავიანთ საქმიანობას. მათ იციან, თუ რაოდენ მნიშვნელოვან საკითხს შეეხება თავიანთი ბოროტი ზრახვა. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული თავდაპირველად: “იქმნა გამოძიება მოკითხუაჲ გუჯართა, დავთართა და იადგართა” [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 222]. შემდეგ “მცნება სასჯულოს” ავტორები, თითქოს იმ მასალების შესწავლის საფუძველზე, რომელიც მათ შეუგროვებიათ ანვითარებენ მოსაზრებას, რომ თავდაპირველად ქართლის და აფხაზეთის კათოლიკოსები ანტიოქიის პატრიარქთაგან იკუთხებოდნენ [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 222]. ამ მტკიცებას შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: “პატრიარქმა მიხეილმა ამ მივიწყებული და მნიშვნელობა-მოკლებული ცნობის გამომზევებით თავისი თავი საქართველოს უზენაეს მწყემსმთავრად მოაჩვენა. მან ქართული ეკლესიის მოძღვრობა და უმაღლესი მესაჭეობა იკისრა” [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 338].

“მცნება სასჯულოს” ავტორები საქართველოს საეკლესიო მთლიანობის დარღვევის დასასაბუთებლად ანვითარებენ მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სხვადასხვა განმანათლებლებმა გაავრცელეს, აღმოსავლეთ საქართველო ქრისტიანობაზე წმიდა ნინომ მოაქცია, ხოლო დასავლეთ საქართველო კი, ანდრია მოციქულმა [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 227]. ამგვარად, დასავლეთ საქართველოში “მცნება სასჯულოს” ავტორები ნერგავენ მოსაზრებას, რომ ის ამ თვალსაზრისით განსხვავებულია აღმოსავლეთ საქართველოსგან და შესაბამისად დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათოლიკოსო საყდარს არ უნდა ემორჩილებოდეს. ასეთი

“დასაბუთების” შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ “მცნება სასჯულომ” აფხაზეთის კათოლიკოსი “საყდარსა ზედა” ანდრია მოციქულის დასმულად აღიარა [ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 222].

“მცნება სასჯულო” თავისი “დასაბუთებებით” იმის გარდა, რომ საქართველოს საშინელი სიყალბის ბურუსში ხვევს, მცხეთის საკათოლიკოსო საყდრისგან მოსალოდნელი კონტრღონისძიებებიდან იცავს თავს და ამასთანავე, მის მიმართ იერიშზე თავად გადადის. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: “პატრიარქი გაღმა ედავებოდა, რომ გამოღმა შერჩენოდა” [ნ. ბერძენიშვილი, 1971, გვ. 102].

მცხეთის საკათოლიკოსოსგან გამოყოფილი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსად ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა მიხეილმა აკურთხა ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე (იოვაკიმე). მას “მცნება სასჯულოში” “ღიხთამერისა და აფხაზეთის კათალიკოზი” ეწოდება [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 223].

“მცნება სასჯულომ” “ღიხთამერისა და აფხაზეთის კათალიკოზის” სამწყსოს საზღვრებად განსაზღვრა მთელი მიწა-წყალი „ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღუარი მიაწევს” [ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 224]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს საზღვრები მოიცავს იმერეთს, გურიას, ოდიშს, აფხაზეთს, აჭარას, შავშეთს და კლარჯეთს [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 339]. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსის ეს სამწყსო საზღვრები ყვარყვარე ათაბაგისთვისაც არ უნდა ყოფილიყო მისაღები და მისი სეპარატიზმის გარკვეული მასშტაბით გაძლიერების საფუძველიც შეიძლება გამხდარიყო.

როდესაც საქართველოს ეკლესიის მთლიანობა დაირღვა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობა შეილახა, ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი ბაგრატ VI იმერეთიდან ქართლში უკვე დიდი ხნის გადასული

იყო და ქართლთან ერთად ის დასავლეთ საქართველოს ხელისუფლად ითვლებოდა. ასეთ პირობებში, ლოგიკურად ბაგრატ VI არ უნდა ყოფილიყო მოვლენების ისეთი განვითარების მომხრე, როგორც მაშინ ჰქონდა ადგილი და საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ დაუჭირა ქართული ეკლესიის მთლიანობის დარღვევას და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვას მხარი ბაგრატ VI-მ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულ ინტერესს იწვევდა. ეს საკითხი განმარტა დ. ნინიძის მიერ წარმოჩენილმა ბაგრატ VI-ის და კონსტანტინე II-ის ურთიერთობის რეალურმა სურათმა და კერძოდ, იმან, რომ 1469–1475 წლებში ბაგრატ VI-ს და კონსტანტინე II-ს შორის “ორიანობას” ჰქონდა ადგილი [დ. ნინიძე, 2004, გვ. 82-88]. ამ “ორიანობის” პირობებში, ბაგრატ VI დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სეპარატიზმის მხარდაჭერით თავისი პირადი უზნეო ინტერესებიდან გამომდინარე სავსებით ლოგიკურად მოქმედებდა.

ქართული ეკლესიის მთლიანობის დარღვევის და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვის დროისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო დავით V (1466–1479). დავით V-ის შემდეგ მცხეთის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებულ კათოლიკოს-პატრიარქს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწოდებენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქი იხსენიება, როგორც აფხაზეთის (დასავლეთ-საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი [ე. კაჭარავა, ქ. ნადირაძე, 2000, გვ. 79–133, თ. ქორიძე, 2000, გვ. 134–172]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი მეცნიერი საჭიროდ მიიჩნევს გვიან შუა საუკუნეებში მცხეთის ტახტზე აღსაყდრებულ კათალიკოს-პატრიარქს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწოდოს. ასეთი მიდგომა სხვადასხვა ფაქტორების გამო, შესაძლებელია ჩვენი სიმპათიის გამომწვევი იყოს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის რეალობას არ ასახავს.

ამგვარად, XV საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ზოგიერთი ზნედაცემული ქართველი პოლიტიკური წინამძღოლის და უცხოელი მღვდელმთავარის მეოხებით საქართველოს ეკლესიის მთლიანობა დაირღვა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობა შეილახა, რაც XV საუკუნეში საქართველოს თავს გადამხდარი მორიგი დიდი უბედურება იყო და მისი ერთიანობის მკვიდრი დარღვევის პროცესის გამოვლინებას წარმოადგენდა. შემდეგ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში მისი, რომელიმე უცხოური საპატრიარქოსადმი რეალური მორჩილების მომენტი არ იკვეთება, თუმცა საქართველოს ეკლესიის მთლიანობა საუკუნეების მანძილზე დარღვეული იყო. ოღონდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში და შემდეგაც მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში, ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ყველა ქართველი პოლიტიკოსი არ გვყავს მხედველობაში), ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ეროვნული ცნობიერება (თვითშეგნება) ძირითადად მოწოდების სიმაღლეზე იყო, მკვეთრი დაკნინება არ განუცდია და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სეპარატიზმი უფრო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ წინამძღოლთა ნებით არსებობდა, ვიდრე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა სურვილით.

როგორც ცნობილია, X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული სახელმწიფო და მაშინ ქვეყნის პოლიტიკურ გამთლიანებას წინ უსწრებდა მისი საეკლესიო გაერთიანება. ამჯერად, შეიძლება ითქვას, საეკლესიო განხეთქილება პოლიტიკური დაშლის შემდეგ მოხდა, რადგან XV საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და რეალური ერთიანობა მას არ ჰქონდა.

საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევის საქმეში მონაწილეობას ბაგრატ VI-ის ავტორიტეტზე უარყოფითად უნდა ემოქმედა. ალბათ, ამითაც იყო განპირობებული იმ არეულობის წარმოშობა, რასაც საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევის შემდეგ მალე დასავლეთ საქართველოში ჰქონდა ადგილი. 1475 წელს გარდაიცვალა ოდიშის ერისთავი შამადავლე დადიანი და მისი ადგილი ბაგრატ მეფის ნებით, მისმა ბიძამ ვამეყ II-მ დაიკავა. ვამეყმა ბაგრატ მეფის მორჩილება არ ინება და 1477 წელს იმერეთის რბევას მიჰყო ხელი. ბაგრატ VI თავისი ქვეშევრდომის ურჩობის ამბის შეტყობისთანავე ქართლიდან სასწრაფოდ გაემართა დასავლეთ საქართველოს და მუამბოხე დაამარცხა. ამის შემდეგ ვამეყმა ბაგრატს მორჩილება ფიცით აღუთქვა და ერისთავის პატივში დარჩენა თხოვა. ბაგრატმა ვამეყისგან მორჩილების ფიცი მიიღო და ერისთავის მდგომარეობაშიც დატოვა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 342; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 477–478; ვახუშტი, 1973, გვ. 807; თ. ბერაძე, 1999, გვ. 154; თ. ბერაძე, 2007, გვ. 138].

საქართველოში არსებული გამწვავებული შიდაურთიერთობების ფონზე ჩვენი სამშობლოს მიმართ მავნე საგარეო ფაქტორი ზემოქმედებას განაგრძობდა. 1477 წელს უზუნ-ჰასანმა საქართველოში თავისი მეხუთე და ყველაზე მნიშვნელოვანი ლაშქრობა განახორციელა. უზუნ-ჰასანის განკარგულებაში ამ ლაშქრობისას 35-40 ათასი კაცი იყო. საქართველო ძლიერი მტრის თავდასხმას სათანადო წინააღმდეგობით ვერ შეხვდა. სულ ცოტა ხნის წინ ქართველი მეფე-მთავრები ოსმალების წინააღმდეგ 70 ათასი მეომრის გამოყვანას აპირებდნენ, ქართველებს ამჯერად, რომ ასეთი ძალა უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ გამოეყვანათ, მის დასამარცხებლად სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო. თუმცა უზუნ-ჰასანის ამ ლაშქრობას ორგანიზებული

წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ შეხვედრია.

ქართული წყაროების ცნობები უზუნ-ჰასანის მეხუთე ლაშქრობის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა მაინც შეიძლება მათში სინამდვილის გარკვეული ანარეკლის დანახვა.

საქართველოში შემოსულ უზუნ-ჰასანის ლაშქარს ორბეთთან წარმატებით შეებრძოლა თავისი ძალებით კონსტანტინეII, მას აქტიურად უჭერდნენ მხარს ბარათაშვილები. თუმცა კონსტანტინემ მალე უზუნ-ჰასანთან შეთანხმების მიღწევაზე აიღო ორიენტაცია და თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მასთან საერთო ენა გამონახა: “განზრახვითა წარჩინებულთათა მივიდა კონსტანტინე ბარათიანითურთ და მისცა ციხე ტფილისისა. ხოლო ყვენმა პატივ-სცა დიდად და მიანიჭა ბოძნი დიდ-დიდნი” [ვახუშტი, 1973, გვ. 385]. ბაგრატმა როცა იხილა შექმნილი მდგომარეობა, წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებლად სცნო და რაჭას წავიდა. უზუნ-ჰასანმა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი მუხრანი აირჩია, იქ დაბანაკდა და ქართლის რბევას შეუდგა. ვახუშტი ზოგადად აღნიშნავს, რომ უზუნ-ჰასანმა დაარბია ქართლი და ამასთანავე ცალკე გამოყოფს, რომ მაშინ დარბეული იქნა ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თიანეთი [ვახუშტი, 1973, გვ. 85, 568]. ეს ტერიტორიები (ხერკი, საგურამო და მარტყოფი) “ტფილისის ტახტს” კახეთის სამეფოსთან ცილობის საგნად ჰქონდა ქცეული და შესაძლებელია კონსტანტინეII-ს რჩევითაც მოქმედებდა უზუნ-ჰასანი, როდესაც იქ რბევას აწყობდა. კონსტანტინეII-ს ამ ტერიტორიებზე დიდხანს ეჭირა თვალი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. XVI საუკუნის დასაწყისისათვის ჩანს, რომ ხერკი, საგურამო და მარტყოფი კახეთის მეფის სამფლობელოებია [ჯ. გვასალია, თ. თოდრია, 1971, გვ. 33].

უზუნ-ჰასანი ქართლის აოხრების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში შეიჭრა და იქ სასტიკი რბევა მოაწყო [ახალი ქართლის ცხოვრება,

მესამე ტექსტი, 1959, გვ. 478].

ამის შემდეგ უზუნ-ჰასანმა ბაგრატ მეფესთან და ყვარყვარე ათაბაგთან შეთანხმებას მიაღწია, მათგან ერთჯერადი კონტრიბუციის სახით 16 ათასი დუკატი მიიღო, ლორე მისი მიდამოებით და თბილისი თავის განკარგულებაში დაიტოვა, თან მრავალი ტყვე იახლა და საქართველო დატოვა [ბ. ლომინაძე, 1979, გვ. 743].

საქართველოდან წასვლის შემდეგ უზუნ-ჰასანი მალე, 1478 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა. რასაც უკვე მისი მოკავშირე ვენეციის ოსმალებთან დაზავება მოყვა. 1479 წელს ვენეციის რესპუბლიკამ კონსტანტინოპოლში ოსმალებთან დასდო საზავო ხელშეკრულება, სადაც თავი დამარცხებულად გამოაცხადა. ეს იყო დასავლეთისა და საერთოდ, ანტიოსმალური ძალების კიდევ ერთი მარცხი [დ. ნინიძე, 1998, გვ. 69].

1478 წელს რაჭას მეოფე ბაგრატ VI გარდაიცვალა. ის საკმაოდ დიდხანს აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან თავისი მოღვაწეობა იმერეთის ერისთავობით დაიწყო და ერთიანი საქართველოს მეფობით დაასრულა (მართალია, ბაგრატის საქართველოს მეფედ ყოფნის დროს საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბაგრატს მაინც შეიძლება საქართველოს მეფე ეწოდოს), და უნდა აღინიშნოს, რომ ერთთავად თავისი მოქმედებით ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთდაპირისპირების და ქვეყნის დაშლად-დაქუცმაცების ხელშემწყობის როლში გამოდიოდა. საქართველოს მეფის ტახტზე ბაგრატის, კონსტანტინე მეორესთან თანხმობის, თუ დაპირისპირების პირობებში, მოღვაწეობით შექმნილი მემკვიდრეობა, ქვეყნის გაერთიანებას და გაძლიერებას შეუძლებელს ხდიდა. რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იმის, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად დაშლილი ქვეყანა ფორმალურადაც რომ

დაიშალა.

ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფის ტახტის დაკავებისათვის გარკვეულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევაში კონსტანტინე II-მ სხვაზე მეტი მოხერხება გამოიჩინა და “ტფილისის ტახტი” ერთპიროვნულად დაიკავა.

ალექსანდრე ბაგრატის ძემ, რაც მამის გარდაცვალების შემდეგ “ტფილისის ტახტი” ვერ დაიკავა, იმერეთში გადავიდა და იქ დაეუფლა ხელისუფლებას. ალექსანდრეს მეფედ კურთხევაც სურდა: “ამისთვის მოუწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს. არამედ დადიანმა არღარა ინება მოსლვა. ეგრეთვე გურიელმან და სხუათა” [ვახუშტი, 1973, გვ. 807–808].

კონსტანტინე II-ს ქართლში “ორიანობის” დროინდელ მოვლენებთან უწევს იმუამად დაპირისპირება. მან 1479 წელს “აღიღო გორი და ყოველნი სხუანი ციხენი, გამოასხნა იმერნი და შეაყენნა მცველნი თვისნი” [ვახუშტი, 1973, გვ. 385–386]. ეს “იმერნი” აღმოსავლეთ საქართველოში ასრულებდნენ მეციხოვნეთა მოვალეობას და ალბათ, ბაგრატ VI-ის მიერ იყვნენ გადაყვანილი იქ.

ამის შემდეგ კონსტანტინე II დასავლეთ საქართველოს მიუბრუნდა, “გამოიყვანნა კავკას-მთიულნი მეფემან და განზრახვითა დადიანისათა და შთავიდა იმერეთს” [ვახუშტი, 1973, გვ. 386]. ამ ძალას ალექსანდრე ველარ დაუპირისპირდა და გაცლა ამჯობინა, “ხოლო კონსტანტინე მეფემან დაიპყრა იმერეთი, მოერთო დადიანიცა და მისცეს ციხე ქუთათისისა, რამეთუ არა კეთილ იყო ბაგრატის გამო დადიანი ალექსანდრესი, ვინადოგან დაამდაბლა ბაგრატ დადიანი” [ვახუშტი, 1973, გვ. 808].

ამრიგად, ბაგრატზე განაწყენებული ვამეყ დადიანი კონსტანტინე II-ს, ალექსანდრეს წინააღმდეგ დაპირისპირებაში მხარში ამოუდგა, რაც ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური

ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტია. XV საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ამ დროს პირველად მოხდა, რომ საქართველოს მეფეს, მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომის წინააღმდეგ დაპირისპირებაში მეორე ქვეშევრდომი დაემოკავშირა. აქამდე მოკავშირეობა ერთთავად საქართველოს მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ, ამ შემთხვევაში შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, არსებითად, რაიმე სახის თვისებრივ სიახლესთან არ გვაქვს საქმე, რადგან, ამ ახალი მოკავშირეობის საფუძველი ისევ ძლიერი ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლაა, ისეთი ცენტრის, რომელმაც შეიძლება სეპარატისტულად განწყობილი მმართველის ინტერესებს რაღაც ზიანი მიაყენოს. აქ იგივე პრინციპი მოქმედებს, რომელი პრინციპითაც შეკავშირებული მმართველები გიორგი VIII-ის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახლა ისეთი ძალა, რომელიც დასავლელ ქართველი მმართველის თვითნებობას და სეპარატიზმს შეზღუდავს მხოლოდ იმერეთშია. თბილისის და ქართლის ფაქტორი უკვე ძალიან შორსაა. დასავლელ ქართველმა მმართველმა იცის, რომ თბილისის სურვილი საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზაციისა რეალურად განხორციელების თვალსაზრისით, ძალიან შორეული პერსპექტივის საგანია და, ფაქტობრივად ამ ეტაპზე მისი განხორციელება გამორიცხულია, ამიტომ ის მისთვის ხილულ ცენტრს ებრძვის, რომელიც შეიძლება მის სეპარატისტულ მიდრეკილებებს რეალურად წინ აღუდგეს. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, თბილისის როლს დასავლელ ქართველი ერისთავისთვის ქუთაისი ასრულებს. ამის გამო ხდება, რომ დადიანი ამ შემთხვევაში კონსტანტინეს მხარს უჭერს, რის გამოც ალექსანდრეს გარკვეული ხნით არ ეძლევა საშუალება რომ იმერეთში მეფობა მიიღოს.

ამასობაში, ვიდრე ალექსანდრე ბაგრატიძის ძეს იმერეთში მორიგი გამეფების მცდელობა ექნებოდა, 1482 წელს ვამეყ II გარდაიცვალა და მისმა ძმისშვილმა, შამადავლემ დადიანის ძემ ლიპარიტ II-მ დაიკავა ოდიშის ერისთავის ადგილი. 1483 წელს კი, გურიაში შეიკვალა ერისთავი. გარდაცვლილი კახაბერის ადგილი მისმა ძემ გიორგიმ დაიჭირა. იმავე 1483 წელს კონსტანტინე II არაღეთის ბრძოლაში დაამარცხა ყვარყვარე II ათაბაგმა. ალექსანდრე ბაგრატიძის ძემ შექმნილი მდგომარეობა თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნია, რაჭა-ლეჩხუმის მხარდაჭერით ქუთაისი დაიკავა და იმერეთში გამეფდა [ვახუშტი, 1973, გვ. 808; ქრონიკები, II, 1897, გვ. 303, 311].

ამ დროს ალექსანდრეს მთავარი დამხმარე რაჭა-არგვეთი იყო. მას ამ რეგიონში 1478–1484 წლებში “პროვინციის მეფის” მდგომარეობაც აქვს მოპოვებული. რაჭაში ალექსანდრეს მამას ბაგრატსაც ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა და სავარაუდოდ, იქ ალექსანდრეს საუფლისწულოს მაგვარი სამფლობელო ექნებოდა, სადაც მისი “გაზრდილ-შეზრდილები” ცხოვრობდნენ [დ. ნინიძე, 1995, გვ. 176].

კონსტანტინე II-ს მრავალი საზრუნავი აწუხებდა და ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ერთხანს ვერ მოიცავდა იმერეთისთვის. ხოლო, როცა 1487 წელს ის ჩავიდა იმერეთში, მის დასახმარებლად ლიპარიტ დადიანიც წამოვიდა ოდიშიდან. ალექსანდრე ბაგრატიძის ძემ კი, ისევ აარიდა თავი კონსტანტინე II-სა და მის დამხმარე ძაღასთან დაპირისპირებას და ქუთაისი დატოვა. ალექსანდრე ბაგრატიძის ძე საკმაოდ შორსმჭვრეტელურად იქცეოდა, როცა კონსტანტინესთან და ოდიშის ერისთავთან საომარ მოქმედებებს ერიდებოდა. როგორც ჩანს, იგი კარგად იყო გათვინობიერებული მისი დროის პოლიტიკურ რეალობაში და თავის მომენტს ელოდებოდა, რომელიც აუცილებლად უნდა დამდგარიყო და სულ მალე დადგა კიდევ.

კონსტანტინე II ქუთაისში იყო და არ ჩქარობდა თბილისში

დაბრუნებას. მას იმერეთში თავისი ხელისუფლების განმტკიცება და ალექსანდრე ბაგრატიის ძის სეპარატიზმის სრულად აღკვეთა ჰქონდა მიზნად დასახული, როდესაც უცხოელი მტრის თავის სამფლობელოში შემოჭრის თაობაზე მიიღო ცნობა: „ქუთათისს მყოფსა მოერთუა მეფესა კონსტანტინეს მოსლვა სპასპეტის ასანბეგისა ყენისაგან და მოდგომა ტფილისისა მისგან სპითა“ [ვახუშტი, 1973, გვ. 808]. აქ საუბარია იაყუბ-ყაენის მეორე შემოსევაზე საქართველოში, რომელიც 1487 წელს განხორციელდა, პირველ შემოსევას კი, 1483 წელს ჰქონდა ადგილი.

კონსტანტინე მეფემ როცა შეიტყო იაყუბ ყაენის შემოსევის შესახებ, დასავლეთ საქართველო დატოვა და მტერთან საბრძოლველად გაემართა. „ხოლო ალექსანდრე ეზრახა იმერთა და დადიანსა, ჩამოვიდა და დაიპყრა იმერეთი კუალად, აღიღო ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი, ვინათგან კონსტანტინე მეფე უცალო იყო. მერმე დაეზავა დადიან-გურიელსა. ამით დაიმშჳდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა. გარნა არა ეგოდენად, ვითარცა ენება“ [ვახუშტი, 1973, გვ. 809].

ოდიშის ერისთავს კონსტანტინე მეორესთან დროებითი ტაქტიკური კავშირი რომ ჰქონდა, ეს უკვე ამჯერად მკაფიოდ გამოვლინდა. ასეთი დასკვნის საშუალებას ის იძლევა, რომ, თუ დადიანი მიზანმიმართულად უჭერდა მხარს კონსტანტინე მეფეს, ის სწორედ გასაჭირის დროს უნდა ყოფილიყო მეფის გვერდით და მასთან ერთად ბოლომდე ებრძოლა სამშობლოს ინტერესებისათვის. მაგრამ დადიანი ასე არ მოქცეულა, მან ჩათვალა, რომ კონსტანტინე მეფე მისი სეპარატისტული მიზნების მთავარი მოწინააღმდეგის ალექსანდრე ბაგრატიის ძის წინააღმდეგ მის დამხმარედ არ გამოდგებოდა და ტაქტიკური მოსაზრებით ალექსანდრე ბაგრატიის ძეს დაემორჩილა, თუმცა, არსებითად ეს მორჩილებაც მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. ამჯერად დადიანს და სხვა დასავლელ ქართველ მმართველებს

იმერეთის მეფესთან დამოუკიდებელი დაპირისპირება არ შეეძლოთ, შემდეგ კი, როცა მათ ამის შესაძლებლობა ეძლევათ ისინი დიდი მონღოლებით ებრძვიან იმერეთის მეფეს და უკვე ძალიან საშიში უცხო ძალის მხარდაჭერასაც არ თაკილობენ.

დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი წინააღმდეგობების პარარელურად კონსტანტინე მეფეს სამცხის ათაბაგის სეპარატიზმთან უწევდა დაპირისპირება. პირველ რიგში, კონსტანტინე მეფის სამცხე-საათაბაგოსთან ურთიერთობაში ჩვენს ყურადღებას იქცევს არადეთის ბრძოლა. საინტერესოა ქართულ წყაროთა დამოკიდებულება არადეთის ბრძოლის მიმართ, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ არც „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში და არც ვახუშტის „აღწერაში“ კონსტანტინე მეფე არადეთთან მომხდარ ბრძოლაში მონაწილედ არ იხსენიება, ხოლო „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში თითქმის არ ჩანს ყვარყვარე ათაბაგის მონაწილეობა ამ ბრძოლაში და ეს იმ დროს, როცა ყველა კინკლოსი გარკვევით აღნიშნავს, რომ არადეთთან კონსტანტინე მეფე და ყვარყვარე შეიბნენ [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 359, 361, 363]. ისე კი, 1483 წლის მითითებით აღნიშნავს ვახუშტი, რომ ბრძოლა შედგა კონსტანტინე მეფესა და ყვარყვარეს შორის, ოღონდ არ აღნიშნავს, რომ ეს ბრძოლა არადეთს მოხდა [ვახუშტი, 1973, გვ. 386, 707]. ეს ყვარყვარე ვახუშტის მიხედვით, სამცხის ცნობილი ათაბაგი ყვარყვარე II არ არის, რომელიც ვახუშტის 1466 წელს გარდაცვლილად მიაჩნია. ვახუშტის აზრით, ამ დროს ათაბაგი მანუჩარია და მისი ნათესავია (ბიძის ძის ძე) ის ყვარყვარე, რომელიც 1483 წელს კონსტანტინე II-ს ებრძვის. ამასთან ვახუშტი იქ, სადაც XV საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს აღწერს, არადეთის გორაზე მომხდარი ბრძოლის შესახებ საუბრობს [ვახუშტი, 1973, გვ. 709]. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის ცნობები არადეთის ბრძოლის შესახებ წინააღმდეგობრივია, მაინც

შეიძლება მის თხზულებაში ამ ბრძოლის მიმართ სიმართლის მარცვლის პოვნა. ასევე წინააღმდეგობრივია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია არადეთის ბრძოლის შესახებ თხრობა, რომელიც „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ და მესამე ტექსტებში გვხვდება.

არადეთის ბრძოლის მიმართ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მისი თარიღი 1483 წელია და ეს ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის შედგა. ამ საკითხთა მიმართ ქართული ისტორიოგრაფია თანხმობას ავლენს. რაც შეეხება ბრძოლის მიზეზს, ჩვენ გვინდა დავუშვათ ვარაუდი, რომ შესაძლებელია არადეთის ბრძოლის მიზეზი იმ სადავო ტერიტორიებს უკავშირდებოდეს, რომელიც კონსტანტინეII-ს ჯერ კიდევ XV საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან უნდა ჰქონოდა სამცხის სამთავროსთან და რის შესახებ ცნობები მოიპოვება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში. მართალია, ვახუშტის ამ ცნობების სანდოობას ერთგვარად ჩრდილს აყენებს ის, რომ ამ პერიოდის სამცხის სამთავროს ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი ვახუშტის მართებულად არ აქვს მოაზრებული (ვახუშტის მთავარი შეცდომა ამ შემთხვევაში ის არის, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ყვარყვარეII 1466 წელს გარდაცვლილად მიაჩნია და მისი აზრით, 1466–1475 წლებში სამცხის ათაბაგია ბაადური და 1475–1487 წლებში მანუჩარი [ვახუშტი, 1973, გვ. 705–708]), თუმცა ამის გამო მისი ერთიანად უარყოფა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1469 წელს კონსტანტინეII-ისა და ბაგრატVI-ის ურთიერთობაში „ორიანობა“ იწყება. ვახუშტის მიხედვით, კონსტანტინემ მაშინ მეფედ კურთხევა მოინდომა და მან მეფედ კურთხევის ცერემონიაზე დასასწრებად სხვებთან ერთად სამცხიდანაც მოიწვია წარმომადგენლები. ამ დროს კონსტანტინესთან სამცხის ათაბაგი არ გამოცხადდა, სამცხის ეპისკოპოსებს კი, წასვლა ვეღარ დაუშალა, რადგან ისინი საქართველოს კათოლიკოსის კურთხევის ქვეშ

იყვნენ და მისი სასჯელის ეშინოდათ. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეპისკოპოსებთან ერთად კონსტანტინესთან წავიდნენ „ვიეთნიმე მესხნიცა მტკურის აღმოსავლეთისანი“ [ვახუშტი, 1973, გვ. 706]. ძირითადად სწორედ ამ არეალში – სამცხისა და ქართლის მოსაზღვრე მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე გარკვეული ტერიტორიებისათვის უნდა ჰქონოდა კონსტანტინეს ხანგრძლივი დაპირისპირება სამცხე-საათაბაგოსთან და სწორედ ამ დროიდან ვახუშტის მიხედვით, კონსტანტინე „არ უტკეებდა“ კახეთს „პყრობად ხერკს, საგურამოს, მარტყოფს და იმერთა ღიხის მთის კერძოთა, და ათაბაგსა მტკურის აღმოსავლეთსა“ [ვახუშტი, 1973, გვ. 383].

ამის შემდეგ 1477 წელს, როცა საქართველოში უზუნ-ჰასანი ღაშქრობს, შექმნილი არეულობით სარგებლობს ვახუშტის მიხედვით, სამცხის ათაბაგი და მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე სადავო ტერიტორიებს იკავებს [ვახუშტი, 1973, გვ. 706–707].

უზუნ-ჰასანის საქართველოდან წასვლის შემდეგ 1477–1478 წლებში კონსტანტინე II და სამცხის მმართველი სახლის წარმომადგენელი ყვარყვარე II-ის ძე მზეჭაბუკი თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში ერთად იმყოფებოდნენ და შემდეგ საქართველოშიც ერთად დაბრუნდნენ [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 479; დ. გვრიტიშვილი, 1965, გვ. 162–163]. რაც, თუ კონსტანტინესა და სამცხის წინამძღოლთა ხანგრძლივი დაპირისპირების ვარაუდს დავუშვებთ, ერთი შეხედვით, გასაკვირად გამოიყურება, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს დროებითი ტაქტიკური კავშირი იყო და როდესაც კონსტანტინემ „ტფილისის ტახტზე“ თავისი პოზიციები განიმტკიცა, იგი ადვილად დაირღვა. იმ დროს ასეთი სახის დროებითი ტაქტიკური კავშირები ადვილად ყალიბდებოდა და შემდეგ ასევე ადვილად ირღვეოდა ხოლმე.

შემდეგ უკვე კონსტანტინემ „ტფილისის ტახტი“ ერთპიროვნულად

დაიკავა, მრავალი სხვადასხვა საზრუნავი აწუხებდა და სამცხე-საათაბაგოსათვის ერთხანს ვერ მოიცალა, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს მიუბრუნდა. 1481 წელს, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს კონსტანტინემ დასავლეთ საქართველოდან გამეყ დადიანი ჩამოიყვანა თავისი ჯარით, ასევე იმერეთიდან მეომრები დაიხმარა და თავის სამფლობელოში თავს დაესხა ათაბაგს, რომელიც მეფეს წინ ველარ აღუდგა და „კონსტანტინემ მიუხუნა კუალად მტკურის აღმოსავლეთისანი სრულიად და უკუნიქცა ქართლსავე“ [ვახუშტი, 1973, გვ. 707].

1481 წელს კონსტანტინეს სამცხეში განხორციელებული ლაშქრობის თაობაზე ვახუშტი თავისი თხზულების სხვა ნაწილშიც საუბრობს და აღნიშნავს რომ სამცხის მესვეურთ “მიუხუნა მეფემან სამცხე არსიანს აქათი” [ვახუშტი, 1973, გვ. 386]. ვახუშტი ამ შემთხვევაში კონსტანტინეს მიერ საკუთრივ სამცხის და ჯავახეთის დაკავებას გულისხმობს [თ. ბერაძე, 2007, გვ. 138].

1482 წელს გამეყ დადიანი გარდაიცვალა და დასავლეთ საქართველოში ისევ დაწყო არეულობა. ამის მხილველმა ათაბაგმა კიდევ ერთხელ დაიკავა მტკურის აღმოსავლეთით მდებარე სადავო ტერიტორიები. ვახუშტის მიხედვით, კონსტანტინემ ამის საპასუხოდ 1483 წელს სამცხეს ლაშქრობა მოაწყო და იქ ის დამარცხდა [ვახუშტი, 1973, გვ. 386, 707]. აქამდე ვახუშტის ცნობებს ვენდობოდით და მისი მიხედვით ვცდილობდით კონსტანტინესა და სამცხის ურთიერთობის სურათის აღდგენას, თუმცა, ამ შემთხვევაში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტის ცნობა, იმის შესახებ, რომ 1483 წელს კონსტანტინემ სამცხეში ლაშქრობა მოაწყო და იქ ის დამარცხდა სიმართლეს არ შეესაბამება. 1483 წელს, რასაკვირველია ბრძოლა შედგა კონსტანტინესა და სამცხის წინამძღოლთა შორის, მაგრამ, ის სამცხეში არ ყოფილა. ჩვენი აზრით, სამცხის ათაბაგი იმას არ

დაელოდა, თუ როდის მოაწყობდა კონსტანტინე სამცხეზე ლაშქრობას, რათა იქ სადავო ტერიტორიებზე თავისი ძალაუფლება კიდევ ერთხელ გაეგრძელებინა, ქართლის ტერიტორიაზე თავად გადავიდა ლაშქრით და ახლა უკვე შეიძლება „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი დავიმოწმოთ, სადაც არის მოცემული იმ ლაშქრობის აღწერილობა, რომლის მოწყობის საშუალება ყვარყვარეII-ს კონსტანტინეს საბრძანებელში ჰქონდა და ამასთანავე, ყვარყვარეII მაშინ კახეთსაც ეწვია. ყვარყვარემ „გარდმოვლო ფარავანი და ჩამოვლო დმანისი, უმასპინძლეს ორბელიანთა და წარვიდა, ჩამოვლო ხუნანი, განვიდა მტკუარსა და მივიდა არეშს... და შემოვლო კახეთი, და შემოიარა ყარაიაზედა, შევლო მცხეთაზედა და მივიდა შიდა ქართლსა“ [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 346]. არადეთი შიდა ქართლში მდინარე ფრონეს მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს იმ გზაზე, რომელიც ქართლიდან, გორიდან რუისით და სალოლაშენ-არადეთ-მოხის-ვაყით ბორჯომის ხეობაში მიდის [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 360–361].

ყვარყვარეII-ის ლაშქრობის მარშრუტი ჯაყელების ციციშვილების მიმართ არსებული ძველი შუღლის გავლენითაც იყო აგებული, რადგანაც ციციშვილების მამულზე შევიდა გრძელი რეიდის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგი. მას თუ მხოლოდ სამცხეში დაბრუნება უნდოდა, უფრო მოკლე იმ გზით წავიდოდა, რომლითაც იქ მივიდა [ს. ხოსიტაშვილი, 1972, გვ. 167–168].

არადეთის ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის 1483 წელს აგვისტოს თვეში შედგა. ამ ბრძოლის კონკრეტულ თარიღად „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი ასახელებს 1483 წლის 13 აგვისტოს [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 481], “პარიზის ქრონიკა” 1483 წლის 16 აგვისტოს [ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 39], „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი

ტექსტი 1484 წლის 12 აგვისტოს [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 347]. არადეთის ბრძოლაში კონსტანტინე მეფე დამარცხდა. იქ „ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლის მსგავსი არა სადა სმენილ არს, და მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი მეფისანი“ [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 481].

ამრიგად, 1483 წელს აგვისტოს თვეში მომხდარი არადეთის ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის სადავო ტერიტორიების საფუძველზე აღმოცენებულ დაპირისპირებას შეიძლება უკავშირდებოდეს. ამ დაპირისპირებას არადეთის ბრძოლის დროისათვის თითქმის თხუთმეტწლოვანი ისტორია უნდა ჰქონოდა და საბოლოოდ ის, ისევე როგორც საქართველოში არსებული ყველა სადავო საკითხი, რომელშიც მონაწილეობდა ყვარყვარე II, მის სასარგებლოდ აღმოჩნდა გადაჭრილი. ამასთანავე, არადეთის ბრძოლის შემდეგ სამცხე-საათაბაგომ „ტფილისის ტახტიდან“, შეიძლება ითქვას, რომ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობაც მოიპოვა.

1487 წელს, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში თეორბატკნიანთა მბრძანებელმა იაყუბ-ყაენმა ლაშქრობა მოაწყო. გართულებული შიდაურთიერთობების ფონზე მარტო დარჩენილმა კონსტანტინე მეფემ მტრის შემოტევის მოგერიება ვერ შეძლო. თბილისი, რომელიც უზუნ-ჰასანის გარდაცვალების (1478) შემდეგ ქართველებმა თეორბატკნიანებისაგან მალე დაიბრუნეს, ამჯერად ისევ თეორბატკნიანებმა დაიკავეს. თუმცა მტერმა ვერც ახლა შეძლო თბილისის დიდხანს შენარჩუნება, კონსტანტინემ თბილისი მალე გაათავისუფლა [თ. ბერაძე, მ. სანაძე, 2003, გვ. 222]. ეს იყო კონსტანტინე II-ის საქართველოს მეფის რანგში მოღვაწეობის ფარგლებში გამოვლენილი უკანასკნელი წარმატება, თუმცა უკანასკნელთან ერთად ამ წარმატებას შეიძლება პირველიც ეწოდოს,

რადგან აქამდე კონსტანტინეს მოღვაწეობას ერთთავად წარუმატებლობანი სდევდა თან.

ამასობაში ალექსანდრე ბაგრატიის ძე იმერეთში აქტიურობდა და თავის პოზიციებს აძლიერებდა. თუმცა, ვიდრე იგი სრულად დაეუფლებოდა იმერეთში ხელისუფლებას, XV საუკუნის 90-იან წლებამდე იქ დასტურდება კონსტანტინე II-ის ძის დავითის (მომავალი ქართლის მეფე დავით X) „პროვინციის მეფობა“ [დ. ნინიძე, 1995, გვ. 172, 195]. ეს არის უკანასკნელი გამოვლინება მოვლენისა, რომელიც XIV–XV საუკუნეებში დასტურდება, როცა „ტფილისის ტახტი“ ქვეყნის მთლიანობის ერთ-ერთი ბურჯის დასავლეთ საქართველოს („ლიხთიქითის“) ერთიან სამეფოში შენარჩუნებისა და შემომტკიცების მიზნით, მის ცენტრში – ქუთაისსა და „ქუთათისის ქვეყანაში“ („სამოქალაქო“) სპეციალური სტატუსის მქონე ბატონიშვილებს დედაქალაქიდან აგზავნის ხოლმე. ეს ხდება წინასწარ შემუშავებული ზოგად-ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესაბამისად, როგორც ხდებოდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში, როცა ქუთაისის სამეფო კარი IX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, შიდა ქართლში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლად-განმგებლად, ერისთავად, თუ მეფის ნაცვლად (“ქართლის უფალი“) სწორედ ტახტის მემკვიდრე უფლისწულებს ნიშნავდა [გ. გაბუნია, 1996, გვ. 57].

იმ რთულმა სიტუაციამ, რომელიც XV საუკუნის ბოლოს საქართველოში შეიქმნა, ამ მოვლენას თავისი მნიშვნელობა დაუკარგა და ახლა „ტფილისის ტახტი“ სპეციალური სტატუსის მქონე ბატონიშვილების ქუთაისსა და „ქუთათისის ქვეყანაში“ გაგზავნით ვერანაირ შემომტკიცებას ვერ ანხორციელებს.

კონსტანტინე მეფეს 1478 წლიდან „ტფილისის ტახტის“

ერთპიროვნულად დაკავების დროიდან მუდმივად სხვადასხვა ბრძოლაში უწევდა მონაწილეობა. ქვეყნის დაშლის მიმდინარე პროცესის ფონზე, ქართული სამეფო-სამთავროების გართულებული შიდაპოლიტიკური ურთიერთობებით გამოწვეულ პრობლემებს, საგარეო მტრის აქტიურობა ემატებოდა. კონსტანტინე მეფეს მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან გამკლავება ძალიან უჭირდა და როგორც ჩანს, მან შექმნილ მდგომარეობასთან შეგუება გადაწყვიტა.

კონსტანტინე II-მ 1490 წელს დარბაზის სხდომა მოიწვია. „შემოიკრიბნა კათალიკოზი¹, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თუსნი და განიზრახვიდა, თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათუს ქუეყანათა და ვითარ მოაგონ კუალად მეფობასავე თუსსა“ [ვახუშტი, 1973, გვ. 390]. მეფემ დარბაზის სხდომის მონაწილეთაგან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი რამ მოისმინა: „ვინაფთგან მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თუსთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთუს არა განგიზრახავთ ბრძოლასა; რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კუალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“ [ვახუშტი, 1973, გვ. 390]. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ის რაც უკვე ფაქტიურად მომხდარი იყო, დარბაზმა იურიდიულად გააფორმა, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა დაადასტურა“ [დ. გვრიტიშვილი, 1975, გვ. 145–146]. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ, შეიძლება ითქვას, დარბაზმა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარების მთავარი ხაზისათვის დამახასიათებელი ძირითადი მომენტი შესანაშნავად გამოხატა, როცა მიუთითა, რომ ქვეყნის გაერთიანების მოწინააღმდეგენი შესაძლოა, საქართველოს მეფის და „ტფილისის

¹იმუამად აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო ევაგრე. მისი კათოლიკოს-პატრიარქობა თარიღდება დაახლ. 1488–1492; 1500/1503 წ.წ. [ე. კაჭარავა, 2000, გვ. 79–81].

ტახტის“ გააქტიურების დროს გაერთიანდნენ და ასეთ ძაღას საქართველოს მეფე და „ტფილისის ტახტი“ ვერ დაძლეეს. ამ შემთხვევაში დარბაზი უახლოესი წარსულის გათვალისწინებით მსჯელობდა და მუდმივი დამარცხებების გამო შექმნილ რეალობას ურიგდებოდა. რაც შეეხება დარბაზის განცხადებას, იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ლოდინის ტაქტიკით მოქმედება, რეალურად, ამ ტაქტიკას ეფექტი ძნელად თუ ექნებოდა, რადგან დროის გასვლასთან ერთად მავნე საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა იზრდებოდა, რა დროსაც ქვეყნის დაშლის პროცესი ღრმავდებოდა და „ტფილისის ტახტისათვის“ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების რეალიზება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა.

დარბაზის სხდომის შემდეგ მალე ქართველმა მეფეებმა და სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას და თავიანთ სამფლობელოებს შორის საზღვრები დააწესეს [ვახუშტი, 1973, გვ. 390; ბ. ლომინაძე, 1979, გვ. 750].

ალექსანდრე II-ის იმერეთში გამეფებით, დარბაზის გადაწყვეტილებით, ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის დადებული ზავით და საზღვრების დაკანონებით, საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის საფუძველი მთლიანად გამოეცადა. მართალია, ამ დრომდეც იყვნენ „ტფილისის ტახტს“ კახეთის სამეფო და სამცხის სამთავრო ჩამოცილებული, თუმცა ისტორიული ქართლი და იმერეთი ასე თუ ისე ერთიანობას ინარჩუნებდნენ, და თუ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მთელს ისტორიულ თავგადასავალს, საერთო-ქართული ცივილიზაციისა და ეროვნული ცნობიერების წარმოშობა-განვითარების მთლიან პროცესს ჭეშმარიტი ისტორიზმის უნივერსალური პრინციპების თვალთახედვიდან ერთს მთლიანობაში, თუნდაც რეტროსპექტულად გავიაზრებთ და შევაფასებთ, აშკარად „ადმოვაჩენთ“ „საერთო-ქართული ისტორიის“ შემდეგ უზოგადეს

კანონზომიერებას, რომ „შიდა ქართლის“ და „შიდა ეგრისის“ (ისტორიული ქართლის და იმერეთის) ერთი, რომელიმე ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანება, თუ ამ სახელმწიფოს შემადგენლობიდან ამათგან, რომელიმე ერთ-ერთის განდგომა გამოხატავს უპირველესად საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანებას თუ დაშლას [ვ. გაბუნია, 1996, გვ. 109–110]. ამჯერად „ტფილისის ტახტიდან“ იმერეთის და მთელი დასავლეთ საქართველოს განდგომით, საქართველოს ერთიანობის გამომხატველი ისტორიული ბირთვი დანაწევრდა, რაც უკვე შეიძლება ითქვას, ერთიანი ქართული სახელმწიფოს მკვიდრი დაშლის მაუწყებელი იყო.

ამრიგად, 1490 წლიდან ერთიანი ქართული სახელმწიფო აღარ არსებობს. ამ დროიდან მანამდე არსებულმა ქართულმა სამეფო-სამთავროებმა ერთგვარი აღიარება მიიღეს და ამასთანავე, მაშინ საქართველოში გაჩნდა ახალი პოლიტიკური ერთეული ქართლის სამეფოს სახით. მაგრამ, ჩვენ არ გვინდა ის აზრი განვაფიქროთ, რომ ქართლის სამეფო ტიპიურ განკერძოებისაკენ მიდრეკილ ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად იქცა და მისი წინამძღოლები მხოლოდ პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის იბრძოდნენ, როგორი აქტივობითაც უმეტესად (მაგრამ, არა ყოველთვის) დაკავებული იყვნენ სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლები. ქართლის სამეფო სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მთავარი მემკვიდრე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოსი. ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში (და პრაქტიკულად შემდეგაც) არცერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართლის სამეფო უცხო ძალის ნებით, რომელიმე ქართული სამეფო-სამთავროს წინააღმდეგ სამხედრო ძალით გამოსულიყო, პირიქით კი, არაერთხელ მოხდა. ამავე დროს, სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისგან განსხვავებით, ქართლის სამეფოს არცერთი უცხო

ძალისთვის ბოლომდე ქედი არ მოუხრია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართლის სამეფოს მუდმივად ჰქონდა საქართველოს გაერთიანების საკვებით სამართლიანი პრეტენზია. ეს მომენტი განსაკუთრებით გამოვლინდა ქართლის მეფეების ლუარსაბI-ის (1527–1556) და სიმონI-ის (1556–1569, 1578–1600) მოღვაწეობაში. თუმცა, არსებული სასტიკი რეალობის გამო ქვეყნის გამაერთიანებელი ბრძოლის გაგრძობა და ბოლომდე წარმატებით მიყვანა მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

ალექსანდრე ბაგრატიის ძე, როგორც აღვნიშნეთ, როდესაც იმერეთში გამეფებისათვის იბრძოდა აქტიურად სარგებლობდა რაჭა-არგვეთის დახმარებით და შემდეგ უკვე იქაური თავადები, ბუნებრივია, რომ ალექსანდრეს კეთილგანწყობით სარგებლობდნენ. ამიტომაც იყო, რომ როცა მათ სვანეთის ერთი ნაწილის მცხოვრებლებთან კონფლიქტი მოუხდათ, იმერთა მეფემ მათი მხარე დაიჭირა. ამ კონფლიქტის შესახებ ჩვენამდე ერთი საყურადღებო საბუთია მოღწეული, რომელიც თარიღდება 1503 წლით და ეწოდება „წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე“ [სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 1986, გვ. 112–116].

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ეს კონფლიქტი XV საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და დაახლოებით შვიდი წელი გაგრძელდა. ეს საბუთი კონფლიქტის დასრულების შემდეგ მალე უნდა იყოს შედგენილი და გვატყობინებს, რომ „სრულიად ეცერს აქეთ, რაც სუანეთი არის“ (ბაღს ზემო სვანეთი) შვიდი წლის განმავლობაში ბარს იყო მოწყვეტილი. სვანეთის ამ ნაწილს რაჭა-არგვეთის თავადებმა სარგის ჯაფარიძის მეთაურობით შეუკრეს გზა, რის გამოც ბარსმოწყვეტილი სვანები სასტიკ გაჭირვებაში ჩავარდნილან [სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 1986, გვ. 113]. ამ ვითარებაში ბარსმოწყვეტილ სვანებს მცდელობა ჰქონდათ ეკონომიკური კავშირი დაემყარებინათ

საქართველოს სხვა მხარეებთან. ისინი სავაჭროდ ლეჩხუმს ჩამოსულან, ერთ ნაწილს კახეთს სურდა თურმე “საჯამაგიროდ” წასვლა, მაგრამ ეს განაზრახი საბოლოოდ მათი რბევა-აწიოკებით დასრულებულა. ამის შემდეგ ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეული სვანები ეცერის დადემქელიანებთან და რუჩეგვიანებთან მივიდნენ და ოდიშის ერისთავთან შუამავლობა თხოვეს, რათა მას ალექსანდრე იმერთა მეფესთან შუამდგომლობა გაეწია კონფლიქტის დასასრულებლად. დადიანი მართლაც ჩაერთო ამ საქმეში. იმერთა მეფესთან ჭყონდიდელი გაგზავნა და საქმის გადაწყვეტაში დახმარება თხოვა. ალექსანდრე მეფემ ამის საპასუხოდ ასეთი რამ განაცხადა: “მეფეთა მეფესა პატრონსა ალექსანდრეს, თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო. თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო, სუანთ გზას მივცემო, და ჯაფარიძეთაც ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძეს საქმეს არ გარდავწყუეტო” [სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 1986, გვ. 113–114].

საბოლოოდ ჩვენი წინაპრების მიერ გამოყენებულმა სახალხო დიპლომატიამ დადებითი შედეგი გამოიღო და კონფლიქტი შეთანხმებით დასრულდა. ბლოკადაში მოქცეული სვანები გეგუთს ჩამოვიდნენ, იქ დადიანიც მივიდა და მოილაპარაკეს, რომ სვანებს ჯაფარიძეთა სისხლში უნდა მიეცათ: “გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ სრულად მთიულეთის თემი”. ამასთანავე, სვანებს გადასახადების გადახდაც დაეკისრათ, სამაგიეროდ სვანებისთვის გზა უნდა გახსნილიყო და ჯაფარიძეებსაც ემართათ სვანების სისხლი და მიიღეს კიდევ მათგან სვანებმა: “ლაშხეთის სოფელი და ციხე, ხერიას ცხრა კუამლი კაცი” [სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 1986, გვ.114]. ლაშხეთის ბაღს ზემო სვანეთზე გადაცემა ერთობ მნიშვნელოვანი ცნობაა. ლაშხეთი ქვემო სვანეთის უკიდურეს თემს წარმოადგენს და სოფელი ხერია ამ თემში შედის, რადგან ბაღს ზემო სვანეთი სისხლში ამ სოფელს იღებს ჯაფარიძეებიდან, რომლებიც ამ

შემთხვევაში სამეფო ხელისუფლების სახელით გამოდიან, ცხადია, რომ ქვემო სვანეთი უკვე ცალკეა გამოყოფილი და უშუალოდ იმერეთის სამეფოში შედის, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ გადასახადის თავის ნებით დამდებთა შორის ქვემო სვანეთის არც ერთი თემი არ გვხვდება [თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, 1971, გვ. 41–42].

ამრიგად, სამეფო-სამთავროების გართულებული შიდაურთიერთობების ფონზე ახლა უკვე თავად ერთი პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში ხდება სერიოზული დაპირისპირება. ის, რომ ოდიშის ერისთავმა გარკვეულწილად იმერეთის მეფესთან და მის მომხრე თავადებთან დაპირისპირებული სვანების მხარე დაიჭირა არ იყო შემთხვევითი. ის შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა, რათა თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე რაღაც დოზით იმერეთის მეფის წინააღმდეგ არ ემოქმედა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ობიექტურად იმუამად ოდიშის ერისთავის მოქმედება სამშობლოს ინტერესებს პასუხობდა, რადგან ამ კონფლიქტში სიმართლე იმერეთის მეფის და მისი მომხრეების მხარეს არ ყოფილა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ დაასრულა ის ერთიანი საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელსაც ასე თუ ისე ამ დრომდე ატარებდნენ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები. სხვადასხვა სამეფო-სამთავროს მხრიდან სხვადასხვაგვარი საგარეო-პოლიტიკური კურსის წარმოების მცდელობა ჩნდება. კახეთის სამეფო XV საუკუნის ბოლოს მოსკოვის სახელმწიფოსთან ცდილობს კავშირის დამყარებას, ხოლო ქართლის სამეფო დასავლეთ ევროპაში ეძებს თავის მოკავშირეს.

1483 და 1491 წლებში კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476–1511) ორი ელჩობა გააგზავნა რუსეთს. ამ დიპლომატიურ მისიებს ძირითადად გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და სხვა სახის რაიმე გაგრძელება არ მოჰყოლია.

XV საუკუნის ბოლოს კახეთის წინამძღოლთა მხრიდან გამოვლენილი მცდელობა, რომ მოსკოვის სახელმწიფოსთან დაამყარონ კავშირი ისტორიკოსთა (და არამარტო ისტორიკოსთა) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. არაერთი ისტორიკოსი XV საუკუნის ბოლოს კახეთიდან მოსკოვში ელჩების გაგზავნაში ამ ქართული პოლიტიკური ერთეულის წინამძღოლთა მხრიდან პრორუსული ორიენტაციის გამოვლინებას ხედავს და ამ ორიენტაციას ამართლებს კიდევ. საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის საქართველოში ბატონობის პირობებში სხვაგვარი პოზიციის საჯაროდ გამოთქმა შეუძლებელი იყო, თუმცა ასეთი პოზიცია ჩვენი თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მოღვაწე ისტორიკოსთა შორისაც გვხვდება.

ჩვენი აზრით, ცოტა რთულია XV საუკუნის ბოლოს მოღვაწე კახეთის სამეფოს პოლიტიკურ მესვეურებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოსკოვში ელჩობები გაგზავნეს, ცალსახად პრორუსული ორიენტაციის მქონენი ვუწოდოთ, და თუ XV საუკუნის ბოლოს კახეთში ან საქართველოს სხვა რომელიმე ნაწილში პრორუსული ორიენტაცია ნამდვილად არსებობდა ის გამართლებას არ იმსახურებს. რეალურად, მოსკოვის სახელმწიფო, რომელსაც ამ დროს პერმანენტული დაპყრობა-გაფართოების პროცესი უკვე დაწყებული ჰქონდა, ისეთივე და შეიძლება უარესი მიზნების ყოფილიყო საქართველოს მიმართ, როგორ მიზნებსაც ჩვენს მიმართ სამხრეთელი მეზობლები ისახავდნენ, და თუ რუსები სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო, შეიძლებოდა ჩვენი კეთილგანწყობის გამომწვევი ყოფილიყვნენ, ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ისინი მაინც დამპყრობლები და მოყვრულად მოსული მტრები იყვნენ და როგორც ჩვენი დიდი წინაპარი იტყოდა: ”მოყვარე-მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია”.

კახეთის მეფის შემდეგ თავისი ძალები საგარეო ფრონტზე ქართლის მეფემაც მოსინჯა. კონსტანტინე II-მ ჯერ 1493–1494 წლებში

ეგვიპტეში გაგზავნა უშედეგოდ ელჩობა ოსმალთა საწინააღმდეგოდ დახმარების მიღების განზრახვით, შემდეგ კი, 1495 წელს ესპანეთის დედოფალს წერილით მიმართა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა, ამასთანავე, ქართლის მეფეს მაშინ რომის პაპის კეთილგანწყობის მოპოვებაც სურდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეII-მ ესპანეთის დედოფალს თავი სრულიად საქართველოს მეფედ მოაჩვენა, რაც მის წერილში მითითებულ ტიტულატურაში გამოსჭვივის: ”ღვთისა ჩვენისა ქრისტეს ერთგული თვითმპყრობელი მეფე კონსტანტინე პანკრატოვანი, მეფე სრულიად ივერთა ქვეყნისა, ჯიქთა და მეგრელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა და ტურბანთა” [ი. ცინცაძე, 1966, გვ. 71]. ესპანეთში იცოდნენ, რომ კონსტანტინეII სრულიად საქართველოს მფლობელი არ იყო და არ უწოდებდნენ სრულიად საქართველოს მეფეს, არამედ: “ქართველთა საუკეთესო უღირსეულეს იმპერატორს”, ე. ი. ქართველთა შორის უკეთეს და უფრო ღირსეულ მეფეს [ე. ხინთიბიძე, 1986, გვ. 149]. მნიშვნელოვანია, რომ იმ ბრძოლაში, რომლის გამართვაც ოსმალების წინააღმდეგ ივარაუდებოდა, კონსტანტინე მეფეს თავისი შვილის გარდა არცერთი სხვა მეფე-მთავართაგანი მოკავშირედ, ან ლაშქრობის მოსალოდნელ მონაწილედ მაინც არ დაუსახელებია [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 382]. კონსტანტინეII-ს მცდელობას, რომ დასავლეთ ევროპაში ეპოვნა მოკავშირე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

ამრიგად, XV საუკუნის ბოლოს ქართული სამეფო-სამთავროები ვერ ახერხებენ შორეული და აქტიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას და შესაბამისად იძულებული არიან ერთმანეთთან ურთიერთობებით შემოიფარგლონ, რა დროსაც მათი პოლიტიკური აქტივობა საერთო-ქართული ინტერესების ადეკვატურად არ ვლინდება, ამ ურთიერთობებში ძირითადად ურთიერთშუღლი

ფიგურირებს.

XV საუკუნის ბოლოს კახეთში კონფლიქტია ალექსანდრე კახთა მეფესა და მის ძმას ვახტანგს შორის. არადეთის ბრძოლის (1483) შემდეგ ახლო ხანებში, ვახტანგი ქართლის გარკვეულ რეგიონში, კერძოდ, არაგვის ხეობაში გახდა “პროვინციის მეფე”. თუმცა ეს “მეფობა” მცირე ხანს გაგრძელდა და ამჯერად მას კახეთში სურს “პროვინციის მეფის” მდგომარეობის მოპოვება რის გამოც აქვს ალექსანდრე კახთა მეფესთან კონფლიქტი. ამის შესახებ ცნობები მხოლოდ “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტში მოიპოვება, სადაც ეს კონფლიქტი 1495–1500 წლებით არის დათარიღებული და შეცდომით კახეთის იმჟამინდელ მეფედ ვახტანგია მიჩნეული: “კახეთის მეფესა ვახტანგსა და ძმასა მისსა ბატონს ალექსანდრეს ჩხუბი ჩამოუგდეს კახთა და შეამდურეს. და იყო შფოთი მათ შუა, იყო დიდხან შური მათ შუა და ვერ შეიწყვნეს.

მერმე მეფე კოსტანტინე და კათალიკოზი დოროთეოს¹ შუა ჩამოუვიდნენ, და შეიწყვნეს მეფე კახეთისა ვახტანგ და ძმა მათი ბატონი ალექსანდრე“ [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 486].

ვახტანგმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, კახეთში ხელისუფლება ვერ მოიპოვა და შემდეგ საბოლოოდ მისი პაპის ყვარყვარეII-ის სამფლობელოში მესხეთში უნდა წასულიყო [დ. ნინიძე, 1995, გვ. 161].

ამ შემთხვევაში, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართლის მეფის და აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-

¹უნდა აღინიშნოს, რომ 1495–1500 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დოროთეოსი არ იყო. ამ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები იყვნენ აბრაამII აბალაკი (1492–1497 წწ.) და ეფრემI (1497–1503 წწ.) დოროთეოსის სახელის მქონე (დოროთეოსII) საეკლესიო მოღვაწე აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1503–1505; 1511–1516 წლებში [ე. კაჭარავა, 2000, გვ. 81–83].

პატრიარქის მისია, რომლებმაც “ტფილისის ტახტიდან” განდგომილ სამეფოში საკმაოდ სერიოზული კონფლიქტის მოგვარება შეძლეს. ჩვენი აზრით, ამ საქმეში იმდენად მნიშვნელოვანი კონსტანტინე II-ის წვლილი არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის.

გიორგი VIII-მ კახეთში დამკვიდრების შემდეგ თავის ახლადშექმნილ სამეფოში საეკლესიო წყობილება ნაწილობრივ შეცვალა. მან ალავერდის მონასტრის წინამძღვარს მთავარეპისკოპოსის ტიტული მიანიჭა და ის კახეთის სამეფოს ეკლესიის მეთაურად აქცია. ამით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხელისუფლება კახეთის სამეფოში ნაწილობრივ შეიზღუდა. ამის შემდეგ ალავერდის მთავარეპისკოპოსს კახეთის მეფე ნიშნავდა და მცხეთაში მყოფი კათოლიკოს-პატრიარქი ამტკიცებდა [თ. ბერაძე, მ. სანაძე, 2003, გვ. 233].

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის ნაწილობრივ შეზღუდული ხელისუფლების ფონზე არსებულ ავტორიტეტსაც უნდა ემოქმედა კახეთის სამეფოში და კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდა. შემდეგ კახეთის მეფეები “ტფილისის ტახტის” მპყრობელ ხელისუფალთა მიმართ მორჩილების სურვილს არ ავლენდნენ, თუმცა მათ მცხეთის საპატრიარქო ტახტის მიმართ გარკვეული რიდი და პატივისცემა ჰქონდათ (ოღონდ, ეს ყოველთვის არ მუდგანდებოდა და გარკვეულ გამონაკლისებს ამ მხრივაც ჰქონდა ადგილი), რასაც მცხეთისადმი განხორციელებული თავიანთი შეწირულობებითაც ხშირად აჩვენებდნენ.

ამგვარად, 1490 წელს სამეფო დარბაზის სხდომამ ერთიანი ქართული სახლმწიფოს დაშლა იურიდიულად გააფორმა, რითაც საქართველოში რამდენიმე სამეფო-სამთავროს არსებობა ოფიციალურად დადასტურდა. ეს სამეფო-სამთავროები შორეული და

აქტიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას ვერ ახერხებენ და იძულებული არიან ერთმანეთთან ურთიერთობებით შემოიფარგლონ. ამ ურთიერთობებში ძირითადად ურთიერთშუღლი ფიგურირებს, რა დროსაც ქვეყნის დაშლის პროცესი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და შეუქცევად ხასიათს იღებს. ასეთ პირობებში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მზარდი საფრთხის შემცველი საგარეო ფაქტორი.

თავი მესამე

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველ მეოთხედში

XVI საუკუნის დამდეგს საქართველო მძიმე მდგომარეობაში იყო. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი სამეფო-სამთავროები ერთმანეთს ექიშპებოდნენ, რაც არსებულ დაშლის პროცესს კიდევ უფრო აღრმავებდა. რთული იყო ჩვენი სამშობლოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც. ირანისა და თურქეთის ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხესთან ქართულ სამეფო-სამთავროებს XV საუკუნის მეორე ნახევარშიც ჰქონდათ შეხება, მაგრამ მაშინ ირანის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებს და ოსმალეთის სახელმწიფოს საქართველოს სრული დაპყრობა არ უცდიათ, ამ დროიდან კი, ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებიდან ჩვენი სამშობლოს სრული დაპყრობის საფრთხე მოდის.

ამ დროისათვის დინასტიური ბრძოლის, თუ “ბატონიშვილობის” საკითხის ისტორიაში, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის და სხვა ფაქტორების გავლენით სათანადო ცვლილებები მოხდა – მისი ძველი ფორმები გაქრა და ახალი წარმოიშვა; “პროვინციის მეფეთა” ინსტიტუტი აღარ მოქმედებს. XVI საუკუნიდან ტერიტორიულად მცირე, პატარა ქართულ სამეფოებში ასეთ “კნინ მეფეთა” მფლობელობისათვის აუცილებელი პირობები უკვე აღარ არსებობს. “ბატონიშვილობის” საკითხის ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი, როცა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებში ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლები იბრძვიან უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად [დ. ნინიძე, 1998ა, გვ. 7–8]. ასეთ პირობებში ბაგრატიონთა არაერთი განშტოება გაჩნდა და ჩამოყალიბდა მათი გათავადებული შტოები. იმ ვითარებაში, როცა სათავადოების არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, ზოგიერთმა განშტოებამ ბაგრატიონთა გვარი ვეღარ შეინარჩუნა და გაჩნდა მუხრანბატონების, დავითიშვილების, რამაზიშვილების, გონაშვილების საგვარეულოები. დ. ნინიძე გვთავაზობს ბაგრატიონთა სახლის ზოგიერთი გათავადებული განშტოების წარმოშობის პროცესის აღმნიშვნელ ტერმინად “გაგვარება” გამოვიყენოთ [დ. ნინიძე, 1998ბ, გვ. 22]. “გაგვარებული” ბაგრატიონების გავლენა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე მნიშვნელოვანია, თუმცა “პროვინციის მეფეების” გავლენასთან შედარებით მცირეა.

XVI საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროები ჩართული აღმოჩნდნენ ირანის ტერიტორიაზე მიმდინარე დაპირისპირებაში. ამ დროს შიდაბრძოლებით დასუსტებული ალყონღუს სახელმწიფო ორად იყო გაყოფილი უზუნ-ჰასანის შვილიშვილებს ალვენდსა და მურადს შორის, რომლებთანაც

დაპირისპირება ჰქონდა არდებილის შეის სეფიან ისმაილს.

აღვენდთან და მურადთან გადამწყვეტი ბრძოლების წინ, სეფიანებმა 1500 წელს სამცხე-საათაბაგოში ლაშქრობა მოაწყვეს და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 19]. იმავე წელს სეფიანებმა შირვანი აიღეს. ისმაილი სწორედ შირვანში იმყოფებოდა, როცა მასთან კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა თავისი შვილი დიმიტრი გაგზავნა დიდი ძღვენით. ისმაილმა დიმიტრი პატივით მიიღო და შემდეგ უკან დააბრუნა “ნიჭითა და ზავითა მშვიდობისათა” [ვახუშტი, 1973, გვ. 569]. კახეთის სამეფომ ამ ნაბიჯით თავიდანვე გამოკვეთა თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი, რომელიც მისთვის დამახასიათებელი იყო მთელი XVI საუკუნის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკა ძირითადად უცხო დამპყრობლის მიმართ ქედის მოხრასა და მორჩილების გამოცხადებაში გამოიხატებოდა.

ამასობაში აღვენდთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ ისმაილმა ქართლისა და კახეთის მეფეებს და სამცხის ათაბაგს მიმართა დახმარების წინადადებით [XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, 1981, გვ. 37]. ქართლისა და კახეთის მეფეებმა და სამცხის ათაბაგმა ისმაილს 3-3 ათასი მხედარი გაუგზავნეს – სულ 9 ათასი რჩეული მეომარი. ისმაილს თავად 7 ათასიანი ჯარი ჰყავდა. ამრიგად, ისმაილის მთავარი ძალა ქართველი ცხენოსნები გახდნენ. 1501 წელს შარურთან მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში აღვენდ აღ-ყონღუს სამხედრო ძალები ისმაილის ლაშქარმა გაანადგურა. ისმაილი ზეიმით შევიდა თავრიზში და თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. შარურთან მომხდარ ბრძოლაში ქართველებს თავი გამოუჩენიათ. 1503 წელს ისმაილმა უკვე მურად აღ-ყონღუც დაამარცხა. აღ-ყონღუს სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, არსებითად მისი ადგილი სეფიანების სახელმწიფომ დაიკავა [О. Эфендиев, 1961, გვ. 90, ვ. გუჩუა,

1973, გვ. 91].

ქართველები ისმაილს გარკვეული მოსაზრებით დაეხმარნენ, რაზეც, ჩვენი აზრით, მართებულად ამახვილებს ყურადღებას გ. საითიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ აღ-ყოინლუს სახელმწიფოს ქართლის, კახეთის და სამცხე-საათაბაგოს მესვეურები ხარკს უხდიდნენ და ისმაილი ქართველებს დახმარების სანაცვლოდ ამ ხარკისაგან განთავისუფლებას დაპირდა, მაგრამ ყიზილბაშების ბელადმა თავისი დაპირება არ შეასრულა და შემდეგ თანმიმდევრულად ატარებდა ქართული პოლიტიკური ერთეულების დაპყრობა-დამორჩილების პოლიტიკას [გ. საითიძე, 1998, გვ. 95-96].

სეფიანების ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძალთა წონასწორობას წარმოშობდა ახლო აღმოსავლეთში, რაშიც თავიანთი წვლილი ისმაილის მხარდამჭერმა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლებმაც შეიტანეს, რომლებიც ერთობლივი ძალებით ამოუდგნენ ისმაილს მხარში, თუმცა ისინი თავად საქართველოში ერთმანეთში საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებენ.

1500–1515 წლებში სამცხის ათაბაგი მზეჭაბუკ ყვარყვარეII-ის ძე იყო. მზეჭაბუკს სამცხის პირველ პირად თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ქართლის მეფესთან დაძაბული ურთიერთობა არ ჰქონია. “ესე მზეჭაბუკ დაეზავა მეფესა კონსტანტინეს და პატივს სცემდა და უსმენდა” [ვახუშტი, 1973, გვ. 710–711]. თუმცა მზეჭაბუკი იმუამად თავისი წინამორბედის ნაცად გზას ბოლომდე არ უხვევდა და გარეშე მტერთან კავშირში თავის თანამოძმეებს მაინც ექიშპებოდა. იმხანად გურიის ერისთავს ოსმალებთან გარკვეული დაპირისპირება ჰქონდა, რითაც ისარგებლა მზეჭაბუკმა, ოსმალებთან დაამყარა კავშირი და გურიის საერისთავოს შემადგენლობაში მყოფი აჭარა და ლაზეთი სამცხე-საათაბაგოს შეუერთა [ვახუშტი, 1973, გვ. 711].

რაც შეეხება მზეჭაბუკის დამოკიდებულებას მცხეთის

საკათოლიკოსო საყდრის მიმართ, იგი თავდაპირველად სამცხის საეკლესიო განკერძოების მომხრე არ ყოფილა, მაგრამ შემდეგ მისი პოზიცია ამ საკითხის მიმართ შეიცვალა. მზეჭაბუკმა მესხეთის ეკლესიის ქართული დედა-ეკლესიიდან ჩამოშორება განიზრახა. მზეჭაბუკის პოლიტიკის ცვლილების მიზეზის ახსნა დიდ ინტერესს იწვევს, „რა გარემოებამ და მიზეზმა გამოიწვია ასეთი ძლიერი ცვლილება ჯერჯერობით საკმაო სიცხადით ვერ ირკვევა“, – აღნიშნავდა ამ საკითხის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 386–387].

ჩვენი აზრით, მზეჭაბუკის პოლიტიკის ცვლილების მიზეზის ასახსნელად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყვარყვარე II ათაბაგი XV საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ცდილობდა სამცხის საეკლესიო სეპარატიზმის იდეის ცხოვრებაში გატარებას, სამცხე ჯერ კიდევ არ იყო „ტფილისის ტახტიდან“ გამოყოფილი. ამ დროს ყვარყვარე II-ის საეკლესიო სეპარატიზმის იდეა მცხეთის, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობის და მთლიანობის სიმბოლოს და მისი მესაჭის კათოლიკოს-პატრიარქის დიდი ავტორიტეტის წყალობით დამარცხდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ XV საუკუნის 50-იან წლებში საეკლესიო სეპარატიზმის იდეა სამცხე-საათაბაგოში სრულად აღმოიფხვრა. ამის შემდეგ, დროთა განმავლობაში სამცხე-საათაბაგოს სეპარატისტული ძლიერება, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და XV საუკუნის 80-იან წლებში სამცხის სამთავრომ „ტფილისის ტახტიდან“ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობაც მოიპოვა, ამიტომ გასაკვირი არ იქნებოდა, თუ სამცხის მმართველ წრეებში საეკლესიო სეპარატიზმის იდეა ისევ აქტუალური გახდებოდა. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა, რატომ მაინდამაინც მზეჭაბუკ ათაბაგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, როდესაც მას ქართლის სამეფოსთან ნორმალური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, დაუბრუნდა საეკლესიო

სეპარატიზმის იდეას და ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმასაც შეუდგა. აქ საქმე იმაში უნდა იყოს, რომ ამ დროს სამცხეს ეწვია ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი. ეს პატრიარქი საშოვარზე იყო, ფინანსიურ სარგებელს ეძებდა, რაც მზეჭაბუკ ათაბაგიდან შეეძლო მიეღო და საკუთარი ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად ის თავის მხრიდანაც არ მოერიდებოდა გზააბნეულ ქართველ მთავარზე მავნე ზემოქმედების მოხდენას. მზეჭაბუკ ათაბაგსაც განსაკუთრებული წაქეზება არ სჭირდებოდა და ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში ისევ გაჩნდა საეკლესიო სეპარატიზმის პრობლემა.

განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი საკითხი უნდა იქცევდეს ყურადღებას. როგორც აღვნიშნეთ, XVI საუკუნის დასაწყისში ქართლი და სამცხე, კახეთთან ერთად სეფიანი ისმაილის მხარდამჭერებად გამოდიოდნენ ირანში მიმდინარე დაპირისპირებაში. ამ დროს ისმაილისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის, კახეთის და სამცხის ერთობლივ დახმარებას და მის ინტერესებში შედიოდა, რომ ამ პოლიტიკურ ერთეულებს ერთმანეთში ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდათ. ასეთი ურთიერთობა ქართლსა და სამცხეს შორის მართლაც ჩამოყალიბდა. თუმცა, სულ მალე ისმაილი ძალიან ძლიერ ხელისუფლად შეიქმნა და ქართლის, კახეთის და სამცხის მიმართ ადრე არსებული მოკავშირეობითი ინტერესები მისთვის უკვე მისაღები არ იყო. ყიზილბაშ მმართველს ამ პოლიტიკური ერთეულების დაპყრობა სურდა. ასეთ ვითარებაში ისმაილის ინტერესებში უნდა ყოფილიყო, რომ ქართლი, სამცხე და კახეთი ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ და ურთიერთმოკავშირეობა არ ჰქონოდათ, და ის ყოველნაირად შეუწყობდა ხელს ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთობების დაძაბვას. ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე ქართლის და სამცხის ურთიერთობის

გაუარესების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად, შეიძლება ქართლის, კახეთის და სამცხის მიმართ ისმაილის პოლიტიკის ცვლილების ზეგავლენაც ვივარაუდოთ.

დღორთეოს პატრიარქმა მზეჭაბუკ ათაბაგის სურვილით სამცხის საეკლესიო სეპარატიზმის იდეის პრაქტიკულად განსახორციელებლად საგანგებო დოკუმენტი შეადგინა (“წიგნი ანტიოქიის პატრიარქის დღორთეოსისა მაწყუერელისათვის ეპისკოპოსის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ“ (XVI ს. დასაწყისი) [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 240–241]), სადაც სამცხის ათაბაგს ახლებული წოდებულება აქვს მინიჭებული და ის „დიდისა პატრონის“ და „დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჳელმწიფისა პატრონისა-დ“ იწოდება¹ [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 240].

იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქის მიხედვისა და მისი ქართველი თანამზრახველების მსგავსად მზეჭაბუკ ათაბაგი და დღორთეოს პატრიარქიც ცდილობენ თავიანთი ბოროტი ზრახვისათვის თეორიული საფუძვლების შექმნას და ქართლის მეფის და აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ იდეოლოგიურ შეტევაზე გადადიან. მზეჭაბუკს და დღორთეოსს ქართლის მეფე და აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი „უსჯულო“ გამოყავთ, ხოლო თავად მზეჭაბუკი ვითომ დიდი ღვთისმომშიში და მართლმადიდებელია [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 241].

მზეჭაბუკ ათაბაგმა და დღორთეოს პატრიარქმა სამცხეში აწყურის საეპისკოპოსო საყდრის „განმთავრება“ ცნეს საჭიროდ,

¹ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა თანადროულ საბუთში სამცხის ათაბაგს “მეფისა” და “ხელმწიფის” წოდებულება აქვს მიკუთვნებული. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტის არაბულ ვარიანტში მზეჭაბუკი არც “მეფედ” და არც “ხელმწიფედ” არ იხსენიება და ეს ეპითეტები მხოლოდ ქართულ თარგმანში გვხვდება {სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 96}.

რომლის მორჩილი უნდა ყოფილიყო სამცხის ყველა საეპისკოპოსო და ასეთი ფორმით არსებულ სამცხის ეკლესიას თვითმწყობის უფლება უნდა მიეღო. „განმთავრებული“ საყდრის სათავეში ჯაყელთა კარზე გაზრდილი ტრაპიზონელი ბერძენის სიმონ მაწყვერლის დადგენა იყო გადაწყვეტილი. დოროთეოს პატრიარქის სახელით გამოცემულ დოკუმენტში ნათქვამია: მაწყვერელს „მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ეპისკოპოზნი მისგან ეკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა ჰმორჩილობდნენ და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმწყესბოდენ. და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევარნი მისნი წყეულ და მისდა მიგვიცემიეს ჳელმწიფებაჲ შეკრვისა და განჳსნისა [ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 241].

ამგვარად, დოროთეოს პატრიარქის სახელით გამოცემული დოკუმენტის მიხედვით, ისე გამოვიდა, რომ სამცხის ეკლესიამ თვითმწყობის უფლება მიიღო და საქართველოს დედაეკლესიას ჩამოშორდა. მზეჭაბუკ ათაბაგმა, ერთი შეხედვით, ამ ეტაპზე თავის მიზანს მიაღწია, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი წარმატება იყო, სამცხის ეკლესია არც ამ ჯერზე ჩამოცილებია თავის დედაეკლესიას.

ამ დროს მზეჭაბუკ ათაბაგს სამცხის სამთავრო ტახტზე მოცილე ჰყავდა, რაც, რასაკვირველია მის პოზიციებს ასუსტებდა. ამასთანავე, სამცხეში მდებარე მცხეთის საკათოლიკოსოს კუთვნილი 25 მამულის მკვიდრი ფეოდალები სამცხის საეკლესიო სეპარატიზმის იდეას არ იზიარებდნენ. რეალურად, შექმნილ ვითარებაში მზეჭაბუკ ათაბაგს არ შეეძლო ქართლის მეფის და განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტის დაძლევა. მზეჭაბუკი 1515 წელს პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა, ბერად შედგა და იმავე წელს გარდაიცვალა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 137].

საერთოდ კი, იმუამად სამცხის ხელისუფალნი თავიანთი სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტის გაფართოებას ცდილობენ და ამ საქმეში ისევ უცხოელი იღებს მონაწილეობას. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს კონსტანტინოპოლელი დიდი რიტორის მანუილის „მოთხრობა“, რომელიც შეიცავს აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხოტბა-პანეგერიკს, მიძღვნილია სამცხის ათაბაგების ყვარყვარეII-ის, ქაიხოსროI-ის¹ და მზეჭაბუკისადმი, და ის შედგენილი უნდა იყოს 1515 წელს [მ. ზაღდასტანიშვილი, 1996, გვ. 20]. ეს „მოთხრობა“ მეტყველი მაგალითია სამცხე-საათაბაგოს სეპარატიზმის და სამცხის ეკლესიის მცხეთისგან ჩამოსაშორებლად გაჩაღებული ბრძოლისა. საინტერესოა, რომ მანუილ რიტორის „მოთხრობაში“ დაცულია სამცხის ათაბაგთა წოდებულება, რომელიც ტრაპიზონის იმპერატოროთა ტიტულატურას ზუსტად იმეორებს [დ. ნინიძე, 1997ა, გვ. 114]. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებო მოსაზრებს ანვითარებს დ. ნინიძე. მისი აზრით, შექმნილ ვითარებაში ათაბაგები ცდილობენ „დიდი კომუნოსების“ პოლიტიკურ მემკვიდრეებად იქცნენ, მათი მიზანია სამცხე-საათაბაგო ბიზანტია-ტრაპიზონის ახლოს „პატარა ხელოვნური საბერძნეთის“ როლში გამოვიდეს [დ. ნინიძე, 1997, გვ. 113–116]. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება ფაქტების ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარეობს და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რასაკვირველია სამცხე-საათაბაგოს რაიმენაირ “ახალ საბერძნეთად”, თუ “ახალ რომად” გადაქცევის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა და საქართველოს ის ნაწილი, რომელსაც სამცხე-საათაბაგო ეწოდებოდა, თავის ნორმალურ განვითარებას მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პირობებში თუ ჰპოვებდა.

¹ქაიხოსროI სამცხის ათაბაგი იყო 1498-1500 წლებში.

მზეჭაბუკის შემდეგ სამცხის ათაბაგი გახდა მისი ძმისწული ქაიხოსროI-ის ვაჟი ყვარყვარეIII (1515–1535). 1518 წელს ყვარყვარეIII-ის გაცემული საბუთი აჩვენებს, რომ სამცხე საეკლესიო განკერძოებაზე ხელს იღებს [ქრონიკები, II, 1897, გვ. 335].

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები მას შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, რაც ქართლის მეფის ტახტზე კონსტანტინეII დავითX-მ შეცვალა. დავითX-ის მეფობაში ქართლის ხელისუფლება კრიზისს განიცდიდა. 1503–1505 წლებში ქართლის სამეფო კარზე დაპირისპირება იყო, რის შემდეგ კონსტანტინეII ბერად აღიკვეცა. დავითX-მ 1505 წელს, მართალია გამეფება მოახერხა, მაგრამ სამეფო ტახტზე მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე თავისი ძმა გიორგი ოპოზიციაში ედგა და საბოლოოდ აიძულა კიდევ რომ 1525 წელს ბერად შემდგარიყო [გ. საითიძე, 1997, გვ. 24–27]. დავითX-ის არამყარი პოზიციები სამეფო კარზე ხელს უწყობდა იმას, რომ სხვა ქართული სამეფო-სამთავროები, რომელთა წინამძღოლნიც ერთიანი საქართველოს მეფეების დროინდელი ტიტულატურით იყვნენ აღჭურვილი, დავითX-ის მეფობაში შეტევებს ახორციელებენ ქართლის სამეფოს წინააღმდეგ.

ჩვენ აქვე გვინდა შევეხოთ ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში ქართველი მეფეების ტიტულატურის საკითხს, თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა მეფე ერთიანობის დროინდელი ტიტულატურის მსურველია და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იკუთვნებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს სახელგანთქმული მეფეების დიდ წოდებულებებს.

ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის კახეთის მეფეები დიდი გულმოდგინებით ცდილობენ თავიანთი პატივმოყვარე ზრახვების საკუთარ წოდებულებაში ასახვას. 1511 წლის სიგელში აგვიორგი საკუთარ თავზე ამბობს: “განმავრთებელმან ღიხთიმერისა და

ლიხთამერისამან, ორისავე ტახტისა და სამეფოსამან მტკიცედ მპყრობელმან აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან იესიან, დავითიან და სოლომონიანობით აღმკულმან, ჩუენ პატრონმა მეფეთა მეფემან გიორგი“ [ს. კაკაბაძე, 1913, გვ. 44–45]. XVI საუკუნის კახეთის სხვა მეფეები ავგიორგის მსგავსად ძლიერ პრეტენზიულები არიან ტიტულატურის მიმართ.

არც იმერთა მეფეები ერიდებიან ტრადიციულ ტიტულატურას. ალექსანდრე I და მისი ძე ბაგრატ III ორივე ტახტის მპყრობელებად წარმოგვიდგენენ თავს [ე. ხოშტარია, 1978, გვ. 197]. ამათი მემკვიდრეებიც XVI საუკუნეში არ უარობენ ასეთ ტიტულატურას.

ქართლის მეფეებიც ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში ძირითადად ტრადიციული ტიტულატურით არინ აღჭურვილი.

ქართველი მეფეების მიერ ასეთი სახის ტიტულატურის საკუთარ თავზე მიკუთვნების საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს ტრადიციული ტიტულატურის მქონე მეფეები არ ურიგდებოდნენ ქვეყნის დაშლას და ერთიანობის სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული.

ჩვენ გვინდა ამ მოსაზრების სისწორეში იმერეთისა და კახეთის მეფეებთან მიმართებით ეჭვი შევიტანოთ. სახარების ერთ-ერთი ფუძემდებლური სენტენციაა: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“. ჩვენთვის საინტერესო ხანის იმერეთისა და კახეთის მეფეთა „საქმენი“ ქვეყნის ერთიანობისკენ მათ სწრაფვას არ ავლენს. პრაქტიკულად, ეს მეფეები დაინტერესებული იყვნენ ქვეყნის დაშლით, რასაც ისინი თავიანთი საქმიანობით ძლიერ უწყობდნენ ხელს. ამ მეფეებმა მეზობელი ქართული პოლიტიკური ერთეულების წინააღმდეგ რამდენიმეჯერ დაშქრობაც კი, განახორციელეს (მათი დაშქრობის ობიექტი ძირითადად ქართლის სამეფო იყო). დ. გვრიტიშვილი,

რომელიც თავად იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იმერეთისა და კახეთის (და ასევე ქართლის) მეფეებისათვის ტრადიციული ტიტულატურის ჰქონა მათში ქვეყნის ერთიანობის სულისკვეთების არსებობაზე მეტყველებს, ამ ლაშქრობების შესახებ წერს: “როცა ესა თუ ის ქართველი მეფე მეორის ყმა-მამულს თავს ესხმოდა, მას სრულიად არ ეგონა, რომ იგი უკანონო საქმეს სჩადიოდა. არა, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ თავისი მოქმედებით სრულიად საქართველოს გამაერთიანებლის მისიას ასრულებდა და ამდენად კანონიერი იყო მისი მოქმედება. თუ ქართლის სამეფო კარზე სჯეროდათ, რომ კახელ ან იმერელ ბაგრატიონებს უკანონოდ უჭირავთ კახეთი და იმერეთი, ასევე კახელი ან იმერელი ბაგრატიონები დარწმუნებულნი იყვნენ საწინააღმდეგო გაგებაში“ [დ. გვრიტიშვილი, 1965, გვ. 173]. ჩვენ ეს მსჯელობა მართებულად არ გვეჩვენება, ასეთი მიდგომით მეტისმეტ გულუბრყვილოებად უნდა წარმოვიდგინოთ ეს თანამოძმეთა ყმა-მამულზე თავდამსხმელი მეფეები.

იმერეთისა და კახეთის მეფეებისათვის ტრადიციული ტიტულატურის საკუთარ თავზე მიკუთვნების საფუძველი, რეალურად საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის სურვილის ჰქონა კი არა, სულ სხვა რამ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, როდესაც ეს მეფეები ტრადიციულ ტიტულატურას იკუთვნებდნენ „გაღმა შეედავე გამოღმა შეგრჩებას“ პრინციპის ამოქმედებას ცდილობდნენ, ამით ქართლის მეფეზე, თუ, რომელიმე სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულის წინამძღოლზე შესაბამისი ზემოქმედების მოხდენას ლამობდნენ და თავიანთი უშუალო საბრძანებლის განუყოფელ მფლობელობაზე ზრუნავდნენ. ამ ტიპის პოლიტიკური სპეკულაცია ამ დროისათვის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობებისათვის უცხო ნამდვილად არ ყოფილა. „გაღმა შეედავე გამოღმა შეგრჩებას“ პრინციპი, როგორც უკვე არაერთხელ ვნახეთ,

საკმაოდ აქტიურად ფიგურირებდა საქართველოში საეკლესიო სეპარატიზმის პრაქტიკულად გამოვლენისას.

ჩვენ ზემოთ საგანგებოდ გამოვყავით კახეთის მეფის ავგიორგის ტიტულატურა და ჩვენი აზრით, ყველაზე მკაფიოდ სწორედ ავგიორგის მოღვაწეობის სრულად გააზრების საფუძველზე ჩანს, ნიშნავს თუ არა მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს სახელგანთქმული მეფეების ტიტულატურის საკუთარ თავზე მიკუთვნება, საქართველოს წარსულის ყველაზე დიდი უბედურების – ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის აღმოფხვრის და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის სურვილის ჰქონას. ცნობილია, რომ ავგიორგიმ ქართლის წინააღმდეგ არაერთი ლაშქრობა განახორციელა, რაც ზოგიერთ ისტორიკოსს აძლევს საფუძველს ეს ლაშქრობები ავგიორგის საქართველოს გაერთიანების სურვილის პრაქტიკულ რეალიზაციად მიიჩნიოს. ამ მოსაზრების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა რაც შეეხება „ტფილისის ტახტის“ მფლობელი ქართლის მეფეებისათვის ტრადიციული ტიტულატურის ჰქონის ფაქტს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ერთიანობის იდეა წოდებულებაში ცოცხლობდა. ამას ისევ ქართლის მეფეთა გაკეთებული “საქმენი” აჩენს. ქართლი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მთავარი მემკვიდრე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოსი და მისი მეფენი, განსაკუთრებით კი, ლუარსაბ I და სიმონ I თავდადებით და მართლაც, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ საერთო-ქართული ინტერესებისათვის და ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად. მათი ხანგრძლივ ბრძოლაში გამარჯვება, საბოლოოდ სწორედ ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენაში უნდა გამოხატულიყო. ქართლის მეფეები კი, უმეტესად თავიანთ ბრძოლას განმარტოებულად აწარმოებდნენ.

ტრადიციული ტიტულატურის მქონე იმერეთისა და კახეთის მეფეები, მათ ან თავს ესხმოდნენ, ან საერთო-ქართული ინტერესებისათვის გამართულ სხვადასხვა ბრძოლაში მარტო ტოვებდნენ, ან ამ ბრძოლაში იმ მასშტაბით ემოკავშირებოდნენ, რომ თავიანთი პირადი ინტერესები არ დაეზიანებინათ. იმერეთისა და კახეთის მეფეებმა ეს ინტერესები, მართლაც ძლიერად დაიცვეს. ამ დროს ქართლის მეფეებმა თავიანთ ტიტულატურაში გამოხატული ერთიანობის იდეის პრაქტიკული რეალიზება ვერ შეძლეს. რაზეც, რასაკვირველია თავისი გავლენა მავნე საგარეო ფაქტორმაც მოახდინა, რომელსაც საქართველოში არსებული მუდმივი შიდადაპირისპირების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა.

დავითX-ის მეფობაში არსებული ქართლის ხელისუფლების სისუსტის თავის სასარგებლოდ გამოყენება პირველად იმერთა მეფე ალექსანდრეII-მ სცადა და 1509 წელს ქართლის სამეფოს წინააღმდეგ ლაშქრობა მოაწყო. ქართლის ტერიტორიაზე გადასული იმერეთის მეფე თავდაპირველად ასაღებად გორს მიაღება. ეს დავითX-ს შეატყობინეს, მაგრამ ქართლის მეფემ საბრძოლველად მოსვლა არ ინება და ალექსანდრეII-მ გორი დაიკავა [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 487; ვახუშტი, 1973, გვ. 392; ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 40]. იმერთა მეფის მიერ ქართლის ტერიტორიაზე ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად, მის ხელში ქართლის მთელი ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი ლიახვის ხეობამდის მაინც უნდა გადასულიყო [ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 210].

ალექსანდრე მეფის ქართლში განხორციელებული ლაშქრობის მიზეზის ვახუშტისეული ახსნა ასეთია: „ხოლო შემდგომად კოსტანტინე მეფის გარდაცვალებისა, მოიჯსენა ალექსანდრე მეფემან შური პირველი, შემოიკრიბნა სპანი, გარდაუჭდა ქართლს...“ [ვახუშტი, 1973, გვ. 809]. ამასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი წერს: „თუ ჩვენ

გავიხსენებთ, რომ კონსტანტინე მეფის გარდაცვალების თარიღად წყაროები 1503, 1504 და 1505 წ. სდებენ და უკანასკნელს ვახუშტიც ჭეშმარიტად სთვლის, მაშინ თავისთავად იბადება საკითხი, რომ კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ 4 წელიწადი იყო გასული ალექსანდრეს ქ. გორის ასაღებად გამოლაშქრებამდე, იმ დროისათვის საკმაოდ ხანგრძლივი მანძილი, რომ იმერეთის მეფის ეს სამხედრო მოქმედება მარტო კონსტანტინე მეფისადმი შურისძიების წყურვილის შედეგად გვეცნა. უფრო საფიქრებელია, რომ აქაც მეფეთ-მეფობისა და ორისავე ტახტისა, ლიხთიმერეთისა და ლიხთამერეთის მპყრობელობის განხორციელების იგივე წადილი უნდა იყოს მისაჩნვეი“ [ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 210].

ეს მოსაზრება ცოტა ხნის წინ მ. კაპანაძემ გაიზიარა და კიდევ უფრო განავრცო. მკვლევარი იმოწმებს ვახუშტის „აღწერის“ იმ მონაკვეთს, სადაც საუბარია ალექსანდრე II-ის გორს მიდგომის შემდგომ მოვლენებზე: „შეუძნდათ ესე ყოველთა და ეტყოდნენ მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა. არამედ დავით მეფემან არა ინება, მეტყუელმან მათმან: „რამეთუ მიეგების მეშფოთეთა შფოთი“, ხოლო ალექსანდრემ აღიღო გორი და დაიპყრა თვით“ [ვახუშტი, 1973, გვ. 392: მ. კაპანაძე, 2005ა, გვ. 8]. ამის შემდეგ მ. კაპანაძე წერს: „ამ ციტატიდან ჩანს, რომ ალექსანდრე მეფის მიერ ქართლში წარმოებული სამხედრო მოქმედება და დავით ქართლის მეფის პასიურობა მიუღებელი იყო ქართლის სამეფო კარის წევრებისა და დიდი თავადებისთვისაც, რადგან თუკი ალექსანდრე მეფე წარმოებულ სამხედრო ოპერაციას წარმატებით განახორციელებდა და ქართლში გამარჯვების მოპოვებით ამ ორ სამეფოს კვლავ შეაერთებდა, ამით მათ მიერ დიდი ხნის ბრძოლით მოპოვებული უფლებები შეიზღუდებოდა. ამიტომ იყო, რომ „საქართველოების“ კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ყოველგვარ მცდელობას

წინ ელობებოდნენ“ [მ. კაპანაძე, 2005ა, გვ. 8].

თავდაპირველად გვინდა შევნიშნოთ, რომ ციტატაში არ ჩანს, რომ ისინი ვინც დავითX-ს გორის ასაღებად მისული ალექსანდრე იმერთა მეფის წინააღმდეგ მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ კონკრეტულად სამეფო კარის წევრები და დიდი თავადები იყვნენ. იქ ნათქვამია „შეუძნდათ ესე ყოველთა“. „ყოველთაში“ თავისთავად ცხადია, რომ ბევრი ვინმე შეიძლება ვიგულისხმოთ (მათ შორის, თუნდაც სასულიერო სფეროს გავლენიანი წარმომადგენლები, დავითX-ის მეფობისას ჩვენ გვაქვს ცნობები ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის შესახებ, რა დროსაც ზოგიერთის პოზიციები ქართლის მეფის პოზიციებიდან განსხვავდება), თუმცა პირველ რიგში, რასაკვირველია ქართლის სამეფო კარის წევრები და ყველაზე გავლენიანი თავადები. ამას გარდა, რაც მთავარია, რატომ უნდა ეფიქრათ ამ „ყოველთაში“ მოაზრებულ ადამიანებს, რომ ალექსანდრეII-ს საქართველოს გაერთიანების განზრახვა ჰქონდა, როცა ქართლში ლაშქრობას ანხორციელებდა.

XV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში ალექსანდრეII თავგამეტებით იბრძოდა „ტფილისის ტახტიდან“ დასავლეთ საქართველოს ჩამოშორებისათვის და საქართველოს ერთიანობის გამომხატველი ისტორიული ბირთვის – ისტორიული ქართლის და იმერეთის ერთიანობის დასარღვევად და მან ეს ბრძოლა თავისთვის სასარგებლოდ დაასრულა კიდევ. ალექსანდრეII-ს არც საქართველოს ეკლესიის დარღვეული მთლიანობის აღდგენისათვის გამოუდია თავი. საქართველოს მტკიცე ერთიანობის მისაღწევად ეს აუცილებლად განსახორციელებელი საქმე იყო, ამასთანავე, ამას თუ ქართლში ლაშქრობამდე გააკეთებდა ალექსანდრეII, ამ შემთხვევაში მას ქართლშიც და მთელ საქართველოშიც მხარდამჭერები ძლიერ მოუმრავლდებოდა, რაც ამ ლაშქრობის სიძლიერესაც შეუწყობდა

ხელს. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე II არც სვანთა სრულიად უსაფუძვლოდ შეზღუდვას მოერიდა და ამ ყველაფრის შემდეგ ქართლის ხელისუფლების დასუსტების პირობებში, ქართლის სამეფოს მიმართ განხორციელებული ალექსანდრე II-ის სამხედრო ოპერაცია რატომ უნდა ყოფილიყო მისი საქართველოს გამაერთიანებელი მისიის მაუწყებელი? მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ალექსანდრე II-მ ერთიანი საქართველოს სახელგანთქმული მეფეების ტიტულატურა მიიკუთვნა, არავის არ აძლევდა იმის მტკიცე საფუძველს, რომ ის საქართველოს გამაერთიანებლად მიეჩნია.

ჩვენი აზრით, ეს ტიპური მძარცველური სახის ლაშქრობა იყო, რამაც ძმათამკვლელი დაპირისპირება გამოიწვია. ასეთი სახის ლაშქრობებით გაჯერებულია გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ისტორია. რაც შეეხება 1509 წელს იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის ქართლში განხორციელებული ლაშქრობის მიზეზს, ეს მიზეზი არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ის ვახუშტის ნახსენები „შური პირველი“ იყოს. ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში (და შემდეგაც) ზოგიერთი ქართველი მეფე-მთავრისათვის შურისძიების წყურვილის ისეთი მასშტაბები იყო დამახასიათებელი, რომ ზოგჯერ ოთხი წელი (რა დროც აშორებს ალექსანდრე იმერთა მეფის ქართლში განხორციელებულ ლაშქრობას კონსტანტინე II-ის ქართლის მეფის რანგში მოღვაწეობის დასასრულს), თუ ოთხ წელზე ბევრად მეტიც არ იყო საკმარისი, რომ მათ ეს საშინელი გრძნობა განელებოდათ. მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი, აქ მთავარი მაინც ის არის, რომ ასეთი სახის ლაშქრობებს რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ სჭირდებოდა, ამგვარი ლაშქრობების განხორციელების საფუძველი თავად „ტფილისის ტახტიდან“ განდგომილი სამეფო-სამთავროების წარმოქმნის და განვითარების არსში იყო ჩადებული და საჭირო დროს

სამხედრო ოპერაციის განხორციელების უშუალო საბაზი ყოველთვის ადვილად გამოჩნდებოდა ხოლმე.

ამასობაში, ვიდრე ალექსანდრე II ქართლის დალაშქვრით იყო დაკავებული, ოსმალეთის სახელმწიფომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარება განიზრახა. XVI საუკუნიდან ოსმალეთმა საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოუტია: ტრაპიზონის მხრიდან, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მიმართულებიდან, შავი ზღვის სანაპიროდან. თუმცა, საქართველოს წინააღმდეგ ოსმალთა შეტევის მთავარი მიმართულება მაინც სამცხე-საათაბაგო იყო. ოსმალეთის დაპყრობით გეგმებში სამცხე-საათაბაგოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სამცხე-საათაბაგო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გზას უკრავდა სამხრეთ-დასავლეთიდან მოსულ მტერს. მისი დაპყრობით ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა შეტევა დაეწყო, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოს, მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ. მაგრამ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობით ოსმალეთს გზა ეხსნებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებისკენაც. ამიერკავკასიის დაპყრობა-დამორჩილება კი, მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრისა და ირანისათვის ჩრდილოეთის მხრიდან დარტყმის შესაძლებლობას აძლევდა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 38].

ამჯერად ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოს მიმართულებიდან აწყობდა საქართველოში ლაშქრობას. ამ სიტუაციაში სრულად იჩინა თავი ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის სიმწვავემ. საქართველო, რომ მტერს ღირსეულად დახვედროდა ამისათვის აუცილებელი იყო ქართველთაგან ერთიანი პოზიციის გამოვლენა, მაგრამ ამის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა მაშინ არ არსებობდა. საქართველოში ოსმალთა

პირველ დამხვედურს სამცხის ათაბაგს არ სურდა სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლებთან ოსმალეთთან დაპირისპირების საქმეში საერთო ენა გამოენახა, განმარტოებულად კი, სამცხის ათაბაგს, რომც მოენდომებინა ოსმალეთისათვის თავისი საკუთარი ძალებით სათანადო წინააღმდეგობის გაწევის ძალიან მცირე შანსი ჰქონდა. შექმნილ ვითარებაში დეზორიენტირებულმა სამცხის ათაბაგმა მზეჭაბუკმა უცხო დამპყრობლის მიმართ ქედის მოხრა მიიჩნია მართებულად და მისი ინტერესების თავისი პირადი უზნეო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება გადაწყვიტა.

1510 წელს ოსმალეთის ჯარი ტახტის მემკვიდრის სელიმის მეთაურობით სამცხეში შემოვიდა. სელიმი იმხანად ტრაპიზონის ფაშად იჯდა. მზეჭაბუკ ათაბაგმა ოსმალებს მორჩილება გამოუცხადა. ოსმალთა ჯარმა გზა მზეჭაბუკის მეგზურობით განაგრძო და იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე გადავიდა. იმერეთისათვის ოსმალთა ეს ლაშქრობა მოულოდნელი იყო, ამის გამო მოსახლეობა მტერს მოუმზადებელი შეხვდა და დახიზვნა მხოლოდ მისმა ერთმა ნაწილმა მოასწრო. ოსმალებმა დაარბიეს ქალაქები, სოფლები, დიდი ზიანი მიადგა ქუთაისს. მტერმა დაანგრია გელათის ეკლესია და ბაგრატის ტაძარი. ამასობაში ალექსანდრეII-ს ქართლში ხმა მიაწვდინეს იმერეთში მიმდინარე მოვლენების თაობაზე, მაგრამ ვიდრე იმერთა მეფე ქართლიდან იმერეთში დაბრუნდებოდა, ოსმალებმა დატოვეს იმერეთის ტერიტორია და სამცხის გავლით საქართველოს გაეცალნენ [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 487; ვახუშტი, 1973, გვ. 711, 810; ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 210–212].

ბაგრატის ტაძარი საქართველოს წარსულის და აწყმოს უნიკალური ფენომენია.

„ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო-ემბლემა! აი რა არის ბაგრატი.

მისი აგებით აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური გამოვლიანება. მისი კურთხევით დაიწყო თვისებრივად ახალი ერა ქართველი ხალხის უხანგრძლივეს ისტორიაში. ერა, რომლის გვირგვინი შოთას „ვეფხისტყაოსანი“ გახდა. ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარი რუსთაველის სიდიდის გენიოსია. მან და შოთამ ხელოვნებაში, ხოლო ბაგრატIII-მ და დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში სრულყოფილად წარმოაჩინეს ქართული ეროვნული გენიის ამოუწურავი შესაძლებლობანი.

ბაგრატIII-ის მიერ შექმნილი საქართველოს საბოლოო დაშლას მოჰყვა შედეგად ქუთაისის კათედრალის დანგრევაც. დანაწევრებულმა ქვეყანამ ტაძარს ვეღარ მოუარა. ვერ შეინარჩუნა. ამ დვთის სახლის გავერანების შემდეგ საქართველოც ისევე კედლებჩაღეწილი და დანგრეულია, როგორც თვით ბაგრატის ტაძარი“¹ [გ. მჭედლიძე, 1996, გვ. 5-6].

ამრიგად, 1510 წელს ოსმალთა თავდასხმის შედეგად იმერეთმა დიდი განსაცდელი გადაიტანა. ოსმალებმა, ალბათ იმერეთში შემოჭრამდე იცოდნენ ქართლში რომ აწარმოებდა ალექსანდრე იმერთა მეფე საომარ ოპერაციას. იმერთა მეფის თავის სამფლობელოში არყოფნას კი, მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი ოსმალთა ლაშქრობის ზემოთაღნიშნული სახით განხორციელებისათვის. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის სამეფომ ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ ქართლის ტერიტორიაზე დაკავებული ტერიტორია – ქართლის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდინარე ლიახვამდე, ვერ შეინარჩუნა. ქართლის სამეფომ ეს ტერიტორია დაიბრუნა [გ.

¹როგორც ცნობილია, სულ ახლახან ბაგრატის ტაძრის აღსადგენად სამუშაოები დაიწყო. “თუ ჩვენ დვთის სახლს, ბაგრატის ტაძარს აღვადგენთ, ის საქართველოს გაბრწყინების ისეთივე სიმბოლოდ გადაიქცევა, როგორსაც 1000 წლის წინათ წარმოადგენდა. უფალი ამ ნებას მეუფე კალისტრატეს ბაგეებით დალადებს. ვუსმინოთ მას!” – აღნიშნავს გ. მჭედლიძე [გ. მჭედლიძე, მ. კეხევაძე, 2008, გვ. 481-482] და ამ სიტყვებში გამოსატული სულისკვეთება ჩვენც გვინდა გავიზიაროთ.

გუჩუა, 1973ა, გვ. 94]. ისე კი, ამ არეალში მდებარე მიწებზე იმერეთის სამეფოს საკმაოდ აქტიური პრეტენზია კიდევ დიდხანს აქვს.

1510 წელს იმერეთის სამეფო ტახტი ბაგრატIII-მ დაიკავა. მისი მეფობის პირველ წლებში იმერეთის სამეფო სახელში ერთიანობა არ იყო. უმცროსი ძმა ვახტანგი მეფეს განუდგა და იმერეთის წარჩინებულთა ერთი ჯგუფის თანხლებით ქართლში გაიქცა. ჩანს, ვახტანგი მამის მიერ ადრე შემოერთებულ ქართლის ნაწილზე აცხადებდა პრეტენზიას და იქ გამაგრდა [გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, 2008, გვ. 150]. 1513 წელს ბაგრატი ქართლში გადავიდა, ძმებს შორის ბრძოლა მოხისს მოხდა. ამ ბრძოლაში ვახტანგის მხარეს მონაწილეობდა სამცხის ათაბაგი მზეჭაბუკი. მოხისის ბრძოლა ვახტანგის და მზეჭაბუკის დამარცხებით დასრულდა. საბოლოოდ ამ კონფლიქტში დავითX ჩაერია და მისი ხელშეწყობით ძმებს შორის ზავი დაიდო. ბაგრატმა თავისი ძმა იმერეთში წაიყვანა [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 487; ვახუშტი, 1973, გვ. 810; მცირე ქრონიკები, 1968, გვ. 38; ქრონიკები, II, 1897, გვ. 331; გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, 2008, გვ. 150].

XVI საუკუნის დასაწყისში ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის დაძაბული ურთიერთობა არ იყო, მაგრამ XVI საუკუნის 10-იანი წლების დამდეგისათვის ეს ურთიერთობა მოულოდნელად გამწვავდა. ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ამ დროს მოულოდნელად ურთიერთობების გამწვავება ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა, როგორც ქართლის და სამცხის ურთიერთობა დაიძაბა მოულოდნელად დაახლოებით ამავე ხანებში და ეს ვარაუდის სახით დაუუკავშირეთ ირანის შაჰის ისმაილის პოლიტიკის ცვლილების ზეგავლენას, რაც გამოვლინდა მისი ყოფილი მოკავშირე ქართული პოლიტიკური ერთეულების მიმართ, ასევე, შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ეს მომენტი აღმოსავლურ ქართული სამეფოების გაუარესების საქმეზეც

იქონიებდა თავის გაგლენას.

ქართლის და კახეთის სამეფოების დაპირისპირების უშუალო ინიციატორი ალექსანდრე კახთა მეფის უფროსი ძე გიორგი იყო, რომელმაც მამის და უმცროსი ძმის დიმიტრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართლის მიმართ ლაშქრობების განხორციელებას მიჰყო ხელი. “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტში ნათქვამია, რომ თურმე ალექსანდრე კახთა მეფე და მისი ძე დიმიტრი ეუბნებოდნენ გიორგის: “რამეთუ ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთვის კახეთიცა” [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 487].

საკმაოდ მნიშვნელოვანია კახეთის სამეფო კარზე მშვენივრად რომ სცოდნიათ ქართლთან თავიანთი ნათესაური ურთიერთობის ჭეშმარიტი არსის თაობაზე. ამდაგვარი აზრის შემცველი შეძახილი გვიან შუა საუკუნეებში განდგომილი ქართული სამეფო-სამთავროების მმართველ პოლიტიკურ წრეებში ხშირად არ ისმოდა ხოლმე. მაგრამ ალექსანდრე კახთა მეფის და მისი ძის დიმიტრის სიტყვებში არსებული სულისკვეთება, არ იყო თავად კახეთის მეფის რეალურად გამოსატული სტრატეგიული კურსის ამსახველი, წინააღმდეგ შემთხვევაში ალექსანდრე კახთა მეფე 35 წლის მანძილზე “ტფილისის ტახტიდან” ახლადგანდგომილი პოლიტიკური ერთეულის წინამძღოლის რანგში არ იქნებოდა და შეეცდებოდა სწორედ ქართლის წინამძღოლებთან ერთად ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ეზრუნა. რეალურად, კახთა მეფისაგან ასეთი პოზიციის დაფიქსირება ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული და კახეთის სამეფო კარზე მოვლენების ფატალური განვითარება ვერ შეაჩერა. 1511 წელს გიორგის ქართლზე თავისი მორიგი ლაშქრობის განხორციელება ჰქონდა გეგმაში, როცა კახეთის მეფე და მისი უმცროსი ძე “გარდაუდგნენ წინა საფურცლეს” და იქ გაუგონარი

ტრაგედია დატრიალდა. გიორგიმ მამა ალექსანდრე მეფე მოკლა, ხოლო ძმა დიმიტრის თვალები დათხარა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 350; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 487; ვახუშტი, 1973, გვ. 569].

გიორგიმ თავისი თვალდათხრილი ძმა კახეთში არ გააჩერა და ის თავის ოჯახთან ერთად კახეთიდან განდევნა. დევნილები ქართლში აღმოჩნდნენ. დიმიტრი “თვალდამწვარი” ბაგრატიონთა საგვარეულოს ახალი განშტოების “დავითიშვილთა” ფუძემდებელი შეიქმნა. ამ შტოს წარმომადგენლებს “დავითიშვილთა” გარდა “თვალდამწვრიანებიც” ეწოდება [დ. ნინიძე, 1999, გვ. 5–6]. ბაგრატიონთა ეს შტო გარკვეულ როლს ასრულებდა XVI საუკუნის ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოების ურთიერთობებში.

სისხლიანი აქტის ორგანიზატორი გიორგი თანამედროვეებმა და შთამომავლობამ ავგიორგად შერაცხა. ავგიორგიმ კახეთის მეფობა მიისაკუთრა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს სახელგანთქმული მეფეების ტიტულატურით აღჭურვილი თავისი ახლადმოპოვებული სამფლობელოს მართვას შეუდგა. ამიერიდან ავგიორგის თავის სამეფოში იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ის ქართლის წინააღმდეგ აწარმოებდა ოპონენტები აღარ ჰყავდა და ქართლის წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობებს მასშტაბური ხასიათი მისცა: “განლაღნა ავგიორგი და უკდებოდა საქართველოსა, და მრავალგზის იავარ-ყო საქართველო და უფროსდა ზემო ქართლი მრავალგზის წარმოსტყუევნა, ვიდრე იმერეთის საზღვრამდე” [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 488].

ქართლის მიმართ ავგიორგის ლაშქრობების ინტენსივობის გაზრდის პირობებში ქართლის მეფე დავით X აქტიურობას არ იჩენდა,

ატენის ციხეში ჩაიკეტა და მოვლენების განვითარებას არ აჩქარებდა¹. დავითX-ის ავგიორგის მიმართ გამოხატულ პასიურ პოლიტიკას დაუპირისპირდნენ მისი ძმები. ისინი მეფეს აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ და გადამჭრელი ზომების მიღების მომხრენი იყვნენ: “ამიერითგან ვერღარა შემძლებელ ვართ დათმენად ბოროტისა მის კაცისა მიერ, რამეთუ კახეთიცა ვიდრე აქამომდე მამათა ჩუნთა ეპყრათ, და სრულიად კახეთი საბრძანებელთა სახლისა ჩუნისათა დამონებულ იყვნეს. და აწ ესრეთ აღზუავენეს ჩუნ ზედა ვიდრედა საქართველოსაცა ზედა უფლებულ არს და ჰნებაეს სრულიად მიმძლავრებად თვისად. და აწ ჩუნცა აღვსდგეთ მათ ზედა და ვბრძოდეთ მათ” [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ.488]. დაახლოებით ასეთივე შინაარსის შემცველ სიტყვას ათქმევინებენ დავითX-ის ძმებს “სწავლული კაცი” [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 350]. ასევე გადმოსცემს ვახუშტიც – ძმები აქტიური მოქმედების მომხრენი არიან, ხოლო ერთ-ერთი მათგანი ბაგრატი ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად აქტიურობს [ვახუშტი, 1973, გვ. 393].

მნიშვნელოვანია, რომ ქართლის მეფის ძმები ავგიორგის მიმართ აქტიური პოლიტიკის გატარებას უჭერენ მხარს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დავით მეფის ძმების არგუმენტაციის ის ნაწილი, სადაც ისინი აცხადებენ, რომ მათ წინაპრებს “მიუღეს” კახეთი. ამ

¹ამასთან დაკავშირებით, ერთობ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ანანია ჯაფარიძე. მისი აზრით, დავითX ავგიორგისთან საომარ დაპირისპირებაში ჩაბმას იმიტომ არიდებდა თავს, რომ ქართველთა შორის სისხლის დაღვრას ერიდებოდა და ანანია ჯაფარიძე დავითX-ის ასეთ პოზიციას დადებითად აფასებს [მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, 1999, გვ. 196]. რასაკვირველია, თანამოძმეთა სისხლის დაღვრას ყველა ქართველი მეფე-მთავარი მაქსიმალურად უნდა მორიდებოდა, თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დავითX-ის ასეთი პოზიცია ავგიორგის ქართლის მიმართ თავისი დამოკიდებულების შეცვლისაკენ არ უბიძგებდა, და თავად ქართლში განხორციელებული ლაშქრობებით ქართველთა სისხლს მაინც ღერიდა. მაგრამ, რადგანაც ავგიორგის პრობლემა ქართლის მეფემ საბოლოოდ განსაკუთრებული სისხლისღვრის გარეშე მაინც გადაჭრა, ამიტომ დავითX-ის პოზიციას, რომელიც მან ავგიორგის ქართლში განხორციელებული ლაშქრობების მიმართ გამოავლინა, ჩვენც დადებითად ვაფასებთ.

შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სააზროვნო სისტემის და თვითშეგნების სავსებით კანონზომიერ და ადეკვატურ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. ქართლის სამეფო კარზე ნათელი წარმოდგენა ჰქონიათ კახეთის ქართლისაგან დამოუკიდებლად არსებობის უსამართლო ხასიათზე. ქართლის სამეფოს მესვეურებს სრული უფლება ჰქონდათ კახეთი თავიანთი წინაპრების, ანუ თავიანთ კუთვნილებად მოეაზრებინათ, რადგან ქართლის სამეფო “ტფილისის ტახტით” სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მთავარი მემკვიდრე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოსი, ხოლო კახეთის სამეფო ამ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილ ერთ-ერთ განდგომილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

დავითX-მ ავგიორგის პრობლემა ისევ თავისი ძმების აქტიური მხარდაჭერით გადაჭრა, რისთვისაც გარკვეულ დათმობაზეც წავიდა. დავითX-ის ძმამ ბაგრატმა მოითხოვა, რომ მისთვის მუხრანი მიეცათ და მან დაპირება გააკეთა, რომ ავგიორგის თარეშს ბოლოს მოუღებდა. ბაგრატის აქტიურობას შედეგად ახალი სათავადოს სამუხრანბატონოს წარმოშობა მოყვა. ბაგრატი სამუხრანბატონოს ჩამოყალიბებამდე “პროვინციის მეფის” რანგში მოღვაწეობდა. “ბატონიშვილობის” საკითხის გამწვავების პირობებში იგი უკანასკნელი “პროვინციის მეფე” აღმოჩნდა [დ. ნინიძე, 1995, გვ. 187–189]. სამუხრანბატონო 1512 წელს ჩამოყალიბდა. ამიერიდან ბაგრატი თავადია, მისი აქტიურობა ავგიორგის მიმართ მთლად უანგარო არ ყოფილა, თუმცა თავად მის წინააღმდეგ ბაგრატს თავი არ შეურცხვენია.

ბაგრატ მუხრანბატონმა ავგიორგის წინააღმდეგ მოქმედებისთვის სასწრაფოდ ააგო მტკვრის ციხე. ავგიორგიმ ციხეზე შეტევა მიიტანა, სამთვიანი აღყაც მოაწყო, მაგრამ ამან შედეგი არ მოუტანა. ამის მიუხედავად, ავგიორგი შემდეგაც არ იღებდა ხელს ქართლში ლაშქრობების განხორციელებაზე, რამაც საბოლოოდ შეიწირა კიდეც.

1513 წელს ავგიორგიმ ქართლზე თავისი მორიგი ლაშქრობა მოაწყო, იქ სოფლები დაარბია და დიდი ნადავლით უკან წამოვიდა. ბაგრატმა კი, ძალისის ხევში ჩასაფრება მოაწყო და იქ ავგიორგი ტყვედ ჩაიგდო. შემდეგ ბაგრატმა ავგიორგი მტკვრის ციხეში მოათავსა, საიდანაც ის ცოცხალი აღარ გამოსულა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 350–351; ახალი ქართლის ცხოვრება მესამე ტექსტი, 1959, გვ. 488–489; ვახუშტი, 1973, გვ. 393–394].

ავგიორგიმ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრადიციული ტიტულატურა მიაკუთვნა თავის თავს და მისი ქართლის მიმართ წარმოებული კამპანია ე. ხოშტარიას აძლევს იმის საფუძველს, რომ ეს ქმედება ამ ტიტულატურაში არსებული ერთიანობის იდეის პრაქტიკულ რეალიზაციად მიიჩნოს [ე. ხოშტარია, 1978, გვ. 196]. ანალოგიურ მოსაზრებას ანვითარებს მ. კაპანაძე და აღნიშნავს, რომ ალექსანდრე კახთა მეფე და მისი უმცროსი ძე დიმიტრი ავგიორგის გაერთიანების სურვილის პრაქტიკულ რეალიზაციას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ კახეთის მეფის უფროსი ძე მიზანმიმართულად მოქმედებდა და იგი ალექსანდრეს და დიმიტრის მცდელობას, რომ შეეგუებინათ შექმნილი ვითარებისათვის არ შეეპუა, “ამიტომაც, სავარაუდოა, გიორგი ბატონიშვილის მიერ მამის მოკვლა და ძმისთვის თვალების დათხრა თავისი მიზნის განსახორციელებლად მისი მხრიდან წინასწარ განზრახულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს” [მ. კაპანაძე, 2005ა, გვ. 11].

როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი ალექსანდრე იმერთა მეფის ქართლში განხორციელებულ ლაშქრობას მის ტიტულატურაში არსებული ერთიანობის იდეის პრაქტიკულ რეალიზაციად მიიჩნევდა. ავგიორგის ქმედებებთან და ტიტულატურასთან დაკავშირებით კი, დიდი მეცნიერი უკვე სრულიად სხვაგვარი აზრის იყო: “მამა მოკლა თუ არა, გიორგი ბატონიშვილი მაშინვე კახეთის სამეფო ტახტზე

ავიდა და თავისი თავი ურცხვად “ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოსა გამაერთიანებლად და მპყრობელად და “აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა” მეფეთა-მეფედ გამოაცხადა, ყოველი ღირსებით “აღმკულად”, რომლის დროსაც “აგარის ნათესავნი, მტერნი წინააღმდეგომნი” ვითომც “სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნქცეულ” იყვნენ” [ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 215].

ჩვენი მხრიდან ამ საკითხის მიმართ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია ავგიორგის მოღვაწეობაში ქვეყნის ერთიანობისკენ მიმართული სწრაფვა დაგინახოთ და მიუღებელია ეს პიროვნება დიადი ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეის მქონედ მოვიაზროთ.

ქართლის სამეფო, როგორც უკვე არაერთხელ შევნიშნეთ, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მთავარი მემკვიდრე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოსი და მის ხელისუფალს სრული უფლება ჰქონდა განდგომილი მხარის შემოსაერთებლად საჭირო ზომები მიეღო და ამისათვის, თუ აუცილებელი იქნებოდა სამხედრო ძალაც გამოეყენებინა. ავგიორგის პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლის შემდეგ წინამძღოლის გარეშე დარჩენილ კახეთში გარკვეულწილად სახელისუფლებო კრიზისი შეიქმნა. ასეთ ხელსაყრელ სიტუაციაში ქართლის მეფე დავითX კახეთში გადავიდა და იქ თავისი ხელისუფლება გაავრცელა. იმუამად ქართლის მეფეს კახეთში წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

კახეთში არსებული სეპარატიზმის სრული აღმოფხვრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის საკითხს. ავგიორგის დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი ლევანი, რომლებიც ამ დროისათვის კახეთში იმალებოდნენ. ლევანი, როგორც კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე, კახეთში სეპარატიზმის აღორძინებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. “ლეგიტიმურობა, საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში,

თითქმის ყველგან და ყოველთვის, საყოველთაოდ მიღებული და სავალდებულო პრინციპი იყო” [გ. გაბუნია. 1996, გვ. 72]. მართალია, დღევანდელი გადასახედიდან ლევანის ლეგიტიმურობაზე არ შეგვიძლია ვისაუბროთ, რადგან საერთოდ კახეთში მეფის ხელისუფლების არსებობა წარმოგვიდგება სეპარატიზმის გამოვლინებად და საერთო-ქართული ინტერესებისათვის სრულიად მიუღებელ ფენომენად, მაგრამ XVI საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში არსებული რეალობა ლევანს და მის მომხრე რეაქციონერ თავადებს აძლევდათ საფუძველს, რომ თავიანთ ლეგიტიმურობაზე ჰქონოდათ პრეტენზია.

ამ ვითარებაში სავსებით ლოგიკური იყო, როცა ქართლის პოლიტიკურმა მესვეურებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ლევანი და დედამისი შეეპყროთ და ქართლში წამოეყვანათ. კახეთში ამ მიზნით საგანგებო რაზმი გაიგზავნა, რომელსაც ბაგრატ მუხრანბატონი, ამილახორი და ქსნის ერისთავი ხელმძღვანელობდნენ.

ამ დროს კახეთში ყველაზე გავლენიანი თავადები ჩოლოყაშვილები იყვნენ, ამიტომ გასაკვირი არ იქნებოდა, რომ მათ განსაკუთრებით ეაქტიურათ კახეთში არსებული სეპარატიზმის სასარგებლოდ. სწორედ ჩოლოყაშვილების ერთ-ერთი წარმომადგენელი გარსევანი მაღავედა ლევანს და დედამისს. ლევანის დედა გარსევან ჩოლოყაშვილის ახლო ნათესავიც იყო. “სწავლულნი კაცნი” და ვახუშტი ერთნაირად მოგვითხრობენ გარსევან ჩოლოყაშვილის მოხერხებული ტყუილის თაობაზე, რითაც ბაგრატ მუხრანბატონი და მისი თანმხლები პირები დარწმუნდნენ, რომ ლევანის ადგილსამყოფელის შესახებ მან არაფერი იცოდა, რის შემდეგ ქართლიდან კახეთში წარგზავნილი მისია უშედეგოდ დაბრუნდა უკან [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება პირველი ტექსტი, 1959, გვ. 351; ვახუშტი, 1973, გვ. 394].

თუმცა ამ მისიის უშედეგოდ დასრულება მხოლოდ ბაგრატ მუხრანბატონის და მისი თანმხლები პირების გულუბრყვილობით არ უნდა აიხსნებოდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა დ. გვრიტიშვილმა. მისი აზრით, კახეთის მეფობის პრეტენდენტის შეპყრობა და კახეთის სამეფოს გაქრობა არ უნდა ყოფილიყო ბაგრატის ინტერესებში, “თუ კახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული “უკანონო” იყო, ასევე “უკანონოდ” მიიჩნევდნენ სამუხრანბატონოსაც და გააუქმებდნენ. ამდენად დასაშვებად გვეჩვენება, რომ ბაგრატის მისია კახეთში იმიტომ ჩაიშალა, რომ თვით ბაგრატსა და მის მხლებლებს – ამილახორსა და ქსნის ერისთავს საკუთარი ინტერესებისათვის ასე ერჩიათ” [დ. გვრიტიშვილი, 1955, გვ. 367]. ამ მოსაზრებას იზიარებს დ. ნინიძეც [დ. ნინიძე, 1997ბ, გვ. 27].

ეს მოსაზრება გვინდა ჩვენი მხრიდანაც გარკვეულწილად განვამტკიცოთ. როგორც 1548 წლით დათარიღებული საბუთი აჩვენებს, ამ დროისათვის ლევანის ასული ელენე, ბაგრატ მუხრანბატონის ძეზე ერეკლეზე იყო გათხოვილი [ხეც, Ad – 1585]. მართალია, ეს ქორწინება ბაგრატ მუხრანბატონის და მისი თანმხლები პირების კახეთში განხორციელებული მისიის დროიდან დიდი ხნის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ, ალბათ მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქნებ ეს სწორედ იმ კეთილგანწყობილი ურთიერთობის გამოძახილი იყოს, რაც ბაგრატ მუხრანბატონს და ლევანს და მის მომხრე ძალებს შორის 1513 წელს შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო.

ქართლ-კახეთის ერთიანობის თანადროულად 1514 წელს ოსმალეთის და ირანის სახელმწიფოებს შორის პირველი ომი დაიწყო. ეს ომი დროგამოშვებით 1555 წლამდე გრძელდებოდა. მეომარი მხარეების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საქართველოში თავისი ბატონობის დამკვიდრება-განმტკიცება იყო და ამ ომმა თავისი

მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე.

ირან-ოსმალეთის პირველ ომში თავიდანვე აქტიურად აღმოჩნდა ჩართული სამცხის სამთავრო. ამ ომში პირველი დიდი ბრძოლა 1514 წლის 23 აგვისტოს მოხდა ჩალდირანის ველზე. ოსმალებმა მაშინ ირანელებს სასტიკი დამარცხება მიაყენეს. ამ დროს მზეჭაბუკ ათაბაგი ოსმალებს უჭერდა მხარს.

1515 წელს სამცხის ათაბაგის ტახტი დაიკავა ყვარყვარეIII-მ, რომელსაც ხელისუფლების მოპოვების მიზნით ბიძა (მამის ქაიხოსროI-ის ძმა) მანუჩარი დაუპირისპირდა. ორივე მხარე ხელისუფლების დაუფლებისათვის გამართული ბრძოლისას გარეშე ძალას იყენებდა. ყვარყვარეIII-ს ირანელებთან ჰქონდა კავშირი, ხოლო მანუჩარს ოსმალებთან. ეს დაპირისპირება თავდაპირველად მანუჩარის უპირატესობით წარიმართა, მან 1516 წელს დაამარცხა ყვარყვარეIII, რომელმაც დახმარების სათხოვნად ირანში შაჰ-ისმაილს მიაშურა. ირანის შაჰმა სამხედრო რაზმით თავისი სარდალი დივ-სულთან რუმლუ სამცხეში გამოგზავნა. მანუჩარმა დივ-სულთან რუმლუსთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი შუამავლები, რომლებიც ირანელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. შუამავლების დახოცვით შეშინებული მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა. ირანელებმა აიღეს თმოგვის ციხე, სადაც ყვარყვარეს მოწინააღმდეგეები იყვნენ გამაგრებული, სამცხის გამგებლობა ყვარყვარეIII-ს მისცეს და სამცხე დატოვეს. მანუჩარი შექმნილ ვითარებას არ შეეგუა. მისი თხოვნის შედეგად 1518 წელს სამცხეში ოსმალური სამხედრო ძალები შემოვიდნენ. ბრძოლა ყვარყვარეს ძალებს და ოსმალთა შორის ყარაჯა-არდაჰანში შედგა და ის ოსმალთა დამარცხებით დასრულდა. სამცხის სამთავრო ტახტისათვის მიმდინარე დაპირისპირებისას ქართლის მეფე დავითი მანუჩარს უჭერდა მხარს, ხოლო იმერეთის

მეფე ბაგრატ I ყვარყვარეს [ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ.20–21; თურქული წყაროები XVII ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, 1983, გვ. 12–13, 21–22; მ. სვანიძე, 1971, გვ. 52–53].

იმ ვითარებაში როცა ირანს სამცხე-საათაბაგოში თავისი დასაყრდენი ძალა ჰყავდა, ირანის შაჰმა ისმაილმა გადაწყვიტა სამცხის გავლით ქართლის წინააღმდეგ მოეწყო ლაშქრობა. 1518 წელს შაჰ-ისმაილი ნახიჩევანში იმყოფებოდა, იქ მასთან გამოცხადდა ყვარყვარე III, რომელიც შაჰმა დივ-სულთან რუმელუს რაზმთან ერთად საქართველოში გამოგზავნა. დივ-სულთან რუმელუს რაზმმა სამცხე გაიარა, შემდეგ ქართლში შევიდა და გორი და სურამი დაიკავა [ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 21].

დავით მეფემ სისხლისღვრის აცილების მიზნით თავისი შვილი რამაზი შაჰის სარდალთან დიდი ძღვენით გაგზავნა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს სეპარატისტმა კახელმა თავადებმა, ლევანი მისი სამალავიდან ოჩანის ციხიდან გამოიყვანეს და კახეთის მეფედ გამოაცხადეს. ქართლის სამეფო კარი არ აპირებდა შექმნილ მდგომარეობასთან შეუგებებს, მაგრამ ვიდრე ირანელებისგან ქვეყნის აოხრების საფრთხე არსებობდა მანამდე არ შეეძლო საჭირო ზომების მიღება. ახლა მთავარი იყო ირანთან შეთანხმების მიღწევა, რაც მოხერხდა კიდევ. ამ დროს მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, ქართლის მეფე შაჰის მორჩილებას კისრულობდა. შაჰს იმუამად მორჩილება აღუთქვეს ასევე ლევანმა და ყვარყვარე ათაბაგმა. ამრიგად, 1518 წლიდან ქართლის და კახეთის მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანების სახელმწიფოს ვასალები გახდნენ [ვ. გუჩუა, 1973, გვ. 98, 100].

დავით X-ის მეფობაში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართლის ხელისუფლება კრიზისს განიცდიდა. ალბათ, ამიტომ იყო

ქართლის მეფემ ირანთან დაზავების შემდეგ უმაღლესე კახეთში ლაშქრობა რომ ვერ მოაწყო. დავითX-ის ლაშქრობა კახეთში 1520 წელს შედგა. ლევანი მაშინ თავისი მომხრეებით მაღრანის ციხეში გამაგრდა. დავითX-მ ციხეს ალყა შემოარტყა, რამაც ციხეში მყოფნი მძიმე განსაცდელში ჩააგდო და დანებებაზე ფიქრი დააწყებინა.

ამ დროს ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ. დავითX ქართლში ოსმალთა შემოჭრის ცნობას საიდუმლოდ ინახავდა, თუმცა დიდხანს არც ალყის გაგრძელება შეეძლო და დანებების წინადადებით ციხეში შუამავლებად მთავარეპისკოპოსი და ამილახორი შეგზავნა. მოსალოდნელი იყო, რომ სამღვდლო პირს შედარებით ადვილად გაერთმია თავი დაკისრებული მოვალეობისათვის. მაგრამ მთავარეპისკოპოსი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, მან ციხეში მყოფ ლევანის დედას საიდუმლოდ გაუმჟღავნა ქართლის მეფის რეალური მდგომარეობა, რის გამოც ციხის მცველებმა დანებებაზე ხელი აიღეს. ამის შემდეგ დავით მეფემ ციხეს ალყა მოხსნა და ქართლში დაბრუნდა. დავითX-მ ქართლში შემოსული ოსმალები დაამარცხა და მალევე თავისი ლაშქრით კახეთში გადავიდა. თუმცა იქ უკვე ახლა მას სრულიად სხვაგვარი წინააღმდეგობა შეხვდა. იმის მიუხედავად, რომ ქართლის მეფემ ამჯერად თავად კახეთშიც შეავსო თავისი ლაშქრის რიგები. ლევანი მას შედარებით რიცხვმცირე ძალებით მაღაროსთან დახვდა და დაამარცხა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 353; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 490–491; ვახუშტი, 1973, გვ. 396, 571].

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართლის მეფემ მაღრანის ციხეს ალყა მოხსნა, ლევანი ფარულად დაუკავშირდა გურიის ერისთავ მამიას (1512–1534) და მას დავითX-ის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება თხოვა. გურიის ერისთავისთვის ეს თხოვნა მისაღები იყო და ის

სამცხის გავლით ათაბაგის ხელშეწყობით ქართლში გადავიდა. სავარაუდოდ, იმერთა მეფე ბაგრატ III, რომელსაც ემორჩილებოდა გურიის ერისთავი, ქართლში განხორციელებულ ლაშქრობაში ხელს უწყობდა მას. დავით X გურიელს მოხისთან დაუხვდა და იქ შემდგარ ბრძოლაში დამარცხება თავად განიცადა. გურიელი შემდეგ მუხრანისაკენ წავიდა, სადაც მას ლევანც შეუერთდა. დავით X კი, ნიხბისში დადგა და იქიდან აპირებდა მუხრანში მყოფი ძალებისათვის შეტევას, ბაგრატ მუხრანბატონი და ამილახორი კი, ბაზალეთიდან უნდა დასხმოდნენ თავს ლევანს და გურიელს, თუმცა საქმე ბრძოლამდე არ მისულა. გურიელმა დავით მეფეს დაზავების წინადადებით მიმართა და შუამავლის პირით შეუთვალა: მე აქ იმისათვის მოვედი, რომ თქვენსა და ლევანს შორის მშვიდობა დავამყარო და გვეედრებით “რათა ჰყოთ ზავი და სიყვარული თქვენ შორის, რამეთუ არიან მტერნი ძლიერნი გარემოსა ვითარცა ყვენი, რომელი იპყრობს ქუეყანათა” [ვახუშტი, 1973, გვ. 397]. გურიელი ქართლის მეფეს მშვიდობის დამყარებისაკენ კი მოუწოდებდა, რადროსაც მანვე საგარეო ფაქტორზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ, რეალურად ეს სეპარატისტი ერისთავის მხრიდან გამოვლენილი პოლიტიკური სპეკულაცია იყო. იმ ზავს, რომლის დადებისაც გურიელი ითხოვდა, პრაქტიკულად ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის სრულიად მიუღებელი მდგომარეობა უნდა გაემყარებინა.

გურიელის წინადადება ქართლის მეფისათვის მისაღები არ იყო, მას ზავის დადება არ სურდა და ბრძოლის გაგრძელებას ისევ აპირებდა, მაგრამ მოწინააღმდეგე ძალასთან დაპირისპირებისათვის აუცილებელი სამხედრო ძლიერება არ ჰქონდა. დავით მეფეს გავლენიანმა ფეოდალებმა, ეპისკოპოსებმა და აღმოსავლეთ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბასილ VI-მ (1517–1528; 1529–1531) დაზავება ურჩიეს. დავით მეფემაც ამ რჩევის გათვალისწინება მისაღებად სცნო და საბოლოოდ დაპირისპირებული მხარეები დაზავდნენ [ვახუშტი, 1973, გვ. 397].

ამრიგად, ქართლ-კახეთის ერთიანობას ბოლო მოეღო. ქართლის სამეფო კარს არ აღმოაჩნდა საკმარისი პოლიტიკური გამჭრიახობა, რათა კახეთზე კონტროლი შეენარჩუნებინა და შემდეგ სრულიად საქართველოს ერთიანობის აღდგენაზე ეზრუნა. შექმნილ ვითარებაში ქართლის მეფის წინააღმდეგ გასაოცარი კოალიცია შეიქმნა, პრაქტიკულად დავით X-ის წინააღმდეგ თითქმის სრულად გაერთიანდა ყველა სხვა ქართული სამეფო-სამთავროს წინამძღოლი. კოალიციაში შესულ ქართულ სამეფო-სამთავროების წინამძღოლებს, თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ქართლის სამეფოს და “ტფილისის ტახტის”, როგორც საქართველოს ერთიანობის პოტენციური ინიციატორის არანაირი გაძლიერება არ სურდათ. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ამოქმედდა ის პრინციპი, რომლის მეშვეობით ქართველ მეფე-მთავართა მიერ კოალიციის ორგანიზება ხდებოდა გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. ამჯერად საგარეო ფაქტორის ზემოქმედება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე XV საუკუნის 60-იან წლებში. მართალია, ქართლის სამეფომ დავით X-ის მეთაურობით ახლა საგარეო საფრთხის განეიტრალება, ასე თუ ისე ნაწილობრივ შეძლო, მაგრამ საბოლოოდ მოწინააღმდეგე ქართულ სამეფო-სამთავროებს კახეთის შემოსაერთებლად გაჩაღებულ დაპირისპირებაში სათანადოდ რომ ვერ გაუმკლავდა, კახეთიც დაკარგა და შესაბამისად არც სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების შემოერთების მცდელობა არ ჰქონია.

ქართული სამეფო-სამთავროებისათვის მისაღები არ იყო ის ვასალური დამოკიდებულება, რომელიც მათ ირანის სახელმწიფოსთან

1518 წელს ჩამოუყალიბდათ. 1521 წელს ლევან კახთა მეფემ ირანის ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება სცადა და სრულიად მოულოდნელად თავისი ბრძოლის ფრონტი სამშობლოს ფარგლებს გარეთ გადაიტანა. ლევანმა შაქზე მოაწყო თავდასხმა. შაქი ყიზილბაშთა ვასალი იყო, მისმა გამგებელმა დახმარება შაჰ-ისმაილს თხოვა, რომელმაც ურჩი ვასალის დამორჩილების მიზნით, კახეთში დივ-სულთან რუმლუ გამოგზავნა თავისი რაზმით. ყიზილბაშთა რაზმს ლევანმა საჭირო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ყიზილბაშებმა დაარბიეს ზეგამი და გრემი, ლევანი იძულებული გახდა დამორჩილებოდა მტერს. [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 21; ვ. გუჩუა, 1973, გვ. 100]. ირანის სახელმწიფოს მიმართ ხელმეორედ გავასალების შემდეგ ლევან კახთა მეფე პასიურ პოლიტიკაზე გადავიდა, თავის სამფლობელოს ნაჭუჭში დაიმალა და “მართლაც, რომ მხოლოდ კახეთის მეფე იყო, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენაზე ის არ ზრუნავდა” [ნ. ბერძენიშვილი, 1973, გვ. 161].

1522 წელს ირანელებმა უკვე ქართლში მოაწყვეს ლაშქრობა, რაც მნიშვნელოვანწილად ქართლში შემოსახლებულ თურქმანების ადგილობრივ მკვიდრთაგან შევიწროებას უკავშირდებოდა. ამ დროს დავით მეფეს დამხმარე ძალები მოუვიდნენ კახეთიდან და სამცხე-საათაბაგოდან, ამას გარდა ქართლის მეფემ თავისი ლაშქარი ჩრდილო კავკასიაში დაქირავებული ჯარითაც შეავსო და ირანელებს თელეთთან დაუხვდა. იქ შემდგარ ბრძოლაში ირანელებმა დავითX-ის მეთაურობით მოქმედი ლაშქრის დამარცხება შეძლეს. თელეთის ბრძოლაში თავი ისახელა ქართლის მეფის ძე ლუარსაბმა. თავად ქართლის მეფე ამ ბრძოლის შემდეგ შიდა ქართლში შეეცადა ახალი ლაშქრის შეკრებას. ამასობაში ირანელებმა კარგად გამაგრებული თბილისი მისი ციხისთავის ღალატის წყალობით აიღეს და იქ რბევა მოაწყვეს, რასაც თბილისის ციხეში ირანელთა გარნიზონის ჩადგომა

მოყვა. ამის შემდეგ ირანელთა ლაშქრის დიდმა ნაწილმა სამცხე დაარბია და ტყვეებით და სხვა ნადავლით საქართველოს ტერიტორია დატოვა [ვახუშტი, 1973, გვ. 397–399; 571–572; 712, ვ. გუჩუა, 1973ბ, გვ. 100–101].

1522 წელს თელეთის ბრძოლაში ქართლისა და კახეთის სამეფოების და სამცხის სამთავროს მხრიდან გამოვლენილი სამხედრო ერთიანობის ფაქტი, ერთგვარად ამოვარდნილია იმ კონტექსტიდან, რასაც ამ დროს ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარება ქმნის. ცოტა რთულია, ამ გაერთიანების მასშტაბებზე მსჯელობა, ალბათ კახეთიდან და სამცხიდან დავით მეფესთან პატარ-პატარა რაზმები მოვიდნენ, რომელსაც პირადად არასოდეს ახასიათებდა სამხედრო ძლიერება და თელეთის ბრძოლაში ქართველთა ნაწინევი დამარცხება აქედან უნდა გამომდინარეობდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო მხოლოდ კახეთისა და სამცხის დროებითი ტაქტიკური კავშირი ქართლთან, რომელსაც რაიმე მყარი საყრდენი არ გააჩნდა და არც პერსპექტიული არ აღმოჩნდა. როდესაც საქართველოდან ირანელთა ლაშქრის ძირითადი ნაწილი გავიდა და ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლები ერთმანეთის წინაშე მარტონი დარჩნენ, მათ შორის, ისევ ისეთივე დაძაბული ურთიერთობები აღდგა, როგორც თელეთის ბრძოლამდე არსებობდა და საერთო-ქართულ ინტერესებს არ პასუხობდა.

1522 წელს ქართლში ყიზილბაშთა მიერ განხორციელებული ლაშქრობის შედეგების აღმოფხვრა ქართლის ხელისუფლებისათვის რთული არ ყოფილა. 1524 წელს გარდაიცვალა შაჰ-ისმაილი და ირანის ტახტი მისმა მცირეწლოვანმა შვილმა თამაზმა დაიკავა, რასაც ირანში შინაარეულობის დაწყება მოყვა. ამით დავითX-მ კარგად ისარგებლა და თბილისი გაათავისუფლა, შემდეგ აღჯაყალას ციხეც დაანგრია, რასაც იქ შემოსახლებული თურქმანების შევიწროებაც მოყვა. ეს

ქართლის ირანის ვასალობისგან გათავისუფლებასაც ნიშნავდა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 357; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 496; ვახუშტი, 1973, გვ. 399; ვ. გუჩუა, 1973ბ, გვ. 101].

ამ დროიდან ვიდრე XVI საუკუნის 40-იან წლებამდე საქართველოში ყიზილბაშთა ლაშქრობა არ განხორციელებულა. თავად დავით X თბილისის მტრის ხელიდან გამოსხნის შემდეგ სამეფო ტახტზე დიდხანს არ დარჩენილა და 1525 წელს ბერად შედგა. 1525–1527 წლებში ქართლში მეფობდა გიორგი IX. ვახუშტის ცნობით, მას კარგი ურთიერთობა ჰქონია იმერეთისა და კახეთის მეფეებთან და სამცხის ათაბაგთან [ვახუშტი, 1973, გვ. 400–401].

ამგვარად, XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი დაპირისპირება და დაძაბულება არ შენელებულა. ამ ურთიერთობების ცენტრში სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრე ქართლის სამეფო იყო, რომელმაც განდგომილი ქართული პოლიტიკური ერთეულების არაერთი შემოტევა გადაიტანა, თუმცა საბოლოოდ ეს შემოტევები ქართლის სამეფომ მოიგერია, რადგან ქართლზე შეტევისას განდგომილი პოლიტიკური ერთეულების წინამძღოლებმა ვერ შეძლეს ერთმანეთთან კავშირის დამყარება და ცალ-ცალკე ქართლის სამეფო მოწინააღმდეგეებს გაუმკლავდა. ხოლო, როდესაც ერთი-ერთი ქართლზე მოიერიშე სამეფოს არსებობას ქართლის სამეფოს მიღებული კონტრზომების წყალობით საფრთხე დაემუქრა, ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრე სამეფოს წინააღმდეგ დიდი კოალიცია შეიქმნა, რათა სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლებს ძირშივე აღეკვეთათ ქართლის სამეფოს საქართველოს გამაერთიანებელი ყოველგვარი მისიის აღსრულების მცდელობა.

XVI საუკუნის პირველ მეოთხედში თითქმის ყველა ქართული სამეფო-სამთავროს არსებობას შიდა სახელისუფლებო კრიზისი სდევდა თან. ასეთ პირობებში ქართულ სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს მზარდი საფრთხის მქონე საგარეო ფაქტორი. უცხოელმა მტერმა საქართველოში არაერთი ლაშქრობა განახორციელა, მაგრამ ეს ყველა ქართული სამეფო-სამთავროს პოლიტიკურ მესვეურს იქითკენ არ უბიძგებდა, რომ თავისი პირადი ინტერესებისათვის ლაგამი ამოედო და ურთიერთშორის მშვიდობის დამყარებაზე ეფიქრა, რის გამოც საქართველოში არსებული დაშლის შეუქცევადი პროცესი ძალაში დარჩა.

თავი მეოთხე

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის მეორე მეოთხედში

XVI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მიმართ მოქმედი საგარეო საფრთხის სიმწვავემ ერთგვარად იკლო. 1520 წელს ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ავიდა სულეიმანი (1520–1566), რომლის მმართველობის პერიოდში ოსმალეთის იმპერიის ძლიერება ძალიან გაიზარდა, მაგრამ სულეიმანი თავისი მმართველობის დასაწყისში ირანის წინააღმდეგ ომს არ აწარმოებდა და თავისი ძალები ძირითადად ევროპისკენ მიმართა. ამ დროს შესაბამისად საქართველოს მიმართაც იკლო ოსმალთა ყურადღებამ. რაც შეეხება ირანს, იქ სახელისუფლებო კრიზისი იყო და ამ სიტუაციაში ყიზილბაშებს საქართველოსთვის არ ეცალათ.

ქართულმა სამეფო-სამთავროებმა შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციის თავიანთვის სასარგებლოდ გამოყენება, რაც ურთიერთშორის მშვიდობის დამყარებასა და გარეშე მტრის წინააღმდეგ გაერთიანებაში უნდა გამოხატულიყო, ვერ მოახერხეს.

გიორგი IX-ის მეფობაში (1525–1527) ქართლის სამეფო სახლში დაპირისპირება გრძელდებოდა. ტახტის მემკვიდრეობის წესის მიხედვით მეფობა დავით X-ის შვილს ლუარსაბს ეკუთვნოდა და ისიც არ აპირებდა, რომ შექმნილ მდგომარეობას შეგუებოდა და ბიძის მეფობა ეცნო. ლუარსაბმა კავშირი დაამყარა იმერეთის მეფე ბაგრატთან და 1526 წელს ცოლად შეირთო მისი ასული თამარი. იმავე წელს, როგორც ჩანს, ამ კავშირის შედეგად იმერეთის მეფე ბაგრატმა მიიღო ქართლის დასავლეთ რეგიონში მდებარე მიწები – მდინარე ფრონეს გაღმართი, ახლანდელი ქარელისა და ბორჯომის რაიონების ნაწილი და ხაშურის რაიონი (აღი, სურამი, ახალდაბა). ლუარსაბი 1527 წლიდან ქართლში უკვე მეფობას აღწევს. ქართლის სამეფო სახლში ამის შემდეგაც გრძელდებოდა დაპირისპირება. გიორგი IX-ს მეფობის სურვილი არ ასვენებდა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. XVI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში იგი პოლიტიკურ სარბიელს ჩამოშორდა და გერასიმეს სახელით ბერად აღიკვეცა [ვახუშტი, 1973, გვ. 401; ქრონიკები, II, 1897, გვ. 369, 378–379, 384; ჯ. ოდიშელი, 1964, გვ. 86–88; ვ. გუჩუა, 1973ბ, გვ. 102].

ლუარსაბ I-მა ქართლის სამეფოს ტახტზე მთელი თავისი მოღვაწეობა საერთო-ქართული ინტერესებისათვის ბრძოლაში გაატარა და ერთთავად ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ნორმალიზებას უწყობდა ხელს, თუმცა იგი თავისი მეფობის დასაწყისში აქტიურობით ვერ გამოირჩევა, რისი მთავარი მიზეზი ქართლის სამეფო კარზე არსებული დაპირისპირება უნდა ყოფილიყო.

საქართველო ვიდრე ოსმალთა ყურადღების ცენტრში დროებით არ იყო, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა ჯიქების მიმართ ერთობლივი ძალებით აქტიური პოლიტიკის გატარება მიიჩნიეს საჭიროდ. ჯიქები ადრევე მოექცნენ ოსმალთა გავლენაში და აოხრების მიზნით ხშირად თავს ესხმოდნენ გურია-ოდიშ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლს. ჯიქეთზე ოსმალების დასავლეთ საქართველოზე შეტევის ერთ-ერთი მიმართულებაც გადიოდა.

1533 წლის იანვარში ქართველთა ფლოტი მამია I გურიელისა და მამია III დადიანის ხელმძღვანელობით ჯიქეთს გაემართა. ორი მამიას სარდლობით მოქმედ ლაშქარში გურიისა და ოდიშის საერისთავოებიდან გამოსულ მეომრებთან ერთად, იმერეთის სამეფოდან წარგზავნილი მეომრებიც შედიოდნენ. ბაგრატ იმერთა მეფეს ამ ლაშქრობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ლაშქრობის საერთო თაოსანი იგი უნდა ყოფილიყო [შ. მესხია, 1958, გვ. 283; მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 32].

1533 წელს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ჯიქეთზე განხორციელებული ლაშქრობა ქართველთა პირველ სადესანტო ოპერაციას წარმოადგენდა. ლაშქრობის დროც საგანგებოდ იყო შერჩეული. ამ ხანებში შავ ზღვაზე ნაოსნობა შემოდგომით წყდებოდა და შემდეგ გაზაფხულის მეორე ნახევრიდან აღდგებოდა ხოლმე, ამიტომ იანვარში ჯიქები ქართველთა თავდასხმის მომლოდინენი არ უნდა ყოფილიყვნენ [თ. ბერაძე, 1981, გვ. 75; Т. Берадзе, 1989, გვ. 207].

1533 წლის 30 იანვარს შედგა მამია გურიელის და მამია დადიანის სარდლობით მოქმედი ქართველთა ლაშქრის და ჯიქების პირველი ბრძოლა და იგი ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ მეორე დღეს, ვიდრე ქართველებსა და ჯიქებს შორის კიდევ

ერთი ბრძოლა შედგებოდა, ოდიშის საერისთავოს წარმომადგენლებმა ბრძოლის ველი მიატოვეს და უკან გამობრუნდნენ. თუმცა თავად მამია დადიანს, თავისი საერისთავოს წარმომადგენლებისთვის არ მიუბაძავს და ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო. მაგრამ ახლა უკვე ქართველთა ლაშქარში ამ ბრძოლის მსვლელობაში დალატს ჰქონდა ადგილი, რამაც ქართველთა დამარცხება გამოიწვია. ჯიქებმა მამია დადიანი შეიპყრეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ბრძოლაში დაეცა მამია გურიელის ვაჟი გიორგი, თავად მამია გურიელი, მისი ძმები და ლაშქრის ძირითადი ნაწილი ჯიქების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ტყვეები შემდეგ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქმა მალაქია I-მა¹ გამოისყიდა [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 497; ვახუშტი, 1973, გვ. 81; ცხოვრება საქართველოსა, 1980, გვ. 42; ქრონიკები, II, 1897, გვ. 378–379; მცირე ქრონიკები, 1968, გვ. 55].

ქართულ ისტორიოგრაფიაში მოლატის შესახებ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა, ჩვენ გვინდა გავიზიაროთ ბ. ლომინაძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ დალატი ცანდია ინალიფამ ჩაიდინა [ბ. ლომინაძე, 1966, გვ. 210]. ეს ცანდია ინალიფა ჯიქეთში მოქმედ დასავლეთ საქართველოდან წარგზავნილ ლაშქარში აფხაზეთის წარმომადგენლობის წევრი იყო და შესაძლებელია დალატის აქტი გამოხატავს ამ წარმომადგენლობის მეთაურის შერვაშიძის და მისი დაჯგუფების მისწრაფებას, რათა ნებისმიერი საშუალებით იბრძოლონ თავიანთი სეპარატისტული პოზიციების გასაძლიერებლად და დამოუკიდებლობის მისაღწევად [З. Анчабадзе, 1959, გვ. 258–260].

ამრიგად, 1533 წელს გამოვლენილმა დასავლურ ქართულმა

¹მალაქია I (აბაშიძე) აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1519–XVI ს-ის 40-იან წლებში [თ. ქორიძე, 2000, გვ. 138].

სამხედრო ერთიანობამ უშედეგოდ ჩაიარა. ქართველთა დამარცხების მთავარი მიზეზი მოწინააღმდეგის ძლიერება არ იყო, არამედ თავად ქართველთა შორის არსებული არაორგანიზებულობა და უთანხმოება. გაუგებარია, თავად იმერთა მეფე ბაგრატ III უშუალოდ რატომ არ მონაწილეობდა ქართველთა მიერ ჯიქეთში განხორციელებულ ლაშქრობაში. მას შეიძლებოდა სამხედრო ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელის, მთავარსარდლის ფუნქცია დაკისრებოდა და ეს სავსებით შეეფერებოდა. ამ დროს დასავლურ ქართული შიდაურთიერთობები დაძაბული არ იყო და ოდიშისა და გურიის ერისთავები იმერთა მეფის უზენაესობას აღიარებდნენ კიდევ. ამ სიტუაციაში ნამდვილად შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო, რომ ბაგრატ III-ს სამხედრო ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელობაზე ჰქონოდა პრეტენზია. მას სარდლის რანგში რომ წარმატების მოპოვება შეეძლო, ამას ჩვენ ქვემოთ ვნახავთ. ქართველთა ლაშქარში მტკიცე და ძლიერი ხელმძღვანელის ფაქტორის არარსებობის პირობებში კი, ეს ერთგვარად უნიკალური შემთხვევა – ქართველთა მიერ უცხოტომელთა მიმართ შეტევითი სამხედრო ოპერაციის განხორციელება, რასაც გვიან შუა საუკუნეებში ძალიან იშვიათად ჰქონდა ადგილი, ქართველთათვის ცუდად დასრულდა.

ამასობაში ოსმალეთის სახელმწიფომ დიდი წარმატებები მოიპოვა ევროპის ტერიტორიაზე წარმოებულ საომარ მოქმედებებში. ოსმალებმა დაიპყრეს უნგრეთი. ამის შემდეგ ოსმალეთის სულთანმა სულეიმან I-მა გადაწყვიტა თავისი ძირითადი ძალები ირანის წინააღმდეგ მიემართა. 1533 წლის 22 ივნისს ოსმალეთ-ავსტრიის ზავი დაიდო და ოსმალებმა იმავე წელს ირანთან ომი განაახლეს. საომარი მოქმედებები მათი უპირატესობით წარიმართა.

ოსმალეთის საქართველოზე შეტევის მთავარი მიმართულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამცხე-საათაბაგოს მოიცავდა. ბაგრატ III-მ

1533 წელს გადაწყვეტილება მიიღო, რომ სამცხეში ლაშქრობა მოეწყო. სამცხე, რასაკვირველია ოსმალთა განსაკუთრებულ დაინტერესებასაც იწვევდა და იმერთა მეფის ეს ჩანაფიქრი დიდი რისკის შემცველი იყო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იქცევს “სწავლულ კაცთა” მიერ მოწოდებული ცნობა, რომელიც ბაგრატ მეფის 1535 წელს სამცხეში განხორციელებულ ლაშქრობას ეხება: ”ათაბაგი ყუარყუარე მიუდგა ხონთქარსა და რა სცნა ესე მპყრობელმან იმერეთისამან ბაგრატ, შეიყარა სპა თუსი იმერელნი და მიუვლინა კაცი კახაბერსა გურიელსა¹, და მოჰყვა იგიცა ბაგრატს, გარდავლეს მთა და მიუკდენ ყუარყუარე ათაბაგსა მუჯახეთს” [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 354].

“სწავლულ კაცთა” მიერ მოწოდებული ცნობა, თუ სიმართლეს შეესაბამება და იმის მაუწყებელია, რომ ირანისა და საქართველოს მიმართულებით მობრუნებულ ოსმალეთის სულთან სულეიმან პირველთან ყვარყვარე ათაბაგმა კავშირი დაამყარა, რაც შემდეგ ბაგრატიანთა ცნობილი გახდა, მაშინ იმერთა მეფეს თავიდანვე დიდი რისკი შეგნებულად გაუწევია, როცა სამცხეში შეტევითი სამხედრო ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა, რადგან ბაგრატი, პრაქტიკულად უკვე თავად ოსმალეთის უძლიერეს სახელმწიფოს უნდა დაპირისპირებოდა.

ბაგრატ მეფემ, ვიდრე სამცხეში სალაშქროდ გადავიდოდა ოდიშის ერისთავ ლევან დადიანს და გურიის ერისთავ როსტომ გურიელს სამხედრო ძალით დახმარების წინადადებით მიმართა: ”ეზრახა დადიან-გურიელსა და აღუთქვა გურიელსა რომელიცა ეპყრა პირველ სამცხისანი. ესე განიხარა გურიელმან და მიერთო ბაგრატს. ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისათუს მოერთო იგიცა ბაგრატს”

¹“სწავლული კაცი” შეცდომით თვლიან, რომ ამ დროს გურიის ერისთავი არის არა როსტომი, არამედ კახაბერი.

[ვახუშტი, 1973, გვ. 712]. ბაგრატო გურიელს სამცხის ათაბაგის დამარცხების შემთხვევაში აჭარის და ლაზეთის გადაცემას შეპირდა, რამაც შემდეგ დადიანის უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც ისედაც თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით არ ამოდგომია ბაგრატს მხარში სამცხის ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასავლეთ საქართველოდან სამცხეში გადასულ ბაგრატIII-ის ლაშქარს და ყვარყვარეIII ათაბაგის ლაშქარს შორის ბრძოლა შედგა 1535 წლის 12 აგვისტოს ახალქალაქის ახლოს მურჯახეთთან და ის სამცხის მთავრის დამარცხებით დასრულდა. თავად ყვარყვარეIII გურიელის მერიქიფემ ისაკ ართუმელაძემ შეიპყრო და გურიელს მიჰგვარა, გურიელმა კი, სამცხის ათაბაგი ბაგრატს გადასცა. ყვარყვარეIII შემდეგ მალე იმერეთში პატიმრობაში გარდაიცვალა. გურიელმა კი, მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ ბაგრატისაგან აჭარა და ლაზეთი მიიღო [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 354; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 487; ვახუშტი, 1973, გვ. 712–714, 811].

საყურადღებოა ვახუშტის ის ცნობა, რომელიც 1535 წელს ბაგრატ იმერთა მეფის სამცხის მიმართ გამოვლენილი აქტივობის მიმართ ქართლის მეფის ლუარსაბI-ის რეაქციას ეხება: ”შეიპყრა იმერთ მეფემან ბაგრატ ათაბაგი ყუარყუარე და დაიპყრა სამცხე. ესე შეუძნდა მეფესა ლუარსაბს, არამედ ვერარაჲ არგო. გარნა ლუარსაბ მეფემან დაიპყრო ჯავახეთი და კერძონი მისნი” [ვახუშტი, 1973, გვ. 401–402]. ამ ცნობიდან ისე გამოდის, რომ 1535 წელს ბაგრატის სამცხის მიმართ მიღებული ზომები ლუარსაბისათვის მისაღები არ ყოფილა. ამ შემთხვევაში, რთულია გადაჭრით თქმა ვახუშტის ცნობა სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში ლუარსაბის რაიმენაირი მტრობა იმერთა მეფის მიმართ მურჯახეთის ბრძოლამდე, ან ამ ბრძოლის შემდეგ არ დასტურდება, თუმცა, ალბათ, შეიძლება

ლუარსაბის ეს რეაქცია იმით ავსნათ, რომ ის ბაგრატის საბოლოო წარმატებაში არ იყო დარწმუნებული (რისი საფუძველიც ქართლის მეფეს ნამდვილად ჰქონდა) და ძმათამკვლელი ხმალთაკვეთება, რაც ბაგრატის სამცხეში ლაშქრით გადასვლას მოყვა, ამიტომ იწვევდა ქართლის მეფის პროტესტის გრძნობას.

სამცხის თავადური რეაქცია არ აპირებდა შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას. სამცხე-საათაბაგოს ყველაზე გავლენიან თავად ოთარ შალიკაშვილს ოსმალებთან ჰქონდა კავშირი და მათი დახმარებით ყვარყვარე III-ის შვილის ქაიხოსროს სამცხის ათაბაგად დასმა ჰქონდა განზრახული. თავად ოსმალებისთვისაც, რასაკვირველია სრულიად მიუღებელი იყო მოვლენების ისეთი განვითარება, როგორსაც მაშინ სამცხეში ჰქონდა ადგილი. 1536 წლის 4 ივლისს არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ხანი თავისი ლაშქრით სამცხის წინააღმდეგ დაიძრა. ოსმალთა ლაშქარს სამცხეში ძლიერი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, თუმცა საბოლოოდ ეს ლაშქრობა ოსმალთათვის მაინც წარმატებით დასრულდა და სამცხეში ოსმალებმა ურიცხვი ნადავლი იგდეს ხელთ [იბრაჰიმ ფეხევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 25; ვ. გუჩუა, 1973ბ, გვ. 104].

არზრუმის ბეგლარბეგის სამცხეში განხორციელებული ლაშქრობა ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოსმალებმა ამ დროს ტაოსა და კლარჯეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე სანჯაყები დაარსეს: ოლთისის, ართვინის, კისკიმის და ნარმანის. “ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ოსმალები სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე სანჯაყებს აარსებენ. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ოსმალებმა დაიწყეს სამცხეში დაპყრობილ ტერიტორიაზე თავისი მმართველობისა და წესების დანერგვა – ქვეყნის გაოსმალება” [მ. სვანიძე, 1971, გვ. 57].

საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილზე უცხო სახელმწიფოს მმართველობისა და წესების დანერგვის პროცესის დასაწყისი დიდი უბედურების მაუწყებელი იყო და იქ ქართველობის აღმოფხვრის და გადაგვარების წინაპირობას წარმოადგენდა. სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი საშინელ განსაცდელში ჩავარდა. ამ დროს ბაგრატ მეფისაგან საჭირო კონტრზომების მიღების შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, ისიც საკითხავია იმერთა მეფეს რეალურად ჰქონდა თუ არა ამის გაკეთების შესაძლებლობა. მისი პოლიტიკის ნაკლი უფრო იმაში მდგომარეობს, რომ 1535 წელს სამცხეში განხორციელებული ლაშქრობით, რასაც ძმათამკველი ომი მოყვა, მან ოსმალეთის უძლიერეს სახელმწიფოს ამ მიმართულებით, პრაქტიკულად გამოწვევა გაუკეთა და შემდეგ რომ სამცხეში ოსმალთა მოძალებას სათანადო წინააღმდეგობით ვერ შეხვდა, ეს გასაკვირი არ იყო, რადგან ამის გაკეთების საშუალება მას არ ჰქონდა, ბაგრატ იმერთა მეფეს ოსმალეების დამარცხება არ შეეძლო.

საერთოდ, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ ბაგრატIII-ის 1535 წელს სამცხეში განხორციელებული ლაშქრობა ჩავთვალოთ ამ მიმართულებით ოსმალთა გააქტიურების მიზეზად. ოსმალეები, ალბათ სამცხეში დროთა განმავლობაში მაინც შეუდგებოდნენ თავიანთი მმართველობისა და წესების დანერგვას, მაგრამ ბაგრატIII-ის სამცხეში განხორციელებულმა ლაშქრობამ, შეიძლება ითქვას, სამცხეში გაოსმალეების პროცესის დაწყება ერთგვარად დააჩქარა.

ამასობაში ჩვენი სამხრეთელი მეზობლების საგარეო პოლიტიკაში კიდევ ერთხელ ჰქონდა ადგილი გარკვეული ტაქტიკური სახის ცვლილებებს. 1536 წელს ოსმალეთის სულთანი სულეიმანი I ირანის მიმართულებით განხორციელებული ლაშქრობიდან სტამბოლში დაბრუნდა და ყურადღება ევროპა-აფრიკის მიმართულებით გადაიტანა.

ამით ისარგებლა ირანის შაჰმა თამაზმა (1524–1576), რომელსაც ამ დროისათვის თავისი მმართველობის დასაწყისში ირანში წარმოქმნილი სახელისუფლებო კრიზისი უკვე დაძლეული ჰქონდა და ამიერკავკასიის მიმართ აქტიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა. 1538 წელს ყიზილბაშებმა შირვანი დაიპყრეს. ამ დროიდან შირვანის სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობას ბოლო მოეღო და ის სეფევიდების პროვინციად – საბეგლარბეგოდ იქცა [ვ. გუჩუა, 1973ბ, გვ. 104].

შაჰ-თამაზისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საკითხს, ამიტომ შირვანის დამორჩილების შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყება ძალიან დიდხანს აღარ გადასდო და 1541 წელს საქართველოში ლაშქრობა განახორციელა. ამ ლაშქრობის მთელი სიმძიმის გადატანა ქართლის სამეფოს მოუწია.

მანამდე კი, 1540 წელს ლუარსაბ მეფემ ოსმალეთის სულთანს ელჩი გაუგზავნა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა, მაგრამ სულთანმა ქართლის მეფეს დახმარების აღმოჩენაზე უარი განუცხადა [ლ. ტარდი, 1980, გვ. 51; ვ. საითიძე, 1998, გვ. 105].

შაჰ-თამაზის ლაშქარი 1541 წელს საქართველოს წინააღმდეგ ყარაბაღიდან დაიძრა და თბილისს მოულოდნელად მიაღწია. შაჰ-თამაზს ქართლის მეფის უჩუმრად შეპყრობა სურდა, მაგრამ ამ დროს ლუარსაბი თბილისში არ იმყოფებოდა, მას შვილი ჰყავდა გარდაცვლილი და თავისი ახლობლებით და მეომრებით მცხეთას იყო წასული მიცვალებულის დასასაფლაველად. ამის გამო მტერმა ქართლის მეფის შეპყრობა ვერ მოახერხა. თბილისის ციხის აღება ყიზილბაშებმა კი, გულბაათ ციხისთავის დალატის წყალობით ადვილად შეძლეს. თბილისის ციხეში შაჰ-თამაზმა თავისი გარნიზონი ჩააყენა და ტყვეების დიდი რაოდენობით და სხვა ნადავლით საქართველო დატოვა [ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ,

1966, გვ. 22-23; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 357; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 496-497; ვახუშტი, 1973, გვ. 402].

შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულ ლაშქრობებს დიდი გავლენა ჰქონდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე. ისე გამოვიდა, რომ “ამ ლაშქრობათა შედეგად ქართლის სამეფომ დაკარგა თავისი მოკავშირეები – კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რომელთა მეფეებმაც მორჩილება გამოუცხადეს შაჰ-თამაზს” [ვ. სილოგავა, კ. შენგელია, 2007, გვ. 170]. შაჰ-თამაზის პირველ ლაშქრობამდე ლუარსაბ მეფეს იმერეთის და კახეთის მეფეებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. ახლა კი, როცა შაჰ-თამაზმა ქართლის წინააღმდეგ ძლიერი ლაშქრობა განახორციელა, ამან, როგორც ჩანს, იმერეთის და კახეთის მეფეებზე დამრთქუნველად იმოქმედა. ირანის შაჰი საქართველოში განხორციელებული ლაშქრობის შემდეგ ამიერკავკასიიდან არ იყო გასული, ყარაბაღს იმყოფებოდა, როდესაც მასთან იმერეთის და კახეთის მეფეები გამოცხადნენ და მორჩილება გამოუცხადეს. ბაგრატმა შაჰ-თამაზს სამხედრო ძალით დახმარებაც თხოვა, რაც იმერთა მეფეს სამცხის მიმართულებით საწარმოებელ ბრძოლაში სჭირდებოდა. ირანის შაჰმა ქართველი მეფეებისგან მორჩილების გამოცხადება მოიწონა და ისინი დაასახუქრა, ხოლო ბაგრატს სამხედრო ძალით დახმარებაზე უარი განუცხადა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 357; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 498; ვახუშტი, 1973, გვ. 572, 812].

იმერეთის და კახეთის მეფეების მიერ შაჰ-თამაზისთვის მორჩილების გამოცხადების ფაქტის შეფასებასთან დაკავშირებით, ჩვენ გვინდა მ. რეხვიაშვილის იმ მოსაზრებას შევხვით, რომელიც ბაგრატ იმერთა მეფის შაჰ-თამაზის მიმართ გადადგმულ ნაბიჯს ეხება: “აქ

ძირითადი მაინც ისაა, რომ ბაგრატს სწორი პოლიტიკური აღლო ჰქონდა. ოსმალების მოძალების ვითარებაში ერთადერთ რეალურ ძალად, ვინც შეიძლებოდა ამ უკანასკნელთ დაპირისპირებოდა, შაჰის ირანი იყო. თანაც ირანი იმერეთის მიმართ იმ მიზნებს ვერ დაისახავდა, რასაც ოსმალეთი. სამცხის დაპყრობილი ნაწილი ამის თვალნათელი მაგალითი იყო, ამიტომ სავსებით გამართლებული იყო ბაგრატის აღნიშნული ნაბიჯი”. [მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 36]. ამასთან მ. რეხვიაშვილს მოაქვს “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტის ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ, როდესაც ირანის შაჰს შეხვდა ბაგრატი “იყო მაშინ შაჰ-თამაზ ფრიად უცალო, ვერა ათხოვა ჯარი, და მისცა საბოძვარი მრავალი, და მით შემწე ეყო, და წარვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა სამცხეს” [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 498], რის შემდეგ აღნიშნავს: “შაჰ-თამაზთან იმერეთის მეფის დაკავშირებას და მისგან “შემწეობის” მიღებას გარკვეული ნაყოფი გამოუღია. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ამის შემდეგ ბაგრატ იმერთა მეფემ თურქებს წაართვა მათ მიერ დაპყრობილი ტაო-კლარჯეთის ტერიტორია (მთლიანად თუ არა დიდი ნაწილი მაინც). ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტის ცნობა, რომ მას შემდეგ რაც შაჰ-თამაზმა ბაგრატს “მოსცა ნიჭნი დიდნი და წარმოავლინა დიდ-პატივცემული და მოვიდა სამცხესვე, აღილო ციხენი სამცხისანი და დაიპყრა თვსად” [მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 36; ვახუშტი, 1973, გვ. 812]. იმის დამადასტურებლად, რომ ბაგრატმა, მართლაც უკან დაიბრუნა სამცხე-საათაბაგოში ოსმალების მიერ დაპყრობილი გარკვეული ტერიტორია, მ. რეხვიაშვილს მიაჩნია ის, რომ, როდესაც 1543 წელს ოსმალთა 22 ათასიანი ჯარი შემოიჭრა სამცხეში, მაშინ ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ოლთისის ციხეს. ოლთისი კი, 1536 წელს ერთ-ერთი სანჯაყის ცენტრად იყო გადაქცეული. “ე. ი. ბაგრატს მართლაც უკან დაუბრუნებია თურქების მიერ დაკავებული ციხეები” [მ. რეხვიაშვილი,

1989, გვ. 36–37].

გვიან შუა საუკუნეებში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების ცალკეული ნაბიჯების შეფასებისას, ჩვენ აუცილებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს საერთო-ქართული ინტერესები და არა რომელიმე ცალკეული ქართული მხარის, სადაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი გარკვეული სახის სახელმწიფოებრიობა არსებობს. ისე კი, არსებითად ამ ცალკეულ ქართულ მხარესაც ერთადერთი განსაკუთრებული ინტერესი შეიძლება ჰქონოდა – ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენა და მის ნაწილად გადაქცევა. ცალკეული ქართული მხარის რაიმე სხვა ინტერესს თანაგრძნობით უნდა შევხედოთ, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ეს ცალკეული ქართული მხარე შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმალურად ცდილობს ერთიანობის მიღწევას, მაგრამ ამის რეალურად განხორციელების საშუალება არ არსებობს და ძალაუვნებურად უწევს დამოუკიდებლად არსებობა, რა დროსაც თავისი სხვადასხვაგვარი ინტერესი ბუნებრივად უჩნდება და შესაბამისად ჩნდება ამ სხვადასხვაგვარი ინტერესის დაცვის აუცილებლობაც. თუ რომელიმე ცალკეულ ქართულ მხარეში არსებული პოლიტიკური ერთეულის წინამძღოლს, ამ შემთხვევაში იმერეთის მეფის, რომელიმე ნაბიჯი მხოლოდ იმერეთის ინტერესებს პასუხობს და საქართველოს დანარჩენი ნაწილის ინტერესებს ეწინააღმდეგება, მაშინ, რასაკვირველია არ იქნება მართებული, რომ იმერეთის მეფის ეს ნაბიჯი დადებითად შევაფასოთ და გავამართლოთ. თუ ქართლში ირანელთა ლაშქრობები წარმატებით განვითარდებოდა და ისინი ლუარსაბს დაამარცხებდნენ და დაიმორჩილებდნენ, ეს საერთო-ქართული ინტერესებისათვის მხოლოდ ზიანის მომტანი იქნებოდა და ამიტომ ბაგრატ იმერთა მეფის და ლევან კახთა მეფის შაჰ-თამაზისთვის მორჩილების გამოცხადების ფაქტი დადებით შეფასებას

არ იმსახურებს. იმერეთის და კახეთის მეფეებს შაჰ-თამაზისთვის მორჩილება კი არ უნდა გამოეცხადებინათ, არამედ ქართლის მეფისათვის უნდა დაეჭირათ მხარი მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახლა რაც შეეხება იმას თავად იმერეთს რა ერგო შაჰ-თამაზის კეთილგანწყობის მოპოვებით და მისგან “შემწეობის” მიღებით, ის “შემწეობა” რაზეც მ. რეხვიაშვილი ამახვილებს ყურადღებას იმ დროის დიპლომატიური ურთიერთობისთვის თანმხლებ ჩვეულებრივ საჩუქრებს გულისხმობს და ბაგრატს იმ სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, რომლითაც ის სამცხეში ოსმალების მიერ დაკავებული ციხეების დაბრუნებას შეძლებდა, ნაკლებად გამოადგებოდა. საერთოდ, ერთ სამხედრო ოპერაციაში შაჰ-თამაზი მართლაც, რომ დახმარებოდა იმერთა მეფეს, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენ მოვლენა მთლიანობაში უნდა მოვიაზროთ და მთლიანობაში ბაგრატის პოლიტიკამ სამცხესთან მიმართებით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მარცხი განიცადა. ირანის შაჰს ბაგრატისთვის ამ, ან სხვა რომელიმე მიმართულებით, რეალურად არანაირი ხელშესახები დახმარება არ გაუწევია.

ამასობაში ოსმალებმა 1543 წელს სამცხის წინააღმდეგ კიდევ ერთი ლაშქრობა განახორციელეს. სამცხის თავადური რეაქცია ყოველმხრივ უწყობდა ხელს ოსმალთა მიერ სამცხეში განხორციელებულ ლაშქრობებს. ამ ლაშქრობის წინ ოთარ შალიკაშვილმა “აუწყა ყოველი ყოფილი ბაგრატისაგან ხონთქარსა, რამეთუ სამსახურისა მისისათვის უყო ბაგრატ ესე ყოველი, ოდეს ჩაუძღუა იმერეთს ათაბაგი სპითა მისთა” [ვახუშტი, 1973, გვ. 713]. ოთარ შალიკაშვილი 1510 წელს ოსმალთა მიერ იმერეთში განხორციელებულ ლაშქრობაში მზეჭაბუკ ათაბაგის მისიას უკავშირებდა ბაგრატის სამცხის მიმართ გამოვლენილ აქტიუობას და ოსმალთა ინტერესების მიმართ თავისი სამშობლოს საწინააღმდეგოდ საშინელ პოლიტიკურ

სპეკულაციას ეწეოდა.

ამჯერად სამცხეში შემოსულ ოსმალთა ლაშქარს, რომლის შემადგენლობაში 22 ათასი მეომარი შედიოდა არზრუმის მმართველი მუსა ფაშა სარდლობდა. ბაგრატ მეფემ მუსა ფაშას სარდლობით მოქმედი ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ საჭირო ზომები მიიღო, ციხეები გაამაგრა, ლაშქარი შეკრიბა და გურიელსა და დადიანს დახმარებისკენ მოუწოდა. გურიელი ბაგრატ მეფის გვერდით დადგა, ხოლო გურიელისთვის მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ აჭარის და ლაზეთის გადაცემით განაწყენებულმა დადიანმა იმერთა მეფეს დახმარებაზე უარი განუცხადა.

ოსმალთა ლაშქარი, რომელსაც შეიარაღებაში ევროპული ზარბაზნები ჰქონდა ბრძოლით მიაღწია ოლთისის ციხეს. ოლთისელი მეციხოვნეები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. იქ ბაგრატ მეფეც მივიდა და თავიც ისახელა. მან თავდაპირველად მუსა ფაშა თავისი ლაშქრის ერთი ნაწილით ოლთისის ციხის მიდამოებიდან გაიტყუა, შემდეგ კი, ჯერ ოლთისის ციხესთან დარჩენილი ოსმალთა ლაშქარი გაანადგურა, მერე კი, მუსა ფაშას თანმხლებ ლაშქარს ქარაღაქთან დაეწია და იქ მოუღო ბოლო. თავად მუსა ფაშა ბრძოლაში მოკლეს [იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები, საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1966, გვ. 23–24; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 358; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 498; ვახუშტი, 1973, გვ. 713, 812].

ამის შემდეგ ოთარ შალიკაშვილმა ქაიხოსროსთან ერთად კიდევ ერთხელ მიმართა ოსმალებს სამცხეში ლაშქრობის განხორციელების თხოვნით. თუმცა მათ თხოვნა არც სჭირდებოდათ, ისინი შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას ისედაც არ აპირებდნენ. 1545 წელს სამცხეში არზრუმისა და დიარბექირის ფაშების სარდლობით ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოვიდა. ბაგრატIII-მ ისევ თხოვა

დახმარება გურიელსა და დადიანს. გურიელი თავისი ლაშქრით ბაგრატის გვერდით დადგა, ხოლო დადიანმა ბაგრატს დახმარებაზე ამჯერადაც უარი განუცხადა.

ბაგრატ იმერთა მეფემ ქართლის მეფესაც თხოვა ოსმალების წინააღმდეგ სამხედრო ძალით დახმარება. ეს ფაქტი საინტერესოდ აქვთ გადმოცემული XVIII საუკუნის ქართველ მემატიანეებს. ისინი არამარტო ფაქტს აღწერენ, არამედ იქვე ერთგვარად ლუარსაბის მთელი მოღვაწეობის შეფასებას ახდენენ.

“სწავლულ კაცთა” მიხედვით, როდესაც ბაგრატმა შეიტყო ოსმალთა დიდი ლაშქრის საქართველოში წამოსვლის შესახებ, მათ წინააღმდეგ “დაჰპატიუა მეფესა ქართლისასა ლუარსაბს... ხოლო მეფესა ქართლისასა ლუარსაბს დაღაცათუ არავინ ეშუელებოდა უსჯულოთა ზედა, არამედ თვთ რაოდენ ძალ-ედვა არა დაზოგის თავი და წარვიდის და მიეშუელის, რამეთუ ეძვნებოდა საქართველოსათუს, ვითარცა მამასა შვილთათუს, და შეიყარა სპა თუსი და წარვიდა ბაგრატთანა” [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 358].

“ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტი ბაგრატის ოსმალების წინააღმდეგ ლუარსაბის მიმართ გაკეთებულ დახმარების თხოვნასთან დაკავშირებით აღნიშნავს: “ხოლო მეფე ლუარსაბ იყო კაცი სახიერი და ფრიად ზრუნვიდა საქართველოსათუს, და ეძვნებოდა უსჯულოთა ზედა-მოსვლისათუს და დაკნინებად საქრისტეანოსა. მაშინ მოუწოდა სპათა საქართველოსათა და წარემართა შეწევნად ბაგრატისა, რამეთუ ამან მეფემან ლუარსაბ მრავალგზის აწვივნა იმერელნი, მესხნი და კახნი შეწევნად უსჯულოთა ზედა, არამედ იგინი არა თანა-შემწე ექმნეს და ესოდენ უმეტეს მოურნე იყო მათთუს, ვითარცა მამა შვილთათუს ტკბილ არს და ღმობიერ, ეგრეთვე ესეცა ტკბილ იყო მათთუს და არა ძურის მოვსენე” [ახალი ქართლის

ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 499].

ბაგრატიის თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ოსმალების წინააღმდეგ ლუარსაბის სამხედრო ძალით დახმარებას ეხება, ვახუშტი ასეთ რაიმეს წერს: “არამედ ლუარსაბ მეფესა, თუმცა არავინ ემწეოდა განძლიერებისა მისისათვის, გარნა ლუარსაბს ეძვნებოდა ტყუეობა საქართველოსი, შემცირება და განხეთქილება თვსთავან და მტერთა მიერ, რათა არა იქმნას მაჰმადიანად. ამის მიზეზისათვის შემოიკრიბნა სპანი და წარვიდა შეწევნად ბაგრატიისად” [ვახუშტი, 1973, გვ. 403].

ქართველ მემკვიდრეები სავსებით მართებულად აფასებენ ლუარსაბI-ის მოღვაწეობას. ქართლის მეფე არ იფარგლებოდა პირადი კერძობითი და ვიწრო კუთხური ინტერესებით, იგი საერთო-ქართული ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, ავმეხსიერი არ იყო და იმ ქართულ სამეფო-სამთავროებსაც კი, ეხმარებოდა საჭიროების უამს, რომელთა წინამძღოლნიც განსაცდელში მას მარტო ტოვებდნენ. ლუარსაბის პოლიტიკა ნამდვილად, რომ სრულიად საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული.

ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყვნენ ოსმალო მოლაშქრეები. ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ქართველთა ლაშქარში მესხი მეომრებიც იყვნენ და მათსა და ლუარსაბის თანმხლებ მეომრებს შორის წინამბრძოლობის საკითხმა შექმნა დაპირისპირება. ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ხანაში არსებულ საქართველოს ლაშქარში წინამბრძოლობა მესხებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ახლა სრულიად სხვაგვარი რეალობა იყო და ქართლის მეფის მოლაშქრეებმა ჩათვალეს საჭიროდ წინამბრძოლობა. ლუარსაბის მეომრები მესხებს ამ საქმეში ტყუილუბრალოდ არ შეეცდებოდნენ. წინამბრძოლზე ყოველთვის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იყო დაკისრებული. ამ დროს მესხი

მეომრების საბრძოლო მზადყოფნა მოსალოდნელია რომ არაღამაკმაყოფილებელი იქნებოდა, ისინი რიცხვმცირენიც იქნებოდნენ. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მესხმა მეომრებმა ქართველთა ლაშქარი საერთოდ მიატოვეს. მესხ მეომრებს, რომ ამ საქმის ჩადენა შეეძლოთ, ესეც მეტყველებს მათ რეალურ არასახარბიელო მდგომარეობაზე და იმაზე, რომ მათზე წინამბრძოლობის ფუნქციის დაკისრება არ უნდა ყოფილიყო მართებული. მესხი მეომრების მიერ ქართველთა ლაშქრის მიტოვების ფაქტს ლუარსაბის, ბაგრატის და როსტომ გურიელის თანმხლები მეომრების საბრძოლო სულისკვეთებაზე, რასაკვირველია უარყოფითად უნდა ემოქმედა, რაც ქართველთა და ოსმალთა შორის შემდგარი ბრძოლის საბოლოო შედეგზეც იქონიებდა თავის გარკვეულ გავლენას.

ეს ბრძოლა კი, 1545 წელს ბასიანში სოხოისტას ველზე შედგა, მთელი დღე გაგრძელდა და ოსმალთა რიგებში უზარმაზარი მსხვერპლიც გამოიწვია. თუმცა ოსმალების მრავალრიცხოვნებამ თავისი საქმე მაინც გაააკეთა, ბრძოლაში დაეცა როსტომ გურიელის ვაჟი ქაიხოსრო, მრავალი ქართველი მეომარი და საბოლოოდ ქართველთა თავდადებული ბრძოლა მათი დამარცხებით დასრულდა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 358; ვახუშტი, გვ. 403, 713, 812; ქრონიკები, II, 1897, გვ. 387].

საქართველოს შემდგომი დროის სვე-ბედის განსაზღვრისათვის სოხოისტას ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროიდან ოსმალები ძალიან მტკიცედ შემოვიდნენ სამცხე-საათაბაგოში და თანდათანობით თავიანთი მმართველობისა და წესების დანერგვის პროცესის გაფართოებას შეუდგნენ. ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ოსმალებს სამცხის დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი და კლარჯეთი აღარც დაუტოვებიათ. სოხოისტას ბრძოლას დიდი გავლენა ჰქონდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ

ურთიერთობებზე. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ამ დროს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართლისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობა ისე გაუმჯობესდა, რომ მათი სამხედრო ძალები საგარეო მტრის წინააღმდეგ ერთად გამოვიდნენ. ამით საქართველოს ერთიანობის გამომხატველი დანაწევრებული ისტორიული ბირთვის გაერთიანების ერთგვარი პერსპექტივაც კი გაჩნდა, მაგრამ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ქართლისა და იმერეთის ურთიერთობაში არსებულ წინსვლას გზა გადაეღობა. ბაგრატმა სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ქართლის სამეფოსთან კავშირის შენარჩუნება აღარ ინდომა და ისევ ლუარსაბის დაუძინებელი მტრის შაჰ-თამაზის მიმართ თანამშრომლობაზე აიღო გეზი. ამასთანავე, სოხოისტას ბრძოლაში დამარცხებამ, როგორც ჩანს, იმერთა მეფის სულიერ განწყობილებაზე ძალიან ცუდად იმოქმედა და მას შემდეგ დამარცხებათა მთელი კასკადი დაატყდა თავს.

სოხოისტას ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა სამცხის ათაბაგად დასვეს ქაიხოსრო¹ (1545–1573) და მაშინვე სამცხის ციხეების გამაგრებას მიჰყვეს ხელი. ეს ოთარ შალიკაშვილის რჩევითაც ხდებოდა, “რამეთუ ეტყოდა ოსმალთა: ”უკეთუ დაიპყრათ ციხენი. გერხდენ ქუეყანა ესე საუკუნოდ”, ვინადოგან ეშინოდა ბაგრატისაგან კუალად დაპყრობისა, რამეთუ ბაგრატს ჰყვა მწედ მეფე ქართლისაცა” [ვახუშტი, 1973, გვ. 713–714]. ოთარ შალიკაშვილის რჩევა ოსმალებისათვის ნამდვილად სასარგებლო და გასათვალისწინებელი იყო, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: ”არსად საქართველოში მაჰმადიანობას ფეხი არ მოუკიდია, ვიდრე დამპყრობელმა, ქვეყანაში ციხე არ ჩადგა (ასე იყო სამცხე-საათაბაგოს, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, კახეთში, იმერეთში). ციხე

¹იგი სამცხის ათაბაგის რანგში ქაიხოსროII-დ იწოდება.

დამპყრობელთა მეციხოვნეებით, იყო საშუალო საუკუნეებში ქვეყნის დაპყრობის ნიშანი და ამ დაპყრობის გარანტიაც, ხოლო გამაჰმადიანება-გადაგვარების პროცესი შეიძლებოდა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დაწყებულიყო” [ნ. ბერძენიშვილი, 1967, გვ. 122-123].

აღსანიშნავია, რომ სოხოსტას ბრძოლის შემდეგ ახლო ხანებში ქაიხოსრო II ათაბაგი მუხრანბატონების სიძე გახდა. “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტის და ვახუშტის მიხედვით, ქაიხოსრომ პირველი მუხრანბატონის ბაგრატის ასული დედისიმედი შეირთო ცოლად [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ.500; ვახუშტი, 1973, გვ. 714]. “სწავლული კაცნიც” გვაუწყებენ ქაიხოსროს მიერ დედისიმედის შერთვის თაობაზე, თუმცა მათი აზრით, დედისიმედი აშოთან ბაგრატის ძე მუხრანბატონის ასულია [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 359].

იმ დროს როცა ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს ოსმალებთან და მათ პროტექტ ქაიხოსროსთან ბრძოლა ახალი გადატანილი ჰქონდა, ცოცხალი არ იყოს გასაკვირია, ქაიხოსროს მუხრანბატონებთან დანათესავება. აქ თავისთავად ჩნდება ვარაუდი, რომ მუხრანბატონები სოხოსტას ბრძოლაში ლუარსაბის აქტიური მხარდამჭერები არ უნდა ყოფილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ ეს ქორწინება არ შედგებოდა.

1546 წელს იმერთა მეფე ბაგრატ III თავისი ლაშქრით კიდევ ერთხელ გადავიდა სამცხის ტერიტორიაზე. მაგრამ იმ პირობებში, როცა იმერთა მეფე მოკავშირეების გარეშე მოქმედებდა და ოსმალებს სამცხეში დიდი ძალები ჰყავდათ კონცენტრირებული მის ლაშქრობას წარმატების პერსპექტივა არ ჰქონდა. ის კი, აღსანიშნავია, რომ ამ ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას ბაგრატ III-მ სამცხიდან იმერეთში აწყურის ღვთისმშობლის ხატი წაასვენა [ახალი ქართლის ცხოვრება,

მესამე ტექსტი, 1959, გვ. 500–501; ვახუშტი, 1973, გვ. 813].

ამგვარად, ბაგრატIII-ის 1535 წელს წამოწყებული კამპანია, რომელიც იმერეთის სამეფოსათვის სამცხე-საათაბაგოს შეერთებას ისახავდა მიზნად მარცხით დასრულდა. ბაგრატIII-მ თავისი და მოწინააღმდეგის ძალები რეალურად ვერ შეაფასა, სამცხეში განხორციელებული თავისი შეტევითი სამხედრო ოპერაციით, რასაც მურჯახეთის ბრძოლა მოჰყვა, ოსმალებს ერთგვარი გამოწვევა გაუკეთა, შემდეგ კი, როდესაც ოსმალებმა სამცხეში თავისი მმართველობისა და წესების დანერგვა დაიწყეს და მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალების კონცენტრაცია მოახდინა, მან ოსმალებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დამარცხება განიცადა. ბაგრატIII-ს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ღია სამხედრო ტიპის დაპირისპირებაში ოსმალეთის უძლიერეს იმპერიას ვერ დაამარცხებდა და ოსმალეთის განსაკუთრებული დაინტერესების მქონე რეგიონზე – სამცხე-საათაბაგოზე ამგვარი მიდგომით თავის ძალაუფლებას ვერ გაავრცელებდა. ამიტომაც, ჩვენი აზრით, 1535–1546 წლებში ბაგრატIII-ის სამცხის მიმართ გამოვლენილი აქტივობა უარყოფით შეფასებას იმსახურებს. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმერთა მეფის და სამცხის მმართველი წრეების და ოსმალეთის იმპერიის დაპირისპირება 1545–1546 წლებში არ დასრულებულა და ეს დაპირისპირება ერთ-ერთი მიზეზი გახდა XVI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, გურიისა და ოდიშის საერისთავოების იმერეთის სამეფოსაგან სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ქართლის მეფე ლუარსაბI თავის გავლენას ჯავახეთში ისევ ინარჩუნებდა, რაც სამცხის ათაბაგ ქაიხოსრო მეორისთვის, რასაკვირველია მისაღები არ იყო. ამასთანავე, სამცხის ათაბაგისათვის აუტანელი გახდა ის პოლიტიკა, რომელსაც ოსმალეთი სამცხეში ატარებდა. რთულ მდგომარეობაში მყოფმა

ქაიხოსრო II-მ და მისმა მომხრეებმა შაჰ-თამაზს მიმართეს დახმარების თხოვნით. ირანის შაჰი ათაბაგის თხოვნას კმაყოფილებით გამოეხმაურა და 1547 წლის იანვარში ყიზილბაშთა ჯარი საქართველოში შემოვიდა. ირანელთა ჯარმა ჯავახეთი დაარბია, რის შემდეგ ქვემო ქართლს შეესია, სადაც ბევრი სახიზარი აიღო და მრავალი ადამიანი დაატყვევა. შაჰის ლაშქრობის მთავარი მიზანი ლუარსაბის წინააღმდეგობის გატეხა და მისგან მორჩილების მიღება იყო და არა ქაიხოსრო II-ის პოზიციების გაძლიერება, რაც, რეალურად არც მომხდარა. ქართლის მეფე კი, მტრისათვის ქედის მოხრას არ აპირებდა. ამ დროს ყიზილბაშებსაც დიდი ზარალი ჰქონდათ, ამიტომ ლაშქრობა აღარ გააგრძელეს, მოპოვებული ნადავლით დაკმაყოფილდნენ და უკან გაბრუნდნენ [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 25-26; ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 5].

დიდი ინტერესის შემცველია ის პოზიცია, რაც შაჰ-თამაზის 1547 წლის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ლაშქრობისას იმერთა და კახთა მეფეებმა გამოავლინეს.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, შაჰ-თამაზი აყ-შაჰრში¹ იმყოფებოდა, სადაც მასთან “ლევან-ხანი, კახეთის, ზაგემისა და გრემის მმართველი, და ბაში-ახუკის მეფე ბაგრატ, რომელიც ხალხში ბაქრათის სახელით არის ცნობილი, ქვეყნის საფარველ სასახლეში მოვიდნენ, ფეშქაში, და ბაჯო და ხარაჯ მიაართვეს და ამ იღბლიან ლაშქრობაში მონურად ემსახურებოდნენ ძლევა მოსილ ამაღას” [ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969, გვ. 17]. ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს, რომ “კახეთის ბატონი ლევან და იმერეთის მეფე ბაგრატ ძღვნითა და კარგის ფეშქაშით ყაენსთან მოვიდნენ, ის ლაშქრობა ერთგულად იმსახურეს” [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 5].

¹აყ-შაჰრს ამ დროს ახალქალაქს ეძახდნენ, [გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958, გვ. 306-307]

ამ ცნობების საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ბაგრატ იმერთა მეფე და ლევან კახთა მეფე ლაშქრობის მსვლელობისას გამოცხადნენ ირანის შაჰთან და მას საომარ მოქმედებებში დახმარება გაუწიეს.

იმის გამოსარკვევად იმერეთისა და კახეთის მეფეებმა მართლაც მიიღეს თუ არა მონაწილეობა შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულ მეორე ლაშქრობაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჰასან რუმლუს ცნობებს, ვინაიდან ის პირადად იღებდა მონაწილეობას ამ ლაშქრობაში. ჰასან რუმლუ აღწერს ირანელთა მძიმე ბრძოლას, რისი გადახდაც მათ ამ ლაშქრობისას საქართველოს ტერიტორიაზე მოუწიათ და მიუთითებს, რომ მხოლოდ საქართველოს დატოვების შემდეგ გამოცხადნენ მორჩილების გამოსაცხადებლად შაჰთან ქართველი მეფეები, რომლებიც შაჰმა დაასაჩუქრა და თავთავიანთ სამეფოებში დააბრუნა [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 26]. ამდენად, ჩვენ გვინდა დავეთანხმეთ რ. კიკნაძეს და მ. რეხვიაშვილს რომლებიც ჰასან რუმლუს ამ ცნობის საფუძველზე მიიჩნევენ, რომ შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულ მეორე ლაშქრობაში ბაგრატ იმერთა მეფეს და ლევან კახთა მეფეს მონაწილეობა არ მიუღიათ [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 58; მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 42].

საერთოდ კი, შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულმა მეორე ლაშქრობამ ქართული სამეფო სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები იმ მდგომარეობაში დააბრუნა, რომელშიც იგი სოხოსტას ბრძოლამდე იმყოფებოდა, რადგან ბაგრატმა ანგარიში არ გაუწია ლუარსაბის დახმარებას, რაც მან იმერთა მეფეს სულ რაღაც ორი წლის წინ გაუწია, შაჰ-თამაზს ისევ მოუხარა ქედი და ქართლის მეფის დახმარებაზე არ უფიქრია. ლევან კახთა მეფემაც ძველებურად

შაჰ-თამაზს მორჩილება გამოუცხადა. შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულ პირველ ლაშქრობასთან შედარებით ამჯერად გარკვეული სიახლე აღინიშნა იმით, რომ ახლა პირველი ლაშქრობიდან განსხვავებით სამცხის ათაბაგი და მისი მომხრეები ირანის შაჰს უჭერდნენ მხარს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ქართლის მეფეს ყიზილბაშებმა ვერც ამ ლაშქრობისას მოახრევეინეს ქედი, რასაც შექმნილ რთულ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბაგრატ იმერთა მეფემ სამცხე-საათაბაგოს მიმართ წარმოებული წარუმატებელი კამპანიის შემდეგ ოდიშისა და გურიის ერისთავების მიმართ მეტისმეტად მკაცრი პოლიტიკის გატარება მიიჩნია საჭიროდ. ბაგრატმა თავდაპირველად ყურადღება ოდიშის ერისთავ ლევან დადიანს მიაპყრო, რომელიც მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ იმერთა მეფეს პრაქტიკულად განუდგა.

ბაგრატმა ლევან დადიანი 1548 წელს ხონში დარბაზობაზე მიიწვია და შეიპყრო. ალბათ, უფრო ლოგიკური უნდა ყოფილიყო იმერთა მეფეს ოდიშის ერისთავთან დარბაზობა ქუთაისში რომ დაენიშნა, თუმცა, შეიძლება დადიანს იქ მისვლის შეშინებოდა, ოდიშის მოსაზღვრე ხონში მისვლას კი, დადიანი არ შეუშინდა, რითაც ჭკუაში წააგო. ბაგრატს სურდა გურიის ერისთავის როსტომ გურიელის შეპყრობაც. იმერთა მეფემ გურიელს წინადადებით მიმართა, რათა ერთად ელაშქრათ და დაენაწილებინათ ოდიშის საერისთავო. “სწავლული კაცი” გადმოგვცემენ რომ ბაგრატმა “გაუგზავნა გურიელსა კაცი და ესრეთ შეუთვალა: “დადიანი დავიჭირე და ჰელთ მყავსო, წარვიდეთ ოდიშს, ვილაშქროთო, ნახევარი შენი იყოსო და ნახევარი ჩემიო”. და რა ესმა ესე გურიელს, იფიქრა და თქუა ესრეთ: ”დადიანი შეუპყრია და ოდიშს დაიპყრობს და მერმედ ჩემს ქუეყანასა წამართმევსო და სულ გაიერთებსო, – ეგრეთაცა სწადდა ბაგრატს და აღარ მიუდგა გურიელი” [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის

ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 359].

ვახუშტიც “სწავლულ კაცთა” მსგავსად გადმოგვცემს ბაგრატის გურიელის მიმართ გაკეთებული წინადადების თაობაზე და ამასთანავე იმასაც აღნიშნავს, რომ “ენება ბაგრატს ჳელთგდება მისიცა და ჳყოს ყოველი იმერეთი ერთ საბრძანებლად ვითარცა პირველ” [ვახუშტი, 1973, გვ. 813].

ამრიგად, “სწავლული კაცნი” და ვახუშტი იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ ამ შემთხვევაში ბაგრატ იმერთა მეფეს გურიის და ოდიშის საერისთავოების საერთოდ გაუქმება ჳქონდა მიზნად დასახული.

რაც შეეხება გურიელის პასუხს ბაგრატის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე, ის მიუხვდა რა იმერთა მეფეს ჩანაფიქრს, მას ასე შეუთვალა: ”ოდეს ვეწყუნით ოსმალთა, მიერ ჳამითგან მიზეზობენ და უმეტეს ათაბაგი; აწ უკეთუ დაუტეო ქუეყანა ჩემი, მოვიდნენ და მიმიღონ. ამით ვერ ძალ მიცს მოსლვა, გარნა განგიზრახავ, რათა შემოიმტკიცო დადიანი ფიცით და განუტეო” [ვახუშტი, 1973, გვ. 813].

ბაგრატ იმერთა მეფემ, როდესაც გურიელის პასუხი შეიტყო განრისხდა და დადიანისთვის თვალისჩინის წართმევა განიზრახა, მაგრამ შემდეგ ეს მალე გადაიფიქრა, რადგან მისი აზრით, ამას შეიძლებოდა ოდიშის საერისთავოს მკვიდრთა გურიელისადმი მიმხრობა გამოეწვია. ამის გამო ბაგრატი ლევან დადიანის გელათის სამრეკლოში დაპატიმრებით დაკმაყოფილდა და სხვაგვარი ზომების მიღებისგან თავი შეიკავა.

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, როგორც ჩანს, ფხიზლად ადევნებდა თვალს ქაიხოსროII და მან საჭიროდ მიიჩნია დადიანის ბაგრატის ტყვეობიდან გამოსხნა. სამცხის ათაბაგისთვის გურიისა და ოდიშის ერისთავები იმერთა მეფესთან დაპირისპირებაში პოტენციური მოკავშირეები იყვნენ. მართალია, სამცხის ათაბაგებს გურიის ერისთავებთან აჭარის და ლაზეთის გამო ხანგრძლივი

დაპირისპირება ჰქონდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა ამ მიმართულებით თანდათანობით თავისი პოლიტიკა გააქტიურა აჭარის და ლაზეთის გამო სამცხისა და გურიის წინამძღოლების დაპირისპირება ნელ-ნელა აზრს კარგავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამცხის და გურიის წინამძღოლები აჭარის და ლაზეთის გამო ერთმანეთზე სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულნი არ ყოფილან და მათთვის საჭირო სიტუაციაში საერთო ენის გამონახვა შეეძლოთ. ასეთი სიტუაცია შეიქმნა, მაგალითად, 1520 წელს, როდესაც სამცხის ათაბაგის ხელშეწყობით გურიის ერისთავმა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი ლაშქრობა განახორციელა. სეპარატისტი მმართველები იმ პოტენციური ცენტრის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლებოდა ქვეყნის გაერთიანება დაეწყო და მათი პირადი უზნეო ინტერესებისათვის რაიმე ზიანი მიეყენებინა, როგორც წესი, ძალიან ადვილად პოულობდნენ ხოლმე საერთო ენას, ურთიერთშორის არსებულ შუღლს ივიწყებდნენ და ერთიანდებოდნენ.

რაც შეეხება სამცხის ათაბაგის ლევან დადიანის მიმართ არსებულ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, იმის გარდა, რომ ის შექმნილ ვითარებაში, ზოგადად სამცხის ათაბაგის პოტენციური მოკავშირე იყო იმერთა მეფესთან დაპირისპირებაში, სამცხის ათაბაგის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დადიანის მიმართ შეიძლება დამატებით კიდევ ერთ ფაქტორთან იყოს დაკავშირებული, რაზეც, ჩვენი აზრით, საფუძვლიან ვარაუდს გამოთქვამს მ. კაპანაძე. მისი აზრით, ქაიხოსროს ადრიდანვე უნდა ჰქონოდა კავშირი ლევან დადიანთან და ამის გამო არ ეხმარებოდა იგი ბაგრატს სამცხეში წარმოებულ ბრძოლებში, ხოლო შემდეგ ამ კავშირის შედეგი ტყვედმყოფი დადიანისათვის ათაბაგის დახმარებაში გამოიხატა [მ. კაპანაძე, 2005ბ, გვ. 12]. ლევან დადიანის ადრეულ კავშირზე ქაიხოსროსთან ვარაუდს ასევე გამოთქვამს ს. ხოსიტაშვილი [ს.

ხოსიტაშვილი, 1972, გვ. 179].

ქაიხოსრო ათაბაგმა კავშირი დაამყარა იმერეთის გავლენიან თავად ხოფილანდრე ჩხეიძესთან, რომელმაც ათაბაგის ნებით გელათის სამრეკლოში დამწვევდელი ლევან დადიანი გამოაპარა და ახალციხეში ჩაიყვანა. ამის შემდეგ ქაიხოსრო დაუკავშირდა გურიელს და დადიანისთვის მხარდაჭერის გაწევა თხოვა. გურიელმა მიიღო ქაიხოსროს წინადადება, ლევანი ოდიშში გადაიყვანა და ხელისუფლების მოპოვებაში დაეხმარა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 360; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 501; ვახუშტი, 1973, გვ. 813].

ამ დროიდან გურია და ოდიში დამოუკიდებელ სამთავროებად გვევლინებიან. იმერეთის მეფის ხელისუფლება შემოსაზღვრულია იმერეთით, გურიელს და დადიანს მტკიცედ უპყრიათ მთავრის ყველა უფლება [ო. სოსელია, 1954, გვ. 125–126].

ამგვარად, დაირღვა ამ დრომდე ასე თუ ისე შენარჩუნებული დასავლურ ქართული მთლიანობა, რომელსაც სათავეში იმერთა მეფე ედგა. ბაგრატIII-ის აქტივობამ, როგორც წინა შემთხვევაში სამცხის, ისე ახლა გურიის და ოდიშის მიმართ, გარკვეულწილად უკუშედეგი გამოიღო და არსებითად მდგომარეობა წინანდელთან შედარებით უფრო მეტად დამძიმდა. იმერთა მეფემ საერთოდ დაკარგა ყოველგვარი კონტროლი გურიისა და ოდიშის საეისთავოებზე. გურიისა და ოდიშის ერისთავებმა გაერთიანებული ძალებით პირისპირ მყოფი ისეთი ძალა დაამარცხეს, რომელიც მათ სეპარატისტულ საქმიანობას უშუალო საფრთხეს უქმნიდა.

XVI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღებულ პოლიტიკურ ბატალიებში ჩვენ ვერ ვხედავთ ქართლის მეფის როლს. იმერთა მეფემ აუცილებლად არ ჩათვალა, რომ ერისთავებთან არსებული დაპირისპირებისას ღუარსაბისათვის

დახმარება ეთხოვა, თორემ, თუ ქართლის მეფის პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის დამახასიათებელ მთავარ მომენტებს მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართლის მეფე ყველაფრის მიუხედავად, ბაგრატIII-ს ერისთავებთან დაპირისპირების საქმეში საჭირო დახმარებას აღმოუჩენდა. ბაგრატIII-ს კი, შაჰ-თამაზის მიმართ გამოვლენილმა მორჩილებამ ერისთავებთან მიმართებით არავითარი სარგებლობა არ მოუტანა და ალბათ, უფრო პირიქით მოხდა, რადგან ამ დროს სამცხის ათაბაგი უკვე ოსმალეთის სულთნის მიმართ მორჩილებას არ ავლენდა და ირანის შაჰის მხარეს იყო გადასული, რაზეც მისი მოწვევით 1547 წელს ირანის შაჰის მიერ საქართველოში განხორციელებული ლაშქრობა მეტყველებს, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მას იმერთა მეფის წინააღმდეგ გამოსატყუელი თავისი მოქმედება ირანის შაჰთან არ შეეთანხმებინა. ირანის შაჰისთვის კი, სავსებით მისაღები იყო საქართველოს დაშლადანაწევრების პროცესის გადრმავება და მისი ნების გამოსატყულებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ გურიისა და ოდიშის წინამძღოლების იმერთა მეფის კონტროლიდან გამოსვლა.

1547 წელს განახლდა დროებით შეჩერებული ირან-ოსმალეთის ომი. საომარი მოქმედებები ოსმალთა უპირატესობით წარიმართა და მათი ჯარი თავრიზშიც კი შევიდა. 1549 წლის გაზაფხულზე სულთანმა უკვე სამცხეში ლაშქრობის მოწყობა ბრძანა. სულთნის ბრძანების შესრულებას მეჭმედ ფაშამ უხელმძღვანელა. მეჭმედ ფაშას სარდლობით ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შემდეგი ციხე-ქალაქები დაიპყრეს: ფარნაკი (ბარაკანი), ქიამხისი (კომკისა), ფანაკი (ბანაკი), პერნაკი, ქუჩუკი, სამადარი და ახა. ოსმალების ამ აშკარა აგრესიას ქართველებმა აჯანყებით უპასუხეს. რის საწინააღმდეგოდ სულთანმა სამცხეში 1549 წლის 25 აგვისტოს აჭმედ ფაშას სარდლობით 40 ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა. ოსმალებმა

ამჯერად მთლიანად დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი და ამასთანავე, ამ დროს 1536 წელს დაარსებული 4 სანჯაყი საბეგლარბეგოდ აქციეს [იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები, საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 26–28; მ. სვანიძე, 1971, გვ. 63–67; გ. საითიძე, 1998, გვ. 110].

სამცხე-საათაბაგოს პარალელურად ოსმალები ლაზეთის და აჭარის მიმართულებით ანხორციელებენ აგრესიას. ოსმალებმა თავდაპირველად ლაზეთი დაიპყრეს, რის შემდეგ ბათუმს მოვიდნენ და ციხე-სიმაგრის შენება იწყეს. გურიელი ოსმალებს არ შეუშინდა, ბრძოლა გაუმართა და დაამარცხა. ოსმალები ჭოროხზე ნავებით გადავიდნენ. ამ დროს მდინარე ადიღებუღი იყო, გურიელს კი, ნავები არ გააჩნდა და ამიტომ ვერ მოახერხა მდინარის გადალახვა და მტრისთვის კიდევ ერთი დამარცხების მიყენება. თუმცა გურიელს, ამის მიუხედავად, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტა არ უფიქრია. იგი დაუკავშირდა იმერთა მეფე ბაგრატს და ოდიშის მთავარ ლევანს, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა და მათ მიმართ სავსებით გააზრებული გაფრთხილებაც გააკეთა „უკეთუ ამათ მიერ წამაცდინეს მას უკან თქუნხედაც მოიწევა ამათ მიერ დიდი ვნება“ [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 360].

დადიანმა მხედველობაში მიიღო რა გურიელის დახმარება, რომელიც მას ბაგრატის ტყვეობიდან განთავისუფლებულს ოდიშში ხელისუფლების მოპოვებაში ძლიერ დაეხმარა, გადაწყვიტა გურიელს მხარში ამოდგომოდა. დადიანმა შეკრიბა ლაშქარი და გარკვეული ხნით ფოთში დაისადგურა. ბაგრატ იმერთა მეფემ გურიელისა და დადიანის ერთიანობა თავისთვის სახიფათოდ მიიჩნია, თავისი ძმა ვახტანგი 500 მოლაშქრით დადიანთან და გურიელთან გაგზავნა და მათ შორის უთანხმოების ჩამოგდება დაავალა.

ვახტანგი თავისი მოლაშქრეებით საჯავახოს მივიდა და იქიდან დადიანს შეუთვალა: “ვინაიდან ვარ ფუცებული შენდა, აწ უწყოდე თუმცა შეიკრიბნეთ შენ და გურიელი, აქუს გურიელისაგან პირი ძმასა ჩემსა, დაგესხმის იგი, ანუ მოგაკუდინებენ და ანუ შეგიპყრობენ“ [ვახუშტი, 1973, გვ. 814]. ვახტანგის ტყუილმა თავის მიზანს მიაღწია, „მაშინ მეგრელთა გამოიკითხეს ზაკულება ესე, უკუნ-იქცნენ ფოთიდან და წარვიდნენ თუსად“ [ვახუშტი, 1973, გვ. 814].

ამის შემდეგ ვახტანგი გურიელთან მივიდა. გურიელს კი, დადიანის იმედი ჰქონდა, ის რომ არ მიუვიდა და თავადაც ნაგები ვერ იშოვა, რათა ჭოროხი გადაელახა, ოსმალებთან ბრძოლაზე ხელი აიღო, რასაც უკვე ოსმალთა მხრიდან გონიოს ციხის აგება მოყვა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 502; ვახუშტი, 1973, გვ. 814].

ოსმალებმა გონიოს ციხე საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ პლაცდარმად აქციეს, სადაც თითქმის მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში გარნიზონი ჰყავდათ ჩაყენებული. გონიოს ციხემ დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ამ ციხეს ერთმანეთზე განაწყენებული დასავლელ ქართველი მეფე-მთავრები ხშირად სტუმრობდნენ, იქიდან ოსმალთა ჯარი გადმოჰყავდათ და ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გონიოს ციხე ზოგჯერ აღმოსავლურ ქართული პოლიტიკური ერთეულების შიდაურთიერთობებშიც თამაშობდა თავის უარყოფით როლს.

იმ პოლიტიკურ ბატალიებში, რასაც ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე ოსმალთა შემოსვლა და გონიოს ციხის ფაქტორის გაჩენა მოყვა, ძალიან საყურადღებოდ წარმოჩინდა იმერთა მეფის ბაგრატIII-ის როლი. მან თავისი მოქმედებით, შეიძლება ითქვას, მტრის მიზნების განხორციელებას შეუწყო ხელი. გაუგებარია იმერთა

მეფისათვის რა საფრთხე უნდა შეექმნა ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ გურიელთან, დადიანის ძალების გაერთიანებას. მას, ალბათ უფრო მთავრების მიმართ შურისძიების წყურვილი ამოძრავებდა. ამ შემთხვევაში ბაგრატIII-ის სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება ისეთივე დონეზე აღმოჩნდა, როგორც ამ დროს ჩვეულებრივ სეპარატისტ მმართველს ახასიათებდა.

ამასობაში ოსმალეთი განაგრძობდა სამცხე-საათაბაგოს მიმართულებით სამხედრო ოპერაციების წარმოებას. არაერთი ქართული წყარო მიუთითებს, რომ 1550 წელს ოსმალებმა ტაო დაიპყრეს [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 500; ვახუშტი, 1973, გვ. 716; ქრონიკები, II, 1897, გვ. 391]. ოსმალები ტაოში ამ დროისათვის საკმაო ხნის შემოსული იყვნენ. ამ დაპყრობაში ქართული წყაროები, შესაძლებელია ამ ეტაპზე იმ წინააღმდეგობის კერების აღმოფხვრას გულისხმობენ, რომელიც მაშინ იქ ადგილობრივ აჯანყებულ ძალებს უნდა შეექმნათ.

1551 წელს სამცხე-საათაბაგოში არზრუმის ფაშა ისქანდერი შემოიჭრა და თავისი ჯარით არტანუჯის ციხეს ალყა შემოარტყა. სწორედ ამ დროს ქართლის მეფე ლუარსაბმა სამცხის მიმართულებით ლაშქრობა მოაწყო. ამასთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ლუარსაბი ხედავდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის მხრით საქართველოს ალაყაფის კარები ერღვეოდა. ასეთ გარემოებაში ქართლის მეფემ გადაწყვიტა საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობა, რომ ოსმალეთის შემდგომი აგრესიისათვის ამ მიმართულებით გზა შეეკრა“ [ნ. ბერძენიშვილი, 1973, გვ. 55]. ამ მოსაზრებას იზიარებს შ. მესხიაც [შ. მესხია, 1991, გვ. 5].

ლუარსაბის ლაშქრობამ სამცხე-საათაბაგოში თავისი გარკვეული განვითარება კპოვა. ამ ლაშქრობას თავად სამცხელთა შორისაც აღმოაჩნდა მომხრეები. ქაიხოსრო ათაბაგმა კი, ქართლის მეფის

წინააღმდეგ ირანის შაჰს თხოვა დახმარება. შაჰ-თამაზი ამ დროს შაქში იმყოფებოდა, სადაც მივიდნენ ქაიხოსროს ელჩები და ირანის შაჰს გადასცეს ათაბაგის დანაბარები, რომ ლუარსაბ მეფე შევიდა ქაიხოსროს სამფლობელოში და ტერიტორიები დაიკავა, ხოლო ისქანდერ ფაშა კიდევ არტანუჯის მიმართულებით ანვითარებს შეტევას და ირანის შაჰმა უნდა ილაშქროს სამცხეში [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 28–29; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 364; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 505]. ვიდრე ამ ელჩობის პასუხად შაჰ-თამაზის მიღებულ ზომებს შეეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც ირანის შაჰმა კახეთის მეფის ლევანის ხელშეწყობით ამ ხანებში შაქის მიმართ განახორციელა.

შაქის მთავარი დერვიშ მაჰმად ხანი ირანის შაჰის მიმართ ურჩობას ავლენდა. შაჰ-თამაზმა გადაწყვიტა შაქის უმკაცრესი დასჯა და ამ საქმეში შირვანის შაჰის აბდულახან უსტაჯლუს და კახეთის მეფის ლევანის სამხედრო ძალების გამოყენება მიიჩნია უმჯობესად. შაქის მთავარი დერვიშ მაჰმად ხანი ჯერ გიშის ციხეში შეიკეტა და იქიდან სცადა წინააღმდეგობის გაწევა, შემდეგ კი, როცა ასეთი ტაქტიკა უპერსპექტივო გახდა ციხიდან გამოვიდა, მაგრამ თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ მაინც ვერაფერი გააწყო. შაქის მთავარი შირვანშაჰმა და კახეთის მეფემ ტყვედ ჩაიგდეს და სიცოცხლეს გამოასალმეს [ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969, გვ. 18–19; ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 3–4; ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 247].

1551 წელს შაქის სახელმწიფოს არსებობა დასრულდა, იგი სეფიანების ჩვეულებრივ პროვინციად გადაიქცა. მართალია, შაქთან ლევან კახთა მეფეს დაპირისპირება თავის მხრიდანაც ჰქონდა, მაგრამ ამჯერად მისი მხრიდან გამოვლენილი ასეთი აქტივობა ყოველად

გაუმართლებელი იყო. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „მართალია, კახთა ბატონმა მოუსვენარი და მარბეველი შაქის დასჯაში მონაწილეობა მიიღო და ამით გული მოიოხა, მაგრამ თუ ლეონ მეფე მთელ ამ საქმის შედეგს ჩაუკვირდებოდა, მას უნდა ეგრძნო, რომ საქართველოს მდგომარეობა სპარსთა შაქში გაბატონებით წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო გაუარესდებოდა და ამიტომაც საზიანო იყო“ [ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 247]. ლეონ კახთა მეფის შაქის მიმართ დაშვებული შეცდომის შედეგი მოგვიანებით საქართველოში მოვლენების განვითარებაზე მკაფიოდ აღიბეჭდა.

შაქში მეოფმა შაჰ-თამაზმა ქაიხოსრო ათაბაგის ელჩობის შემდეგ არ დააყოვნა და საქართველოს წინააღმდეგ თავისი მესამე ლაშქრობა მოაწყო. ირანის შაჰი თავდაპირველად სამცხეში შეიჭრა და იქ დიდი სისასტიკე გამოავლინა.

შაჰ-თამაზის ლაშქრის სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ ისქანდერ ფაშამ არტანუჯის ციხეს თავი მიანება და უკან გაბრუნდა. სამცხიდან ირანელები ქართლში შეიჭრნენ და მოსახლეობის რბევა-აწიოკებას მიჰყვეს ხელი. ჰასან-რუმლუს ცნობით, ირანელები ამჯერად ქართლში მხოლოდ საბარათიანოს აკლებით დაკმაყოფილდნენ და ქართლის სიღრმეში არ შესულან. ლუარსაბ მეფეს არც ამჯერად უფიქრია ირანელებისათვის მორჩილების გამოცხადება. მტერი იძულებული იყო ამ ფაქტს შეგუებოდა. ირანის შაჰმა ლორე და ბამბაკი ქაიხოსრო ათაბაგს დაუმორჩილა და თავისი ლაშქრით ქართლიდან ყარაბაღს გაემართა [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1969, გვ. 18; სამი სპარსული წყარო XVI საუუნის საქართველოს შესახებ, 1990, გვ. 26; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 364; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 506; ვახუშტი, 1973, გვ. 404, 716–717].

ქაიხოსრო ათაბაგმა შაჰ-თამაზის საქართველოში 1551 წელს განხორციელებული ლაშქრობის შედეგად სამცხის სამთავროში თავისი მოწინააღმდეგენი კი გაანადგურა, ოსმალთა შემოსევის საფრთხე თავიდან აიცილა და ამით გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა. მაგრამ ქაიხოსრო ათაბაგის ეს წარმატება უფრო მეტად პიროსის გამარჯვებას წააგავდა, ვიდრე მისი პოლიტიკის წარმატებით დასრულებას. შაჰ-თამაზის ამ შემოსევის შედეგად ქვეყანა საშინლად იქნა აოხრებული და გაძარცვული. ამის შემდეგ იგი არასოდეს წელში აღარ გამართულა. ირანსა და ოსმალეთს შორის ბალანსირების პოლიტიკა არარეალური და დამღუპველი აღმოჩნდა სამცხისათვის [მ. სვანიძე, 1971, გვ. 68–69].

ირან-ოსმალეთის ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 1553 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ მორიგი ძლიერი სამხედრო ოპერაციების სერია დაიწყო. ამ დროს ოსმალებმა სამცხეში ელჩი გამოგზავნეს. მაშინ როცა სამცხის ათაბაგს ორიენტაცია ირანზე ჰქონდა აღებული, ოსმალეთისათვის საომარ ოპერაციებში სამცხის ათაბაგის ჩაურევლობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთის ელჩმა, მართლაც მოახერხა იმ დაპირების მიღება, რომლის მიხედვით, სამცხე ირან-ოსმალეთის ბრძოლებში ნეიტრალური იქნებოდა. წარმატებულად განხორციელებული მისიის შემდეგ ელჩი სამცხიდან უკან გაბრუნდა და გზაში ის უცნობმა პირებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ე. მამისთვალიშვილი მიიჩნევს, რომ იმ პირების უკან, რომლებმაც ელჩი მოკლეს, ქართლის და იმერეთის მეფეები იდგნენ და ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ისინი დაინტერესებული იყვნენ ათაბაგის ავტორიტეტის შელახვით [ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 139–140].

ირან-ოსმალეთის ომის ფინალურ სტადიაზე მოსალოდნელი საზავო მოლაპარაკების წინ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, იქნებოდა თუ არა ქართლის მეფე შაჰ-თამაზის მიერ დამორჩილებული.

ასეთ შემთხვევაში ირანი საზავო მოლაპარაკებისას ოსმალეთის მიმართ თავის პრეტენზიებს გაზრდიდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ლუარსაბი ირანელთა ლაშქრობების შემდეგ პასიური მაყურებლის როლში არ იყო და ცდილობდა მათი თავდასხმების შედეგების აღმოფხვრას.

1554 წლის ივლის-აგვისტოში შაჰ-თამაზმა საქართველოში მეოთხე ლაშქრობა მოაწყო. საყურადღებოა, რომ ამ ლაშქრობის დაწყებამდე, როცა შაჰ-თამაზი შირვანს იმყოფებოდა, მასთან გამოცხადდა ლევან კახთა მეფე და მორჩილება გამოუცხადა [ვახუშტი, 1973, გვ. 575; შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, 1976, გვ. 52, 83–84].

შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულ ლაშქრობებს შორის, ეს მეოთხე ლაშქრობა ყველაზე უფრო სასტიკი იყო და მისი მთელი სიმძიმე ქართლის სამეფომ გადაიტანა. მტერი ბევრს ეცადა, მაგრამ ქართლის მეფის მორჩილება ვერ მიიღო. ქართლიდან შაჰ-თამაზი თავისი ლაშქრით ყარაბაღს წავიდა. ყიზილბაშებმა ქართლიდან 30 ათასი ტყვე წაიყვანეს. შაჰ-თამაზის ყველაზე მნიშვნელოვან ტყვეს ლუარსაბის დედა ნესტან-დარეჯანს ირანელებისთვის მორჩილების გამოცხადება არ უფიქრია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა [სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, 1990, გვ. 27, 40; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 364–365; ახალი ქართლის ცხოვრება მესამე ტექსტი, 1959, გვ. 506–507; ვახუშტი, 1973, გვ. 404–405; ნ. გელაშვილი, 1995, გვ. 91–92].

ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ამ ლაშქრობისას შაჰ-თამაზმა არადეთის წყალი, ალი, სურამი და ახალდაბა დაიკავა, რის გამოც ბაგრატ იმერთა მეფისაგან პროტესტი მიიღო [გ. მამულია, 1960, გვ. 14; დ. წიტიანიშვილი, 2004, გვ. 5]. შესაძლებელია, შაჰ-თამაზის მიმართ გამოსატული ბაგრატის პროტესტი იმაზეც მიგვანიშნებდეს, რომ

იმერეთისა და ქართლის მოსაზღვრე ქართლის ტერიტორიები ბაგრატსა და ლუარსაბს შორის ცილობის საგანია, რაც ერთი შეხედვით, სრულიად მიუღებელია. თუმცა, ამის მიუხედავად, ობიექტურად ეს პროტესტი საერთო-ქართული ინტერესების გამომხატველია, ვინაიდან ბაგრატი ასეთი ქმედებით, რეალურად ლუარსაბს უჭერდა მხარს შაჰ-თამაზის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლაშქრობისას ლუარსაბს აუცილებლობამ აიძულა, რომ დროებით თავშესაფარი ქართლის გარეთ ეძებნა, რისი პოვნა მან იმერეთში ბაგრატ იმერთა მეფის დახმარებით მოახერხა [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 507, ვახუშტი, 1973, გვ. 815].

ამრიგად, შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებული მეოთხე ლაშქრობისას განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ ქართლის და იმერეთის სამეფოების ურთიერთობაში უკვე ცვლილებაა მომხდარი. ბაგრატ იმერთა მეფეს კარგად შეეძლო დაენახა, რომ ის პოლიტიკა რომელსაც იგი შაჰ-თამაზის მიმართ ატარებდა შედეგიანი და წარმატებული ვერ აღმოჩნდა. ბაგრატმა ჯერ სამცხის მმართველ ძალებთან და მათ უკან მდგარ ოსმალებთან ბრძოლაში განიცადა მარცხი, შემდეგ კი, გურიის და ოდიშის წინამძღოლებთან. ირანის შაჰმა იმერთა მეფეს არცერთი ამ მიმართულებით არანაირი ხელშესახები დახმარება არ გაუწია და უფრო პირიქით მოხდა, რადგან დასავლურ ქართული მთლიანობის დარღვევის დროს, როცა გურიის და ოდიშის საერისთავოები საბოლოოდ გამოეყო იმერეთის სამეფოს, შაჰ-თამაზი უკვე ბაგრატის მოწინააღმდეგეთა შორის შეიძლება ვიგულოთ. ამის შემდეგ ბაგრატი ბოლოსდაბოლოს უნდა მიმხვდარიყო, რომ აუცილებელი იყო მისი პოლიტიური კურსის ცვლილება, კერძოდ, ის რომ მას ქართლთან ურთიერთობა უნდა გაეუმჯობესებინა და ირანს დაპირისპირებოდა. 1551 წელს შაჰ-თამაზის

საქართველოში განხორციელებული მესამე ლაშქრობისას იმერთა მეფე მასთან არ გამოცხადებულა და მორჩილება არ გამოუცხადებია, მანამდე ირანის შაჰის საქართველოში განხორციელებულ ორივე ლაშქრობას ბაგრატის ასეთი ნაბიჯი ახლდა თან. ამჯერად კი, როცა შაჰ-თამაზმა საქართველოში თავისი მეოთხე და ყველაზე ძლიერი ლაშქრობა მოაწყო, რათა ლუარსაბის წინააღმდეგობა საბოლოოდ გაეტეხა, იმერთა მეფე ქართლის მეფის გვერდით დადგა და ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა ლუარსაბს ირანელთა რისხვის აცდენა იმერეთიდან რომ არ ჰქონოდა მხარდაჭერა. ბაგრატი ახლა უკვე საერთო-ქართული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე იდგა. მაშასადამე, შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებული მეოთხე ლაშქრობისას იმერეთის მეფის გამოვლენილი აქტივობა აჩვენებს, რომ ის ძალიან გვიან მაგრამ მაინც მიხვდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკური კურსი ქართლის და ირანის მიმართ.

აქვე უნდა შევხერდეთ შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებული მეოთხე ლაშქრობის მიმართ სამცხის სამთავროს დამოკიდებულების თაობაზე. როგორც ვიცით, აქამდე შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებულ მეორე და მესამე ლაშქრობაზე თავისი უარყოფითი ასახვა ჰპოვა სამცხის და ქართლის გართულებულმა ურთიერთობამ. ამ ურთიერთობის გართულება ათაბაგის მოღალატეობრივმა პოლიტიკამ გამოიწვია. ახლა კი, შაჰ-თამაზის მეოთხე ლაშქრობისას ათაბაგის უარყოფითი როლი არ გამოკვეთილა. შესაძლებელია, 1553 წელს სამცხეში მოვლინებული ოსმალთა ელჩის მისიამ ითამაშა ამაში თავისი როლი და სამცხემ ამის გამო გამოიჩინა ნეიტრალიტეტი.

ამასობაში ირანის და ოსმალების სახელმწიფოების მესვეურები თანდათანობით დარწმუნდნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შორის თითქმის 40 წლის მანძილზე მიმდინარე ომის დასრულების

აუცილებლობაში. ირან-ოსმალეთის ომის დამასრულებელ ეტაპზე ორივე მემორი სახელმწიფო უკიდურესად დასუსტებული იყო.

1554 წელს უკვე ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება ინტენსიურად მიმდინარეობდა. მოლაპარაკების მთავარი განსახილველი საკითხი საქართველოს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იქცევს უნგრელი ორიენტალისტის ლ. ფეკეტეს მიერ თურქეთის არქივში მიკვლეული ისტორიული დოკუმენტი. ეს არის ირანის შაჰის თამაზის დიდმოხელეების სევიდუქ ბეგის და უსტაჯღუ შაჰ-ყულუ ბენ ჰამზას წერილი არზრუმის მმართველ აია ფაშასადმი, რომელიც გაგზავნილია 1554 წელს, 30 ოქტომბრის შემდეგ, მაშინ როცა შაჰ-თამაზის მეოთხე ლაშქრობა საქართველოში უკვე განხორციელებული იყო. წერილის ავტორები აცხადებენ, რომ საჭიროა მოისპოს ისეთი ვითარება, რომელიც ქართლის და იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ორი მეტოქე მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობით. ირანელი დიდმოხელეები, ამასთანავე, ამ წერილში ურჩევენ სულთანს, რომ უბრძანოს იმერთა მეფეს, რათა მან შეიპყროს ქართლის მეფე და გაგზავნოს იგი შაჰ-თამაზთან. ეს წერილი მიზნად ისახავს ორ დაპირისპირებულ მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო განწყობილების შექმნას [გ. მამულია, 1960, გვ. 14; მ. სვანიძე, 1971, გვ. 76–77].

ირანელი დიდმოხელეები, შეიძლება ითქვას, ძალიან კარგად ხვდებოდნენ იმას, თუ ქართლის და იმერეთის კავშირი რაოდენ ხელისშემშლელი იყო მათი დამპყრობლური გეგმებისათვის. ირანელმა დიდმოხელეებმა იცოდნენ, რომ ქართლის და იმერეთის კავშირის მიმართ ოსმალეთში საწინააღმდეგო აზრი არ იქნებოდა და საზავო მოლაპარაკებისას სამშვიდობო განწყობილების შესაქმნელად ტყუილად არ აკეთებდნენ აქცენტს ამ კავშირზე. ირანმა და ოსმალეთმა ამ

საკითხის მიმართ, მაშინ, პრაქტიკულად შეძლეს საერთო ენის გამონახვა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა საზავო მოლაპარაკების შედეგში.

1555 წელს 29 მაისს ამასიაში ოსმალეთსა და ირანს შორის მოლაპარაკება დასრულდა და ზავი დაიდო. ამ ზავის მიხედვით, ოსმალეთს მიეკუთვნა იმერეთის სამეფო, ოდიშ-გურიის სამთავროებით და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი), ირანს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (უდიდესი) ნაწილი (მტკვრის აუზი); სეფიანებმა შეინარჩუნეს მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი. სომხეთისავე დასავლეთი (ვანის ტბის რაიონი) და არაბეთის ერაყი ოსმალეთს ერგო; სასაზღვრო ზონა – ყარსის ოლქი გაუკაცრიელებული უნდა ყოფილიყო, მისი მოსახლეობა ირანში უნდა გადაესახლებინათ; ყარსის ციხე-სიმაგრე მიწასთან გაასწორეს [მ. სვანიძე, 1971, გვ. 78–79; ვ. გუჩუა, 1973ბ, გვ. 113; დ. კაციტაძე, 1998, გვ. 117].

ამასიის ზავის დადების დროისათვის ამიერკავკასიის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, საქართველო მისი ერთი ნაწილის გარდა (იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში მდებარე ოსმალელებისგან დაპყრობილი ტერიტორია) ირანელთა და ოსმალთა დაპყრობით გამოწვეულ უბედურებას არ განიცდიდა, და რეალურად, ირანისა და ოსმალეთის მიერ ამასიის ზავით საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიების გაყოფა არ მომხდარა. საქართველოსთან მიმართებით ამასიის ზავით გავლენის სფეროები და დასაპყრობი არეალი განესაზღვრათ ირანს და ოსმალეთს, რაც ისედაც დაძაბულ ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებს დამატებით დაბრკოლებებს უქმნიდა.

ამასიის ზავის დადების შემდეგ ლუარსაბ მეფის პოლიტიკა არ

შეცვლილა, ქართლის მეფე სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ქედმოუხრელ ბრძოლას განაგრძობდა. შაჰ-თამაზის საქართველოში განხორციელებული ლაშქრობების შემდეგ ქართლის არაერთ ციხეში ყიზილბაშთა ჯარი იდგა. ლუარსაბ მეფე ამ მდგომარეობასთან შეგუებას არ აპირებდა და ყიზილბაშებისაგან ქართლის ციხეების გასათავისუფლებლად ბრძოლა წამოიწყო. ლუარსაბ მეფემ მტერი თბილისის გარდა ქართლის ყველა ციხესიმაგრედან განდევნა. შაჰ-თამაზმა ქართლიდან წასვლის შემდეგ ლუარსაბისთვის თვალ-ყურის დევნება ყარაბაღის ბეგლარბეგ შავერდი სულთანს დაავალა, რომელმაც ქართლის მეფის მიერ ყიზილბაშების შევიწროების ამბის შეტყობის შემდეგ, 1556 წელს თავისი ლაშქრით ქართლში შემოვიდა. ბრძოლა მოხდა გარისთან, ქციის (ხრამის) ხეობაში. ქართველებმა მტერი დაამარცხეს და ბრძოლის ველიდან განდევნეს, ლუარსაბ მეფე თავისი ჭარმაგი ასაკის მიუხედავად ბრძოლაში მონაწილეობდა და ქართველთა გამარჯვებაში თავისი გმირული სიკვდილით დაიდო წვლილი. გმირი ქართველი მეფე მცხეთაში დაკრძალეს [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 9; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 365–366; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 509–510; ვახუშტი, 1973, გვ. 405–406].

ლუარსაბ მეფის მოღვაწეობა სრულიად საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. მართალია, მას ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში არსებულმა პრობლემებმა, რასაც საგარეო მტრის მოძალეობა ახლდა თან, არ მისცა საშუალება თავისი მთავარი მიზნის საქართველოს ერთიანობის განხორციელებისათვის მიეღწია, თუმცა, ამის მიუხედავად, ქართლის გმირი მეფე ლუარსაბ I, ვისაც ქართულმა საისტორიო ტრადიციამ “დიდის” ეპითეტი არგუნა, სამშობლოს მიმართ გამოჩენილი დიდი

ღვაწლის გამო თანამედროვე თუ შემდგომი დროის საქართველოსათვის, ქართველი კაცის გაუტეხლობის, შემართების და ძლიერების სიმბოლო გახდა.

ამგვარად, XVI საუკუნის მეორე მეოთხედში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი დაპირისპირება და დაძაბულობა კვლავ გრძელდებოდა. ამ დროს თავდაპირველად შიდაქართულ ურთიერთობებში იმერეთის სამეფოს აქტიურობა გამოვლინდა. იმერთა მეფემ ჯერ ქართლის მეფის ტახტზე თავისი სასურველი კანდიდატის ასვლას შეუწყო ხელი, შემდეგ კი, მისი თაოსნობით გურიის და ოდიშის ერისთავებმა ჯიქეთში ლაშქრობა მოაწყვეს, რომელიც მარცხით დასრულდა. თუმცა ამის გამო იმერთა მეფეს თავისი აქტიურობა არ შეუწყვეტია და სამცხეს მიაპყრო ყურადღება. იმერთა მეფეს სამცხეში წარმოებულ ბრძოლებში სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლებიც დაეხმარნენ, მაგრამ ვერც ამან მოიტანა წარმატება. ამის შემდეგ იმერთა მეფემ უკვე გურიის და ოდიშის საერისთავოების გაუქმება სცადა, მაგრამ არც ეს გამოუვიდა და პირიქით, უკუშედები მიიღო. გურიის და ოდიშის საერისთავოებმა, იმერეთის სამეფოსგან სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

იმერეთის სამეფოს აქტიურობის მიუხედავად, XVI საუკუნის მეორე მეოთხედის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ცენტრში ტრადიციულად მაინც ისევ ქართლის სამეფო იყო, რომლის წინამძღოლი თავდადებით იბრძოდა საერთო-ქართული ინტერესებისათვის და ის ამ ბრძოლაში სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლებისაგან, პრაქტიკულად მიტოვებული იყო. ირან-ოსმალეთის ომის პირობებში ქართლის სამეფოს იმუამად ირანის ოთხი ძლიერი ლაშქრობის თითქმის განმარტოებულ

მდგომარეობაში გადატანა მოუწია. თუმცა, ამის მიუხედავად, ირანის შაჰმა ქართლის მეფის მორჩილება ვერ მიიღო. 1555 წელს ამასიის ზავით დასრულდა 1514 წლიდან დროგამოშვებით მიმდინარე ირან-ოსმალეთის ომი. ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა გარკვეულწილად საქართველოში თავიანთი ინტერესები გამოიხსნეს, რამაც წინამავალ დროსთან შედარებით კიდევ უფრო გაართულა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების საერთო-ქართული ინტერესების შესაბამისად წარმართვის შესაძლებლობა, რაც საქართველოში არსებული დაშლის შეუქცევადი პროცესის დამატებით ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა.

თავი მეხუთე

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის მეორე ნახევარში

ჩვენს სამშობლოს ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომის დასრულების შემდეგ შექმნილი საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია კარგს არაფერს უქადდა. იმ ვითარებაში, როცა ირანმა და ოსმალეთმა ამასიის ზავით (1555) ურთიერთშორის მშვიდობა დაამყარეს და საქართველოს მიმართ თავიანთი ინტერესები გამოიხსნეს, მათი ქართულ სამეფო-სამთავროებზე ზემოქმედების საფრთხე ძლიერ გაიზარდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულთან სულეიმან I-ის მმართველობის (1520–1566) დასასრულს, მისი ხელისუფლება არ იყო მოწოდების სიმაღლეზე და უკვე შეინიშნებოდა ოსმალეთის

უზარმაზარი იმპერიის დაცემის სიმპტომები. ირანის სახელმწიფოსაც კქონდა ანალოგიური პრობლემა, შაჰ-თამაზის მმართველობა (1524–1576) ვერ აღმოჩნდა ბოლომდე მტკიცე და მის უკანასკნელ პერიოდში ყიზილბაშთა სახელმწიფოში სტაბილური მდგომარეობა არ იყო. ირანის და ოსმალეთის შიდა პრობლემები ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზეც ახდენდა გარკვეულ გავლენას, მაგრამ მათი საგარეო-პოლიტიკური აქტივობა საქართველოს მიმართ იმდენად არ შემცირებულა, რომ ამით ქართულ სამეფო-სამთავროებს მნიშვნელოვანი შვება ეგრძნოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVI საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს კავკასიის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა რუსეთი. 1557 წელს რუსეთს შეუერთდა ყაზანდო. კავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის კავკასიაში შემოსვლამ კიდევ უფრო გაართულა. მართალია, რუსეთს ამ მიმართულებით დიდხანს არ განუხორციელებია ფართომასშტაბიანი დაპყრობითი ტიპის ლაშქრობები, თუმცა მისი დიპლომატიური ხრიკები საქართველოს და მთელ კავკასიას ძალას აცლიდა და თავგზას უბნევდა.

XVI საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სამცხის სამთავრო იყო. ათაბაგების გაუაზრებელმა პოლიტიკამ, ზოგიერთი სხვა ქართული სამეფო-სამთავროს წინამძღოლის სამცხის მიმართ განხორციელებულმა მიზანშეუწონელმა ღონისძიებებმა და საგარეო მტრის მოძალებამ სამცხის სამთავრო რთულ სიტუაციაში ჩააგდო. ამასიის ზავით ოსმალეთზე მიკუთვნებული სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი, რომელიც ჭოროხის აუზში მდებარე ტაოს, შავშეთს და კლარჯეთს მოიცავდა, ოსმალთაგანის პროცესში იყო მოქცეული. ამასიის ზავით სამცხის სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მტკვრის აუზში განლაგებულ ირანისათვის მიკუთვნებულ

ტერიტორიაზე ათაბაგად იყო ქაიხოსრო II. ოსმალები თავდასხმებს აწყობდნენ სამცხის ამ ნაწილზე და მისი მოსახლეობისათვის უბედურება მოჰქონდათ.

იმ დროს როცა სამცხე-საათაბაგოში და განსაკუთრებით, მის დასავლეთ ნაწილში უცხოელი დამპყრობლის მოძალების პირობებში ქართველობას, პრაქტიკულად გადაშენების საფრთხე დაემუქრა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამცხეში ქრისტიანობის დაცვას და იქ მოღვაწე საეკლესიო პირების მცხეთის საკათოლიკოსო საყდართან კავშირს. ჩვენ გვინდა მოვიტანოთ ამონაწერი საბა მტბევარის საერთოულო წიგნიდან, რომელიც 1556 წლით არის დათარიღებული: “ესე უკუნისამდის გასათავებელი წიგნი მოგაჯსენე მე, მტბევარმა საბა, თქვენ, წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა, თქვენსა საჭეთმპყრობელსა ქართლისა კ^აზსა პატრიაქსა დომენტის¹ – მას ჟამსა, ჟამსა, როდეს გუაკურთხეთ: თქვენის საყდრის ერ[თ]გული და თქვენისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყვნეთ. რაცა ჩუენის ჳელისაგან გამოვიდოდეს, რჯულისა სიმაგრესაცა მოვიჭიროთ. ამისა გათავებისა თავდებად თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და სვეტიცხოველი მოგვიჯსენებია” [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, 1961, გვ. 36].

ამგვარად, საბა მტბევარის საერთოულო წიგნის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსები მცხეთაში იკურთხებოდნენ ამასიის ზავის შემდეგაც, როცა სამცხის დასავლეთი ნაწილი ოსმალების ხელში იყო გადასული და საერთოდ, მთელი სამცხე ირანის და ოსმალების განსაკუთრებული დაინტერესების არეალში იყო მოქცეული. რა პირობებშიც, თავისთავად ცხადია, რომ სამცხეში ქრისტიანობის დაცვა დიდი სირთულეს წარმოადგენდა.

¹დომენტი I აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1556–1560 წწ. [ე. კაჭარავა, 2000, გვ. 94].

შექმნილი რეალობა საერთოეულო წიგნშიც ასახულა, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ქრ. შარაშიძე: “სამცხის საეპისკოპოსოების მეთაურებს საერთოეულო ფიცში ერთი ახალი მუხლიც შეუტანიათ – რჯულის სიმაგრის დაცვის პირობა. ეს სიმაგრე ამ დროს ძნელად დასაცავი ჩანს. ამიტომაც დასძენს საბა მტბევარი – “რაცა ჩუენის კელისაგან გამოვიდოდეს, რჯულის სიმაგრესაც მოვიჭიროთო” [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 97].

სამცხე-საათაბაგოს მსგავსად რთული მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. ოდიშის და გურიის მთავრების სეპარატისტულმა პოლიტიკამ, რასაც ისინი იმერეთის სამეფოს დაქვემდებარებიდან გამოსვლისათვის აწარმოებდნენ, ჯერ კიდევ ირან-ოსმალეთის ზავის დადებამდე, ეს ორი მთავარი სულთნის ყმობამდე მიიყვანა. ამასიის ზავის დადების შემდეგ ბაგრატ იმერთა მეფეც იძულებული გახდა ოსმალეთის ვასალობა მიეღო და მისთვის ხარკი ეძლია, რომლის ნაწილს ქალ-ვაჟნი შეადგენდნენ. დასავლეთ საქართველოში არსებული საერთო არასტაბილურობის პირობებში, ამ დროიდან იქ ძლიერ გახშირდა სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებანი, განსაკუთრებით კი, ტყვეთა სყიდვა, რასაც ოსმალეთის სახელმწიფო ძლიერ უწყობდა ხელს [ვ. გუჩუა, 1973გ, გვ. 122–123; მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 51].

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: “არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია დასავლეთ საქართველოსათვის, რამდენიც ამ “მშვიდობიან” ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას” [ნ. ბერძენიშვილი, 1950, გვ. 317]. ტყვეთა სყიდვა მცირე მასშტაბით საქართველოში, განსაკუთრებით კი, მის დასავლეთ ნაწილში XIV–XV საუკუნეებში უკვე გავრცელებული იყო, XVI საუკუნეში იგი გაძლიერდა, ხოლო XVII–XVIII საუკუნეებში მისი მასშტაბები ძალიან გაიზარდა და უადრესად საშიში ხასიათი მიიღო.

ბაგრატ III-მ XVI საუკუნის შუა წლებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება მოიწვია. კრების მთავარი განსახილველი საკითხი ტყვეთა სყიდვის აკრძალვას ეხებოდა. საეკლესიო კრებას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი ევდემონ I (ჩხეტიძე) (1557–1578), დასავლეთ საქართველოში საგანგებოდ მოწვეულ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად ხელმძღვანელობდა. ამათ გარდა კრებას ესწრებოდა დასავლეთ საქართველოს ათი ყველაზე გავლენიანი მღვდელმთავარი. კრების განხილებით “ტყვის მსყიდველთა” მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა დაწესდა, ასევე მოწესრიგდა დროთა ვითარებით შეშლილი ზოგიერთი საეკლესიო წესი, შემუშავდა მკაცრი სასჯელები სხვადასხვა დანაშაულისათვის. მიღებულმა ზომებმა შეასუსტა ტყვეთა სყიდვა, მაგრამ საბოლოოდ მისი აღკვეთა შეუძლებელი იყო, რადგან ოსმალეთის მთავრობა ამის საშუალებას არ იძლეოდა [ვ. გუჩუა, 1973გ, გვ. 123; ქ. ნადირაძე, 2000, გვ. 140].

ამასიის ზავის შემდეგ სამცხის ეპისკოპოსების მცხეთაში კურთხევა და XVI საუკუნის შუა წლებში გამართული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც იღებდა მონაწილეობას, კარგად აჩვენებს იმ პოზიტიურ როლს, რომელსაც საერთო-ქართული ინტერესების დაცვისათვის ქართველი საეკლესიო პირები მთელი საქართველოს მასშტაბით ასრულებდნენ. რაც, რასაკვირველია გარკვეული მასშტაბით ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგებასაც უწყობდა ხელს.

დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების შიდა ურთიერთობებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის ბიჭვინთიდან საკათოლიკოსოს ერთ-ერთ საეპარქიო ცენტრში –

გელათში გადატანას. რაც 1558–1562 წლებში უნდა მომხდარიყო [გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, 2008, გვ. 154–155].

აფხაზეთში შექმნილი რთული მდგომარეობა, კეძოდ, უცხო ეთნოსის მოძალეობა, წარმართული რელიგიის ელემენტების გაძლიერება, მეკობრეობა-ყაჩაღობა; ასევე იმერეთის სამეფოს გართულებული ურთიერთობა ოდიშის სამთავროსთან და ოსმალეთის ძლიერ გააქტიურება დასავლეთ საქართველოში აიძულებდა იმერთა მეფეს და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქს ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს ყოფილიყვნენ, თორემ ისე, რასაკვირველია ბიჭვინთაში კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის არსებობა იქ ქართულ პოზიციებს აძლიერებდა და იქიდან რეზიდენციის სხვაგან გადატანა სასურველი არ იყო.

ამ დროს ოდიშის და გურიის წინამძღოლები თავიანთი პირადი უზნეო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის იღვწოდნენ. ლევანი დადიანი 1557 წელს სტამბულში ჩავიდა და სულთნის ხელისუფლებისაგან მიიღო მისი იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის აღიარება. ასე რომ ოდიშის ერისთავების ოდიშის მთავრებად საბოლოო ტრანსფორმაციის თარიღი 1557 წელია, როდესაც სტამბულში მყოფმა ლევანი დადიანმა თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტია მიიღო. დაახლოებით ამავე წლებში ასეთივე გარანტიები მიიღო გურიის ყოფილმა ერისთავმა [თ. ბერაძე, 1999, გვ. 160–161].

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ისევე, როგორც, პრაქტიკულად გვიანი შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ცენტრში ქართლის სამეფო იყო. 1556 წელს ქართლში გამეფებულ სიმონ პირველს მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ყიზილბაშთა თავდასხმების შედეგად ქართლის სამეფო ძლიერ დაზიანდა. თბილისის ციხეში ამ დროს ყიზილბაშთა

გარნიზონი იდგა და ქართლის მეფის რეზიდენცია გორში იყო. სიმონ მეფეს ტახტზე ასვლისთანავე არ შეეძლო ყიზილბაშთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება. ქართლის მეფემ თავდაპირველად აქცენტი გადაიტანა სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგებაზე და 5 წელიწადში ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამის შემდეგ სიმონ მეფე თბილისის მტრის ხელიდან გამოსახსნელად საჭირო ზომების მიღებას შეუდგა.

ამ დროს აღმოსავლურ ქართული სამეფოების ურთიერთობაც გამოსწორდა, რაზედაც მიაწინებეს ქართლისა და კახეთის სამეფო კართა დანათესავება. 1559 წელს სიმონ მეფემ ცოლად შეირთო კახეთის მეფე ლევანის ასული ნესტან-დარეჯანი. ე. მამისტვალიშვილი მიიჩნევს, რომ სიმონI-ის ნესტან-დარეჯანზე დაქორწინების ფაქტი დაუფარავად მიაწინებდა აღმოსავლეთ საქართველოში ორი ქართული სამეფოს ანტიირანული კოალიციის შექმნაზე [ე. მამისტვალიშვილი, 1981, გვ. 168]. ამასთანავე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხანებში კახეთის სამეფოს საერო და სასულიერო მესვეურთა მხრიდან გარკვეული მასშტაბით საეკლესიო სეპარატიზმის გამოვლენასაც ჰქონდა ადგილი და სიმონის დაქორწინება ლევან კახთა მეფის ასულზე დიდად ხელშემწყობი ფაქტორი იყო ამ ეტაპზე აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიური მთლიანობის სიმტკიცის აღდგენისათვის. რისი დასტურია 1556–1560 წლების კახელი ეპისკოპოსების ერთგულების წიგნები აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დომენტიI-ის მიმართ, საიდანაც ჩანს, რომ იმუამად კახეთის სამეფოს ეკლესიის შემომტკიცება ხდება აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი [ე. კაჭარავა, 2000, გვ. 95–96].

ამ პერიოდში ირანის შაჰის თამაზისა და ლევან კახთა მეფის ურთიერთობაში ერთგვარი ბზარი იყო გაჩენილი. ამასიის ზავის (1555) შემდეგ ირანის შაჰმა კახეთს ჩამოაცილა წახურის სამფლობელო

(წუქეთი). აღსანიშნავია, რომ ლევან მეფეს მხარდაჭერა არ გამოუხატავს ყარაბაღის ბეგლარბეგ შავერდი სულთანის 1556 წელს ქართლში განხორციელებული ლაშქრობის მიმართ. ამის გამო ლევანს ეშინოდა შაჰს ეს საბაბად არ გამოეყენებინა და შური არ ეძია მასზე. ამიტომ მან 1558 წელს თავისი შვილი იესე ერთგულების დასამტკიცებლად შაჰ-თამაზთან გაგზავნა “ძღუნითა და ტყვითა ქაღყრითა” [ვახუშტი, 1973, გვ. 575]. შაჰმა მასთან ჩასული იესე უკან არ გამოუშვა და მძევლად დაიტოვა. ლევანის პოლიტიკით შაჰი უკმაყოფილო იყო და კახეთის სამეფო ტახტზე იესეს აყვანა მოინდომა. 1559/60 წწ. იესე გამაჰმადიანდა, ისახანად იწოდა და შაჰის კარზე დიდი წყალობა მიიღო. თუმცა მალე იესეს პიროვნებაში პატრიოტულმა სულმა გაიღვიძა, მან მაჰმადიანობა უარყო და გაქცევა დააპირა, მაგრამ დააპატიმრეს და 1562 წლის 23 დეკემბერს ალამუთის ციხეში ჩასვეს [ჰასან-რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 37, 64–65; ვ. გუჩუა, 1973, გვ. 120].

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ირანის შაჰის კარზე ქართველი უფლისწული გამოცხადდა. სულ მალე ქართველ უფლისწულთა ირანის შაჰის კარზე გამოცხადებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მაგრამ, ამჯერად მოვლენები იმგვარად არ განვითარდა, როგორც ეს შემდეგ ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, რადგან იესეს თავისი მდგომარეობით ბოროტად არ უსარგებლია და სამშობლოს ინტერესები პირად უზნეო სარგებლობაზე მაღლა არ დაუყენებია. ასეთი რამ ირანის შაჰის კარზე გამოცხადებული ქართველი უფლისწულებისათვის არ იყო დამახასიათებელი, ისინი უმეტესწილად, მხოლოდ პირადი ქვენა გრძნობებით ხელმძღვანელობდნენ.

იმ დროს, როცა ირანისა და კახეთის ურთიერთობა დაძაბული იყო, ქართლ-კახეთის გაუმჯობესებული ურთიერთობის გამოყენებას შეეცადა ქართლის მეფე სიმონი და კახეთის მეფე ლევანს თბილისის

გათავისუფლებისათვის საწარმოებელ ბრძოლაში სამხედრო ძალით დახმარება თხოვა. ლევან მეფეს სიმონისათვის დახმარებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ დასახმარებლად ქართლში თვითონ კი არ წავიდა, არამედ თავისი ძე გიორგი გაგზავნა სამხედრო რაზმით. კახეთის მეფე, ალბათ ამ ქმედებით თადარიგს იჭერდა, რათა შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ირანის შაჰის წინაშე განეცხადებინა, რომ გიორგი საკუთარი ინიციატივით ეხმარებოდა ქართლის მეფეს და ლევანს ჭკუა არ დაეკითხა.

ამასთანავე, სიმონ მეფემ თავისი მამის ლუარსაბ მეფის მსგავსად, ვიდრე ირანელების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას შეუდგებოდა, ოსმალეთის სულთანს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა, თუმცა სულთანმა ქართლის მეფეს დახმარება არ გაუწია [დ. კაციტაძე, 1998, გვ. 119; დ. კაჭარავა, 2003, გვ. 409].

სიმონ ქართლის მეფისა და გიორგი ლევან კახთა მეფის ძის მეტაურობით მოქმედი ლაშქარი ვიდრე თბილისზე შეტევას მოამზადებდა ციხედიდს დადგა. სადაც 1561 წლის 6 აპრილს ყიზილბაშებმა ქართველთა ბანაკზე თავდასხმა განახორციელეს. ქართველებმა მტერს ციხედიდის ბრძოლაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა საბოლოოდ ყიზილბაშებმა ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება მაინც მოახერხეს. ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა კახეთის მეფის ძე გიორგი [სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, 1990, გვ. 27; ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 9–10; ვახუშტი, 1973, გვ. 407; ქრონიკები, II, 1897, გვ. 402].

ქართლის და კახეთის სამეფოების ურთიერთობის მოწესრიგება, რამაც თავისი გამოხატულება ყიზილბაშთა წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ერთიანობაში ჰპოვა, ერთობ საყურადღებო ფაქტია. XVI საუკუნეში ქართლის სამეფოს ყიზილბაშებთან მუდმივად ჰქონდა დაპირისპირება, თუმცა, ამჯერად ეს

მხოლოდ მეორე შემთხვევა იყო, როცა კახეთი ქართლს, ყიზილბაშების წინააღმდეგ სრულიად საქართველოს ინტერესებისათვის გამართულ სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში სამხედრო ძალით დაეხმარა. პირველად ეს 1522 წელს შემდგარ თელეთის ბრძოლაში მოხდა. ნიშანდობლივია, რომ, როგორც 1522 წელს, ისე ამჯერადაც 1561 წელს კახეთის მეფე ლევანმა ბრძოლაში უშუალო მონაწილეობისაგან თავი შეიკავა და სავარაუდოდ, ორივეჯერ ქართლში რიცხვმცირე რაზმი გაგზავნა. ციხედიდის ბრძოლის შემდეგ კი, უკვე კახეთის სამეფომ შეწყვიტა ქართლის სამეფოს მიმართ სამხედრო მხარდაჭერა და ისევ თავის განცალკევებულ მდგომარეობას დაუბრუნდა.

სიმონ მეფეს ციხედიდის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია და მათზე მცირე მასშტაბის თავდასხმებს აწყობდა, მაგრამ მალე მის უახლოეს გარემოცვაში დალატმა იჩინა თავი. სიმონ მეფეს თავისი ძმა დავითი განუდგა და 1562 წელს საქართველოს დაუძინებელ მტერ შაჰ-თამაზთან ყაზვინში ჩავიდა. დავითს ირანში მრავალი მოღალატე თავადი გაჰყვა თან. მას განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს ბარათაშვილები, რომელთა მამული ყოველთვის პირველი ზარადღებოდა ირანიდან საქართველოში შემოჭრილი მტრისაგან.

ირანის შაჰმა დავითი და მისი მხლებლები კარგად მიიღო. ირანში დავითი გამაჰმადიანდა და მას დაუთ-ხანი ეწოდა. ირანის შაჰმა დაუთ-ხანს “შვილის” წოდებულება მიანიჭა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგე-მოსხელედ დანიშნა და საქართველოში გამოგზავნა. ეს იყო სეფევიდების მიერ ქართლის გარკვეულ რეგიონში სახანოს შექმნის ცდა, რომელმაც მალე მარცხი განიცადა [ვ. გაბაშვილი, 1958, გვ. 31; ვ. გუჩუა, 1973, გვ. 118].

ქართლის სამეფო დაუთ-ხანის ირანის მხარეზე გადასვლამ, შეიძლება ითქვას, ორად გაჰყო. მართალია, სიმონ მეფეს ქართლის

მკვიდრთა უმრავლესობა უჭერდა მხარს, მაგრამ დაუთ-ხანსაც ჰყავდა ქართლში მხარდამჭერები და მას, რასაკვირველია ყიზილბაშთა თბილისური გარნიზონიც ედგა მხარში. სიმონ მეფეს ამ სიტუაციაში არ შეეძლო ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში აქტიური როლის შესრულება და მთელი საქართველოს მასშტაბით საერთო-ქართული ინტერესების დაცვისათვის ზრუნვა. სიმონ მეფე მთლიანად დაუთ-ხანისა და მისი მხარდამჭერი ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლით დაკავდა და ამ საქმეში მას სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მხრიდან მხარდაჭერა არ ჰქონია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც დაუთ-ხანისათვის დაუჭერია მხარი სიმონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიმე ქართულ სამეფო-სამთავროს.

1562–1569 წლებში ქართლში, ვიდრე სიმონი და დაუთ-ხანი ერთად იმყოფებიან და თავიანთი ხელისუფლების გაძლიერებისათვის იბრძვიან, „ორიანობის“ პერიოდია [დ. ნინიძე, 1998ბ, გვ. 33]. სიმონ მეფე ამ დროს თავისი მოღალატე ძმის და ყიზილბაშების წინააღმდეგ გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებს. სიმონის მთავარი ამოცანა თბილისის დაკავება იყო, სადაც ძირითადად იმყოფებოდა დაუთ-ხანი. 1567 წელს თბილისის ახლოს დიდლომთან გაიმართა ბრძოლა სიმონსა და დაუთ-ხანს შორის და ეს ბრძოლა ირანელთა ქართველი მოხელის დამარცხებით დასრულდა. 1568 წელს ისევ თბილისის ახლოს, ოღონდ სამადლოსთან შეიბნენ სიმონი და დაუთ-ხანი და ეს უკანასკნელი ამჯერადაც დამარცხდა.

სიმონ მეფის აქტიურობა შაჰ-თამაზისათვის, რასაკვირველია მიუღებელი იყო. ირანის შაჰმა 1569 წელს განჯაში თავი მოუყარა შაქის და ყარაბაღის ლაშქარს, ამას დაქირავებული საშამხლოს რაზმები დაუმატა და საქართველოში გამოგზავნა. ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში სიმონ მეფე დამარცხდა და ის მოღალატე

კახაბერ ყორღანაშვილის მეშვეობით ირანელებმა დაატყვევეს და შემდეგ ყაზვინს შაჰთან წაიყვანეს [ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 39–40; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 368–369; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 512–514; ვახუშტი, 1973, გვ. 408–409].

შაჰ-თამაზი ბევრს ეცადა, მაგრამ ქართლის მეფე ქრისტიანობის უარყოფაზე, რაც მისი ირანის შაჰის ერთგულ მოხელედ გადაქცევის წინაპირობა უნდა ყოფილიყო, ვერ დაითანხმა. რის შემდეგ სიმონი შაჰ-თამაზმა ალამუთის ციხეში ჩასვა. 1569–1578 წლებში ქართლის გამგებლად დაუთ-ხანი ითვლებოდა, მაგრამ ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მას მხარს არ უჭერდა და მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა.

სიმონ მეფე ვიდრე ქართლში ყიზილბაშებს და დაუთ-ხანს ებრძოდა, კახეთის მეფე ლევანი რუსეთთან ცდილობდა პოლიტიკური კავშირის დამყარებას. 1561 წელს ლევანი დაუკავშირდა რუსეთის ხელისუფლებას, რასაც მოჰყვა რუსი მეთოფეების კახეთის ციხეებში ჩადგომა. ამას გარდა, რუსეთმა კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, სუნჯის თერგთან შესართავის ახლოს ციხესიმაგრე ააგო. კახეთში რუსთა რაზმის გამოჩენას და სუნჯაზე ციხის აგებას ოსმალეთი და ირანი პროტესტით შეხვდნენ. ლევანი იძულებული გახდა დაეთხოვა რუსთა რაზმი და რუსი მეთოფეები კახეთიდან გავიდნენ. ამასთან, რუსებმა დაანგრიეს სუნჯის თერგთან შესართავის ახლოს აგებული ციხესიმაგრე [ნ. ასათიანი, 1998, გვ. 130–131; დ. კაჭარავა, 2003, გვ. 413].

ლევან კახთა მეფის გამოვლენილი პრორუსული ორიენტაცია და კერძოდ, მისი გადაწყვეტილება, რომ თავისი სამეფოს ციხესიმაგრეებში რუსეთის ჯარი ჩაეყენებინა გამართლებას არ იმსახურებს.

კახეთის მეფეს იმის მაგივრად, რომ სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან ეცადა ურთიერთობის გაუმჯობესება და ამგვარად დაეცვა საერთო-ქართული ინტერესები, ძალიან სახიფათო პოლიტიკურ თამაშს იწყებდა, როცა განსაკუთრებული არასტაბილური მდგომარეობის მქონე ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, რომელსაც ორი ძლიერი სამხრეთელი მეზობელი დასაპყრობად უცქერდა, მესამე ძლიერი სახელმწიფო შემოყავდა. ამით იგი უაღრესად სახიფათო კვანძის შეკვრას უწყობდა ხელს. ამჯერად რუსეთმა, პრაქტიკულად თავად დაიხია უკან, რითაც მდგომარეობა დროებით ასეთუ ისე განიმუხტა, კახეთის ხელისუფლებამ კი, რუსეთის მიმართ XVI საუკუნის 60-იან წლებში გამოვლენილი გაუაზრებელი პოლიტიკის გატარება შემდეგაც განაგრძო¹.

აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა და ამ დროიდან დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთობებში, უმეტესწილად შუღლი და დაპირისპირება ფიგურირებს.

1564 წელს გარდაიცვალა გურიის მთავარი როსტომი და მთავრის ტახტი მისმა ძემ გიორგიმ დაიკავა. გურიის მთავრის როსტომის გარდაცვალებისთანავე ოდიშის მთავრის ლევანის ძე გიორგიმ თავისი ცოლი, რომელიც როსტომ გურიელის ასული იყო, განუტევა და სხვა ქალი შეირთო. გიორგი თავისი მეორე მეუღლის მოსაძებნად შორს არ წასულა, მან თავის ბიძას ბათულიას წაართვა ცოლი. ოდიშის უფლისწულის ასეთი საქციელი, გურიის მთავრის ტახტზე ახლადასულმა გიორგიმ იუკადრისა და ოდიშის მმართველთა მტრობა განიზრახა. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე სისხლიან შეტაკებამდე არ

¹ლევან კახთა მეფის საგარეო პოლიტიკას გ. საითიძე ერთობ მახვილგონივრულად "სირაქლემას დიპლომატიას" უწოდებს [გ. საითიძე, 1998, გვ. 106].

მისულა, დაპირისპირებული მხარეები მშვიდობიანად მორიგდნენ და ოდიშის მთავარმა გიორგი გურიელს თავისი ასული მისცა ცოლად. იმუამად გურიის მთავარი დროებით კი დაშოშმინდა, მაგრამ შემდეგ იგი დადიანის ასულს ისე მოეპყრო, როგორც ოდიშის უფლისწული მის დას. გურიის მთავარი გაეყარა თავის ახლადშერთულ მეუღლეს და იმერეთის მეფე გიორგის (1565–1583) დაემოყვრა, “ჰყვანდა მეფესა გიორგის მუსადია ქურივი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად” [ვახუშტი, 1973, გვ. 815].

ამის შემდეგ უკვე ოდიშის მთავარი ლევანი გააქტიურდა. მან კავშირი დაამყარა იმერეთის გავლენიან თავადებთან ჭილაძეებთან, ლევანს აქტიურ მხარდაჭერას უწევდა ოდიშის გავლენიანი თავადი ლიპარტიანი, მისი მომხრე იყო აგრეთვე გიორგის მეფის ბიძაშვილი ხოსრო და ამათთან ერთად ოდიშის მთავარი 1568 წელს იანეთს იმერთა მეფეს მოულოდნელად დაესხა თავს, მაგრამ თავისთვის სასურველს ვერაფერს მიაღწია, გიორგი მეფემ თავდასხმელების დამარცხება მოახერხა [ვახუშტი, 1973, გვ. 815–816; ქრონიკები, II, 1897, გვ. 410, 411].

იანეთის ბრძოლის შემდეგ გიორგი მეფე ლევან დადიანის დასასჯელად ოდიშს გაემართა. ამ დროს იმერეთის მეფის მხარდამჭერი იყო გურიის მთავარი გიორგი. ოდიშის მთავარმა საკუთარი ძალებით იმერეთის მეფის და გურიის მთავრის ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გაწევას თავი აარიდა და თავისი სამთავრო დატოვა, თუმცა მალე ოსმალების დახმარებით ოდიშის მთავრის მდგომარეობა დაიბრუნა და ამასთან, გურიელს თავისი ასულის ცოლობისგან განტევებისათვის საზღაურის გაღება მოსთხოვა. გურიელი ამაზე თანახმა იყო. მან საზღაურად 10 ათასი დრაჰკანი გაიღო და ოდიშის და გურიის მთავრები დაზავდნენ. [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ.

361; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 502–503; ვახუშტი, 1973, გვ. 816].

ოდიშის და გურიის მთავრების ურთიერთობის გაუმჯობესება მისაღები არ იყო გიორგი იმერთა მეფისათვის. მან მთავრების წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღება ცნო საჭიროდ. იმერთა მეფემ გადაწყვიტა ოდიშის მთავართან კარგ ურთიერთობაში მყოფი ჭილაძეთა სათავადოს დამორჩილება. გიორგი მეფემ ჭილაძეთა სათავადოს მეთაური ჯავახ ჭილაძე მოაკვლევინა. მაგრამ ამის გამო იმერთა მეფის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რადგან ჯავახ ჭილაძის მოკვლის შემდეგ, ოდიშის და გურიის მთავრებმა იმერთა მეფეს დაასწრეს, ჭილაძეთა სათავადო თავად დაიკავეს და ურთიერთშორის გაინაწილეს [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 361; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 502–503; ვახუშტი, 1973, გვ. 816].

1572 წელს ლევანიI გარდაიცვალა და ოდიშის მთავარი გახდა მისი შვილი გიორგი (1572–1582). ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში არეულობა ისევ გრძელდებოდა. 1573 წელს გიორგი იმერთა მეფე დაემოყვრა ოდიშის მთავარ გიორგის. იმერთა მეფის ძე ბაგრატმა შეირთო გიორგი დადიანის და. გურიის მთავარ გიორგის თავისი ინტერესებისათვის სახიფათოდ ეჩვენა იმერთა მეფის და ოდიშის მთავრის ურთიერთობის გაუმჯობესება. გიორგი გურიელმა მიიმხრო ოდიშის მთავრის ძმა მამია, გურიას ჩაიყვანა და თავისი და შერთო ცოლად. რის შემდეგ გიორგი გურიელი თავისი ლაშქრით ოდიშში გადავიდა. ოდიშისა და გურიის მთავრებს შორის ბრძოლა ზუგდიდთან შედგა და ის ოდიშის მთავრის დამარცხებით დასრულდა. დამარცხებული გიორგი დადიანი აფხაზეთს გაიქცა, ხოლო ოდიშის მთავარი გურიის მთავრის ნებით მამია გახდა.

ამჯერად უკვე გურიის მთავარმა გიორგიმ და ოდიშში

ახლადგამთავრებულმა მამიამ, გიორგი იმერთა მეფესთან ურთიერთობის გაუმჯობესება ცნეს საჭიროდ. იმერთა მეფეს გიორგი გურიელმა და მამია დადიანმა ზავის სანაცვლოდ ჭილაძეების მამულიდან ოდიშის მთავარზე მიკუთვნებული ნაწილის გადაცემა შესთავაზეს. გიორგი იმერთა მეფისათვის შეთავაზებული წინადადება მისაღები იყო და მასსა და ოდიშის და გურიის მთავრებს შორის ზავი დაიდო [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 361; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 503; ვახუშტი, 1973, გვ. 817].

აფხაზეთში გაქცეულმა გიორგიმ აფხაზების, ჯიქების და ჩერქეზების დამხმარე ჯარი “იშოვა” და ოდიშში მოიყვანა. დამხმარე ჯართან ერთად გიორგის ოდიშში შემოსვლა, მამიამ გურიის მთავარს აცნობა, რომელმაც მამიას დასახმარებლად ოდიშში თავისი ლაშქარი გაგზავნა. გიორგი თავის დამხმარე ჯართან ერთად, მამიას და მისი მომხრეების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში დამარცხდა და ისევ აფხაზეთში გაიქცა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 361–362; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 503; ვახუშტი, 1973, გვ. 817]. რთულია ხელისუფლების მოსაპოვებლად გაჩაღებულ ძმათამკვლელ დაპირისპირებაში, რომელიმე მხარის წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე ისაუბრო, თუმცა ჯიქების და ჩერქეზების ჯარის საქართველოში შემომყვანი გიორგის დამარცხება მამიას და მის მხარდამჭერ გურიის სამთავროდან გამოსულ ლაშქარს მაინც წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ.

ამასობაში 1578 წელს ირან-ოსმალეთის მეორე ომი დაიწყო, თუმცა დასავლეთ საქართველოში შიდადაპირისპირებას დასასრული არ უჩანდა. გიორგი დადიანი ოდიშის მთავრის ხელისუფლების მოსაპოვებლად გაჩაღებული ბრძოლისაგან ხელის აღებას არ ფიქრობდა, ოღონდ ახლა მან ტაქტიკა შეცვალა და მშვიდობიანი

მოლაპარაკებით შეეცადა მიზნის მიღწევას. გიორგი დადიანი დაუკავშირდა იმერთა მეფეს და მთავრის ტახტის მოპოვებაში დახმარება სთხოვა. იმერთა მეფემ გურიის მთავართან გაუწია გიორგი დადიანს შუამდგომლობა. გურიის მთავრის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო ოდიშის ხელისუფლებაში ცვლილების განხორციელება. გურიის მთავარი გიორგი, გიორგი დადიანის ოდიშის მთავრის რანგში ხილვის წინააღმდეგ არ წასულა, ოღონდ ამისთვის თანხმობის გამოსაცხადებლად მან თავისი პირობა წამოაყენა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გიორგი დადიანს უნდა გადაეხადა საზღაური გიორგი გურიელისთვის, მისი დის ცოლობიდან განტევების გამო. აქ იგულისხმებოდა ისეთი საზღაურის გადახდა, როგორც თავად გურიის მთავარმა გადაიხადა, როდესაც ის გიორგი დადიანის დას გაეყარა. გიორგი დადიანისთვის ეს პირობა მისაღები იყო, ოღონდ იმერთა მეფის და გურიის მთავრის სანდოობაში დასარწმუნებლად, მან გიორგი მეფეს ცოლისდა ჩერქეზი ქალი სთხოვა ცოლად. იმერთა მეფეს თავისი ცოლისდა ქუთაისში ჰყავდა. გიორგი მეფემ მართლაც მიათხოვა თავისი ცოლისდა გიორგი დადიანს. რაც შეეხება იმ საზღაურს, რომელსაც გიორგი გურიელი ითხოვდა, მისი ერთბაშად გაღების საშუალება ოდიშის მთავრობის კანდიდატს არ ჰქონდა და მან გურიის მთავარს “მისთვის მისცა ხოფი, ვიდრე ამოვიდეს ფასი ოქროსა მის” [ვახუშტი, 1973, გვ. 818]. ამის შემდეგ გიორგი ისევ დაეუფლა ოდიშის მთავრის ტახტს, დაეზავა იმერთა მეფეს და გურიის მთავარს და დასავლეთ საქართველოს წინამძღოლმა სამმა გიორგიმ ურთიერთშორის მშვიდობა დაამყარეს.

ამის მიუხედავად, ცოტა ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მცირე მასშტაბით ისევ აირია სიტუაცია. ბათულიამ, რომელსაც უწინ ამჟამინდელმა ოდიშის მთავარმა გიორგიმ ცოლი წაართვა, შურისძიება გადაწყვიტა. მან საჯავახოდან ლაშქარი გამოიყვანა და “წარვიდა რათა

თავდასხმით ღალატად მოკლას გიორგი დადიანი” [ვახუშტი, 1973, გვ. 818]. ბათულიას განზრახვის შესახებ ოდიშის მთავარმა დროულად შეიტყო და მის დასახვედრად მოემზადა. ბათულიამ როცა გაიგო გიორგი დადიანის მიღებული ზომების თაობაზე, უკან გამობრუნდა და საჯავახოს დადგა. ბათულიას განზრახვის შესახებ, მას რომ ოდიშის მთავარზე უნდოდა თავდასხმა, ოდიშის მთავარმა და მისმა ძმამ მამიამ, იმერთა მეფეს შეატყობინეს. იმერთა მეფე გიორგიმ, ბათულიას განზრახვა არ მოუწონა. მან გურიის მთავარს შეუთვალა, რათა მოეკლა ბათულია და საჯავახო თავად დაეკავებინა. გურიის მთავრისათვის ეს წინადადება მეტწილად მისაღები იყო. მან შეიპყრო ბათულია და საჯავახო დაიკავა, ოღონდ შემდეგ ბათულიას მოკვლისაგან თავი შეიკავა. იმერთა მეფემ განმეორებით შეუთვალა გურიის მთავარს, რომ ბათულია მოეკლა. ასეთივე შემონათვალი გურიის მთავრის მიმართ ოდიშის მთავარმაც გააკეთა. გურიის მთავარმა ეს თავად მაინც არ გააკეთა, თუმცა იმერთა მეფეს და ოდიშის მთავარს ამის გაკეთების საშუალება მისცა. მართლაც, იმერთა მეფის და ოდიშის მთავრის მიგზავნილმა კაცმა ბათულია სიცოცხლეს გამოასალმა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 362; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 503–504; ვახუშტი, 1973, გვ. 818].

ამრიგად, XVI საუკუნის 60–70-იან წლებში დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები მეტისმეტად დაძაბული იყო. ამ დროს დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროები ძირითადად ურთიერთშორის ბრძოლით არიან დაკავებული. ამ ბრძოლის დაწყებას და მის დიდხანს განგრძობას განსაკუთრებულად შეუწყვეს ხელი ოდიშის მმართველი საგვარეულო სახლის წარმომადგენლებმა. ისინი პირადი უზნეო ინტერესების დასაკმაყოფილებლად არანაირი საშუალების გამოყენებას არ

ერიდებოდნენ და ხელისუფლების მოსაპოვებლად გამართული ბრძოლისას უცხოტომელთა ჯარიც კი დაიხმარეს.

XVI საუკუნის 60–70-იან წლებში დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში საინტერესო როლი შეიძინა მმართველ საგვარეულო სახლთა წარმომადგენლების ქორწინებების საკითხმა. ასეთ ქორწინებებს ფეოდალურ ხანაში, როგორც წესი, პოლიტიკური სარჩული ჰქონდა და მას სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური კურსი განსაზღვრავდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ამ საკითხმა, შეიძლება ითქვას, დასავლეთ საქართველოში ახლებური დატვირთვა მიიღო და უკვე არამარტო სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური კურსი განსაზღვრავდა მმართველ საგვარეულო სახლთა წარმომადგენლების ქორწინებების საკითხს, არამედ შიგადაშიგ პირიქით ხდებოდა და მმართველთა ახირება ქორწინებების მიმართ განაპირობებდა სამეფო-სამთავროთა პოლიტიკურ კურსს.

იმ დროს როცა დასავლეთ საქართველოში მოვლენების განვითარება საერთო-ქართულ ინტერესებს არ პასუხობდა, არც აღმოსავლეთ საქართველოში იყო ამ მხრივ სახარბიელო ვითარება. ლევან კახთა მეფემ თავისი შვილის გიორგის ციხედიდის ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ, მეორე ცოლის შამხლის ქალთან შექენილი შვილები დააწინაურა და პირველი ცოლის გურიელის ქალთან გაჩენილ ალექსანდრეს დამცრობას შეუწყო ხელი. 1574 წელს ლევანი გარდაიცვალა და კახეთის მეფობისთვის ლევანის შვილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. რასთანაც დაკავშირებით XVIII საუკუნის ქართველი მემატრიანები გარკვეულწილად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. თუმცა, ის კი უდავოა, რომ ძმებს შორის მეფობისათვის შემდგარ დაპირისპირებაში ალექსანდრემ თავისი ძმები დაამარცხა, ფიზიკურად გაანადგურა და მას ამ საქმეში ქართლიდან დაუთ-ხანის მიერ გაეწია

დახმარება. [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 369; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 515; ვახუშტი, 1973, გვ. 576].

ალექსანდრეს რომ ამჯერად დაუთ-ხანმა მხარი დაუჭირა გასაკვირი არ იყო. სიმონის ცოლი ნესტან-დარეჯანი შამხლის ქალისგან ჰყავდა ლევანს და ალექსანდრესთან დაპირისპირებული ძმები დაუთ-ხანისათვის არ იქნებოდა სასურველი კახეთის ხელისუფლებაში რომ მოსულიყვნენ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დაუთ-ხანი ირანის მორჩილი იყო და მისი ნაბიჯი, რომელიც მან ამ შემთხვევაში კახეთის მიმართ გადადგა, ირანის ხელისუფლებასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ალექსანდრემაც, მას შემდეგ რაც თავისი ნახევარძმები გაანადგურა, ირანის შაჰს მორჩილება აღუთქვა [ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 40]. რეალურად, დაუთ-ხანის დახმარებით ალექსანდრეს კახეთში გამეფება აღმოსავლეთ საქართველოში ირანის გავლენის გაძლიერებას ნიშნავდა.

დაუთ-ხანი და ალექსანდრე II შემდეგ თავიანთი ერთობლივი ინტერესების რეალიზებას ქართლში ახდენენ. სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ, მისი ცოლი ნესტან-დარეჯანი ქართლში დარჩა. მას თავისი ნახევარძმა ალექსანდრე მტრობდა და ის არც დაუთ-ხანს მოსდიოდა თვალში. ნესტან-დარეჯანს კავთისხევში დაუთ-ხანის და ალექსანდრეს ნებით ამილახორი და ქსნის ერისთავი თავს დაესხნენ და მისი ქონების ნაწილი დაიტაცეს და ნაწილი დაარბიეს [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 369; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 515; ვახუშტი, 1973, გვ. 409].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში საერთო-ქართული ინტერესები ირანისა და უღირსი ქართველების ინტერესების სასარგებლოდ თავის პოზიციებს თმობდა, თუმცა მოლად

მინავლებული არ იყო და თავისი დამცველები ჰყავდა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ თავი გამოიჩინა ბარათაშვილების გვარის წარმომადგენელმა. ბარათაშვილებმა სულ ცოტა ხნის წინ დაუთხანთან ერთად ირანში წასვლით თავი ცუდად წარმოაჩინეს. ახლა კი, კავთისხევის ინციდენტის შემდეგ ახლოხანებში ქართული წყაროების გადმოცემით, ქართლის სპასპეტმა საჩინო ბარათაშვილმა სიმონის გამცემი კახაბერ ყორღანაშვილი შეიპყრო და გელიყარის ციცაბო კლდიდან გადაიხეხა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 370; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 515–516; ვახუშტი, 1973, გვ. 409].

კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის მოღვაწეობის დასაწყისისათვის ჩვენს ყურადღებას იპყრობს კახეთის, სამცხის და ირანის ურთიერთობის ერთი ფრაგმენტი, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XVIII საუკუნის ქართველი მემატრიანეები. ეს ცნობები თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისგან დიდი ხანი, პრაქტიკულად სკეპტიკურ დამოკიდებულებას იმსახურებდა. მას, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, შეიძლება ითქვას, სათანადო ყურადღება მიაქცია ნ. გელაშვილმა და ის ამ ცნობების მეშვეობით შეეცადა ისტორიული სინამდვილის აღდგენას. ეს ისტორიული სინამდვილე კი, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ახლადგამეფებულ ალექსანდრეს განუდგება თავისი ვაჟი ერეკლე და სტამბოლში მიდის, როდესაც ამის შესახებ შაჰ-თამაზი შეიტყობს ის ლაშქარს კრებს და საქართველოსაკენ მოემართება ალექსანდრე კახთა მეფესთან ანგარიშის გასასწორებლად. ალექსანდრე კი, კახელ თავადთა რჩევით სამცხეში შუღლს ტეხს, რასაც ეწირება შაჰ-თამაზის ცოლის ძმა ვარაზა შალიკაშვილი. “სწავლულ კაცთა” მიხედვით, “რა ესმა შაჰ-თამაზს სიკუდილი მისი, განწყრა შაჰ-თამაზ და წარვიდა სამცხეს და დაუტევა კახეთი. და შევიდა სამცხეს, და მოაოგრა და ამოსწყვტა სამცხე” [ბერი

ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 371]. ანალოგიური ცნობებია “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტსა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 517; ვახუშტი, 1973, გვ. 576–577]. ამრიგად, კახეთის სამეფო გადაურჩა ყიზილბაშთა შემოსევას. ალექსანდრე მეფემ შემდეგ შაჰ-თამაზის გულის მოსაგებად მასთან თავისი ძე კონსტანტინე გაგზავნა მძევლად, ძვირფასი საჩუქრებით და ისიც შეუთვალა, რომ ერეკლეს მისთვის არ შეუთანხმებია სტამბოლს წასვლა. ამას უკვე შაჰ-თამაზის მიერ საქართველოს დატოვება და ირანში დაბრუნება მოჰყვა [ვახუშტი, 1973, გვ. 577; ნ. გელაშვილი, 1995, გვ. 116].

ამასიის ზავით სამცხის ირანისადმი მიკუთვნებული ნაწილი, სადაც ქაიხოსრო II იყო ათაბაგად, როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთაგან თავდასხმებს განიცდიდა. ქაიხოსრო ათაბაგს მხოლოდ საკუთარი ძალებით ოსმალებთან დაპირისპირება არ შეეძლო. სამცხის ათაბაგები მეზობელი ქართული სამეფო-სამთავროებისაგან უცხოელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც წესი, დახმარების მიღებას არ ცდილობდნენ. თუმცა ახლა ქაიხოსროს ამის სურვილი, რომც ჰქონოდა, მისი რეალურად განხორციელების საშუალება მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, პრაქტიკულად არ იყო. სასოწარკვეთილმა ქაიხოსრომ სხვა რომ ვერაფერი გააწყო 1570 წელს ყაზვინში წავიდა და ირანის შაჰს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება თხოვა. ქაიხოსრო ირანში კარგად მიიღეს, მაგრამ მის გამო ირანის ხელისუფლება ოსმალებთან ზავის დარღვევას არ აპირებდა. ქაიხოსრო დახმარების მოლოდინში ყაზვინში დიდხანს დარჩა და 1573 წელს იქ გარდაიცვალა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 38, 41; ვ. გუჩუა, 1973, გვ. 125].

ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, 1574 წელს სამცხის ათაბაგი გახდა მისი შვილი ყვარყვარე IV. თუმცა, რეალურად სამცხეს ყვარყვარეს დედა დედისიმედი განაგებდა. შალიკაშვილები სამცხის ათაბაგთა მთავარი დამქაშები იყვნენ მათ სეპარატისტულ საქმიანობაში, მაგრამ სამცხის ათაბაგის სახლის და შალიკაშვილების ურთიერთობამ XVI საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში სისხლიანი დაპირისპირების ხასიათი მიიღო. 1576 წლის ივნისში შალიკაშვილებმა ათაბაგის სახლის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყეს. იმგვარი ურთიერთობა, როგორც ამ დრომდე შალიკაშვილებს და სამცხის ათაბაგებს ჰქონდათ და რომლის საფუძველიც სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა იყო, საქართველოში საბოლოოდ, როგორც წესი, ასეთ სახეს იღებდა ხოლმე, ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთს დაერეოდნენ და მუსრს ავლებდნენ.

ათაბაგის სახლის წინააღმდეგ ბრძოლაში შალიკაშვილებს აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ დიასამიძეები და სხვა დიდგვაროვნები. სისხლიანი დაპირისპირება სამცხეში 20 თვე გაგრძელდა. საომარი მოქმედებები ძირითადად ათაბაგის ხელისუფლების მომხრეთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ისინი გარკვეულ დახმარებას ქართლიდანაც იღებდნენ, კერძოდ, მათ მხარს უჭერდა მუხრანბატონთა გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი. თავად დედისიმედიც, როგორც ვიცით, ამ გვარის წარმომადგენელი იყო. ერთ დროს ქართლის მფლობელობაში მყოფი ჯავახეთი ამ დაპირისპირებაში აქტიურად იყო ჩართული. ჯავახეთში აჯანყებულებს ძლიერი პოზიციები ჰქონდათ, ამიტომაც იგი ამ 20 თვის განმავლობაში ათაბაგის ხელისუფლების მომხრეებმა ხუთჯერ დაარბიეს. დაუთ-ხანს თავი არ შეუწუხებია ჯავახეთში უადრესად გამწვავებული ვითარების მოგვარებისათვის ეზრუნა და ის საერთოდ სამცხეში მიმდინარე შიდაბრძოლის მიმართ პასიური მაყურებლის როლით შემოიფარგლა. 1578 წლის

დამდეგისთვის 20 თვე მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ აჯანყებულთა მთავარი ციხე-სიმაგრეები ათაბაგის ხელისუფლების მომხრეებს უკვე დაკავებული ჰქონდათ, მაგრამ შიდაბრძოლა სამცხეში გარკვეული მასშტაბით ისევ გრძელდებოდა. ასეთი იყო სამცხე-საათაბაგოს შინაპოლიტიკური ვითარება იმ დროს, როცა ირან-ოსმალეთის მეორე ომი დაიწყო [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 43–47, 154–161; ვ. გუჩუა, 1973გ. გვ. 125–126].

ირან-ოსმალეთის ომის დაწყებას კი, თავისი საყურადღებო მიზეზები ჰქონდა. ამასიის ზავის პირობებით ოსმალეთი კმაყოფილი არ იყო და ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა ირანის წინააღმდეგ ახალი ომი გაეჩაღებინა. ოსმალეთს განსაკუთრებით აინტერესებდა ამიერკავკასიის დაპყრობა, რადგანაც მისი ხელში ჩაგდებათ, საშუალება ეძლეოდა უშუალოდ დაეწყო შეტევა ჩრდილო-დასავლეთიდან საკუთრივ ირანის წინააღმდეგ. კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობით, ოსმალეთს შესაძლებლობა ეძლეოდა განემტკიცებინა ურთიერთობა შუა აზიის ხანებთან, რომლებიც გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდნენ ირანზე. გარდა ამისა, ოსმალეთისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას. ოსმალეთი მიისწრაფოდა, აგრეთვე ხელთ ეგდო ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალი, ევროპა-აზიის ეს ახალი სავაჭრო გზა.

ამიერკავკასიის დაპყრობით და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებით ოსმალეთი უპირისპირდებოდა რუსეთს. ოსმალეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამიერკავკასიის დაპყრობას მისი ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების თვალსაზრისითაც [მ. სვანიძე, 1971, გვ. 95].

1576 წელს გარდაიცვალა შაჰ-თამაზი და ირანში არეულობა დაიწყო, რაც ოსმალეთის მთავრობის თვალსაზრისით, ხელსაყრელი

დრო იყო ირანის დასამარცხებლად და ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. ოსმალეთის სულთანმა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება გადაწყვიტა.

ირანის წინააღმდეგ გასაგზავნი ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდლად 1578 წლის 2 იანვარს ლალა მუსტაფა ფაშა დაინიშნა, რომლის მეთაურობით 1578 წლის 5 აპრილს ოსმალთა ლაშქარი სტამბოლიდან ირანის წინააღმდეგ საომრად გაემართა. ლალა მუსტაფა ფაშამ ლაშქრობის წინ ქართლის მმართველს, კახეთის და იმერეთის მეფეებს და ოდიშ-გურიის მთავრებს მოწოდებით მიმართა, რომ ისინი ოსმალებთან ერთად ირანის წინააღმდეგ საომრად გამოსულიყვნენ. ამ დროს სამცხის ათაბაგ ყვარყვარე IV-ს თავისი ძმა მანუჩარი ხელისუფლებისათვის უპირისპირდებოდა. ლალა მუსტაფა ფაშა შეეცადა ამ სიტუაციით ესარგებლა. მან მანუჩარს წინადადებით მიმართა, რათა ოსმალეთის მხარეზე გადასულიყო და სამაგიეროდ მთელ სამცხე-საათაბაგოში გაბატონებას დაპირდა.

1578 წლის აგვისტოს დასაწყისში ოსმალთა ჯარი სამცხე-საათაბაგოში შემოვიდა. 9 აგვისტოს ჩილდირთან გაიმართა ბრძოლა ოსმალებსა და ყიზილბაშ-ქართველთა გაერთიანებულ სამხედრო ძალებს შორის. ამ ბრძოლაში ოსმალებმა გაიმარჯვეს და ამის შედეგად მათ, პრაქტიკულად მთელ საქართველოში მოქმედებისათვის გაეხსნათ გზა. 10 აგვისტოს ოსმალებთან მანუჩარი მივიდა და მათ მიმართ მორჩილება გამოხატა. მანუჩარს იმედი ჰქონდა, რომ მთელი სამცხის მმართველობას მიიღებდა, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო სანჯაყებად დაანაწილეს და მანუჩარს მხოლოდ ხახულის სანჯაყი დაუმტკიცეს [იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 41; მუსტაფა სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 262–263; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 127–128].

სამცხე-საათაბაგოდან ლალა მუსტაფა ფაშა თავისი ლაშქრით თბილისისკენ დაიძრა. თბილისისკენ მიმავალ ოსმალებს დიდი დახმარება გაუწია მანუჩარმა, რომელმაც თავის თავზე აიღო მეგზურობა. ოსმალები თბილისს 24 აგვისტოს მიაღწენ. დაუთ-ხანს ოსმალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ უფიქრია, გაიქცა და ოსმალებმა თბილისი უბრძოლველად დაიკავეს. “მესხური მატიანე” გვაწვდის ცნობას, რომ დაუთ-ხანმა გაქცევის წინ თბილისი გადაწვა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 49]. ეს ცნობა გამეორებულია “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტსა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 522; ვახუშტი, 1973, გვ. 410]. აღსანიშნავია, რომ უცხოელი ავტორები (ირან-ოსმალეთის 1578–1590 წლების ომის პირველი ეტაპის აღმწერი ანონიმი ავტორი, თომაზო მინადოი, დონ ხუან დე პერსია, შარაფ-ხან ბითლისელი, იბრაჰიმ ფეჩევი, ჯოვანი მიქელი, პეტრო ბიძარო), როდესაც ეხებიან ოსმალების მიერ 1578 წელს თბილისის აღებას, არაფერს ამბობენ დაუთ-ხანის მიერ მის გადაწვაზე [ე. მამისთვალიშვილი, 1987, გვ. 51]. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული წყაროების ცნობა დაუთ-ხანის მიერ თბილისის გადაწვის შესახებ საეჭვოდ გამოიყურება.

ოსმალების მიერ თბილისის დაკავებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი ფაქტი. ლალა მუსტაფა ფაშამ, სანამ თბილისს აიღებდა, გიორგი იმერთა მეფეს შეთავაზა დახმარება აღმოეჩინა მისთვის თბილისის დაპყრობის საქმეში, სამაგიეროდ კი, მის შვილს თბილისში გაბატონებას დაპირდა. ლალა მუსტაფა ფაშა იმავედროულად დაუკავშირდა ალექსანდრე კახთა მეფეს და მოუწოდა თბილისის დაპყრობის საქმეში იმერეთის მეფესთან ერთსულოვნად და შეთანხმებულად ემოქმედა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 115] ლალა მუსტაფა ფაშას მიერ იმერეთისა და კახეთის მეფეების მიმართ გაკეთებულ ამ

შეთავაზებასთან დაკავშირებით მ. სვანიძე, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად შენიშნავს: ”თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, მაშინ სავსებით ნათელი გახდება, რომ ლალა მუსტაფა ფაშას სურდა ამ გზით კიდევ უფრო მეტად გაედრმავებინა ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოებს შორის არსებული შუღლი და მტრობა” [მ. სვანიძე, 1971, გვ. 115–116].

მართალია, უშუალოდ ამ შეთავაზების პასუხად იმერეთის და კახეთის მეფეებს თბილისზე მოიერიშე ოსმალებისთვის დახმარება არ გაუწევიათ, მაგრამ საბოლოოდ ლალა მუსტაფა ფაშამ მაინც მიაღწია ისედაც დაძაბული ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვას. ისე კი, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმერეთის მეფეს თავიდანვე ოსმალების მორჩილების მიმართ არ აუღია კურსი, თუმცა ეს კურსი შემდეგ მან მალე შეცვალა, კახეთის მეფე კი, თავიდანვე ოსმალების მხარეს დადგა და თუ თბილისზე მოიერიშე ოსმალთა ლაშქრისათვის მას დახმარება არ გაუწევია, ეს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ოსმალებმა ქალაქი უბრძოლველად აიღეს და მათთვის ამ საქმეში არავის დახმარება არ გამხდარა საჭირო.

ოსმალებმა თბილისის გარდა, მთელი ქართლიც სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს. თუმცა ეს მთლად უბრძოლველადაც არ მომხდარა, ოსმალებს მაშინ ქართლში რიცხვმცირე რაზმი დაუპირისპირდა ერეკლე მუხრანბატონის მეთაურობით და გარკვეული ზიანიც მიაყენა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 49].

ოსმალებმა ქართლის დაპყრობის შემდეგ თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დაარსეს. მის გამგებლად კასტამონიის სანჯაყ ბეგი სოლაქ ფერჰად ფაშას ძე მეჰმედ ბეგი დაინიშნა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 113].

ქართლში პოზიციების გაძლიერების შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშამ თავისი ჯარის ერთი ნაწილი დასავლეთ საქართველოში გაგზავნა. ოსმალთა ჯარის ამ შენაერთს ლიხის მთაზე გიორგი იმერთა მეფე დახვდა თავისი ლაშქრით და მუსრი გაავლო [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 49; ვახუშტი, 1973, გვ. 817].

ოსმალები ამ ხანებში საქართველოს ზღვისპირეთის დაპყრობასაც ცდილობენ. 1578 წლის აგვისტოში სოხუმის ყურეში ოსმალების ესკადრა შემოვიდა, რომელზეც სოხუმის ბეგლარბეგად დანიშნული ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა იმყოფებოდა. ჰაიდარ ფაშა სოხუმში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადავიდა და საბეგლარბეგოს მართვა-გამგებლობას შეუდგა. თუმცა სოხუმის საბეგლარბეგომ ოსმალთა იმედი ვერ გაამართლა, 1581 წლის შემდგომ ახლო ხანებში ოსმალებმა სოხუმიდან ადმინისტრაცია გაიწვიეს და ქალაქი დატოვეს, ამით სოხუმის საბეგლარბეგოს არსებობა დასრულდა [თ. ბერაძე, 2007, გვ. 148].

რაც შეეხება ქართლში მეოფი ლალა მუსტაფა ფაშას შემდგომ მოქმედებას, ის ქართლიდან შაქი-შირვანისაკენ გაემართა. მას სართიჭალასთან ალექსანდრე II კახთა მეფე შეეგება და მორჩილება გამოუცხადა. ამ ეტაპზე კახეთის და ოსმალების ხელისუფლებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად კახეთის დამოკიდებულების ფორმა ოსმალების მიმართ, მოხარკეობის საფუძველზე განისაზღვრა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 116–118].

კახეთის მეფის ოსმალების მიმართ გამოვლენილი პოზიციის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: “ხერხიანი, გეგმაშეწონილი პოლიტიკით ალექსანდრემ იმას მაინც მიაღწია, რომ ოსმალო დამპყრობელი კახეთის შიგნით არ შეუშვა, ხონთქარი კახეთიდან ყოველწლიურ მცირე ხარკს დაკმაყოფილდა. კახეთ-ოსმალებს შორის ამის შემდეგ, მართალია, “პატრონყმური სიყვარული” არ

ჩამოვარდნილა, მაგრამ არც მშვიდობა დარღვეულა” [ნ. ბერძენიშვილი, 1967, გვ. 22].

იგივე საკითხთან დაკავშირებით მ. სვანიძე წერს: “ალექსანდრე კახთა მეფე რეალისტი პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო. შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში შემდგენაირად ახასიათებს ალექსანდრე კახთა მეფეს: „ალექსანდრე ხანმა, რომელიც თავისი სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო, ქართლის მეფის სიმონის საწინააღმდეგოდ გადასწყვიტა, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალებისათვის მორჩილების გამოცხადება... ოსმალეთის ხონთქარს ერთგულებას უცხადებდა... თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე გზავნიდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქრებს აგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა“ [მ. სვანიძე, 1971, გვ. 119; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969, გვ. 42, 43]. შემდეგ მ. სვანიძე იქვე აღნიშნავს: „მართალია, ისქანდერ მუნში ალექსანდრე კახთა მეფის საქმიანობას ირანული თვალსაზრისით აშუქებს. მაგრამ იგი ძირითადად სწორ შეფასებას აძლევს ალექსანდრეს პოლიტიკურ საქმიანობას და მის დიპლომატიურ ნიჭს“ [მ. სვანიძე, 1971, გვ. 119].

ალექსანდრე II კახთა მეფის მიმართ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ისტორიკოსს საჯაროდ, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ დადებითი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა, რადგან ალექსანდრე კახეთის და მთელი საქართველოს რუსეთთან მეტისმეტად მჭიდრო ურთიერთობის მომხრე იყო და ძირითადად, ამით უნდა იყოს განპირობებული საბჭოთა პერიოდში ალექსანდრეს მოღვაწეობის მიმართ გამოთქმული დადებითი შეფასებები. თუმცა, ამის მიუხედავად,

აღბათ ამ შეფასებების მიმართ პოზიცია მაინც უნდა დაფიქსირდეს და ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუღებელია ალექსანდრეს ოსმალეთის მიმართ გამოვლენილი პოზიციის დადებითად შეფასება და მისი წარმოდგენა რეალისტ პოლიტიკოსად და დიპლომატად. ის პოლიტიკა, რომელსაც ალექსანდრე II კახთა მეფე ატარებდა არ პასუხობდა საერთო-ქართულ ინტერესებს. იგი უპირისპირდებოდა ამ ინტერესების დამცველ სიმონ პირველს. შემთხვევითი არ არის ისქანდერ მუნში ამ ორ პოლიტიკოსს ერთმანეთს რომ ადარებს და აპირისპირებს. მათი პოლიტიკა ნამდვილად, რომ დიამეტრალურად განსხვავებული იყო.

ალექსანდრე კახთა მეფის მიერ კახეთის ოსმალეების რბევისაგან დაცვას დიდი აღტაცებით ვერ შევაფასებთ. ქართველი პოლიტიკოსისათვის საქართველოს ყველა მხარე თანაბარი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო. ალექსანდრე კახთა მეფემ კახეთი დროებით რბევისაგან რომ დაიცვა და საქართველოს სხვა მხარეთა რბევას მშვიდად რომ უყურა, ხოლო შემდეგ ერთ-ერთი მხარის რბევაში მონაწილეობა თავადაც რომ მიიღო, ამით მხოლოდ ჩვეულებრივი სეპარატისტი მმართველის სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება გამოავლინა.

ალექსანდრე კახთა მეფეს ვერც დიპლომატის ნიჭს მოვუწონებთ. მისი გაუაზრებელი და დაუბალანსებელი საგარეო პოლიტიკა სამი დიდი სახელმწიფოს რუსეთის, ოსმალეთის და ირანის მიმართ ერთდროულად რომ გამოვლინდა, კახეთის ხელისუფლების დეზორიენტაციის და კრიზისის საფუძველი გახდა და ერთ-ერთი მიზეზი იყო XVII საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთში მოვლენების ტრაგიკული განვითარებისა.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ლევანის და ალექსანდრე II-ის მმართველობის ხანაში კახეთის სამეფო ეკონომიკურ პრობლემებს არ განიცდიდა და შეძლებულად

ცხოვრობდა. მაშინ როცა საქართველოს სხვა მხარეებში მძიმე ეკონომიკური სიტუაცია იყო, კახეთის ფუფუნებაში ცხოვრება არ იმსახურებს განსაკუთრებულ აღრფთოვანებას. ეს არ შეიძლებოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეთა შორის არსებული გაუცხოების პროცესის ხელშემწყობი არ გამხდარიყო. ჩვენ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ, როდესაც კახეთი ეკონომიკურად წინაურდებოდა, ამ დროს ქართლში თუ საქართველოს სხვა მხარეებში მცხოვრები პატრიოტები მტერთან უთანასწორო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. ასეთი ვითარება საქართველოს ნებისმიერი მხარის მკვიდრის სულიერ მდგომარეობაზე, სააზროვნო სისტემასა და თვითშეგნებაზე, მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ ასახვას თუ ჰპოვებდა. ჩვენ, რასაკვირველია არ ვამბობთ, რომ ლევანI-ს და ალექსანდრეII-ს თავიანთი სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის დაწინაურებისათვის ხელი არ უნდა შეეწყობთ, მაგრამ, რადგანაც ეს ეკონომიკური დაწინაურება მიმდინარეობდა კახეთის მეფეთა იზოლაციონისტური პოლიტიკის ფონზე, რომელიც საქართველოს სხვა მხარეთა მიმართ ვლინდებოდა და კახეთის მეფეები ხშირად თავიანთ მერკანტილისტურ ინტერესებს, საერთო-ქართულ ინტერესებზე უარის თქმით იკმაყოფილებდნენ, ამიტომ კახეთის ეკონომიკური მდგომარეობის დაწინაურებას ლევანI-ს და ალექსანდრეII-ს მიღწევად და გამარჯვებად ვერ ჩავუთვლით. ამ ეკონომიკურ დაწინაურებას არ გააჩნდა ადეკვატური, საერთო-ქართული ინტერესების მომცველი საფუძველი, იგი ვიწრო კუთხური ინტერესების რეალიზაცია იყო და მხოლოდ დროებითი მოვლენა თუ იქნებოდა, რის გამოც მისი მნიშვნელობა გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ.

ოსმალებმა კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის გარკვევის შემდეგ შაქი-შირვანის მიმართულებით განახორციელეს ლაშქრობა. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა ალექსანდრე კახთა მეფე, ლალა მუსტაფა

ფაშამ მას დაავალა შაქის ციხის დაპყრობა. ალექსანდრემ ეს დავალეა შეასრულა. ლალა მუსტაფა ფაშამ შაქის სანჯაყბეგობა ალექსანდრეს შვილ ერეკლეს უბოძა, შაქის სანჯაყი კი, ოსმალებმა თავიანთ ახლადდაპყრობილ პოლიტიკურ ერთეულს შირვანის საბეგლარბეგოს დაუმორჩილეს [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 50; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 44; მ. სვანიძე, 1971, გვ. 120].

ამრიგად, ოსმალეთმა ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან განდევნა. შაჰის მთავრობას ამ მდგომარეობასთან შეგუება, რასაკვირველია არ სურდა. ირანის ხელისუფლებისათვის აშკარა იყო, რომ უნიათო დაუთ-ხანი ამიერკავკასიის საკვანძო რეგიონში – ქართლში, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის მედროშედ არ გამოდგებოდა და ამ საქმისთვის შეიძლებოდა ისეთი ძლიერი პოლიტიკური მოღვაწის დახმარებით სარგებლობა, როგორც სიმონი იყო. თავად სიმონიც კარგად ხედავდა, რომ ამ ეტაპზე მისი მხრიდან გარკვეული კომპრომისი იყო საჭირო ირანთან მიმართებით, რათა ქართლის წინამძღოლი ისევ გამხდარიყო და სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლა განეგრძო.

სიმონმა ირანში მაჰმადიანობა მიიღო. ეს მან ირანელთა ერთგულების მოსაჩვენებლად გააკეთა და ამას კარგად აჩვენებს მისი საქმენი, რომელიც მან ირანელთა ტყვეობიდან ქართლში დაბრუნების შემდეგ განახორციელა¹. სიმონის კომპრომისის პირობებში იგი

¹ჩვენ გვინდა ცოტა გავუსწროთ მოვლენებს და აღვნიშნოთ, რომ როცა 1588 წელს სიმონსა და ოსმალებს შორის წინასწარი დაზავება ხდება, სიმონს ოსმალეთის ხელისუფლება ქრისტიანად ცნობს ქართლის მეფედ, ე. ი. სიმონი ამ დროისათვის ისევ ქრისტიანია. ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობა, იმის შესახებ, თუ როდის დაუბრუნდა სიმონი ქრისტიანობას. თ. ქორიძე თვლის, რომ ეს სიმონის ირანიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე მოხდა [თ. ქორიძე, 2007, გვ. 183], მართლაც, სიმონისთვის მთავარი იყო ირანიდან საქართველოში დაბრუნება და ის ამისთვის დათანხმდა გამაჰმადიანებას, ხოლო შემდეგ მას დიდხანს არ უნდა გადაედო ხელახალი გაქრისტიანება. ძალიან საინტერესოა, რომ სიმონი მას შემდეგ, რაც 1578 წელს ირანიდან საქართველოში ბრუნდება, ქრისტიანული ეკლესიების მიმართ ქართლში მრავალ შეწირულობას

ტყვეობიდან გაათავისუფლა შაჰ-ისმაილ II-მ, ხოლო შემდეგ შაჰ-მოჰამედ სოდაბენდემ უწყალობა მას თბილისის მმართველობა და საქართველოშიც მანვე გამოგზავნა. სიმონ I ყიზილბაში სარდლის ალი-ყული ხანის და 5000 მხედრის თანხლებით ქართლში 1578 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. ამ შემთხვევაში სიმონის მიმართ ირანის მხრიდან დაშვებულ კომპრომისზეც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რადგან დაუთ-ხანისგან განსხვავებით სიმონ I ირანის მოხელე კი არ იყო, არამედ ყმა, რომელიც შაჰის უზენაესობას ცნობდა და მისთვის მისართმევლის („საურის“) გამზადებას კისრულობდა [მინადლი, Q-149, ფ. 67; ვახუშტი, 1973, გვ. 411; საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 126; ვ. გაბაშვილი, 1958, გვ. 240–250; ნ. გელაშვილი, 1995, გვ. 140, 168].

სიმონ მეფის ქართლში დაბრუნების შემდეგ ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში ქართლის სამეფომ თავისი ფუნქცია დაიბრუნა. ქართლის სამეფო ისევ დადგა საერთო-ქართული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და ამ ინტერესების შესაბამისად სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობების მოწესრიგებას ცდილობდა. ამ დროს ეს სხვა ქართული სამეფო-სამთავროები ქართლთან ურთიერთობების მოწესრიგების სურვილს არ ავლენდნენ და ოსმალებისგან წაქეზებულებმა ქართლზე ლაშქრობებიც კი განახორციელეს.

ახორციელეს – 1580, 1581, 1585, 1586, 1590, 1595, 1597 წლებში [სცსა, ფ. 1449, № 1611; სცსა, ფ. 1448, № 2328; სცსა, ფ. 1449, № 1630; სცსა, ფ. 1449, № 1557; სცსა, ფ. 1449, № 1754; ხეც, Ad-2233ა; ხეც, Qd-430; ქრონიკები, II, 1897, გვ. 423]; ანახლებს მათ მიმართ ძველ შეწირულობებს – 1586 წელს [ხეც, Ad-2233ა] და ბრძანებებს გამოსცემს თავისი მოხელეების მიმართ – 1583, 1595 წლებში, რათა მათგან არახელსაყრელი ეკონომიკური რეჟიმი არ შეექმნას ქრისტიანული ეკლესიის მსახურთ [ხეც, Hd-1374; ქრონიკები, II, 1897, გვ. 423]. ირანელთათვის სიმონის ასეთი საქმიანობა, რასაკვირველია მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო (ირანელთა მოხელე მაჰმადიან დაუთ-ხანს ასეთი საქმიანობით, მაგალითად, თავი არ შეუწუხებია, თუმცა უმცირესი გამონაკლისი ამ თვალსაზრისით მის მოღვაწეობაშიც არის), მაგრამ ირანელები სიმონის ასეთი მოქმედების მიმართ თვალს ხუჭავდნენ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მისი დიდი მნიშვნელობის გამო და ასეთივე მოსაზრებით დახუჭავდნენ ისინი თვალს სიმონის საქართველოში დაბრუნებისთანავე მომხდარი ხელახალი გაქრისტიანების მიმართაც.

ამ დროისათვის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისათვის საგარეო ფაქტორის ზეგავლენამ აქამდე არნახულ დონეს მიაღწია. ოსმალეთის საქართველოში გააქტიურების პირობებში, რეალურად შეიზღუდა ყველა ქართული სამეფო-სამთავროს წინამძღოლის პოლიტიკური ნება, თუმცა ეს სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ მათი მოქმედების გამამართებლად არანაირად არ გამოდგება. სიმონ მეფეც შეზღუდული იყო თავის პოლიტიკურ არჩევანში, ის იძულებული იყო ირანის ინტერესებისათვის გარკვეული ანგარიში გაეწია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა, რომ სამშობლოს ინტერესების დაცვისათვის ეზრუნა. სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლებსაც შეეძლოთ თავიანთი პოლიტიკური ნების გარკვეული მასშტაბით შეზღუდვის პირობებში საერთო-ქართული ინტერესების შესაბამისად მოქმედება, მაგრამ ისინი ერთხელ არჩეულ გზას არ უხვევდნენ და სეპარატისტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ.

სიმონი როდესაც ქართლში დაბრუნდა თბილისის ოსმალური გარნიზონი მძიმე გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. მოსახლეობას სურსათ-სანოვაგე გადამალული ჰქონდა და გარნიზონი შიმშილობდა. მაგრამ მალე აზერბაიჯანიდან კახეთის გავლით ღალა მუსტაფა ფაშა თავისი ლაშქრით ქართლში დაბრუნდა. დამატებითი ძალების მოსვლამ თბილისის ოსმალურ გარნიზონს მხნეობა შესძინა. თავად ღალა მუსტაფა ფაშა თბილისის ოსმალური გარნიზონის საქმის მოწესრიგების შემდეგ გორში ჩავიდა, სადაც მას მორჩილებით ეახლნენ იმერეთის მეფე და გურიის მთავარი [ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 130].

იმერთა მეფე თავისი ლაშქრით სულ ცოტა ხნის წინ ოსმალებს ბრძოლის ველზე დაუპირისპირდა, მაგრამ ამჯერად მან თავისი პოლიტიკური კურსი შეცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც

იმერთა მეფემ ლიხის ქედზე ოსმალებს ბრძოლა გაუმართა, ამ შემთხვევაში მას ოსმალთა ერთ რაზმთან უწევდა დაპირისპირება. ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდალს თავისი ძირითადი ძალებით მაშინ იმერეთის წინააღმდეგ არ ულაშქრია და ამასთანავე, იმხანად ოსმალებს ამიერკავკასიაში დიდი გავლენა არ ჰქონდათ. ამის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშამ ამიერკავკასიის დიდი ნაწილი დაიმორჩილა და მისი ძლიერება აშკარა გახდა. რამაც, როგორც ჩანს, დააფრთხო იმერთა მეფე და შეაცვლევინა თავისი დამოკიდებულება ოსმალების მიმართ. ოსმალთა ძლიერება გურიის მთავრისათვისაც შიშის მომგვრელი უნდა ყოფილიყო და ამასთანავე, ის, როგორც ვიცით, მეტისმეტი ინტენსივობით იყო ჩართული დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შიდადაპირისპირებაში (ასეთ მდგომარეობაში იყო იმერთა მეფეც, თუმცა გურიის მთავრის მდგომარეობა ამ მხრივ მაინც უფრო რთულად იყო), რაც მას ძლიერი უცხო ძალის მიმართ იმთავითვე მორჩილების გრძნობით განაწყობდა.

ლალა მუსტაფა ფაშა გორიდან სამცხეს გაემართა და იქიდან ოსმალებში მიმავალმა ყვარყვარე და მანუჩარი თან გაიყოლა. ოსმალები ამიერკავკასიაში თავიანთი პოზიციების გაძლიერების და ირანთან მიმდინარე ომში ინიციატივის ფლობის პირობებში აღარ კმაყოფილდებიან მესხეთის მოხარკეობით და იქ საბეგლაბეგოს (საფაშოს) დაარსებას გეგმავენ, რა მიზნითაც ცდილობენ ყვარყვარეს და მანუჩარის გამოყენებას.

სულთანმა სტამბოლში ყვარყვარე და მანუჩარი ერთდროულად დაიბარა. ძმების სტამბოლში ერთდროულად ყოფნის ვითარებაში, ოსმალთათვის თავიანთი მიზნის მისაღწევად მათი ინტერესებით მანიპულირება ადვილი იყო. თუ ყვარყვარე, რომელიც სამცხის ათაბაგი იყო და კანონით ქვეყნის გამგებლობა მას ეკუთვნოდა, გამაჰმადიანებაზე უარს იტყოდა, მაშინ სულთანი სამცხის

გამგებლობას იმავე პირობით მანუხარს შეთავაზებდა. მართლაც, ეს ასე მოხდა.

1579 წლის 25 ივნისს ოსმალეთის სულთნის ბრძანებით დაარსდა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, რომელშიც შევიდა სამცხე-საათაბაგოს ძირითადი ტერიტორია. გამაჰმადიანებულ მანუხარს მუსტაფა ეწოდა და სულთანმა იგი დანიშნა ახლადდაარსებული ადმინისტრაციული ერთეულის ბეგლარბეგად (ფაშად). ყვარყვარე კი, ქრისტიანობის შენარჩუნებით, სანჯაყის გამგებლად დაინიშნა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 126–135].

საქართველოს ერთ ნაწილზე, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე საფაშოს გაჩენა საქართველოს დიდი მარცხი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოსმალები უკვე სამცხის მთელ ტერიტორიაზე თავიანთ მმართველობასა და წესებს დანერგავდნენ და იქ მცხოვრებ ქართველებს ქრისტიანობა მაჰმადიანობის სასარგებლოდ უნდა დაეთმო. სამცხეში შეიქმნა ქართველობის, ქართული სოციალურ-პოლიტიკურ წყობის სრული აღმოფხვრის საშიშროება. ამ დროიდან საერთო-ქართული ინტერესების დაცვისათვის ბრძოლა სამცხეში უაღრესად მძიმე პირობებში მიმდინარეობს.

ღალა მუსტაფა ფაშას ქართლიდან წასვლის შემდეგ სიმონ მეფემ ქართლის ციხე-სიმაგრეები ძირითადად გაწმინდა ოსმალთა დამპყრობლებისაგან. თუმცა ოსმალებმა შეინარჩუნეს თბილისი, რომელიც საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული და მისი აღება სიმონ მეფის ძალებს აღემატებოდა.

ოსმალთა დამპყრობლებისაგან ქართლის ციხე-სიმაგრეების განთავისუფლების პარარელურად სიმონ მეფე უსწორდებოდა თავის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ქართლის მეფის ირანში ტყვეობაში ყოფნისას ქართლში ძლიერ აქტიურობდნენ და დიდი გავლენაც ჰქონდათ. ქართლში სიმონ მეფის დაბრუნების შემდეგ, მისი

მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი მიმოიფანტა, “ზოგნი მეფეს დავითს¹ თან გაჰყვნენ ურუმში და ზოგნი იმერეთსა და კახეთში გარდაიხუეწნეს“ [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 524]. იმერეთსა და კახეთში სიმონის მოწინააღმდეგეების შეფარება შემთხვევით არ არის. მას შემდეგ რაც სიმონი ისევ ქართლის წინამძღოლად იქცა, განდგომილი სამეფოები, რომელთა უკანაც ოსმალეთი იდგა, ქართლს დაუპირისპირდნენ და მისი უდრეკი წინამძღოლის მოწინააღმდეგეებს ყოველნაირად ხელს შეუწყობდნენ.

სიმონ მეფემ თავისი მოწინააღმდეგეების მეორე ნაწილი დასაჯა. მან ჯერ ვახტანგ მუხრანბატონი შეიპყრო და კეხვის ციხეში მოათავსა, ხოლო შემდეგ ბარძიმ ამილახორი დააპატიმრა. ეს რომ ნახა ქსნის ერისთავმა, ნესტან-დარეჯანს მის მიერ ცოტა ხნის წინ წართმეული ქონება დაუბრუნა, ამასთან, ცალკე ძღვენი თავისი ხარჯით მოამზადა, ისიც მიართვა და თხოვა, რომ სიმონთან შუამდგომლობა გაეწია. ნესტან-დარეჯანმა ქსნის ერისთავს სიმონ მეფესთან შუამდგომლობა გაუწია. ქართლის მეფემ ქსნის ერისთავი შეიწყალა და შემდეგ ბარძიმ ამილახორი და ვახტანგ მუხრანბატონი გაათავისუფლა, თუმცა მათ თავიანთი ქონება ჩამოართვა. სიმონ მეფემ კახაბერ ყორღანაშვილის ცოლ-შვილიც დასაჯა. ისინი მეფის ბრძანებით იმავე გელიყარის ციცაბო კლდიდან გადაყარეს, საიდანაც საჩინო ბარათაშვილმა კახაბერ ყორღანიშვილი გადაჩეხა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 51; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება პირველი ტექსტი, 1959, გვ. 372; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 524, 526; ვახუშტი, 1973, გვ. 412; ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 53].

¹გამორიცხული არ არის ამ ხანებში ქართლიდან სიმონის რომელიმე მოწინააღმდეგე ოსმალეთში რომ წასულიყო, ოსმალები მას კეთილგანწყობით მიიღებდნენ, თუმცა ის დაუთ-ხანთან ერთად ვერ წავიდოდა იქ, ამ ხანებში დაუთ-ხანი კახეთში იყო და ოსმალეთში რამდენიმე წლის შემდეგ გადასახლდა.

აღექსანდრე კახთა მეფისათვის მიუღებელი იყო მოვლენების ისეთი განვითარება, როგორსაც ქართლში ჰქონდა ადგილი. ისინი ვინც სიმონ მეფემ დასაჯა ძირითადად მისი მომხრეები იყვნენ. ამასთან, დაუთ-ხანთან აღექსანდრე კახთა მეფეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მან კახეთში სამეფო ხელისუფლებისათვის გამართული ბრძოლისას სიმონის ცოლისძმები დახოცა. ამის გამო აღექსანდრე კახთა მეფეს უნდა ცოდნოდა, რომ სიმონი მისდამი უარყოფითად იქნებოდა განწყობილი. ასეთ სიტუაციაში აღექსანდრემ ქართლის მეფის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა.

1580 წელს აღექსანდრე კახთა მეფე თავისი ლაშქრით ქართლში გადავიდა და დიღომში მყოფ სიმონ მეფეს მოულოდნელად თავს დაესხა. ქართლის მეფეს იქ ლაშქარი არ ჰყავდა და ამიტომ იძულებული გახდა იქიდან გაქცეულიყო. აღექსანდრემ იქაურობა დაარბია და შემდეგ მარტყოფის მიმართულებით წავიდა. ამასობაში სიმონმა თავისი ლაშქარი შეკრიბა და კახეთის მეფის ლაშქრის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბრძოლა გაიმართა იმ ადგილას, რომელსაც ჭოტორს უწოდებდნენ. ძლიერ ხმალთაკვეთებაში კახეთის სამეფოს ლაშქარი დამარცხდა და აღექსანდრე კახთა მეფე ბრძოლის ველიდან გაიქცა. კახეთის მეფის თანმხლებ დიდგვაროვანთა უმრავლესობა ქართლის მეფის ლაშქარმა ტყვედ აიყვანა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება პირველი ტექსტი, 1959, გვ. 372–373; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 527; ვახუშტი, 1973, გვ. 412; ქრონიკები, II, 1897, გვ. 416].

ყურადღებას იმსახურებს ის დამოკიდებულება, რომელიც ქართლის ხელისუფლებამ დატყვევებულ კახელ დიდგვაროვანთა მიმართ გამოავლინა. „სწავლული კაცნი“ და ვახუშტი გადმოგვცემენ, რომ ისინი მცხეთას მიიყვანეს, სადაც მათ გარკვეული სახის ფიცის დადება მოუწიათ [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება,

პირველი ტექსტი, 1959, გვ. 373; ვახუშტი, 1973, გვ. 373]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში კიდევ უფრო დაკონკრეტებულია ფიცის დადების ადგილი და აღნიშნულია, რომ ეს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში მოხდა [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 527]. ძველი ქართველი მემატრიანეები ამ ფიცის ტექსტის სამ სხვადასხვა ვარიანტს გვაწვდიან, რომელთა შინაარსი, არსებითად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. „სწავლულ კაცთა“ მიხედვით, კახელმა დიდგვაროვნებმა ფიცის დადებისას ასეთი სიტყვები წარმოთქვეს: „ღმერთმან კახს კაცს მის დღეში ქართველს კაცზედ ნუ გაუმარჯოსო“ [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 373]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის გადმოცემით, კახელ დიდგვაროვანთა ფიცის ტექსტი ასეთი იყო: „ღმერთმან სამართლის მოქმედმან კახს კაცს ნურაოდეს გაუმარჯოსო ქართველს კაცს ზედაო, არცა დიდთა და არცა მცირედთაო“ [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 527]. ამ ფიცის ვახუშტისეული ვარიანტი კი ასეთია: „ღმერთმან ნურას ჟამს მისცეს ძლევა კახთა ქართველთა ზედა“ [ვახუშტი, 1973, გვ. 412]. ფიცის დადების შემდეგ წყაროთა ერთობლივი მოწმობით, კახელი დიდგვაროვნები დაუსაჩუქრებიათ და შინ გაუსტუმრებიათ [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 373; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 527; ვახუშტი, 1973, გვ. 412].

საყურადღებოა თავად „ფიცის“ მომენტი. უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის დამდეგს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის თაოსნობით შედგენილი კანონების მიხედვით, „საქართველოს რიგისა და სამართლის“, ე. ი. მტკიცებულებათა სისტემის წყებაში „ფიცს“ პირველი ადგილი უჭირავს. საერთოდ, ამ დროის ქართული სინამდვილისადმი დამახასიათებელი იყო შეხედულება, რომ

“ცრუფიცი” კაცს ამქვეყნად დიდ უბედურებას უქადის და “ფიცისადმი” განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობს, როგორც ერთგულებისა და სამართლის სიმბოლოსადმი [გ. ნადარეიშვილი, 1986, გვ. 339]. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის მეფეთა მტკიცე დასაყრდენის “ფიცისკაცთა” ინსტიტუტის არსებობის საძირკველიც სწორედ “ფიცის” ფენომენზე იყო აგებული. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მიმართაც, შეიძლება აღინიშნოს, რომ “ფიცის” მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო.

ჩვენთვის საინტერესო “ფიცი”, რომელიც კახელმა დიდგვაროვნებმა დადეს, არსებითად პოლიტიკური მნიშვნელობისაა და ჩვენი აზრით, საერთო-ქართულ ინტერესებს პასუხობს. ის კი აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, მუდმივმა შეხლა-შემოხლამ, დაძაბულმა მდგომარეობამ და საერთოდ სულიერების კრიზისმა, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ საქართველოში აღინიშნა, თვით ქართლის ხელისუფლების სააზროვნო სისტემას და თვითშეგნებას დაასვა მცირედი დაღი და მათ დიდი ოსტატობით “ფიცის” ტექსტი ვერ შეუდგენიათ. ამის მიუხედავად, ეს “ფიცი” თავისი დროის საქართველოსათვის სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან კახელ დიდგვაროვანთა შეგნებაში ქართლზე თავდასხმის მომენტის დათრგუნვა, რასაც, რეალურად ამ “ფიცის” ტექსტი გულისხმობდა, სავსებით შეესაბამებოდა საერთო-ქართულ ინტერესებს. ამასთანავე, ამ “ფიცისთვის” თავიანთი კურთხევა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთაც უნდა მიეცათ, რაც “ფიცს” დამატებით სიმტკიცეს შესძენდა და თავის მხრივ მისი ცხოვრებაში პრაქტიკულად მოქმედებისთვის პოზიტიურ ზეგავლენას იქონიებდა.

ამ ხანებში სიმონ მეფე ყიზილბაშებთან ერთად ინტენსიურ საბრძოლო ოპერაციებს აწარმოებდა ოსმალების წინააღმდეგ. 1579

წლის გაზაფხულზე ქართლის მეფემ ყიზილბაშებთან ერთად თბილისს ალყა შემოარტყა. ეს ალყა 4 თვე გაგრძელდა და ციხეში მყოფი ოსმალები საშინელ განსაცდელში ჩააგდო. 1579 წლის შემოდგომაზე ლალა მუსტაფა ფაშამ ქართლში 20 ათასიანი ლაშქრით დამასკოს ფაშა გამოგზავნა. ამ ლაშქარს დმანისის ვიწროებთან სიმონ მეფე და ყიზილბაშთა სარდალი ალიყული ხანი დახვდნენ თავიანთი მოლაშქრეებით. ბრძოლაში თავიდან ოსმალებს გაუჭირდათ, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება მაინც მათ დარჩათ. ალიყული ხანი ტყვედ ჩავარდა, ოსმალთა ლაშქარი კი, თბილისში შევიდა. თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა გადაყენებულ იქნა და მის ნაცვლად თბილისის ბეგლარბეგად დაინიშნა ჰაჯი ბეგი ზადე აჰმედ ფაშა. [მინადოი, Q-149, ფ. 70; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 54; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 131-133].

ოსმალების სულთანმა მურად III-მ 1579 წლის საომარი კამპანიის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშა მთავარსარდლობიდან გადააყენა. სულთნის უკმაყოფილება მისი მთავარსარდლის მიმართ ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ მან ვერ შეძლო საქართველოს დამორჩილება.

სულთანი ხედავდა, რომ სიმონ მეფის წინააღმდეგობის დაძლევა სამხედრო ღონისძიებებით არ ხერხდებოდა, ამიტომ მან გადაწყვიტა მის მიმართ გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. ამას ადასტურებს აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ხუსრევ ფაშას მიერ სიმონ მეფისათვის გაგზავნილი წერილი. საიდანაც ჩანს, რომ ოსმალების ხელისუფლება თანახმა იყო სიმონ მეფეს თავისი სამფლობელო გადაცემოდა “ფადიშაჰის ლივას” სტატუსით. ამგვარად, სიმონ მეფე უნდა ყოფილიყო არა ქართული სამეფოს გამგებელი (მეფე), არამედ ოსმალური პროვინციის (ლივა) მოხელე (ფაშა), ამასთანავე თბილისში უნდა დარჩენილიყო ოსმალთა

გარნიზონი. მაშასადამე, ოსმალეთის მთავრობა არ აპირებდა ქართლში ქართული სამეფო ხელისუფლების აღდგენას, მაგრამ იგი მზად იყო სიმონი ეცნო მის გამგებლად ოსმალური წესისამებრ [მ. სვანიძე, 1971, გვ. 140].

სიმონ მეფეს ამ დროს მძიმე გასაჭირი ადგა. ქართლის სამეფოს უპირისპირდებოდნენ სხვა ქართული სამეფო-სამთავროები. ყიზილბაშთა ჯარი, რომელიც სიმონს ირანიდან ჩამოყვავა სუსტი გამოდგა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართლის მეფისათვის ოსმალთა შეთავაზებული პირობების მიღება სრულიად მიუღებელი იყო. სიმონისთვის ამ ეტაპზე ოსმალეთის მიმართ მოხარკეობაზე დაფუძნებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა იყო მისადები, ისიც მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით, რათა ოსმალთა შემოტევა დროებით შეენელებინა, შემდეგ კი, მისი ამოცანა მათგან სრული გათავისუფლება იქნებოდა.

ოსმალეთის ხელისუფლება როცა დარწმუნდა, რომ თავისი პირობებით სიმონ მეფესთან შეთანხმებას ვერ მიაღწევდა. აქცენტი ისევ სამხედრო ოპერაციებზე გადაიტანა. 1580 წლის გაზაფხულზე სულთანმა აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად სინან ფაშა დანიშნა. მისი მთავარი ამოცანა საქართველოს დამორჩილება იყო.

ამ ხანებისთვის თბილისი ისევ ალყაშემორტყმული იყო. სინან ფაშამ გადაწყვიტა პირველ რიგში ალყაშემორტყმული თბილისის ოსმალური გარნიზონისათვის აღმოეჩინა დახმარება და თავისი ჯარით თბილისისკენ დაიძრა. თბილისისკენ მიმავალ ოსმალებს ქართველები დაესხნენ თავს და დიდი ზიანიც მიაყენეს მათ, მაგრამ ოსმალებმა მაინც შეძლეს ალყაშემორტყმულ თბილისში შესვლა. სინან ფაშამ აჰმედ ფაშა ჰაჯი ბეგი ზადე თბილისის ბეგლარბეგობიდან გადააყენა და მის ნაცვლად თბილისის ბეგლარბეგად გიორგი ბეგი დანიშნა [იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964,

გვ. 60–61; მ. სვანიძე, 1971, გვ. 140–141].

გიორგი ბეგი უნდა იყოს იმერთა მეფის გიორგის შვილი. გიორგი ბეგი ოსმალურ წყაროებში და ლიტერატურაში იუსუფ ფაშას სახელით არის ცნობილი [მ. სვანიძე, 1971, გვ. 141–142]. სინან ფაშა როდესაც თბილისისკენ მიემართებოდა ყვარყვარე გაგზავნა შუამავლად იმერეთში. ამის შესახებ ცნობა “მესხურ მატრიანეში” არის დაცული: ”მასუკან მეორეს წელიწადს სინან ფაშა მოვიდა, ტფილის წავიდა და ორნიც თან გაჰყვნეს. პატრონი ყვარყვარე თრიალეთიდან მოებრუნებინა, იმერეთს მოციქულად გაეგზავნა და პატრონი მანუჩარ თან წაეტანა” [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 53]. მ. სვანიძე ფიქრობს, რომ სინან ფაშამ ყვარყვარეს შუამავლობით იმერეთის მეფეს შესთავაზა მისი შვილის თბილისის ბეგლარბეგის თანამდებობაზე დანიშვნა და გიორგი მეფისათვის ეს შეთავაზება მისაღები იყო [მ. სვანიძე, 1971, გვ. 142].

იგივე საკითხთან დაკავშირებით მ. სვანიძე კიდევ ერთ საყურადღებო მოსაზრებას ანვითარებს: ”ის გარემოება, რომ ქართლის (თბილისის) ბეგლარბეგად დანიშნული იქნა გამაჰმადიანებული, საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენელი და არა თურქი მოხელე, ნიშნავს ოსმალეთის უკან დახევას და დათმობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამით სულთანს თიშავდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, უპირისპირებდა რა ერთიმეორეს სიმონ ქართლის მეფეს და იმერეთის მეფეს გიორგის” [მ. სვანიძე, 1971, გვ. 143].

საბოლოოდ სინან ფაშასთვის სიმონ მეფისგან მორჩილების მიღება მიუღწევებლ ამოცანად დარჩა. სინან ფაშამ თბილისი მალე დატოვა, იგი დმანისის გზით გაემართა უკან. სიმონ მეფე ყიზილბაშთა ლაშქართან ერთად მტერს თავს დაესხა და დიდი ზიანიც მიაყენა, მაგრამ სინან ფაშამ მაინც მოახერხა სამცხეში გაღწევა, სადაც მის ლაშქარს ქართველები მოსვენებას ისევ არ აძლევდნენ [იბრაჰიმ

ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 62].

1580 წელს უკვე ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებები დაიწყო და მასში ქართველი პოლიტიკოსებიც ჩაერთვნენ. 1581 წლის 7 ივნისს, როდესაც სინან ფაშა არზრუმში იმყოფებოდა, მასთან გამოცხადდა შაჰის ელჩი ნაბუთ ალა სიმონ მეფის ელჩთან ერთად. ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ სიმონ მეფე მზად იყო ოსმალეთთან ზავი დაედო, თუ ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდებოდა. სიმონ მეფის ელჩი 1582 წელს სტამბოლშიც ჩავიდა სულთნის უფლისწულის წინდაცვეთის დღესასწაულზე, მაგრამ, ჩანს, რომ ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 144–145].

ირანს და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, ამ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებები დროებით შეწყდა. რითაც ისარგებლეს სპარსელებმა და აღმოსავლეთ საქართველოში თავიანთი პოზიციების გასაძლიერებლად გარკვეული ზომები მიიღეს.

სპარსელებისთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ სიმონის მათდამი გამოცხადებული მორჩილება მოჩვენებითი იყო და ქართლის მეფე უმცირესი შესაძლებლობის გაჩენისთანავე სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას შეეცდებოდა და სპარსელებს განუდგებოდა. 1582 წელს სპარსელებმა სიმონ მეფეს თავისი ქალიშვილის მიცემა თხოვეს საცოლედ თავიანთი უფლისწულის ჰამზამირზასათვის. ამ გზით მათ იმედი ჰქონდათ, რომ სიმონი მათ გადადგომას ვეღარ გაბედავდა. ქართლის მეფემ გარეგნულად თავი ბედნიერად მოაჩვენა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით სპარსელთა თხოვნას არ ასრულებდა. უეჭველია სიმონს არ სურდა ერთგვარი მძევლის მიცემით თავისი მომავალი პოლიტიკური

მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა, მაგრამ ქართველთა სარწმუნოებრივ შეხედულებასაც ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: სიმონს, მის სახლობასა და მმართველ წრეებს არ უნდოდათ ქრისტიანი ქართველი ქალი მაჰმადიანისათვის მიეთხოვებინათ [ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 271].

სიმონ მეფე საბოლოოდ სპარსელებმა სამხედრო მუქარის გზით აიძულეს, რომ მათი ეს პირობა შეესრულებინა. სპარსელებმა ამ დროს ალექსანდრე კახთა მეფეც გადაიბირეს და სიმონ მეფეს შეარიგეს. ამასთანავე, სპარსელებმა ქართლის და კახეთის მეფეებს ჯვარზე და სახარებაზე ფიცი დაადებინეს, რომ ერთმანეთს დაეხმარებოდნენ, სპარსთა ერთგულებას არასდროს უღალატებდნენ და სპარსელებთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. თუმცა სპარსელები არც ამით დაკმაყოფილდნენ და კახეთისა და ქართლის მეფეებს მძევლებად ვაჟიშვილების მიცემა მოთხოვეს. ისინიც იძულებული იყვნენ სპარსელების მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. სიმონ მეფემ ირანში თავისი ძე ლუარსაბი გაგზავნა, ხოლო ალექსანდრე მეფემ – თავისი 12 წლის ვაჟი კონსტანტინე. ალექსანდრე კახთა მეფეს ამის გარდა 3000 ერაყული შაჰური თუმანის გადახდა მოთხოვეს იმ წლების ხარკის ფასად, როდესაც ის სპარსელებს გადაუდგა და ოსმალებს მიემხრო. კახთა მეფეს 1000 თუმანი კიდევ სხვა სპარსეთის ტახტის მემკვიდრისა და 1000 თუმანი სპარსეთის სარდლებისა და დიდებულებისათვის საჩუქრად უნდა გამოეღო. ალექსანდრე კახთა მეფე იძულებული იყო მთელი ეს მოთხოვნები აესრულებინა [ისქანდერ მუნშის ცნობები, საქართველოს შესახებ, 1969, გვ. 36–37; ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 271].

ამჯერად ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე უცხო ძალის ზემოქმედება, ობიექტურად პოზიტიური ნიშნით აღინიშნა. ქართლისა და კახეთის დაძაბული ურთიერთობის მოგვარების საქმე ირანმა აიღო თავის თავზე. ირანს, რასაკვირველია

საქართველოში თავისი ინტერესები ჰქონდა, ამის გამო გამოიღო თავი ამ საქმის გასაკეთებლად და მისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად არც ჯვარის და სახარების მოხმობისგან შეუკავებია თავი. რაც, ერთი შეხედვით, გასაკვირია, მაგრამ ასეთი კომპრომისი ირანის ხელისუფლებას უღირდა, რადგან ერთურთზე დაპირისპირებული ქართლისა და კახეთის მეფეები მისთვის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოსაყენებლად ნაკლებად გამოდგებოდა. ოსმალების დამარცხება კი, მაშინ, რასაკვირველია ირანის სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა იყო.

ალექსანდრე კახთა მეფის ოსმალებისგან განდგომა და ირანელთა მხარეს გადასვლა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ოსმალების საქართველოში მოქმედებას ძლიერ ზღუდავდა ის, რომ ისინი ქართლში ბოლომდე ვერ გაბატონდნენ და იქ სიმონ მეფის გამო თბილისში იყვნენ ჩაკეტილი. ამ ვითარებაში ოსმალებისათვის რთული იქნებოდა ალექსანდრე კახთა მეფე მათდამი მორჩილების აუცილებლობაში დაერწმუნებინათ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმუამად ირანის პოლიტიკა საქართველოში არ იყო ისეთი სასტიკი და აგრესიული, როგორც ოსმალეთის. რაც იმ ოთხი წლის განმავლობაში, როცა კახეთი ოსმალეთის მორჩილებაში იმყოფებოდა, ალექსანდრე მეფეს კარგად უნდა შეემჩნია და რაც, მას, სავარაუდოდ ოსმალებისგან განდგომას აფიქრებინებდა. ალექსანდრეს ოსმალებისგან განდგომა და ირანელთა მხარეს გადასვლა კი, ობიექტურად საერთო-ქართულ ინტერესებს პასუხობდა.

მას შემდეგ რაც ქართლისა და კახეთის ურთიერთობა გამოსწორდა, საშამხლოსა და დაღესტნის გამგებლებმა საერთო მტრის ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად კავშირი დაამყარეს აღმოსავლურ ქართული სამეფოების წინამძღოლებთან. ამიერკავკასიაში ამ დროს ოსმალეთის მთავარი დასაყრდენი თბილისი

იყო და ამიტომ მოკავშირეებმა პირველ რიგში ყიზილბაშებთან ერთად მისი აღება გადაწყვიტეს.

თბილისზე შეტევა სიმონ მეფისა და ყიზილბაშთა სარდლის იმამ-ყული ხანის ჯარებმა მიიტანეს, რამაც სტამბოლში დიდი შეშფოთება გამოიწვია. სულთნის ბრძანებით ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად 1582 წლის აგვისტოს ბოლოს ჰადიმ მეჰმედ ფაშა 20 ათასიანი ლაშქრით არზრუმიდან გამოვიდა და ყარსის გავლით ახალქალაქში ჩავიდა, სადაც მას შეუერთდა მუსტაფა (მანუჩარი), რომელსაც თბილისისკენ მიმავალი ოსმალთა ლაშქრისათვის მეგზურობა დაეკისრა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 148–150].

ოსმალებმა ამასთანავე, იმერეთის მეფეს და ოდიშის და გურიის მთავრებს გაუგზავნეს ბრძანება, რათა სიმონ მეფეს დასხმოდნენ თავს. თავად ჰადიმ მეჰმედ ფაშა კი, ამასობაში თავისი ლაშქრით ქართლის ტერიტორიაზე შემოვიდა და მუხრანის ველზე დასცა ბანაკი.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა იხელმძღვანელებს რა სეპარატისტული მოსაზრებებით, რასაც ამ დროს სულ ერთიანად მოეცვა მათი ცნობიერება, ქართლზე ლაშქრობა განახორციელეს და იქ რბევა მოაწყვეს. სიმონ მეფე თავისი სამხედრო ძალებით მათ არ დაპირისპირებია.

დასავლელ ქართველთა ლაშქრობას, რომელიც ქართლის მიმართ განხორციელდა გიორგი იმერთა მეფე ხელმძღვანელობდა, დადიანი და გურიელი კი, მისი დამხმარეები იყვნენ. ამ ფაქტის კომენტარისას გიორგი იმერთა მეფის როლზე ამახვილებს ყურადღებას მ. რეხვიაშვილი: “გიორგი მეფე ალბათ შიშობდა, რომ თუ იგი არ დაეთანხმებოდა ოსმალთა სარდლის წინადადებას. ეს უკანასკნელი მას მიუსევდა გურიელსა და დადიანს, რომლებიც მუდამ მიისწრაფოდნენ, რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ იმერეთის მეფისაგან და საამისოდ არც დამპყრობელთა სამსახურს

ერიდებოდნენ” [მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 64].

მართლაც, დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების დაძაბული შიდა ურთიერთობების გამო გიორგი იმერთა მეფე თავის არჩევანში შეზღუდული იყო. თუმცა, რასაკვირველია, მას მაინც არ უნდა მიეღო ოსმალთა ის წინადადება, რომელიც თანამოძმეზე მახვილის აღმართვას ითვალისწინებდა. რა თქმა უნდა, იგივე ითქვას ოდიშის და გურიის მთავრების მიმართაც.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მ. რეხვიაშვილი ლიხთიმერელთა ქართლში 1582 წელს განხორციელებულ ლაშქრობას გადმოსცემს ვახუშტის მიხედვით, რომელიც დიდი მეცნიერის თხზულების იმ ნაწილში მოიპოვება, რომელსაც “ცხორება ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა” ეწოდება: “მაშინ განზრახუთა ათაბაგისათა შემოიკრიბნა გიორგი მეფემან სპანი და მოიყვანა დადიან-გურიელიცა სპითა მათითა; ვინაჲთგან აქუნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იყო ხონთქრისა, მიუხდნენ შიდა ქართლს, ვერა სადა ჰპოვნეს ხიზანნი და დაწვნეს სრულიად გაღმა-გამოდმართნი. მერმე უკუმოიქცნენ და მოვიდნენ უნოდ” [ვახუშტი, 1973, გვ. 819; მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 64].

ეს ათაბაგი, რომელზეც აქ არის საუბარი ყვარყვარე მეოთხეა. იმერეთში ყვარყვარე IV-ის ელჩობა ერთხელ მართლაც შედგა, მაგრამ იგი 1582 წელს არ ყოფილა. ამ ელჩობის თაობაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. 1582 წელს კი, უკვე ყვარყვარე IV არ იყო ცოცხალი, იგი 1581 წელს გარდაიცვალა და ამიტომ 1582 წელს დასავლელ ქართველთა ქართლში განხორციელებული ლაშქრობის ხელშემწყობად მისი მიჩნევა არ არის მართებული.

სიმონ მეფემ სავსებით მართებული გადაწყვეტილება მიიღო, როცა დასავლელ ქართველთა ქართლში გადასულ ლაშქარს არ დაუპირისპირდა. ამით ქართლის მეფე მოერიდა თავისი ძალების დაფანტვას ოსმალებთან მოსალოდნელი ბრძოლის წინ და თავიდან

აიცილა ძმათამკვლელი ფართომასშტაბიანი დაპირისპირება. სიმონ მეფე ოსმალთა ლაშქარს მუხრანში დაესხა თავს და სასტიკი დამარცხება მიაყენა. მნიშვნელოვანია, რომ მუსტაფამ (მანუჩარმა) სიმონ მეფეს საიდუმლოდ აცნობა ოსმალთა ლაშქრის თბილისისკენ მსვლელობის გეგმა და მუხრანის ბრძოლაში ოსმალების დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანა. მუხრანის ბრძოლაში ოსმალებს დიდი მსხვერპლი ჰქონდათ და ვინც გადარჩა ძლივს მოახერხა თბილისში შესვლა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 373; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 528; ვახუშტი, 1973, გვ. 413, 819; მ. სვანიძე, 1971, გვ. 150–152; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 134].

ოსმალეთის ხელისუფლებამ მუხრანის ბრძოლის შემდეგ თბილისის ბეგლარბეგი შეცვალა, იუსუფ ფაშას ნაცვლად თბილისის ბეგლარბეგად ომერ ფაშა დაინიშნა.

ამ დროს ძალიან მძიმე ვითარებაა შექმნილი სამცხეში. ჩილდირის საბეგლარბეგოს დაარსების (1579) შემდეგ ოსმალებმა გააფართოვეს სამცხეში თავიანთი მმართველობისა და წესების დანერგვის პროცესი. მუსტაფა (მანუჩარი) და ყვარყვარე ამ პროცესის განვითარებას არ ეწინააღმდეგებოდნენ და უფრო მეტიც, ისინი რამდენჯერმე ოსმალებთან ერთად, თუ დამოუკიდებლად, ოღონდ ოსმალების ნებით, ქართლის რბევაშიც კი იღებენ მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით, მ. სვანიძე აღნიშნავს: “სტამბოლიდან სამცხეში დაბრუნების შემდეგ, მანუჩარი (მუსტაფა) და ყვარყვარე კარგად ხედავდნენ, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა: “ოსმალთა” შემოღება მათ ქვეყანას. მაგრამ შექმნილ ვითარებაში, მათ არ შეეძლოთ აშკარად ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლა და რიგ შემთხვევაში იძულებულნი იყვნენ ოსმალთა ლაშქართან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ქართლის სოფლების დარბევაში” [მ. სვანიძე,

1971, გვ. 151–152]. იგივე აზრია გატარებული “საქართველოს ისტორიის ნარკვევების” იმ ნაკვეთში, რომელიც ამ პროცესებს აღწერს და რომლის ავტორები არიან ვ. გუჩუა და მ. სვანიძე [ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 135].

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მოსაზრების ის ნაწილი იქცევს, სადაც საუბარია იმაზე, რომ სამცხის პოლიტიკური მესვეურები რიგ შემთხვევაში იძულებულნი იყვნენ ოსმალთა ლაშქართან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ქართლის სოფლების დარბევაში. ჩვენი აზრით, როგორი სასტიკი სახის იძულება არ უნდა ყოფილიყო ქართველ პოლიტიკოსზე, მას მაინც არ უნდა აღემატა მახვილი თავის თანამოძმეზე და არ შეიძლება ამ თვალსაზრისით სამცხის ხელისუფალთა განხორციელებული ქმედება დადებითად შევაფასოთ.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად სიმონ მეფის 1578 წელს ირანიდან ქართლში დაბრუნებიდან 1582 წელს მომხდარ მუხრანის ბრძოლამდე არსებულ ქართლისა და სამცხის ურთიერთობას და იმ თავდასხმებს, რომელსაც ამ დროს ოსმალების წაქეზებით სამცხის პოლიტიკურ მესვეურთა მხრიდან ქართლის მიმართ ჰქონდა ადგილი, ეს საკითხი, ჩვენი აზრით, მართებულად აქვს მოაზრებული დ. გვრიტიშვილს და მის მოსაზრებაში გადმოცემული სულისკვეთება სავსებით გასაზიარებელია.

დ. გვრიტიშვილი საუბრობს იმ ბრძოლაზე, რომელსაც ამ ხანებში სიმონ მეფის მეთაურობით ქართლი აწარმოებდა ოსმალების წინააღმდეგ და აღნიშნავს: “თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლას ის აძნელებდა, რომ მარტო ქართლი იბრძოდა; კახეთი, საათაბაგო და იმერეთი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად ხშირად მტრის მხარეზე გამოდიოდნენ, ქართლს არბევდნენ” [დ. გვრიტიშვილი, 1965, გვ. 234]. დ. გვრიტიშვილს იქვე “მესხურ მატთანეში” აღნიშნული ამ

რბევის ორი მაგალითი მოაქვს [დ. გვრიტიშვილი, 1965, გვ. 234; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 51].

დ. გვრიტიშვილი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ეს იყო ქართლის რბევა, რომელსაც მის წინააღმდეგ სხვა ქართული სამეფო-სამთავროები აწარმოებდნენ და იგი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ რბევაზე, რომელსაც სამცხის მმართველები აწყობდნენ ქართლის მიმართ. დ. გვრიტიშვილი არ საუბრობს რაიმე იძულებაზე რის გამოც, ჩვენ შეიძლება, როგორმე გავამართლოთ ქართლის მარბეველი სამცხის ხელისუფალნი. ასეთი იძულება, რეალურად, საერთოდ არც შეიძლებოდა რომ არსებულიყო.

ჰადიმ მეჰმედ ფაშამ მუხრანის ბრძოლაში დამარცხება მუსტაფას (მანუჩარს) დააბრალა და მისი დასჯა განიზრახა. ჩანს, მუსტაფას საიდუმლო კავშირი სიმონ მეფესთან ცნობილი გახდა ოსმალებისთვის, მაგრამ ოსმალთა სარდალმა ვერ გაბედა აშკარად გამოსულიყო მუსტაფას წინააღმდეგ და განიზრახა მისი ვერაგულად მოკვლა, მაგრამ თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო, მანუჩარმა მოახერხა ოსმალებისგან გაქცევა [გ. ზედგინიძე, 1997, გვ. 192; მ. სვანიძე, 1971, გვ. 152–153].

იმავე 1582 წელს მანუჩარი გაქრისტიანდა, სამცხეში ანტიოსმალური აჯანყება წამოიწყო და სიმონის მხარეს აშკარად გადავიდა. აჯანყება წარმატებით განვითარდა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 54]. ამასთანავე, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მანუჩარმა ამ დროს სამცხეში აღადგინა ათაბაგობა, რომელიც ოსმალეთმა 1579 წელს გააუქმა. ეს სამცხეში ქართველობისათვის მეგრძოლთა ძალების მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

მანუჩარის განდგომის და სამცხეში აჯანყების დაწყების შემდეგ სულთანმა ჩილდირის ბეგლარბეგად თბილისის ყოფილი ბეგლარბეგი

იუსუფ ფაშა დანიშნა. სულთნის ვარაუდით, გამაჰმადიანებული იუსუფ ფაშა, საქართველოს სამეფო გვარის (იმერეთის ბაგრატიონთა) შთამომავალი, უფრო მისაღები იქნებოდა სამცხის ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მანუჩარის – ათაბაგთა სახლის (ჯაყელთა გვარის) შთამომავლის გადაყენების შემდეგ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ოსმალეთის მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ჩილდირის ბეგლარბეგად ტომით თურქი მოხელის დანიშვნას, რადგანაც ეს გამოიწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გაძლიერებას. იუსუფ ფაშას ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშვნით, ოსმალეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ იგი შეძლებდა ქართველთა დახმარებით მანუჩარის დამარცხებას. ოსმალეთის მთავრობას იუსუფ ფაშა სჭირდებოდა, აგრეთვე, ქართლში მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განსაკუთრებით კი, ალყაშემორტყმული თბილისისთვის დახმარების აღმოსაჩენად. იუსუფ ფაშა ქართლის საქმეებში ჩახედულ კაცად ითვლებოდა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 153–154].

იუსუფ ფაშამ ოსმალების იმედი ვერ გაამართლა. მან მანუჩარის დამარცხება ვერ მოახერხა და ვერც ალყაშემორტყმულ თბილისზე შეძლო დახმარება, რის გამოც იგი 1583 წელს გადააყენეს ჩილდირის ბეგლარბეგობიდან და ყარსის ბეგლარბეგად დანიშნეს.

იმავე 1583 წელს მანუჩარმა სიმონის ასული ელენე შეირთო ცოლად [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ.54]. ეს ქორწინება სიმონის და მანუჩარის კავშირის გაძლიერების მაუწყებელი იყო და მათ ურთიერთობას დამატებით სიმტკიცეს სძენდა.

სამცხეში მანუჩარ ათაბაგის ხელმძღვანელობით მიმდინარე აჯანყებამ ოსმალებისათვის ძალიან საშიში ხასიათი მიიღო და ისინი უკვე მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეეცადნენ მანუჩართან ურთიერთობის გარკვევას. ოსმალებმა მანუჩარს ჩილდირის ბეგლარბეგობა შესთავაზეს. მაგრამ მანუჩარისთვის ოსმალთა ეს

წინადადება არ იყო მისაღები, იგი სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ოსმალეთსა და სამცხეს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულიყო და რომ მისი საგამგებლო ოსმალეთის საფაშო კი არ ყოფილიყო, არამედ საათაბაგო, ამისდა შესაბამისად თვითონ ყოფილიყო სულთნის ვასალი (ათაბაგი) და არა მისი მოხელე (ფაშა). მანუჩარის ეს პოზიცია სულთნისათვის მიუღებელი იყო და მან იგი უარყო [მ. სვანიძე, 1971, გვ. 155–157].

ოსმალები საქართველოს მიმართ ამის შემდეგ სამხედრო ექსპედიციათა სიძლიერეს ზრდიან. 1582 წლის დეკემბერში სულთანმა აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად ფერჰად ფაშა დანიშნა, რომელიც 1584 წელს საქართველოს წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ჯარით გამოემართა. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ფერჰად ფაშა ჯერ ლორეს მივიდა და მისი ციხე გაამაგრა, შემდეგ კი, დმანისში შევიდა. დმანისიდან კი ფერჰად ფაშამ თბილისის მიმართულებით რეზვან ფაშა გამოგზავნა 20 ათასიანი ჯარით. ამ დროს მანუჩარ ათაბაგი სიმონ მეფეს სამხედრო ძალით უწევდა დახმარებას. რაც ცნობილი გახდა ფერჰად ფაშასათვის და მან რეზვან ფაშა დამატებით 10 ათასი ჯარისკაცით გააძლიერა. ოსმალები ხატისსოფელთან დაბანაკდნენ, სადაც მათზე სიმონ მეფის მეთაურობით ქართველებმა თავდასხმა განახორციელეს, თუმცა მტრის დამარცხება ვერ მოახერხეს. ამის შემდეგ ოსმალებმა სამცხეში განაგრძეს საომარი მოქმედებების წარმოება. მაგრამ მალე ოსმალთა ლაშქარში ბრძოლებში დიდი დანაკლისისა და სურსათის ნაკლებობის გამო აჯანყებამ იფეთქა და ოსმალთა ჯარის ეს შენაერთი საქართველოს გაეცალა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 374–375; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 530; ვახუშტი, 1973, გვ. 414; ვ.

გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 138].

ოსმალთა ამ ლაშქრობის დროს მათთან გამოცხადდა დაუთ-ხანი, რომელმაც, სიმონის ირანიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე კახთა მეფეს შეაფარა თავი და მასთან ცხოვრობდა. 1582 წელს, როცა ირანის ხელისუფლებამ ქართლის და კახეთის მეფეები შეარიგა, სიმონმა დაუთ-ხანის გადაცემა მოითხოვა. მაგრამ ეს ირანის ხელისუფლების და კახეთის მეფის ნება არ იყო და დაუთ-ხანი კახეთში დარჩა. ამჯერად კი, დაუთ-ხანმა გააქტიურება სცნო საჭიროდ და ფერჰად ფაშასთან მივიდა. თუ ადრე ირანის ხელისუფლება იყენებდა დაუთ-ხანს სიმონის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახლა იგივეს ოსმალეთი შეეცადა, თუმცა დაუთ-ხანმა ოსმალების იმედი ვერ გაამართლა და მალე სულთანმა სიმონ მეფის მოღალატე ძმა მცირე აზიაში გაგზავნა და მარაშის გამგებლად დანიშნა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 160–161].

ამ ხანებში ირანს, ქართლს და ოსმალეთს შორის ისევ შედგა მოლაპარაკებები დაზავების თაობაზე. ქართლის ელჩობას საეკლესიო პირი ედგა სათავეში. ეს მოლაპარაკებები საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა [ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 228].

სიმონ მეფეს ოსმალებთან მუდმივი დაპირისპირების პირობებში ერთხელ თბილისიც დაუკავებია. “სწავლული კაცნი” დათარიღების გარეშე გვაწვდიან ცნობას, რომ სიმონმა, “აღიღო ციხე ტფილისისა და ქალაქი დაიპყრა თუთან და მოსრა ყოველივე, რაოდენიცა იყვნეს ციხესა ტფილისისა ურუმნი” [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 374]. ვახუშტის ცნობით, 1583 წელს “სუმონ მეფე მოადგა ტფილისს, მცირეს ხანსა შინა წარიღო და მოსწყუდნა სრულიად ოსმალნი” [ვახუშტი, 1973, გვ. 414]. ზოგიერთი სხვა ქართული წყაროს ცნობით, სიმონ მეფემ თბილისი 1586 წელს დაიკავა [ქრონიკები, II, 1897, გვ. 424–425]. სიმონ მეფის მიერ თბილისის აღების შესახებ ევროპულ წყაროებშიც ვხვდებით ცნობებს [ე.

მამისთვალისი, 1981, გვ. 234].

სიმონ მეფის მიერ თბილისის დაკავება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ქართლის მეფეს თბილისი მცირე ხნით უნდა სჭეროდა, ამიტომ ამ ფაქტმა ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა იმ ბრძოლაზე, რომელსაც სიმონი ოსმალების წინააღმდეგ აწარმოებდა.

ირან-ოსმალეთის მეორე ომი დასასრულს მიუახლოვდა და ოსმალებმა გადაწყვიტეს ძლიერი შეტევით გაეტეხათ ქართველთა წინააღმდეგობა და საქართველო საბოლოოდ დაემორჩილებინათ. საქართველოში ოსმალთა მთავარი მოწინააღმდეგეების სიმონ მეფის და მანუჩარ ათაბაგის ოსმალებთან დაპირისპირებას დამატებით სირთულეს უქმნიდა ირანის ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებები. 1587 წელს ირანის შაჰის ტახტი დაიკავა აბასI-მა, რომელმაც გადაწყვიტა ოსმალებს დაზავებოდა. ამ ვითარებაში სიმონ მეფეს და მანუჩარ ათაბაგს ირანის დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ.

1587 წელს ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ფერჰად ფაშას სარდლობით საქართველოსკენ გამოემართა. ფერჰად ფაშამ გადაწყვიტა დმანისის გზით თბილისში ჩასულიყო, ხოლო იქიდან კი გორში. ჩილდირის ბეგლარბეგ აჰმედ ფაშას კი, დაევალა გაეღაშქრა ახალციხის წინააღმდეგ, სადაც გამაგრებული იყო მანუჩარ ათაბაგი. ოსმალებმა ამ დროს გურიის მთავარსაც მოთხოვეს საქართველოში განსახორციელებელ თავიანთ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციისთვის დახმარება და მანაც შეასრულა ეს მოთხოვნა.

მანუჩარ ათაბაგმა როცა შეიტყო მის წინააღმდეგ გაგზავნილი ოსმალთა სამხედრო ძალების თაობაზე, სიმონ მეფეს მიმართა დახმარების თხოვნით და ქართლის მეფეც გადავიდა თავისი ლაშქრით სამცხეში მანუჩარის დასახმარებლად.

ამასობაში ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ქართლში შემოიჭრა. ოსმალები ჯერ თბილისში შევიდნენ და შემდეგ გორისკენ გაემართნენ. ქართლში სიმონ მეფის არყოფნის პირობებში ოსმალებს ახლა იქ სათანადო წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ და გორი ადვილად დაიკავეს. ოსმალებს შეეძლოთ გორიდან პირდაპირ ტაშისკარისაკენ წასულიყვნენ და ქართლის მეფე თავისი ლაშქრით ბორჯომის ხეობაში ალყაში მოემწყვდიათ. ამ პირობებში სიმონის სამცხეში ყოფნა უაღრესად საშიში იყო და ამიტომ იგი ქართლში დაბრუნდა. ოსმალებმა ისარგებლეს სამცხიდან სიმონის წასვლით, ახალციხეს შეუტიეს და აიღეს.

ოსმალების მიერ ახალციხის დაკავება, სამცხეში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ძალების დიდი მარცხი იყო. ოსმალებმა ახალციხის დაკავებით, ფაქტობრივად შეძლეს ძველი მდგომარეობის აღდგენა და მანუჩარის მიერ წამოწყებული აჯანყების ჩაქრობა. თუმცა მანუჩარი ჯერ კიდევ განაგრძობდა ბრძოლას. ასეთ ვითარებაში ოსმალები მანუჩარის საბოლოო დამარცხების მიზნით იყენებენ, არა მხოლოდ სამხედრო ძალებს, არამედ სამცხის მოღალატე ფეოდალებსაც. ფერჰად ფაშასთან მაშინ მანუჩარის პირადი მტერი კოკოლა ვარაზას ძე შალიკაშვილი მივიდა და მორჩილება გამოუცხადა. მანუჩარის წინააღმდეგ კოკოლას მსგავსად ბევრი სხვა სამცხელი ფეოდალი გამოვიდა. მანუჩარმა საშინაო და საგარეო მტრების ასეთ მოძალებას უკვე ვეღარ გაუძლო და სამცხე დატოვა [სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 55; ვახუშტი, 1973, გვ. 723–724; მ. სვანიძე, 1971, გვ. 165–169; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 138–139].

სამცხესა და ქართლში ოსმალების მიერ მოპოვებული სამხედრო წარმატებების გავლენით, კახეთის მეფე ალექსანდრემ ისევ შეიცვალა პოლიტიკური გეზი, ამჯერად ოსმალების მხარეს გადავიდა და მათ

სასარგებლოდ ხარკის ხდა იკისრა [მუსტაფა სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 270; ნ. გელაშვილი, 1995, გვ. 183].

ამ დროისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირანის შაჰი მოწადინებული იყო ოსმალეთთან ზავი დაედო და უკვე ოსმალეთიც არ იყო დაზავების წინააღმდეგი. იმის გარდა, რომ ოსმალებს ირანთან მეორე ომის 10 წლის მიმდინარეობის მანძილზე მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული, რისი ასახვაც მათ საზავო ხელშეკრულებაში სურდათ, ამასთანავე, ამ ხანებში ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რის გამოც ომის წარმოება მისთვის რთული იყო და ეს მომენტიც ოსმალეთის ხელისუფლებას ომის დასრულების აუცილებლობას აფიქრებინებდა.

1588 წელს ირანს და ოსმალეთს შორის წინასწარი დაზავება მოხდა. იმავე წელს სიმონ მეფეც დაეზავა ოსმალებს. ქართლის მეფემ ფერჰად ფაშასთან დასდო ხელშეკრულება, რომელიც შემდეგ სულთანმა დაამტკიცა. ამ ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთი ცნობდა სიმონI-ს ქართლის მეფედ, მას ქრისტიანობით უნარჩუნებდა მმართველობას, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და კისრულობდა არ ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში. ოსმალებს ამ დროისათვის ქართლის მთავარი ციხე-სიმაგრეები ჰქონდათ დაკავებული და ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალთა დაპყრობილ ქართლის ციხეებში ისევ ოსმალთა გარნიზონები რჩებოდნენ, ხოლო სიმონ მეფის ხელისუფლება ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა¹. ამასთანავე, ქართლის მეფე ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარაჯა (ხარკი) ეხადა,

¹ მ. სვანიძე შენიშნავს, რომ საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ეს მომენტი ასახულია ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში: “ბატონ სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრამ ციხეები ურუმთ ეჭირათ” [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 13; მ. სვანიძე, 1971, გვ. 178].

რაც უნდა ყოფილიყო წელიწადში 100 ათასი ოქრო [მ. სვანიძე, 1971, გვ. 177–178; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 139–140; მ. სვანიძე, 2003, გვ. 143–147].

ამგვარად, ამ ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთსა და ქართლს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე განისაზღვრა. ეს კი იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო მიეღო სიმონ მეფის მიერ ადრე შეთავაზებული ზავის პირობები. ხოლო ის, რომ ოსმალეთმა სიმონი ქრისტიანობით ცნო ქართლის მეფედ, სიმონის ოსმალეთთან ხანგრძლივი ბრძოლით მიღწეული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

1590 წლის 21 მარტს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ამ ზავით ირანის შაჰი აბას I იძულებული გახდა საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილის და თალიშის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთის სამფლობელოებად ეცნო. შაჰ-აბასი ამ ზავის პირობებს ირანისათვის მეტად დამამცირებლად თვლიდა. მახლობელ აღმოსავლეთში და აგრეთვე ევროპაში, 1590 წლის ხელშეკრულებას განიხილავდნენ, როგორც დროებით ზავს და არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ახლო მომავალში შაჰ-აბასი, როგორც კი შეძლებდა თავისი ძალაუფლების განმტკიცებას, მაშინვე განაახლებდა ომს ოსმალეთის წინააღმდეგ [მ. სვანიძე, 1971, გვ. 181, ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 140].

ამრიგად, ირან-ოსმალეთის მეორე ომი, რომელიც 1578–1590 წლებში მიმდინარეობდა, ოსმალეთის უპირატესობით წარიმართა. შიდა სახელისუფლებო კრიზისის პირობებში მყოფმა ირანმა ოსმალეთს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ამ ომში ოსმალეთის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საქართველოს დამორჩილება და აქ თავისი

მმართველობისა და წესების დანერგვა იყო. ირანიც საქართველოს, როგორც დასაპყრობ ქვეყანას ისე უცქერდა, თუმცა იმუამად ირანის დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოს მიმართ არ იყო ისეთი სასტიკი და აგრესიული, როგორც ოსმალეთის. ირანი საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის მოხარკეობით ფორმაზეც თანახმა იყო. ამიტომ სიმონმა სავსებით მართებული გადაწყვეტილება მიიღო, როცა ირანს მორჩილება გამოუცხადა (რაც, არსებითად მოჩვენებით ხასიათს ატარებდა) და ის ირანიდან საქართველოში დააბრუნეს. სიმონი, რომ საქართველოში არ დაბრუნებულყო, აქ არ იყო ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, ვინც ოსმალთა წინააღმდეგ ქართველ ხალხს დარაზმავდა და ოსმალები ისეთივე წინააღმდეგობის გარეშე განაგრძობდნენ მთელ საქართველოში მოქმედებას, როგორადაც აქ სიმონის ჩამოსვლამდე მოქმედებდნენ. სიმონ მეფისათვის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ველზე წარმატების მიღწევა ძალიან რთული იყო. მტერი მრავალრიცხოვანი იყო და ქართლის მეფის დამხმარე ყიზილბაშები უნიათობას იჩენდნენ. ამის მიუხედავად, ქართლის მეფემ ოსმალები არაერთხელ დაამარცხა. სიმონ მეფე წარმატებით იყენებდა ბრძოლის წარმოების პარტიზანულ ტაქტიკას. საბოლოოდ სიმონ მეფის მეთაურობით ქართველთა თავდადებულმა ბრძოლამ ოსმალთა წინააღმდეგ, თავისი გამოსატულება ჰპოვა იმ ზავში, რომელიც სიმონ მეფესა და ოსმალთა შორის დაიდო. ამ ზავით, ოსმალეთმა, პრაქტიკულად აღიარა, რომ ამ ეტაპზე ხელს იღებდა მთელი საქართველოს სრული დაპყრობის გეგმაზე.

ეს იყო სიმონ მეფის დიდი წარმატება და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ამ დროს ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები უკიდურესად დაძაბული იყო და ქართლის სამეფო მტერს ეუღლად უპირისპირდებოდა. სხვა ქართული სამეფო-სამთავროები ქართლს, არათუ არ

ეხმარებოდნენ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავად ოსმალების წაქეზებით, ქართლზე არაერთი თავდასხმა განახორციელეს. ამ მხრივ მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა 1582 წელს, როდესაც კახეთის მეფე ალექსანდრე II შეურიგდა სიმონ მეფეს და ჩილდირის ბეგლარბეგი მუსტაფა (მანუჩარი) სიმონის მხარეს გადავიდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ კახეთის მეფეს ქართლის მეფისათვის ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში რაიმე ხელშესახები დახმარება არ გაუწევია. სიმონ მეფის და მანუჩარის ურთიერთობის გაუმჯობესებამ კი, თავისი გამოსატყულება ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლო თანამეგობრობაში ჰპოვა და სიმონის საბოლოო წარმატებას ხელი შეუწყო.

ირან-ოსმალეთის მეორე ომის მიმდინარეობისას დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები ისევ უკიდურესად დაძაბული იყო. 1582 წელს გარდაიცვალა ოდიშის მთავარი გიორგი და გამთავრება ეღირსა მის ძმა მამიას. გიორგის ჰყავდა ძე ლევანი, რომელიც ვახუშტის ცნობით, გურიის მთავარმა გიორგიმ, მამიას ნებით წაიყვანა და შხეფის ციხეში ჩასვა [ვახუშტი, 1973, გვ. 819]. „სწავლული კაცნიც“ გადმოგვცემენ, რომ გიორგი გურიელმა ლევანი შხეფის ციხეში მოათავსა, თუმცა ამ საქმეში მამიას როლზე არაფერს ამბობენ [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 362]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის მიხედვით, ლევანი შხეფის ციხეში მამიამ ჩასვა და გურიის მთავარს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 504]. შხეფის ციხეში მყოფი ლევანის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ყმა იგი უთმინოებითა ტყუეობისათა გარდმოიჭრა ციხიდან, რეცა განსტოლვად და მოკუდა“ [ვახუშტი, 1973, გვ. 819]. ანალოგიური ცნობები დაცულია „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ და მესამე ტექსტებში [ბერი

ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 362; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 504]. ვახუშტი კი, შემდეგ იქვე წერს: “ესე მიზეზ ჰყო დადიანმან მამიამ გურიელსა ზედა, შემოიკრიბნა სპანი და მივიდა გურიას. ამას ეკუთა გიორგი გურიელიცა და ბრძოლასა იძლია გურიელი და ივლტოდა სტამბოლს“ [ვახუშტი, 1973, გვ. 819]. ლევანის გარდაცვალების შემდეგ მამია დადიანსა და გიორგი გურიელს შორის მომხდარი დაპირისპირების თაობაზე „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტები ცნობებს არ გვაწვდიან.

მამია დადიანმა სტამბოლს წასული გიორგის მაგივრად, გურიის მთავრად 1583 წელს თავისი მომხრე გურიელთა სახლის წევრი ვახტანგი დასვა. გიორგი კი, ოსმალეთის სატახტო ქალაქში დიდხანს დარჩა და ამის გამო ოდიშის და გურიის სამთავროებს შორის ერთხანს დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა დასავლეთ საქართველოში არეულობა მაინც გრძელდებოდა. 1583 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე გიორგი და ტახტზე ავიდა მისი 12 წლის ძე ლევანი (1583–1590). იმერეთის სამეფო ტახტზე ახლადასულ ლევანს ბიძა (მამის ძმა) კონსტანტინე დაუპირისპირდა. კონსტანტინე გიორგი მეფის სიცოცხლეში დაპატიმრებული იყო. ახლა ლევანის გამეფების შემდეგ, როცა კონსტანტინე თავის ძესთან ერთად პატიმრობიდან გათავისუფლდა „დაიპყრა მან რიონის აღმოსავლეთისა კერძონი“ [ვახუშტი, 1973, გვ. 820]. ლევან იმერთა მეფეს ამ მდგომარეობასთან შეგუება არ სურდა. იგი დაუკავშირდა მამია დადიანს და 1587 წელს მისი დახმარებით კონსტანტინე დაამარცხა. ამის შემდეგ მალე ბიძა-ძმისწულს შორის მორიგება მოხდა და კონსტანტინე იმით დაკმაყოფილდა, რომ მას საუფლისწულო მისცეს [ვახუშტი, 1973, გვ. 819–820; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973, გვ. 140–141].

იმავე 1587 წელს გარდაიცვალა ვახტანგ გურიელი. ამ დროს

სტამბოლიდან წამოსული გურიის ყოფილი მთავარი გიორგი გონიოს ციხეში იმყოფებოდა და ის ოსმალების დახმარებით, გურიაში მოვიდა და ისევ დაეუფლა გურიის მთავრის ტახტს [ვახუშტი, 1973, გვ. 820].

ამ დროიდან დასავლეთ საქართველოში სრული ანარქიაა გამეფებული. იმერეთის მეფე ძალიან სუსტ ხელისუფლებას ფლობს. ოდიშის და გურიის მთავრები ერთმანეთს მტრობენ. იმერეთის თავადთა ერთი ნაწილი ოდიშის მთავარს ემხრობა, მეორე ნაწილი გურიის მთავარს და ისინი აქტიურად არიან ჩართული შიდადაპირისპირების პროცესში.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი რთული მდგომარეობა აშფოთებდა ქართლის სამეფოს წინამძღოლს. სიმონ მეფე მხოლოდ ქართლის ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის არ იბრძოდა, მისი საბოლოო მიზანი სრულიად საქართველოს ერთიანობის და დამოუკიდებლობის მიღწევა იყო. ქართლის სამეფო სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მთავარი მემკვიდრე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოსი და მის წინამძღოლს შექმნილ ვითარებაში შეეძლო იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა. იმუამად ოსმალების წინააღმდეგ ქართლის მეფე ფართომასშტაბიან საომარ ოპერაციებს არ აწარმოებდა, მათთან ზავი ჰქონდა დადებული, ხოლო დასავლეთ საქართველოს მმართველებს ურთიერთშორის დაპირისპირება ჰქონდათ, რაც მათ სამხედრო ძალას ასუსტებდა.

სიმონ მეფემ იმერეთში ლაშქრობის მოწყობა სცნო საჭიროდ. მისი ამოცანა თავდაპირველად იმერეთის შემოერთება იყო, რისი განხორციელების შემდეგ ქართლის მეფისათვის დღის წესრიგში დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ნაწილის შემოერთების საკითხი დადგებოდა. სიმონ მეფე ვიდრე დასავლეთ საქართველოში გადავიდოდა, დაუკავშირდა ზემო იმერეთის ზოგიერთ თავადს და

მათგან დახმარების პირობა მიიღო. როდესაც ეს ლევან იმერთა მეფემ შეიტყო, თავისი ლაშქარი შეკრიბა და ასევე ოდიშის მთავარ მამიას და გურიის მთავარ გიორგის თხოვა ქართლის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერა, მაგრამ ისინი ერთმანეთის შურით ლევანს არ დაეხმარნენ. 1588 წელს იმერეთში გადასულ სიმონ მეფეს, რომელსაც ზემო იმერეთის ზოგიერთი თავადი მართლაც ამოუდგა მხარში, იმერთა მეფე გოფანთოსთან დახვდა, სადაც შემდგარ ბრძოლაში ლევანი დამარცხდა და ლეჩხუმში გაიქცა. ქართლში მყოფი ოსმალური ჯარიდან სიმონ მეფეს გარკვეული საფრთხე ემუქრებოდა. იმუამად მას განსაკუთრებით გორის ციხის ოსმალური გარნიზონი უქმნიდა საშიშროებას, რის გამოც მას საშუალება არ ჰქონდა დასავლეთ საქართველოში დიდხანს დარჩენილიყო. ამიტომ ქართლის მეფემ თავისი მოწინააღმდეგე ზოგიერთი იმერელი თავადიდან მძევლები აიყვანა და გოფანთოს ბრძოლის შემდეგ ქართლში მალე დაბრუნდა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 376; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 532; ვახუშტი, 1973, გვ. 415; 820–821].

სიმონ მეფის დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის წამოწყებული ბრძოლით, საერთო-ქართული ინტერესებისათვის აუცილებელ კალაპოტში მოექცა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები. გარკვეულ ინტერესს აღძრავს ამ ურთიერთობებში მძევლის აყვანის მომენტის გამოვლინება. რაც, რასაკვირველია მოწონებას არ იმსახურებს, მაგრამ იგი საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი სიმონ მეფის დასავლეთ საქართველოში შემდგომი მოქმედებისათვის აუცილებელი იყო. ქართლის მეფე იმერეთის იმ თავადებს, რომელთაგან მძევლები აიყვანა, ამგვარი ფორმით ეფექტურად ზღუდავდა და მათთვის ჩვეული სეპარატისტული საქმიანობისათვის ხალისს უკარგავდა. ამჯერად თავის უარყოფით

როლს ისევ ასრულებდა მავნე საგარეო ფაქტორი. სიმონ მეფეს ოსმალებისგან საფრთხე, რომ არ ჰქონოდა იგი შეეცდებოდა ოდიშის და გურიის მთავრების დამორჩილებას და მთელ დასავლეთ საქართველოზე თავისი ხელისუფლების გავრცელებას, მაგრამ ოსმალების გამო იგი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველო მალე დაეტოვებინა.

სიმონ მეფის ქართლში დაბრუნების შემდეგ ლევანი ლეჩხუმიდან იმერეთს მივიდა და მეფის ტახტი დაიბრუნა. ლევანი ოდიშის მთავარს გადაემტერა. მტრობის მიზეზი ოდიშის მთავრის მიერ ლევანისათვის დახმარების გაუწევლობა იყო სიმონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმერეთის მეფეს და ოდიშის მთავარს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ საქმე სისხლიან დაპირისპირებამდე მივიდა. 1590 წელს მამია დადიანი თავისი ლაშქრით იმერეთს გადავიდა და ქუთაისს დადგა, სადაც მას იმერეთის სამეფოს ლაშქრით ლევანი დაესხა თავს, მაგრამ დამარცხება თავად განიცადა და ის ოდიშის მთავარმა ტყვედ ჩაიგდო. მამიამ ლევანი შხეფის ციხეში მოათავსა, სადაც ლევანი გარდაიცვალა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 376; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 532; ვახუშტი, 1973, გვ. 821]. ამის შემდეგ იმერეთში იმავე 1590 წელს გამეფდა როსტომ კონსტანტინეს ძე (1590–1605). იმავე წელს გარდაიცვალა მამია დადიანი და ოდიშის მთავარი გახდა მისი ძმა მანუჩარი (1590-1611). როსტომს მანუჩართან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და შემდეგ იგი ოდიშის ძლიერი მთავრის დასაყრდენი ძალის როლში გამოდის.

როსტომის გამეფება და იმერეთში ოდიშის მთავრის გავლენის გაძლიერების პერსპექტივა მიუღებელი იყო გურიის მთავარ გიორგისთვის და ახლა უკვე მან მოინდომა იმერეთის მეფედ თავისი კაცის დასმა. გურიის მთავარი იმერეთს მივიდა და იქ გასამეფებლად

იმერეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი ბაგრატ თეიმურაზის ძე მიიყვანა. როსტომმა გურიელს და მის პროტექტს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და იმერეთში ბაგრატ თეიმურაზის ძე გამეფდა. გურიელმა გაამაგრა ქუთაისის ციხე და ბაგრატს მეთვალყურედ თავისი ძე მამია მიუჩინა. გურიის მთავარს ოსმალებთან უკვე დიდი ხნის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და ამჯერად, ვიდრე გურიაში დაბრუნდებოდა იმერეთში თავისი პოზიციების გასაძლიერებლად მათი სამხედრო მხარდაჭერითაც ისარგებლა. რის შესახებ გარკვეული სახის ცნობა დაცულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში: “მოიყვანნა ოსმალთა სპანი. განსდევნა ჩიჯავაძე, აღიღო ციხე სებეკა, შემუსრა იგი და მუნ დასუა სხუა ჩიჯავაძე და მიიქცა გურიისავე” [ვახუშტი, 1973, გვ. 821].

მოვლენების ისეთი განვითარება, როგორსაც იმერეთში ჰქონდა ადგილი, ცხადია, რომ სრულიად მიუღებელი იყო სიმონ მეფისთვის. ქართლის მეფე 1590 წელს იმერეთში გადავიდა ქუთაისი აიღო, ბაგრატი დაატყვევა, მძევლები ამჯერადაც აიყვანა და ქართლს მალე დაბრუნდა. რაც ისევ ოსმალების ფაქტორით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

როსტომ კონსტანტინეს ძეს იმერეთში გამეფების სურვილი არ ასვენებდა. მას საკუთარი ძალებით ამის მიღწევა არ შეეძლო და დახმარება ოდიშის მთავარს თხოვა. მანუჩარისთვის როსტომის თხოვნა მისაღები იყო. ის თავისი ღაშქრით იმერეთში გადავიდა, ქუთაისი აიღო და როსტომი გაამეფა [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 376; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 532; ვახუშტი, 1973, გვ. 822].

სიმონ მეფემ ამჯერად უკვე ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარება სცნო საჭიროდ, რათა იმერეთის შემოერთების საკითხი საბოლოოდ გადაეწყვიტა. ქართლის მეფე 1590 წელსვე გადავიდა იმერეთში. სიმონ მეფის ღაშქარს თან ჰქონდა ზარბაზნები.

ქართლის მეფის ლაშქარი ახლა იმერეთშიც შეივსო: “აბაშიძენი და ჩხეიძენი და წერეთლები და აწ ვინც წყალწითელას აქეთ საბატოს კაცის შვილნი ესახლნენ, ყველანი მეფეს სვიმონს მოუვიდნენ... ცხენისწყალს აქეთნი თავადებნი ზოგნი მოუვიდნენ და ზოგნი არა, დადიანს მოუვიდნენ” [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 14].

როსტომს დამოუკიდებლად არ შეეძლო ქართლის მეფის სამხედრო ძალებისთვის წინააღმდეგობა გაეწია და თავი მანუჩარ დადიანთან შეაფარა. ხოლო სიმონ მეფემ ამასობაში “აღილო ციხენი: სკანდა, კუარა, კაცხი, სუერი, შეაყენნა თუსნი და მოადგა ქუთათისს, აღილო იგიცა” [ვახუშტი, 1973, გვ. 822]. ამის შემდეგ სიმონი როსტომის შესაპყრობად გაემართა. მისი დატყვევებით მომავალში იმერეთიდან განდგომის საფრთხე ძლიერ შემცირდებოდა, რადგან მეფობის სხვა პრეტენდენტი იმერელ ბაგრატიონებში არ ჩანდა. მანუჩარ დადიანი და როსტომი ოფშკვითს იყვნენ დაბანაკებული. მანუჩარმა სიმონს შუამავლის პირით შეუთვალა, რომ საქმე მორიგებით გაეთავებინათ და ის და როსტომი სიმონის მორჩილი იქნებოდნენ, მაგრამ ქართლის მეფე ამ წინადადებაზე არ დათანხმდა და როსტომის გადაცემა მოითხოვა. საბოლოოდ შეთანხმება არ მოხდა.

სიმონ მეფის ლაშქარში ერთიანობა არ იყო. ქართლის მეფეს იმერელ თავადთა ერთმა ნაწილმა უღალატა: “იმერთ, რომელთაც მეფის სვიმონისთვის ავნი იყვნენ, დადიანსა სწერდენ – თავს დაგვესხიო, არ შემოგებმითო, განგებ გაგექცევითო” [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 14]. ასეთი დაპირებით გამხნეებულმა მანუჩარმა და როსტომმა დილით ადრე თავდასხმა მოაწყვეს სიმონის ლაშქარზე. მოღალატე თავადების გამო ქართლის მეფის ლაშქარი აირია და დამარცხება განიცადა. სიმონი ქართლში დაბრუნდა. იქ მას ლორეს არეალში გააქტიურებულ ოსმალებთან მოუწია ბრძოლის გამართვა. ეს ბრძოლა ქართლის მეფის გამარჯვებით დასრულდა, რის

შემდეგ უკვე სიმონი როსტომს დაუზავდა [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 14; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 532–533; ვახუშტი, 1973, გვ. 416–417, 822–823; ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 58; ქრონიკები, II, 1897, გვ. 426, 427]. ეს დაზავება უკვე იმის მაუწყებელი იყო, რომ სიმონ მეფე იმერეთის და შესაბამისად მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე ხელს იღებდა.

აღსანიშნავია, რომ “ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტსა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში, სიმონ მეფე მკაცრადაა გაკრიტიკებული იმის გამო, რომ მან ოფშკვითის ბრძოლის წინ ოდიშის მთავრის¹ მიერ შეთავაზებული დაზავების წინადადება არ მიიღო [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 533; ვახუშტი, 1973, გვ. 822].

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ძველი ქართველი მემატრიანეების მხრიდან სიმონ მეფის მიმართ სამართლიან კრიტიკას არ აქვს ადგილი. სიმონ მეფეს ოდიშის მთავრის მიერ ოფშკვითის ბრძოლის წინ შეთავაზებული დაზავების წინადადება არ უნდა მიეღო. დადიანი უბრალოდ პოლიტიკურ სპეკულაციას ეწეოდა, როცა ზავის დადების შემთხვევაში სიმონს, მისი და როსტომის მორჩილების პირობას აძლევდა. მისთვის მთავარი იყო ქართლის მეფე იმ მომენტში დასავლეთ საქართველოდან განერიდებინა და შემდეგ იგი, რასაკვირველია სეპარატისტულ საქმიანობას მიჰყოფდა ხელს. ქართლის მეფეს ოფშკვითის ბრძოლის წინ, იმერეთის და პრაქტიკულად მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთების საქმე იმ ეტაპამდე ჰქონდა მიყვანილი, რომ ერთი ბრძოლით ძალიან ბევრი რამ

¹“ახალი ქართლის ცხოვრების” მესამე ტექსტი და ზოგიერთი სხვა ქართული წყარო შეცდომით თვლის, რომ ეს არის მამია დადიანი [ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 533; ქრონიკები, 1897, II, გვ. 426, 427; ცხოვრება საქართველოდსა, 1980, გვ. 58].

უნდა გარკვეულიყო და ამ დროს დადიანის მხრიდან განხორციელებულ პოლიტიკურ სპეკულაციას ნამდვილად არ უნდა წამოგებოდა და უბრძოლველად უკან არ უნდა დაეხია.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მ. სვანიძის იმ მოსაზრების მიმართ, რომლის მიხედვით, სიმონ მეფემ, როდესაც ის დასავლეთ საქართველოში საომარ მოქმედებებს აწარმოებდა ოსმალეთის სამხედრო დახმარებით ისარგებლა [მ. სვანიძე, 1971, გვ. 179; მ. სვანიძე, 2003, გვ. 148]. მ. სვანიძის ეს მოსაზრება დაფუძნებულია ოსმალეთის სულთნის მურად III-ის (1574–1595) ქართლის მეფისათვის გამოგზავნილ უავგუსტოს ხელშეკრულებაში¹ აღნიშნულ სიტყვებზე: “როდესაც აჩიკაშისაკენ მიემართებოდი, დახმარება ითხოვე და თბილისის ყულის ჯარიდან დამხმარე სამხედრო ძალა მოგეცა, წახვედი და მტერზე გაიმარჯვე [ს. ჯიქია, მ. სვანიძე, 1966, გვ. 235].

ჩვენი აზრით, მხოლოდ ეს ცნობა არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ სიმონ მეფე ოსმალებთან ერთად აწარმოებდა სამხედრო ოპერაციებს დასავლეთ საქართველოში, სხვა პარალელური დამადასტურებელი ცნობა კი, ამ საკითხის მიმართ არ გაგვაჩნია. ისე კი, თუ მაინც ჩავთვლით სიმონ მეფეს და ოსმალებს მოკავშირეებად დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურების წინააღმდეგ, მაშინ მთლიანად უნდა გადაიხედოს შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე ნამდვილად ფიქრობდა იმერეთის და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე და ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენაზე, რადგან სიმონ მეფე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო და მისთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო, რომ ძლიერი მტრის ოსმალეთის ხელით სასიცოცხლოდ აუცილებელი დიდი

¹მ. სვანიძე თვლის, რომ ეს უავგუსტოსი ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს 1589–1590 წლებში და უნდა წარმოადგენდეს სიმონ მეფეს და ოსმალებს შორის 1588 წელს დადებული ზავის დამტკიცება-დადასტურებას [მ. სვანიძე, 1971, გვ. 177].

ქართული საქმე ვერ გაკეთდებოდა, ერთიანი ქართული სახელმწიფო ვერ აღდგებოდა.

მ. სვანიძის ამ მოსაზრების საპირისპიროდ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1588 წელს ოსმალებთან დადებული ზავის შემდეგ, სიმონ მეფე ისევ აწარმოებდა სამხედრო ოპერაციებს ოსმალების წინააღმდეგ, რაზეც უავგუსტოესი ხელშეკრულების საფუძველზე თავად მ. სვანიძეც აკეთებს მითითებას [მ. სვანიძე, 1971, გვ. 178; მ. სვანიძე, 2003, გვ. 148] და რაც ქართულ წყაროებშიც აისახა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნული ქართული წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ სიმონ მეფე გოფანთოს ბრძოლის შემდეგ ქართლში მყოფი ოსმალური ჯარის ფაქტორის გამო დაბრუნდა ნაჩქარევად ქართლში და რომ ოფშკვიტის ბრძოლის შემდეგ სიმონ მეფეს ლორესთან მოუხდა ოსმალებთან შეტაკება [ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 376, 378; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 532, 535; ვახუშტი, 1973, გვ. 415, 417]. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას აგრეთვე იქცევს ცოტა ხნის წინ ნ. შენგელიას გამოქვეყნებული თურქეთის არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებიც სიმონ მეფის და ოსმალების ურთიერთობას ეხება და საიდანაც ჩანს, რომ იმერეთის და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის ბრძოლის პერიოდში სიმონ მეფეს ოსმალებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა [ნ. შენგელია, 2006, გვ. 376–390; ნ. შენგელია, 2008, გვ. 317–319; თ. ბერაძე, 2009, გვ. 16–17].

ამგვარად, სიმონ მეფის მიერ 1588–1590 წლებში დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის დაწყებული ბრძოლა წარუმატებლად დასრულდა. თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის საქართველოს მიმართ მოქმედი საგარეო ფაქტორი უადრესად არახელსაყრელი იყო და სიმონ მეფის მოქმედებას იგი ძლიერ

ზღუდავდა. მაგრამ მთავარი მიზეზი გაერთიანება, რომ არ შედგა ეს არ ყოფილა, მთავარი იყო თავად დასავლეთ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალების პოზიცია. საყურადღებოა, რომ თავიდან იმერეთის თავადთა ერთი ნაწილი სიმონ მეფეს ემხრობოდა და არც ოდიშის და გურიის მთავრებს გამოუდიათ თავი ქართლის მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ისინი სიმონის მოქმედებას ჩანს, რომ ჩვეულებრივ პირადი უზნეო სარგებლობისთვის გამიზნულ ლაშქრობად განიხილავდნენ, როგორც ამ დროს მთელი საქართველოს მასშტაბით მრავლად ხდებოდა და ამ ლაშქრობიდან თავადაც პირადი უზნეო სარგებლობის მიღებას ცდილობდნენ. ხოლო შემდეგ კი, როცა აშკარა გახდა, რომ სიმონ მეფე ქვეყნის ერთიანობისათვის იბრძოდა, მის მიმართ დასავლეთ საქართველოში დამოკიდებულება შეიცვალა. ქართლის მეფე იქ მიუღებელი გახდა. სიმონ მეფის მიერ ქვეყნის გაერთიანების შემთხვევაში დასავლეთ საქართველოში ფეოდალური რეაქციის წარმომადგენლები თავიანთ გარკვეული სახით არსებულ პრივილეგიურებულ მდგომარეობას, რომელიც მათ სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებით მოიპოვეს, რასაკვირველია ვეღარ შეინარჩუნებდნენ და მათთვის პირადი უზნეო სარგებლობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ერთიანი საქართველოს არსებობა. სიმონ მეფის დასავლეთ საქართველოში მესამე გადასვლის დროს, როცა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო შეძლებდა თუ არა ქართლის მეფე დასავლეთ საქართველოს შემოერთებას და ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენას, სრულად იჩინა თავი დასავლეთ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალების სააზროვნო სისტემის და თვითშეგნების დაკნინების პრობლემამ, რასაც ოსმალეთის ფაქტორი დაემატა და ბრძოლის ველზე დამარცხებული სიმონ მეფე დარწმუნდა, რომ მისი მხრიდან ამ ეტაპზე ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლას პერსპექტივა არ ჰქონდა, რადგან ამის

განსახორციელებლად არ არსებობდა ქართველთა საერთო პოლიტიკური ნება.

XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან ისევ განახლდა კახეთის ურთიერთობა რუსეთთან. ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს კავკასიაში ოსმალეთის პოზიციები გაძლიერდა, რაც რუსეთისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ამ სიტუაციაში რუსეთი მოწადინებული იყო კავკასიაში ისეთ ქვეყნებთან ჰქონოდა კავშირი, რომელთაც ამ მიმართულებით თავისი ინტერესების დასაცავად გამოიყენებდა და ამიტომ ისევ აღმოჩნდა კახეთი რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების სფეროში.

1585 წელს კახეთში დიპლომატიური მისიით სამხედრო პირმა დანილოვმა იმოგზაურა, რასაც კახეთსა და რუსეთს შორის აქტიური დიპლომატიური ურთიერთობების გაჩაღება მოყვა. 1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა ფიცის წიგნს, რომლის მიხედვით, რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში იღებდა. 1589 წელს კახეთის მეფეს რუსეთის მეფის წყალობის სიგელი მიართვეს, რითაც რუსეთის მეფემ დაადასტურა კახეთის სამეფოს რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში შესვლა [C. Белокуров, 1889, გვ. 10–14, 32–36; ნ. ბერძენიშვილი, 1967, გვ. 11–26]. კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის ეს მორიგი გააქტიურება საქართველოსთვის არავითარი სარგებლობის მომტანი არ ყოფილა და იგი XVII საუკუნის დამდეგს დასრულდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობაში ირანელთა ხელშეწყობით ქართლის მეფის სიმონ I-ის და კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ურთიერთობა გაუმჯობესდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის შემდეგაც ქართლისა და კახეთის მეფეთა შორის გარკვეულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. რისი გამოძახილიც უნდა იყოს ის, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს სიმონ მეფე რუსების წინაშე სათანადო პატივით არ

წარუდგენია. მას “მეფის” ტიტულით არ იხსენიებდა და უბრალოდ სიძეს უწოდებდა. ალექსანდრე რუსებს ეუბნებოდა, რომ სიმონი ბეცი პოლიტიკოსია, ოსმალებთან მუდმივი ომების შედეგად, ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, ამას გარდა აფიონსაც ეწევა და ასეთ კაცთან ურთიერთობას აზრი არ აქვსო. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსანდრეს ხალხს შემდეგაც ყოველთვის იმის მცდელობა ჰქონდა, რომ რუსი ელჩები სიმონ მეფის კახეთის სამეფოსადმი მტრულ დამოკიდებულებაში დაერწმუნებინა [ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 301; ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 267].

XVI საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ქართული სამეფო-სამთავრობის შიდაპოლიტიკური ურთიერთობების შესახებ წყაროთა მონაცემები მეტისმეტად მწირია.

ამ დროისათვის ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობა სამცხე-საათაბაგოში იყო. ოსმალებს სამცხე დაპყრობილი ჰქონდათ და იქ დიდი მონღოლებით ნერგავდნენ თავიანთ მმართველობასა და წესებს. რამაც სამცხის მოსახლეობა უადრესად მძიმე სულიერ და მატერიალურ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ დროს სამცხის მოსახლეობის მცირე ნაწილი ქართლსა და იმერეთში გაიქცა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ XVI საუკუნის ბოლოს ქართველთა ურთიერთშუღლის და უცხოელი მტრის მოძალების შედეგად სამცხე ქართულ პოლიტიკურ სამყაროს მოწყვეტილი იყო და მისი გადაგვარება მიმდინარეობდა. საქართველომ თავისი მიწა-წყლის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა. ეს იყო ეროვნული ტრაგედია.

XVI საუკუნის ბოლოს ისევ რთული მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ განკერძოებისადმი მიდრეკილება იზრდება აფხაზეთში, საიდანაც 1591 წელს ლაშქრობა განხორციელდა გურიაში. “მოუკდნენ აფხაზნი გურიას ნაგებითა. ამათ ეკუეთა გურიელის ძე მამია, სძლო და მოსწყუნა სრულიად” [ვახუშტი,

1973, გვ. 823]. ოდიშის მთავარს უჭირს აფხაზეთის გაკონტროლება, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოში ოდიშის სამთავროს პოლიტიკური უპირატესობა გამოიკვეთა. საყურადღებოა, რომ აქამდე ოდიშის მთავარი ფორმალურად მაინც დამოკიდებული იყო იმერეთის სამეფო კართან იმით, რომ იგი სამეფოს მანდატურთუხუცესის ტიტულს ატარებდა. ახლა კი, მას ეს პატივი აღარ აკმაყოფილებს და მანუჩარ დადიანი უკვე “ხელმწიფედ” იწოდება [ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 202–203; ვ. გუჩუა, 1973, გვ. 143].

XVI საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ქართლის და კახეთის სამეფოების ურთიერთობებზე გავლენას ახდენდა ის, რომ ამ დროს, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ისე ირანი მოწადინებული იყვნენ ანტიოსმალური კოალიციის შექმნით, რომელშიც ისინი ქართლის და კახეთის სამეფოებსაც მოიაზრებდნენ. 1595 წელს შეიქმნა ირანის, ქართლის და კახეთის კავშირი. ვენეციელი დიპლომატი ალესანდრო მალიპიერო 1596 წლის თებერვალში ვენეციის სენატის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ქართველი მეფეების შერიგება ირანის შაჰის ავტორიტეტის წყალობით მოხდა [ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 284–285].

დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შედგენა ვერ მოხერხდა. თუმცა, ამის მიუხედავად, სიმონ მეფემ 1598 წელს ოსმალების წინააღმდეგ ომი განაახლა. ქართლთან ერთად სამცხე-საათაბაგოშიც დაიწყო მანუჩარის მეთაურობით აჯანყება ოსმალების წინააღმდეგ. ამ დროს შაჰ-აბასმაც დაიწყო ოსმალების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფემ ოსმალების სასარგებლოდ ხარკის ხდა შეწყვიტა.

1599 წელს სიმონ მეფემ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გორი აიღო. აღსანიშნავია, რომ გორისთვის გამართულ ბრძოლებში

ოსმალების მხარეზე სამცხე-საათაბაგოს წარმომდგენლებიც მონაწილეობდნენ. გორის დაკარგვა ოსმალთა ბატონობას საქართველოში დიდ საფრთხეს უქმნიდა. სულთანმა საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა თავრიზის და ვანის ბეგლარბეგ ჯაფარ ფაშას სარდლობით. თბილისისკენ მიმავალ ოსმალთა ჯარს ნახიდურთან ჰქონდა დროებით ბანაკი დაცემული, როცა მასზე სიმონ მეფემ თავდასხმა მოაწყო. ქართლის მეფის შეტევა თავიდან წარმატებით განვითარდა, მაგრამ შემდეგ მას მტრის მრავალრიცხოვნებამ უკან დაახევინა და ოსმალებმა უკვე ფარცხისთან სიმონ მეფის დატყვევებაც მოახერხეს. ჯაფარ ფაშამ 1600 წელს სიმონი სტამბოლში გაგზავნა, სადაც ქართლის გმირი მეფე გარდაიცვალა [ფარსადან გორგიჯანიძე, 1926, გვ. 13–16; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959, გვ. 379; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959, გვ. 576; ვახუშტი, 1973, გვ. 418; ვ. გუჩუა, 1973დ, გვ. 148].

სიმონ მეფეს სამშობლოს წინაშე უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. როგორც მეფე-პოეტი არჩილი ამბობს: სიმონმა “ქართლს ხმალი შეარტყა”. სიმონ მეფის მეთაურობით ქართლის სამეფო გმირულად იბრძოდა ჯერ ირანის და შემდეგ ოსმალების წინააღმდეგ, რასაც სრულიად საქართველოს ინტერესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სიმონი შემდგომი დროის ქართველი პატრიოტებისათვის სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშად იქცა.

ამგვარად, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები ისევ დაძაბული იყო. უცხოელი მტრის მოძალების პირობებში, ქართველი მეფე-მთავრები ვერ ახერხებენ ურთიერთშორის მშვიდობის დამყარებას და საქართველოში შიდადაპირისპირება გრძელდება. ასეთ ვითარებაში სამცხე-საათაბაგო

თანდათან ეთიშება ქართულ პოლიტიკურ სამყაროს. ამ დროს უკიდურესად დაძაბული იყო დასავლურ ქართული შიდა ურთიერთობები. XVI საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრე ქართლის სამეფო მთელ საქართველოში ცდილობდა საერთო-ქართული ინტერესების დაცვას და უცხოელ მტერს ქედმოუხრელად უპირისპირდებოდა. სხვა ქართული სამეფო-სამთავროები ქართლის სამეფოს უცხოელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს არ უჭერდნენ და დროდადრო მასზე, სწორედ უცხოელი მტრის წაქეზებით თავდასხმებსაც ახორციელებდნენ. ამის მიუხედავად, უცხოელმა მტერმა ქართლის სამეფო ვერ დააჩოქა, რაც მთელ საქართველოში ქართული სულის გაძლიერებას უწყობდა ხელს და შემდგომი დროის საქართველოს ღირსეული ყოფის წინაპირობა იყო.

ძირითადი დასკვნები

XV საუკუნის შუა ხანებში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მის ყველა ძირითად რეგიონში დაშლის პროცესს ძლიერი გავრცელება ჰქონდა. ეს ვითარება იძლევა საშუალებას, უკვე ამ დროიდან წარმოვაჩინოთ თითქმის თანასწორი ძალმოსილების ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი.

XV საუკუნის 40–60-იან წლებში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ძირითად ტენდენციას ქვეყნის დაშლის პროცესი განსაზღვრავდა. ამ დროს სეპარატისტული

სულისკვეთებით განწყობილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონთა მმართველები ერთმანეთს ემოკავშირებოდნენ ერთიანი საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპით.

ჩვენი სამშობლოს ასეთი მძიმე საშინაო ვითარება, კიდევ უფრო სახიფათო ხასიათს იღებდა იმ სიტუაციის გამო, რომელიც ამ დროს მის ირგვლივ შეიქმნა. 1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა ხანგრძლივი შეტევის შემდეგ კონსტანტინოპოლი აიღეს, ბიზანტიის იმპერია საბოლოოდ განადგურდა. XV საუკუნის 50-იან წლებში სპარსეთის უდიდესი ნაწილის სათავეში მოექცა უზუნ-ჰასანი, რომელმაც თეთრბატკნიანთა ძლიერ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი.

XV საუკუნის მეორე ნახევარში თავისი სეპარატისტული ძლიერებით მეტისმეტად გამოირჩეოდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II (1451–1498). მისი სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება იმდენად დაკნინებული იყო, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მიმართ მტრობა და სიძულვილი საეკლესიო სფეროში გადაიტანა და მესხეთის ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება მოინდომა. რისთვისაც XV საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარში პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას მიჰყო ხელი. თუმცა მცხეთის, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოს და მისი მესაჭის კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტის წყალობით, ათაბაგის ჩანაფიქრი არ განხორციელდა და ამ ეტაპზე საქართველოს ეკლესიის მთლიანობა არ დარღვეულა.

XV საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული სამეფო-სამთავროები ჩართული აღმოჩნდნენ ანტიოსმალური კოალიციის მომზადების პროცესში, რასაც რომის პაპი უწევდა ორგანიზებას. ანტიოსმალური კოალიციის წარმატების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო საქართველოს რეალური ერთიანობის აღდგენის პროცესის დაწყება. მაგრამ ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბება

რომის პაპებს არ გამოუვიდათ, ამის შემდეგ ქართველი მეფე-მთავრები ადრინდელზე უფრო მეტი სიძლიერით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ყვარყვარე ათაბაგმა საქართველოს მეფის გიორგიVIII-ის (1446–1466) საპირისპიროდ კოალიციის ჩამოყალიბება დაიწყო და მის წინააღმდეგ პრაქტიკულად ყველა ქართველი მმართველი გამოიყვანა. სეპარატისტულად განწყობილი მმართველები ძალიან ადვილად პოულობდნენ საერთო ენას “ტფილისის ტახტის” წინააღმდეგ ბრძოლისათვის. “ტფილისის ტახტის” წინააღმდეგ გაერთიანებულ ქართველ სეპარატისტებს მხარი დაუჭირა უზუნ-ჰასანმა. გიორგი მეფე თავის მოქიშპეებს სათანადოდ ვერ გაუმკლავდა და მათთან ბრძოლაში არაერთხელ დამარცხდა.

ყვარყვარე ათაბაგმა ისიც მოახერხა, რომ 1465 წელს ფარავნის ტბასთან მომხდარ ბრძოლაში ერთიანი საქართველოს მეფე გიორგიVIII დაატყვევა. საქართველოს მეფე ქვეყნის ერთიანობის, ძლიერების, სოციალური სამართლიანობის, კულტურის უმთავრესი ფასეულობების სრულიად ხელშეუხებელი სიმბოლო იყო. ამჯერად საქართველოს მეფის, თავისი ქვეშევრდომის მიერ დატყვევების უპრეცედენტო ფაქტი, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში ამ დროს ისედაც მკვეთრად გამოსატული სააზროვნო სისტემის და თვითშეგნების კრიზისის გაძლიერების საფუძველი თუ იქნებოდა და ეს შემთხვევა ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა.

1465 წელს ფარავნის ტბასთან საქართველოს მეფის დატყვევების გამო შექმნილი მძიმე მდგომარეობის უშუალო გამოძახილი იყო ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური ერთეულის – კახეთის სამეფოს წარმოქმნა. 1466 წელს გიორგიVIII-მ დაარსა კახეთის სამეფო და მისი მთავარი მხარდამჭერი ამ საქმეში ყვარყვარეII იყო. როგორც ჩანს, გიორგიVIII-ის პიროვნება, მკაფიოდ სწორედ ამ შემთხვევაში წარმოჩინდა და მისი პოლიტიკური მრწამსი ისეთივე სეპარატისტული

მოსაზრებებით აღმოჩნდა გამსჭვალული, როგორც ეს იმუამად ჩვეულებრივ ახასიათებდა ხოლმე ქართველ სეპარატისტ პოლიტიკოსს. ამ დრომდე ერთიანი საქართველოს მეფის რანგში მოღვაწე გიორგიVIII-ს ყვარყვარე ათაბაგთან, ერთი შეხედვით, სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირება ჰქონდა, მაგრამ ჩანს, რომ ეს დაპირისპირება გიორგიVIII-ის მხრიდან არ ატარებდა პრინციპულ ხასიათს, იგი არ იყო განპირობებული ქვეყნის ერთიანობისათვის ზრუნვით. გიორგიVIII როცა ყვარყვარე ათაბაგს ებრძოდა, მისი მოწინააღმდეგის დარად, თავადაც პირადი უზნეო სარგებლობის მიღების მოსურნე უნდა ყოფილიყო. გიორგიVIII-ის და ყვარყვარეII-ის პოლიტიკური იდეალები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გიორგიVIII ყვარყვარე ათაბაგთან ერთად საქართველოში ახალი პოლიტიკური ერთეულის – კახეთის სამეფოს შექმნის სათავეებთან არ აღმოჩნდებოდა.

ქართული სამეფო-სამთავროების დაძაბული შიდაპოლიტიკური ურთიერთობების პირობებში, XV საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ეკლესიის მთლიანობა დაირღვა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობა შეიღახა. 1470–1474 წლებში შეადგინეს საგანგებო საეკლესიო დოკუმენტი “მცნება სასჯულოდ”, რომელმაც დასაველეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათოლიკოსოს ჩამოაშორა და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთქვეშეთად გადააქცია. ეს განხორციელდა ერთიანი საქართველოს მეფის რანგში მოღვაწე ბაგრატVI-ის (1466–1478) და ოდიშის ერისთავის შამადავლე დადიანის ნებით. მათი დამხმარე ამ საქმეში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი იყო. შემდეგ დასაველეთ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში მისი, რომელიმე უცხოური საპატრიარქოსადმი რეალური მორჩილების მომენტი არ იკვეთება, თუმცა საქართველოს ეკლესიის მთლიანობა საუკუნეების მანძილზე

დარღვეული იყო. ოღონდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში და შემდეგაც მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში, ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ყველა ქართველი პოლიტიკოსი არ გვყავს მხედველობაში), ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ეროვნული ცნობიერება (თვითშეგნება), ძირითადად მოწოდების სიმაღლეზე იყო, მკვეთრი დაკნინება არ განუცდია და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სეპარატიზმი, უფრო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ წინამძღოლთა ნებით არსებობდა, ვიდრე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა სურვილით.

1478 წელს ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფის ტახტი კონსტანტინე II-მ დაიკავა. ბაგრატ VI-ის ძე ალექსანდრე კი, კონსტანტინე II-ს დაუპირისპირდა და იმერეთში სცადა გამეფება. კონსტანტინე II-ის გვერდით მაშინ ალექსანდრე ბაგრატის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში ოდიშის ერისთავი ვამეყ II დადგა. ამჯერად XV საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული პირველად მოხდა, რომ საქართველოს მეფის მოკავშირედ მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომის წინააღმდეგ, მეორე ქვეშევრდომი გამოვიდა. აქამდე შემდგარი მოკავშირეობები ერთთავად საქართველოს მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა, ამ ფაქტით შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, რაიმე სახის თვისებრივ სიახლესთან არ გვაქვს საქმე. როგორც აქამდე განსაზღვრავდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებს ქვეყნის დაშლის პროცესი, ისე ხდება ამ შემთხვევაშიც და ასეთ ტენდენციას აქვს ადგილი ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიური საზღვრების მთელ სიგრძეზე.

საქართველოს მეფის და ოდიშის ერისთავის ამ მოკავშირეობის საფუძველი ისევ ძლიერი ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელმაც

შეიძლება ერისთავის სეპარატისტულ ინტერესებს რაღაც ზიანი მიაყენოს. საქმე იმაშია, რომ ისეთი ძალა, რომელიც დასავლელ ქართველი ერისთავის ინტერესებს შეზღუდავს მხოლოდ იმერეთშია, თბილისის ფაქტორი ამ თვალსაზრისით უკვე ძალიან შორსაა და ერისთავიც მისთვის ხილულ ცენტრს ებრძვის, რომელიც მის ინტერესებს რეალურად ემუქრება.

დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი წინააღმდეგობების პარარელურად, კონსტანტინე მეფეს სამცხის ათაბაგის სეპარატიზმთან უწევდა დაპირისპირება. 1483 წლის აგვისტოს თვეში შედგა არადეთის ბრძოლა, სადაც კონსტანტინე ყვარყვარე ათაბაგმა დაამარცხა. ამ ბრძოლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში მოცემულ ცნობებზე დაყრდნობით, ჩვენ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ის კონსტანტინე მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის სადავო ტერიტორიების საფუძველზე აღმოცენებულ დაპირისპირებას შეიძლება უკავშირდებოდეს. ამ დაპირისპირებას არადეთის ბრძოლის გამართვის დროისათვის, თითქმის თხუთმეტწლოვანი ისტორია უნდა ჰქონოდა და საბოლოოდ ის, ისევე როგორც საქართველოში არსებული ყველა სადავო საკითხი, რომელშიც მონაწილეობდა ყვარყვარე II ათაბაგი, მის სასარგებლოდ აღმოჩნდა გადაჭრილი. ამასთანავე, არადეთის ბრძოლის შემდეგ სამცხე-საათაბაგომ „ტფილისის ტახტიდან“, შეიძლება ითქვას, რომ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობაც მოიპოვა.

გარკვეული დროით ალექსანდრე II-ს საქართველოს მეფემ და ოდიშის ერისთავმა იმერეთში ერთპიროვნული ხელისუფლების მოპოვების საშუალება არ მისცეს. თუმცა, უკვე როდესაც კონსტანტინე II-ს, ყვარყვარე ათაბაგთან და იაყუბ ყაენთან დაპირისპირების გამო არ შეეძლო ალექსანდრე ბაგრატიძის ძისთვის აქტიური წინააღმდეგობა გაეწია, ოდიშის ერისთავმაც შეწყვიტა ბრძოლა მის წინააღმდეგ და 1489 წლიდან ალექსანდრე ბაგრატიძის ძემ

იმერეთში მეფობას საბოლოოდ მიაღწია. თუ ოდიშის ერისთავი (1482 წლიდან ოდიშის ერისთავის ტახტი გარდაცვლილი ვამეყII-ის ნაცლად ლიპარიტმა დაიკავა) მიზანმიმართულად უჭერდა მხარს კონსტანტინე მეფეს და მისი მიზანი საქართველოს ერთიანობა იყო, ის სწორედ გასაჭირის დროს უნდა დამდგარიყო საქართველოს მეფის გვერდით და მასთან ერთად ბოლომდე ებრძოლა საქართველოს ერთიანობისთვის. მაგრამ ოდიშის ერისთავი ასე არ მოიქცა. მან ჩათვალა, რომ კონსტანტინეII-ის ხელისუფლებას იმერეთთან მიმართებით პერსპექტივა უკვე აღარ ჰქონდა და ალექსანდრე ბაგრატიის ძეს მორჩილება გამოუცხადა.

1490 წელს კონსტანტინეII-მ დარბაზის სხდომა მოიწვია. “ის რაც უკვე ფაქტიურად მომხდარი იყო, დარბაზმა იურიდიულად გააფორმა, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა დაადასტურა” (დ. გვრიტიშვილი). დარბაზის სხდომის შემდეგ მალე ქართველმა მეფეებმა და სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას და თავიანთ სამფლობელოებს შორის საზღვრები დააწესეს.

ალექსანდრეII-ის იმერეთში გამეფებით, დარბაზის გადაწყვეტილებით, ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის დადებული ზავით და საზღვრების დაკანონებით საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის საფუძველი მთლიანად გამოეცადა. მართალია, ამ დრომდეც იყვნენ “ტფილისის ტახტს” კახეთის სამეფო და სამცხის სამთავრო ჩამოცილებული, თუმცა საქართველოს ერთიანობის გამომხატველი ისტორიული ბირთვი – “შიდა ქართლი” და “შიდა ეგრისი” (ისტორიული ქართლი და იმერეთი) ასე თუ ისე ერთიანობას ინარჩუნებდა. ამჯერად “ტფილისის ტახტიდან” იმერეთის და მთელი დასავლეთ საქართველოს განდგომით, საქართველოს ერთიანობის გამომხატველი ისტორიული ბირთვი დანაწევრდა, რაც უკვე ერთიანი

ქართული სახელმწიფოს მკვიდრი დაშლის მაუწყებელი იყო.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს საბოლოო დაშლის შემდეგ საქართველოში ახალი პოლიტიკური ერთეული გაჩნდა ქართლის სამეფოს სახით. ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში (და შემდეგაც) არცერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართლის სამეფო უცხო ძალის ნებით, რომელიმე ქართული სამეფო-სამთავროს წინააღმდეგ სამხედრო ძალით გამოსულიყო, პირიქით კი, არაერთხელ მოხდა. ამავე დროს, სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისგან განსხვავებით, ქართლის სამეფოს არცერთი უცხო ძალისთვის ბოლომდე ქედი არ მოუხრია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართლის სამეფოს მუდმივად ჰქონდა საქართველოს გაერთიანების სავსებით სამართლიანი პრეტენზია. ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაში ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ საზღვრებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრის – ქართლის სამეფოს შეტანილი წვლილი დადებით შეფასებას იმსახურებს.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ “პროვინციის მეფეები”. ეს გავლენა, რასაკვირველია ნეგატიური კუთხით ვლინდებოდა. XVI საუკუნიდან საქართველოში “პროვინციის მეფეთა” ინსტიტუტი აღარ არსებობს. ამ დროიდან დინასტიური ბრძოლის და “ბატონიშვილობის” საკითხის კუთხით “გაგვარებული” ბაგრატიონების პრობლემა გახდა მნიშვნელოვანი. “გაგვარებულ” ბაგრატიონთა გავლენა ქართულ შიდა ურთიერთობებზე საყურადღებოა, თუმცა “პროვინციის მეფეების” გავლენასთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისიდან ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე

განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საგარეო ფაქტორი. რაც საქართველოს მიმართ ირანის და ოსმალეთის სახელმწიფოების პოლიტიკის გააქტიურებას უკავშირდება. ირანის და თურქეთის ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხესთან ქართულ სამეფო-სამთავროებს მანამდეც ჰქონდათ შეხება, მაგრამ მაშინ ირანის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებს და ოსმალეთს საქართველოს დაპყრობა არ უცდიათ. ამ დროიდან კი, ირანის და ოსმალეთის სახელმწიფოებიდან ჩვენი სამშობლოს სრული დაპყრობის საფრთხე მოდის. ამ მხრივ განსაკუთრებულ აგრესიას ოსმალეთის სახელმწიფო ავლენდა, რომლის მიზანი საქართველოს თავის ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევა იყო. ირანის სახელმწიფო კი, ქართულ სამეფო-სამთავროებთან ძირითადად მოხარკეობითი ფორმის ურთიერთობის დამყარებასაც ეგუებოდა.

XVI საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფო ხელისუფლება კრიზისს განიცდიდა. ამით სარგებლობდნენ სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლები და თავს ესხმოდნენ ქართლის სამეფოს. ქართლის სამეფომ მათ შემოტევას გაუძლო და 1513 წელს კახეთის სამეფოს შემოერთებაც კი შეძლო. თუმცა 1518 წელს კახეთმა ქართლისგან დამოუკიდებლობის მოპოვება მოახერხა. ამის შემდეგ ქართლის მეფე დავით X (1505–1525) ერთხანს კიდევ აწარმოებდა ბრძოლას კახეთის შემოსაერთებლად, მაგრამ საბოლოოდ იგი 1520 წელს კახეთის მეფე ლევანს დაეზავა და ამით, პრაქტიკულად კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა აღიარა. ამ დაზავებას წინ საყურადღებო ფაქტი უძღოდა, საქმე იმაშია, რომ ამ დროს ქართლის სამეფოს წინააღმდეგ თითქმის ყველა სხვა ქართული სამეფო-სამთავრო გაერთიანდა. რაც, ერთი შეხედვით, გაკვირვებას იწვევს, მაგრამ ამ სამეფო-სამთავროთა წინამძღოლთათვის “ტფილისის ტახტის” საქართველოს ერთიანობის აღსადგენად მიმართული ნებისმიერი სახის

მცდელობა სრულიად მიუღებელი იყო და ამიტომაც მის წინააღმდეგ საბრძოლველად ადვილად გამონახეს საერთო ენა.

ქართლის სამეფომ ლუარსაბI-ის მეფობაში (1527–1556) ირანელთა არაერთი ლაშქრობა გადაიტანა. ირანელთა ლაშქრობების დაწყებამდე ქართლის სამეფოს სხვა ქართულ სამეფოებთან დაძაბული ურთიერთობა არ ჰქონია. ამ ლაშქრობების დაწყების დროიდან (1541) იმერეთის და კახეთის მეფეებმა ირანელებს მორჩილება გამოუცხადეს და ქართლის მეფეს მათ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში თითქმის არანაირი დახმარება არ გაუწიეს.

ქართლის მეფე ლუარსაბს სხვა ქართველი მეფე-მთავრები გადამთიელ მტერთან ბრძოლაში მარტო კი ტოვებდნენ ხოლმე, თუმცა თავად ქართლის მეფე, როცა ეს მეფე-მთავრები დახმარებას თხოვდნენ უცხოელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ანალოგიურად არ პასუხობდა. ბაგრატIII იმერთა მეფემ 1535 წელს სამცხის შემოსაერთებლად სამხედრო კამპანია წამოიწყო, რასაც 1545 წელს სოხოისტას ბრძოლა მოყვა. ამ ბრძოლაში ლუარსაბ მეფემ ბაგრატ იმერთა მეფის თხოვნით აქტიური მონაწილეობა მიიღო. სოხოისტას ბრძოლაში ოსმალებმა იმერეთის და ქართლის მეფეები დაამარცხეს. ამის შემდეგ სამცხის დასაპყრობად ოსმალებისთვის გზა ხსნილი იყო.

ბაგრატIII-ის სამცხის მიმართ წარმოებული პოლიტიკა თავიდანვე არასწორ გათვლებს ეფუძნებოდა. მან აქცენტი სამხედრო ძალის გამოყენებაზე გააკეთა, თავიდან გარკვეული წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ შემდეგ მას ამ წარმატების გავრცობა არ შეეძლო და რეალურად, სამცხის მიმართ ოსმალთა პოლიტიკის გამკაცრებას შეუწყო ხელი. 1536 წელს იყო პირველი შემთხვევა სამცხეში ოსმალიზაციის პროცესის გამოვლენის და ამ დროიდან მოყოლებული, ეს პროცესი სამცხეში შეუქცევად ხასიათს იღებს. ბაგრატIII-ის პოლიტიკამ მარცხი განიცადა, აგრეთვე ოდიშის და გურიის

ერისთავებთან მიმართებითაც. XVI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ოდიშის და გურიის საერისთავოებმა იმერეთის სამეფოსგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

1555 წლის 29 მაისს ამასიაში დადებული ზავით დასრულდა ირან-ოსმალეთის 1514 წლიდან მიმდინარე ომი. ამ ზავის მიხედვით, ირანს მიეკუთვნა აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (უდიდესი) ნაწილი (მტკვრის აუზი), ოსმალეთს კი, დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი (ჭოროხის აუზი). ამასიის ზავიდან გამომდინარე პირობები, ისედაც დაძაბულ ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებს დამატებით დაბრკოლებებს უქმნიდა.

1555 წელს ქართლის სამეფო ტახტი სიმონ პირველმა დაიკავა. სიმონ მეფე ლუარსაბ მეფის მსგავსად გარეშე მტერს მხოლოდ საკუთარი ძალებით ებრძოდა და სხვა ქართველი მეფე-მთავრები მისი დახმარებით, როგორც წესი, თავს არ იწუხებდნენ.

1562–1569 წლებში ქართლში “ორიანობის” პერიოდია. სიმონ მეფე ამ დროს ირანის შაჰის მიერ თბილისისა და ქვემო ქართლის გამგე-მოხელედ დანიშნული თავისი ძმის დაუთ-ხანის და ქართლში მყოფი ირანელთა ჯარის წინააღმდეგ გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებს. იმუამად არც სიმონ მეფის და არც დაუთ-ხანის და ირანელების მხარეს, არცერთი სხვა ქართული სამეფო-სამთავროს წინამძღოლი არ გამოსულა. 1569 წელს ირანელებმა ფარცხისტან გამართულ ბრძოლაში სიმონ მეფე დაატყვევეს და ირანში წაიყვანეს.

1569–1578 წლებში ქართლის გამგებლად დაუთ-ხანი ითვლებოდა, მაგრამ ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მას მხარს არ უჭერდა. მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. ამ პერიოდში ქართლმა დაკარგა თავისი ჩვეული ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერის მდგომარეობა.

აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა და ამ დროიდან დასავლურ ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთობებში უმეტესწილად შუღლი და დაპირისპირება ფიგურირებს.

1578 წელს დაიწყო და 1590 წლამდე გრძელდებოდა ირან-ოსმალეთის მეორე ომი. ეს ომი ოსმალების უპირატესობით წარიმართა. საომარი მოქმედებების დაწყებიდან მოკლე ხანში აშკარა გახდა, რომ საქართველოში არ იყო ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ქართველ ხალხს ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმავდა. ოსმალები, პრაქტიკულად მთელ საქართველოში წინააღმდეგობის გარეშე მოქმედებდნენ. ეს ირანისათვის სრულიად მიუღებელი იყო, ამიტომაც ირანის სახელმწიფოს მესვეურებმა სიმონი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და რიცხვმცირე ყიზილბაშთა ჯართან ერთად საქართველოში გამოგზავნეს.

სიმონ მეფის ქართლში დაბრუნების შემდეგ ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში ქართლის სამეფოთაგანსი ფუნქცია დაიბრუნა. ქართლის სამეფო ისევ დადგა საერთო-ქართული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და ამ ინტერესების შესაბამისად სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობების მოწესრიგებას ცდილობდა.

ამ დროისათვის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისათვის საგარეო ფაქტორის ზეგავლენამ აქამდე არნახულ დონეს მიაღწია და რეალურად, სიმონ მეფის გარდა, რომელიც უცხოელ მტერს ქედმოუხრელად უპირისპირდებოდა, სხვა ქართველი მეფე-მთავრები ამ ფაქტორის მეშვეობით თავიანთი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობდნენ.

ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს ოსმალეთი საქართველოს თავის ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევის გეგმის განხორციელებას დიდი მონდომებით ცდილობდა და ამ თვალსაზრისით სამცხე-საათაბაგოს მიმართ მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადადგა. 1579 წლის 25 ივნისს ოსმალეთის სულთნის ბრძანებით დაარსდა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, რომელშიც შევიდა სამცხე-საათაბაგოს ძირითადი ტერიტორია. ახლადჩამოყალიბებული ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულის პირველი ბეგლარბეგი (ფაშა) გახდა სამცხის მმართველი საგვარეულო სახლის წარმომადგენელი მანუჩარი, რომელსაც ოსმალები მუსტაფას უწოდებდნენ.

სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე საფაშოს გაჩენა ჩვენი სამშობლოს დიდი მარცხი იყო. ოსმალებს სამცხეში თავიანთი მიზნების განხორციელებას უადვილებდა ის, რომ მათ იქ ადგილობრივთა მხრიდან ახლა წინამავალი დროისგან განსხვავებით მნიშვნელოვანი წინაღმდეგობა არ ხვდებოდათ. მუსტაფა ოსმალებს ერთგულებდა და მან რამდენიმეჯერ ოსმალთა ნებით ქართლის რბევაშიც კი მიიღო მონაწილეობა. თუმცა მუსტაფას ერთგულება ოსმალების მიმართ დიდხანს არ გაგრძელებულა. 1582 წლის საომარი კამპანიის მიმდინარეობისას მუსტაფა-მანუჩარი ოსმალებს განუდგა, სამცხეში ათაბაგობა აღადგინა და ოსმალებს აუჯანყდა. სიმონ მეფემ მანუჩარის აჯანყებას აქტიურად დაუჭირა მხარი, მაგრამ ოსმალებმა აჯანყების ჩახშობა მაინც შეძლეს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ XVI საუკუნის ბოლოს სამცხე ქართულ პოლიტიკურ სამყაროს მოწყვეტილი იყო და მისი გადაგვარება მიმდინარეობდა. საქართველომ თავისი მიწა-წყლის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა. ეს იყო ეროვნული ტრაგედია.

ირან-ოსმალეთის მეორე ომის მსვლელობაში ისევ უკიდურესად გართულებული იყო დასავლურ ქართული შიდაპოლიტიკური

ურთიერთობები. ასეთ ვითარებაში ოსმალთათვის ადვილი იყო დასავლელ ქართველი მეფე-მთავრებისათვის თავიანთი პირობების თავს მოხვევა. ამ მხრივ საქმე იქამდე მივიდა, რომ 1582 წელს ოსმალთა წაქეზებით იმერეთის მეფემ და ოდიშის და გურიის ერისთავებმა ქართლში ლაშქრობა მოაწყვეს. სიმონ მეფე მათ სამხედრო ძალით არ დაპირისპირებია, რისი წყალობით საქართველო გადაურჩა ძმათამკვლელ ფართომასშტაბიან დაპირისპირებას.

1588 წელს სიმონ მეფეს და ოსმალებს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის მიხედვით, ოსმალეთის სახელმწიფოს და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე მყარდებოდა და ოსმალეთის სახელმწიფო სიმონI-ს ქრისტიანად ცნობდა ქართლის მეფედ, რაც უკვე, შეიძლება ითქვას, იმის მაუწყებელი იყო, რომ ოსმალეთის სახელმწიფო ამ ეტაპზე ხელს იღებდა ქართლის სრული დაპყრობის პოლიტიკაზე.

სიმონ მეფემ 1588–1590 წლებში დასავლეთ საქართველოს შემოერთების მიზნით, იქ სამი ლაშქრობა მოაწყო, გარკვეული წარმატებაც ჰქონდა, მაგრამ 1590 წელს ოფშეკვიტის ბრძოლაში ოდიშის ერისთავმა მანუჩარმა და იმერეთის მეფე როსტომმა სიმონ მეფე დაამარცხეს, რის შემდეგ იგი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოს შემოერთების განზრახვაზე ხელი აეღო. მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალების სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება უკიდურესად დაკნინებული იყო, სიმონ მეფეს არ შეეძლო უადრესად არახელსაყრელი საგარეო ფაქტორის ზემოქმედების პირობებში საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა აღედგინა.

სიმონ მეფე XVI საუკუნის უკანასკნელ ათწლეულშიც განაგრძობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას. იმუამად მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანის შაჰ აბას პირველთან, კახეთის მეფე

ალექსანდრე მეორესთან და მანუჩართან, რომელიც მაშინ სამცხე-საათაბაგოში ცდილობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას. 1599 წელს სიმონ მეფემ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ოსმალებისგან გორი გაათავისუფლა, რის შემდეგ ოსმალეთის სულთანმა ქართლში მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა ჯაფარ ფაშას სარდლობით. ოსმალებმა ქართლის მეფის ლაშქარი დაამარცხეს და თავად სიმონი ფარცხისთან დაატყვევეს. ჯაფარ ფაშამ სიმონ მეფე 1600 წელს სტამბოლში გაგზავნა, სადაც ქართლის გმირი მეფე გარდაიცვალა.

XV საუკუნის მეორე ნახევრის და XVI საუკუნის ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების წარმოჩინებისას, ჩვენ ძირითადად უაღრესად არახელსაყრელი საგარეო ფაქტორის ფონზე, საქართველოში არსებული დაშლის შეუქცევადი პროცესის პირობებში მიმდინარე ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთბრძოლის ჩვენება გვიწევს. როგორც წესი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრე ქართლის სამეფო იყო ამ ურთიერთობების ცენტრში, რომელსაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენის საკვებით სამართლიანი პრეტენზია ჰქონდა, თუმცა სხვა ქართული სამეფო-სამთავროების წინამძღოლთათვის ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეა მისაღები არ იყო, ისინი საქართველოს გაერთიანებას შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ეწინააღმდეგებოდნენ და უცხოელი მტრის წაქეზებით ქართლზე თავდასხმების განხორციელებასაც არ ერიდებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი მტრის მთავარი სამიზნე საქართველოში ყოველთვის ქართლის სამეფო იყო. ამის მიუხედავად, ქართლის სამეფოს ქედი არ მოუხრია, ღირსეულად ატარა სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრის ტვირთი და საერთო-ქართული ინტერესები შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმალურად დაიცვა.

აქ ჩნდება კითხვა, თუ ქართლის სამეფო უცხოელი მტრის წინააღმდეგ დაპირისპირებაში სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მხრიდან მარტო იყო მიტოვებული და ხშირად მათი თავდასხმის ობიექტიც იყო, როგორ მოხდა, რომ არ გატყდა და მოწინააღმდეგეთა შემოტევას გაუძლო.

ამის პასუხად, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა და მოსახლეობის თავდადებული ბრძოლის დიდი მნიშვნელობის თაობაზე. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ქართლის სამეფო დროდადრო სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან ახერხებდა ურთიერთობების მოწესრიგებას და კიდევ იყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც თავიანთი მოღვაწეობით საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი ქმნიდნენ. მათი სახით ქართლის სამეფოს, შეიძლება ითქვას, მთელ საქართველოში ჰყავდა მხარდამჭერი საერთო-ქართული ინტერესების დაცვის საქმეში.

ასე ვითარდებოდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში. XVI საუკუნის ბოლოს სიმონ მეფის დაკარგვით საქართველომ მძიმე დანაკლისი განიცადა. ამიერიდან ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების განვითარების პროცესი კიდევ უფრო მწვავედ და ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეას, სულ უფრო და უფრო შორდება, თუმცა ამ იდეას შემდგომი დროის საქართველოში თავისი დამცველებიც ჰყავდა, რომლებიც ღირსეულად განაგრძობდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წარმოშობილ სუსტ, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვან ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის ტრადიციებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წყაროები

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 2328;
ფ. 1449, № 1557; ფ. 1449, № 1611; ფ. 1449, № 1630; ფ. 1449, № 1754.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-1585; Ad-2233ა; Hd-1374; Hd-430.

ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, 1959 – ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1959.

ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959 – ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, “ქართლის ცხოვრება”, II, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1959.

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, 1959 – ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, “ქართლის ცხოვრება”, II, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1959.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გამოკვლევა, 1. ხელნაწერის აღწერილობა, 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1958.

ვახუშტი, 1973 – ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცხოვრება”, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

მინადო, Q-149 – იოვანე-თომა მინადო, ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსთა შორის, თარგმანი პატრი ლაზარე გოზალიშვილისა, ტურინი, 1588. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-49.

თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 1987 – თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე.

მამისთვალის შვილმა, “მეცნიერება”, თბ., 1987.

თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, 1983 – თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, “მეცნიერება”, თბ., 1983.

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964 – იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, “მეცნიერება”, თბ., 1964.

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969 – ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო დ. კაციტაძემ, “მეცნიერება”, თბ., 1969.

იტალიელი მოგზაურები საქართველოში, 1894 – იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, “მოამბე”, 1894, XI.

ს. კაკაბაძე, 1913 – ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913.

XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, 1981 – XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალის შვილმა, “მეცნიერება”, თბ., 1981.

მუსტაფა სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ, 1960 – გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ.91, 1960.

მცირე ქრონიკები, 1968 – მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, “მეცნიერება”, თბ., 1968.

სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, 1990 – სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, “მეცნიერება”, თბ., 1990.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961 – სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961.

საქართველოს სიძველენი, III, 1910 – საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, Издание Грузинского общества истории и этнографии, ტფ., 1910.

სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 1986 – სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, “მეცნიერება”, თბ., 1986.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (XIV–XV სს.), 1978 – სომხურ ხელნაწერთა ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (XIV–XV სს.), ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, “მეცნიერება”, თბ., 1978.

ფარსადან გორგიჯანიძე, 1926 – ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია (ამონაბეჭდი “საისტორიო მოამბიდან” წ. II, 1925 წ.), ტფ., 1926.

ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I, 1989 – ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები

დაურთო მ. ბერძნიშვილმა, “მეცნიერება”, თბ., 1989.

ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, “მეცნიერება”, თბ., 1965.

ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, “მეცნიერება”, თბ., 1970.

ქრონიკები, II, 1897 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, სტამბა მ. შარაშიძისა და ამხ., ტფ., 1897.

შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, 1976 – შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, “მეცნიერება”, თბ., 1976.

ცხოვრება საქართველოდსა, 1980 – ცხოვრება საქართველოდსა, (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, “მეცნიერება”, თბ., 1980.

ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966 – ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, “მეცნიერება”, თბ., 1966.

2. ისტორიოგრაფია

ნ. ასათიანი, 1998 – ნ. ასათიანი, ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები XVI საუკუნის II ნახევარში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.

თ. ბერაძე, 1967 – თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, "მეცნიერება", თბ., 1967.

თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, 1971 – თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, "მეცნიერება", თბ., 1971.

თ. ბერაძე, 1981 – თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, "ნაკადული" თბ., 1981.

თ. ბერაძე, 1999 – თ. ბერაძე, ოდიშის საერისთავო XV–XVI სს., სამეგრელო კოლხეთი ოდიში – ილია ანთელავას საერთო რედაქციით – თბილისი – ზუგდიდი, "ინტელექტი", თბ., 1999.

თ. ბერაძე, მ. სანაძე, 2003 – თ. ბერაძე, მ. სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, "საქართველოს მაცნე", თბ., 2003.

თ. ბერაძე, 2007 – თ. ბერაძე, აფხაზეთი XIII ს-ის 40-იანი წლებიდან XV ს-ის 90-იან წლებამდე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, "ინტელექტი", თბ., 2007.

თ. ბერაძე, 2009 – თ. ბერაძე, სიმონI-ის ლაშქრობები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს უნივერსიტეტის I ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009.

დ. ბერძენიშვილი, 1960 – დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, "მეცნიერება", თბ., 1960.

დ. ბერძენიშვილი, 1975 – დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, "მეცნიერება", თბ., 1975.

ნ. ბერძენიშვილი, 1937 – ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური

ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1937.

ნ. ბერძენიშვილი, 1950 – ნ. ბერძენიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-16 საუკუნეში, ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950.

ნ. ბერძენიშვილი, 1967 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, “მეცნიერება”, თბ., 1967.

ნ. ბერძენიშვილი, 1971 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, “მეცნიერება”, თბ., 1971.

ნ. ბერძენიშვილი, 1973 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, “მეცნიერება”, თბ., 1973.

ნ. ბერძენიშვილი, 1990 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, “მეცნიერება”, თბ., 1990.

ვ. გაბაშვილი, 1958 – ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVIII სს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1958.

გ. გაბუნია, 1996 – გ. გაბუნია, ასე იწყებოდა დიდი საქართველო, ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება “სტამბის” საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1996.

ნ. გელაშვილი, 1995 – ნ. გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.), “მეცნიერება”, თბ., 1995.

ჯ. გვასალია, თ. თოდრია, 1971 – ჯ. გვასალია, თ. თოდრია, გვიანფეოდალური კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, “მეცნიერება”, თბ., 1971.

ე. გვენეტაძე, 2003 – ე. გვენეტაძე, იმერეთის სამეფოს წარმოქმნის

ისტორიიდან, თბ., 2003.

დ. გვრიტიშვილი, 1955 – დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომც. სტამბა, თბ., 1955.

დ. გვრიტიშვილი, 1965 – დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, “საბჭოთა საქართველო”, II, თბ., 1965.

ვ. გუჩუა, 1973ა – ვ. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV–XVI სს. მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

ვ. გუჩუა, 1973ბ – ვ. გუჩუა, ბრძოლა აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

ვ. გუჩუა, 1973გ – ვ. გუჩუა, საქართველო XVI ს. 50–70-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

ვ. გუჩუა, 1973დ – ვ. გუჩუა, სიმონI-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის, კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. სიმონ პირველის მეფობის უკანასკნელი წლები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, 1973 – ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება. ქართლის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სიმონI-ის მეთაურობით. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

მ. ზაღდასტანიშვილი, 1996 – მ. ზაღდასტანიშვილი, “მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ” (დათარიღებისა და ავტორობის საკითხისათვის), “არტანუჯი”, 5, 1996.

გ. ზედგენიძე, 1997 – გ. ზედგენიძე, დონ ხუან დე პერსიას

ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 4, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997.

მ. თამარაშვილი, 1902 – მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წ. გ. გამ. ამხ. Электротпечатная Грузин. Изд. Т ва ტფ., 1902.

ს. კაკაბაძე, 1912 – ს. კაკაბაძე, გენეალოგია, ბაგრატ VI აფხაზთა ქართველთა მეფისა, ტფ., 1912.

ს. კაკაბაძე, 1925 – ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ XVIII საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, 1925.

მ. კაპანაძე, 2005ა – მ. კაპანაძე, ქვეყნის გაერთიანების ეპიზოდური მცდელობანი XVI საუკუნის პირველ მესამედში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, ქუთაისი, 2005.

მ. კაპანაძე, 2005ბ – მ. კაპანაძე, ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა XVI საუკუნის 30–50-იან წლებში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, ქუთაისი, 2005.

დ. კაციტაძე, 1998 – დ. კაციტაძე, ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო XVI ს-ის II ნახევარში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.

დ. კაჭარავა, 2003 – დ. კაჭარავა, ქართული დიპლომატია XVI ს-ში – ქართული დიპლომატიის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.

ე. კაჭარავა, 2000 – ე. კაჭარავა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, “ნეკერი”, თბ., 2000.

ე. კაჭარავა, ქ. ნადირაძე, 2000 – ე. კაჭარავა, ქ. ნადირაძე,

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, “ნეკერი”, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე, 1966 – ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, (სენიორიები), “მეცნიერება”, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე, 1979 – ბ. ლომინაძე, საქართველო XV ს. მეორე ნახევარში, ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1979.

გ. მაისურაძე, 1973 – გ. მაისურაძე, სომხური წყაროები და ლიტერატურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973.

ე. მამისთვალიშვილი, 1981 – ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, “მეცნიერება”, თბ., 1981.

გ. მამულია, 1960 – გ. მამულია, XVI საუკუნის ქართველთა ისტორიისათვის, “დროშა”, 5, 1960.

შ. მესხია, 1958 – შ. მესხია, საქართველო XVI საუკუნეში, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1958.

შ. მესხია, 1991 – შ. მესხია, ლუარსაბი და სიმონი, “მეცნიერება”, თბ., 1991.

გ. მჭედლიძე, 1996 – გ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება “სტამბის” საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1996.

გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, 2008 – გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა),

საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2008.

გ. ნადარეიშივილი, 1986 – გ. ნადარეიშივილი, “ფიცი”, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.10, საქართველოს სსრ გამსახკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბ., 1986.

დ. ნინიძე, 1995 – დ. ნინიძე, “პროვინციის მეფეები” XIV–XV საუკუნეების საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1995.

დ. ნინიძე, 1997ა – დ. ნინიძე, საქართველო-ბიზანტია-ტრაპიზონის დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 4, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997.

დ. ნინიძე, 1997ბ – დ. ნინიძე, მუხრანბატონები, “მერიდიანი”, თბ., 1997.

დ. ნინიძე, 1998ა – დ. ნინიძე, “გუარი მეფეთა ბაგრატიონთა” – გოჩაშიელნი, თბ., 1998.

დ. ნინიძე, 1998ბ – დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII–XVIII საუკუნეები), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, “მერიდიანი”, თბ., 1998.

დ. ნინიძე, 1998გ – დ. ნინიძე, XV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატია, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.

დ. ნინიძე, 1999 – დ. ნინიძე, “აქა ანბავი თვალდამწვრიანთა”, თბ., 1999.

დ. ნინიძე, 2004 – დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII–XVIII საუკუნეები), “მერიდიანი”, თბ., 2004.

ჟ. ოდიშელი, 1964 – ჟ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.), XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

დ. პაიჭაძე, 1989 – დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, “მეცნიერება”, თბ., 1989.

მ. რეხვიაშვილი, 1989 – მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1989.

გ. საითიძე, 1997 – გ. საითიძე, კონსტანტინე ყოფილი კირილე (XVI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიიდან), “არტანუჯი”, 1997, 6.

გ. საითიძე, 1998 – გ. საითიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის XVI ს-ის I ნახევარში და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.

მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია, 2003 – მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია, საქართველოს ისტორიული ატლასი, “საქართველოს მაცნე”, თბ., 2003.

მ. სვანიძე, 1971 – მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს. “მეცნიერება”, თბ., 1971.

მ. სვანიძე, 1990 – მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV–XVIII სს.) “მეცნიერება”, თბ., 1990.

ვ. სილოგავა, კ. შენგელია, 2007 – ვ. სილოგავა, კ. შენგელია, საქართველოს ისტორია, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007.

ო. სოსელია, 1954 – ო. სოსელია, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

ლ. ტარდი, 1980 – ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1980.

თ. ქორიძე, 2000 – თ. ქორიძე, აფხაზეთის (დასავლეთ

საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, “ნეკერი”, თბ., 2000.

თ. ქორიძე, 2007 – თ. ქორიძე, ქართლის მეფეები, საქართველოს მეფეები, “ნეკერი”, თბ., 2007.

ნ. შენგელია, 2006 – ნ. შენგელია, ხუთი დოკუმენტი “მუჰიმე დავთრებიდან” სიმონ ქართლის მეფის შესახებ, შოთა მესხია 90 (საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი), “ნეკერი”, თბ., 2006.

ნ. შენგელია, 2008 – ნ. შენგელია, ოთხი დოკუმენტი “მუჰიმე დავთრიდან” ჩილდირის ვილაიეთის შესახებ, გამოჩენილი ქართველი ოსმანისტი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ნ. შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული), გამომცემლობა “ჰოროსი XXI”, თბ., 2008.

ი. ცინცაძე, 1966 – ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1966.

ე. ცისკარიშვილი, 1959 – ე. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1959.

დ. წიტიანიშვილი, 2004 – დ. წიტიანიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, ქუთაისი, 2004.

ე. ხინთიბიძე, 1986 – ე. ხინთიბიძე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, “ცისკარი”, 3, 1986.

ს. ხოსიტაშვილი, 1972 – ს. ხოსიტაშვილი, XV–XVI ს.ს. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ისტორიიდან, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, “მეცნიერება”, თბ., 1972.

ბ. ხორავა, 1996 – ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა

XV–XVIII სს., “კერა XXI”, თბ., 1996.

ე. ხოშტარია, 1978 – ე. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, “მრავალთავი”, VI, “მეცნიერება”, თბ., 1978.

ივ. ჯავახიშვილი, 1967 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1967.

ივ. ჯავახიშვილი, 1977 – ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა), თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VIII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1977.

ივ. ჯავახიშვილი, 1982 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი, III, ნაწილი მეორე (XV ს.), თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1982.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, 1999 – მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი მესამე, “მერანი”, თბ., 1999.

ს. ჯიქია, მ. სვანიძე, 1966 – ს. ჯიქია, მ. სვანიძე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588–1590 წლებში, მაცნე, 6, 1966.

З. Анчабадзе, 1959 – З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (XI–XVIII вв.), “Абгиз”, Сухуми, 1959.

С. Белокуров, 1889 – С. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, 1578–1613 г г., М. 1889.

Т. Берадзе, 1989 – Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, ”მეცნიერება”, Тბ., 1989.

О. Эфендиев, 1961 – О. Эфендиев, Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI в., Баку, 1961.

შინაარსი

შესავალი	2
წყაროების და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა	5
თავი პირველი. ქართული სამეფო-სამთავროების	

შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის 40–60-იან წლებში .	12
თავი მეორე. ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის 70–90-იან წლებში	33
თავი მესამე. ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველ მეოთხედში	65
თავი მეოთხე. ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის მეორე მეოთხედში	102
თავი მესხეთე. ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის მეორე ნახევარში	143
ძირითადი დასკვნები	217
გამოყენებული ლიტერატურა	233